საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№30

23-29 სექტემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

გამოდის ოთხშაბათობით

info@geworld.net

**ჰაიდი ტალიავინმა ხელი მიშას დაადო** 2

2

## უPROბლემო ტრიო



## საქართველოს მხარდაჭერა უსაგნო რიტორიკაა

4



## სააკაშვილმა ბაგრატის ტაძარს წირვა გამოუყვანა

**მსოფლიო კულტურის ძეგლი პრეზიდენტის ხუშტურს ეწირება**

მიხაილოვკა //

**ვინ ჭამს დევნილებისთვის გამოყოფილ პროდუქტს?** 8

მაოხრებლები //

**ქართული ძიუდოს მესაფლავე დილარ ხაბულიანი** 14

**ახალკაცი ფანდარასტ!** 14

დაიჯესტი //

**რუსეთი კუბაში მთელი შეიარაღებით ბრუნდება** 28

რამაზ კლიმიაშვილი: 6

## ახალ რეალობას ახალი ლიდერი სჭირდება

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აშშ-ს მიერ საქართველოს მხარდამჭერის პოლიტიკა უსაგნო რიტორიკაა



**როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-რუსეთს შორის, ახალი რეალობებიდან გამომდინარე, ე.წ. „გადატვირთვა", უბრალო, ლიტონი სიტყვები არ აღმოჩნდა. პირველი, ხელშესახები და ჩვენთვის დამაფიქრებელი შედეგი ამ „გადატვირთვისა" ის არის, რომ აშშ-მ ოფიციალურად განაცხადა — ჩეხეთსა და პოლონეთში ანტისარაკეტო დანადგარების არგანლაგების შესახებ, რაც ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მთავარი პროექტი და ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავი იყო.**

„შპიგელის" ინფორმაციით, ტალიავინის კომისიას უკვე მზად აქვს დასკვნა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე პასუხისმგებლობას სააკაშვილს აკისრებს. საქართველოს პრეზიდენტი კი ტალიავინის დასკვნიდან „სათანადო დასკვნების" გამოტანის ნაცვლად აცხადებს, რომ „ზოგიერთი იდიოტი ევროპაში" ომის დაწყებაში მას ადანაშაულებს...

არა უშავს, მიშა რომ დასკვნის გამომტანი არ იყო, ყველამ ვიცოდით, რაც მთავარია, ეს გაიგეს იმ „იდიოტებმა" დასავლეთში და აწი, რაც უნდა იყიყინონ ნაცპროპაგანდისტებმა, რომ აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და აქედან რუსეთთან საქართველოს ინტერესების ხარჯზე ობამას ადმინისტრაციის გარიგება-მორიგება არ მოხდება, ჩეხეთ-პოლონეთში „პროზე" უარის თქმა უკვე ახალი რეალობაა.

ვინმე იქნებ შემომედავოს — სად აღმოსავლეთ ევროპა და სად საქართველოო? მართალია, ეს ამბავი ირიბად ურტყამს ჩვენს ინტერესებს, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით.

ჩვენგან განსხვავებით, მართლაც დემოკრატიული ჩეხეთ-პოლონეთის განაწყენებას თუ არ მოერიდნენ, შინ და გარეთ სახელგატეხილ საქართველოზე რისთვის და რატომ გამოიდებენ თავს?

დასავლეთის აშშ-ს არაღიარების რიტორიკა, რომელიც ქართველების თვითდამშვიდებისთვის, საზოგადოებრივი აზრის მოდუნება-მიძინებისკენ არის მიმართული, შესაძლოა, იგივე აშშ-რუსეთს შორის არაფორმალური, ჩვენს ზურგს უკან „ჯენტლმენური" გარიგების შედეგი იყოს.

ანუ ცარიელი სიტყვების მიღმა ყველა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავის საქმეს აკეთებს. სულ ახლახან ავლაბრის სრა-სასახლის ფონზე საყვარელ კათედრა-ტრიბუნასთან გაბადრულმა პრეზიდენტმა კიდევ ერთი „გამარჯვება" გვახარა — გაეროს, რუსების ჯინაზე და მათ გულის გასახეთქად, ეს მერამდენე „კიდევ ერთი" დადგენილება მიუღია. „კავკასიის" ეთერში გამომტყვრალმა რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა კი გაეროს ტექსტის ნიუანსებზე მიგვითითა — აფხაზეთი, მძიმე, საქართველო! და სამხრეთ ოსეთი, მძიმე, საქართველო! აი, მთავარი მონაპოვარი და გარანტია იმისა, რომ აფხაზეთი და ცხინვალი ისევ ჩვენია, ან ხვალ-ზეგ ჩვენი გახდება.

იმის დანახვა და გაგება არავის უნდა, რომ ტექსტში არსებული „მძიმეების" მიუხედავად, საქართველოს, როგორც კახელები იტყვიან, მძიმე-მძიმედ, მაგრამ შეუქცევადად, სულ უფრო და უფრო შორდება ტერიტორიები, ანუ ერთი ანდაზის პერიფრაზით — ნაცპროპაგანდა ყეფს, ბანს აშშ-ევროპიდან ნაცების მფარველები ეუბნებიან, ქარავანი (პოლიტიკური პროცესები) კი თავისი გზით მიდის.

**„ნაცებს" გაეროს მორიგი, არაფრისმაქნისი ფარატინა ქაღალდით ყელყელაობაც კი არ ჰქონდათ ბოლომდე დაგემოვნებული, რომ მეორე დღეს ცნობილი გახდა უგო ჩავესის განცხადების შესახებ, რომ ვენესუელა მზადაა, საქართველოს ამბოხებული რეგიონების დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნოს, რუსეთისა და ნიკარაგუის შემდეგ.**

ნიკარაგუა — ნიკარაგუად, მაგრამ ის ხომ ყველასთვის ცხადია, რომ ვენესუელა ბევრად უფრო „წონიანი" ქვეყანაა და უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშეა, თუნდაც ნავთობის გამო.

**თუმცა ყველასთვის, „ნაცების" ხელისუფლების გარდა, რომელიც, ახლა უგო ჩავესის პიროვნების უმნიშვნელოობაზე დაიწყებს ლაპარაკს, აქაოდა დემოკრატიული მსოფლიო საქართველოს მხარეს არის და რომ ისე ახლოს, როგორც დღესა ვართ ტერიტორიების დაბრუნებასთან, არასოდეს ვყოფილვართო, ცხადია, რომ ყველაფერი კარგად არ არის.**

ერთი წუთით დავუშვათ, ჰიპოთეკურად დავუშვათ, რომ რუსეთის გარდა არც არავის უღიარებია და არც არავინ არასდროს აღიარებს ცხინვალ-სოხუმის დამოუკიდებლობას. მერედა ვითომ რაო, თუნდაც მხოლოდ რუსეთის აღიარება არ ეყოფათ ოსებსა და აფხაზებს საყველპუროდ?

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაცია მსოფლიოში უდიდესი ტერიტორიის მქონე ზესახელმწიფოა, თანაც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ვეტოს უფლებით, აფხაზები და ოსები ხმელა პურსა და ყველზე მეტსაც გამოჰკრავენ ხელს. ადრე იქნება თუ გვიან, ეს ყურისთვის საამო რიტორიკაც დამთავრდება და ვენესუელას სხვა, უფრო „სერიოზული" ქვეყნებიც მიბაძავენ.

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთელი მსოფლიო ტალიავინის კომისიის დასკვნის მოლოდინშია. ოქტომბრის შუა რიცხვებში ეს კომისია თავის დასკვნას დადებს, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, დავითაიას საპარლამენტო კომისიის დასკვნისგან, ალბათ, „ოდნავ" განსხვავებული იქნება.**

ტალიავინის დასკვნაში რომ საქართველოსთვის სასიკეთო ბევრი არაფერი იქნება, ეს ამთავითვე ცხადია და, პირველ რიგში, ეს იქიდან კი არ ჩანს, რომ „შპიგელსა" თუ სხვა, „გაზპრომის" მიერ „ნაყიდ" ევროპის მედიასაშუალებებში გაჟონა დასკვნის ზოგიერთმა დეტალმა, არამედ იქიდან, რომ „ნაცები" უკვე აიფოფრნენ და ჯერაც არგამოქვეყნებულ დასკვნას წინასწარ უცხადებენ უნდობლობას. პირდაპირ საუბრობენ ტალიავინის კომისიის (ყველაზე ცოტა) ორი წევრის „გაზპრომის" მიერ მოსყიდვის და, აქედან გამომდინარე, მათი ტენდენციურობის შესახებ.

**ცხადია, ხელისუფლება აქედანვე ემზადება იმისათვის, რომ ტალიავინის კომისია შარშანდელი აგვისტოს ომის გაჩაღებაში პერსონალურ პასუხისმგებლობას მიშა სააკაშვილს დააკისრებს; ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყანა, როგორც სახელმწიფო, დაზარალდება. სააკაშვილი დიდიდიდი ოფიციალურადაც გამოცხადდეს პერსონა ნონგრატად, თორემ არაოფიციალურად ხომ ისედაც ამ სტატუსს ატარებს.**

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ დასავლეთის დემოკრატიულ წრეებში, მასმედიაში, სულ უფრო ხშირად საუბრობენ საქართველოზე, როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე და არ არის გამორიცხული, რომ ტალიავინის დასკვნის შემდეგ ასეთი საუბრები კონკრეტულ ქმედებებში გადაიზარდოს, ანუ ოფიციალურად გამოცხადდეს საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ აქედან გამომდინარე ყველა „სიკეთეებით".

**სავსებით ვიზიარებ ბატონ რამაზ კლიმიაშვილის მოსაზრებას, რომ ასეთ შემთხვევაში დასავლეთმა, შეიძლება, საქართველოზე საბოლოოდ ხელი ჩაიქნიოს და ჩვენი ქვეყანა ე.წ. გავლენის სფეროებად დაინაწილონ — სამაჩაბლო, აფხაზეთი, სამეგრელო რუსეთს ერგოს; აჭარა — თურქეთს; ქვემო ქართლი — აზერბაიჯანს და ჯავახეთი — სომხეთს.**

ასეთ შემთხვევაში რაღა დარჩება სააკაშვილს ავლაბრის სასახლიდან სამართავად, ეს მკითხველმა დათვალოს და იანგარიშოს. სააკაშვილი, დარწმუნებული ვარ, არც ამ შემთხვევაში არ გადადგება.

და მაინც, სად არის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი საქართველოსთვის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური გამოსავალი? — იმაში ნამდვილად არა, რასაც ჩავდივართ — 26 აგვისტოს სლოგანით „აფხაზეთი ჩემია!", სირბილი, ბათუმში გამართული მორიგი სამარცხვინო ტაშფანდური, პაატა ბურჭულაძის მოღალატედ გამოცხადება და თერჯოლაში პრეზიდენტის მაკრატლით ხელში ბაქიბუქით საქმეს ვერ უშველის.

**მოგვწონს ეს თუ არა, არსებული რეჟიმის რაც შეიძლება სწრაფად შეცვლის აუცილებლობისკენ ბუნებრივად მივდივართ, რადგანაც ჩვენი ცოდვით სავსე „ნაცებს" „უკეთესი" მართვა არც შეუძლიათ და არც უნდათ. ქვეყნის დესუვერენიზაცია რომც გამოვრიცხოთ და შედარებით ნაკლები მასშტაბების საფრთხეებზე ვიფიქროთ, ცხადია, რომ ტალიავინის დასკვნის ყველაზე რბილი ვარიანტიც კი იმის კატალიზატორი იქნება, რომ მოკლე ხანში აფხაზეთ-ცხინვალის დე იურე მაღიარებელთა რიცხვი ამ წლის ბოლომდე გაიზრდება, რაც, ბოლოს და ბოლოს, ე.წ. დომინოს პრინციპამდე მივა.**

ეს ჩვენთვის მეტად სამწუხარო ის ახალი რეალობაა, რაც აგვისტოს ომმა მოგვიტანა და ამის არდანახვა ან სიბეცეა, ან შეგნებული სირაქლემობა და სულაც არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დაიწყო ომი.

**აქედან გამომდინარე, საჩქაროა არა მხოლოდ რუსეთთან დიალოგის დაწყება, არამედ იმაზე ფიქრიც, რომ აფხაზებს თავად ჩვენ დაველაპარაკოთ და ჩვენვე ვიფიქროთ ცხინვალისა და სოხუმის მხრიდან გარკვეული პოლიტიკური ფასის გადახდის შემთხვევაში ახალი რეალობის შესაბამის მოქმედებაზე.**

**პოლიტიკური ფასის გადახდა შეიძლება დევნილთა დაბრუნება და აფხაზეთთან კონფედერაციული ურთიერთობების ჩამოყალიბება იყოს. ჩემი აზრით, აფხაზეთთან გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე არსებული თანაცხოვრების მოდელის აღდგენაზე, ახალი რეალობებიდან გამომდინარე, დღეს და დღეიდან დაახლოებით 50 წელიწადი ოცნებაც არ შეიძლება.**

**ერთი სიტყვით, მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი, ჩემი სამშობლოს ბედით შეწუხებული, გამოსავლის ძიებაში ვარ და აქედან არის ის, რაც ვთქვი. მამლისა არ იყოს, მე მიყივლია და გათენდება თუ არა...**

თუ არა და სხვა გზა ხსნისა სხვამ მაჩვენოს.

**დავით მხეიძე**

**P.S. ამასწინათ „კავკასიის" ეთერით პაატა დავითაიას განცხადება-ინფორმაცია მოვისმინე, რომელიც მან ე.წ. პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა — აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის სავაჭრო პალატა მსოფლიო სავაჭრო პალატაში მიუღიათ, რომლის ცენტრალური ოფისი პარიზში ყოფილა.**

**მე მგონი, ეს ამბავი კიდევ ერთი დასტურია წინამდებარე წერილში გამოთქმული შიშებისა — არაღიარების პოლიტიკის პარალელურად, მაინც მიმდინარეობს სეპარატისტული რეგიონების სხვადასხვა სტრუქტურებში მეტნაკლები ინტეგრაცია.**

**ანუ ეს ჟურნალია და კინო წინ გველოდება.**

# ჰაიდი ტალიავინმა ხელი მიშას დაადო

**ძალიან ეცადა საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რომ ქვეყნის საზოგადოებრიობის თვალში სახელი გაეტეხა ევროკავშირის დამოუკიდებელი ექსპერტების კომისიისთვის, რომელიც შარშან, აგვისტოში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ომის დაწყების მიზეზებს შეისწავლიდა, რადგან, გამოჟონილი ინფორმაციით, ბრალი საქართველოს ხელისუფლებას ედებოდა. არაობიექტური, პრორუსული განწყობილების ხალხია შეყვანილი იმ კომისიაშიო, გვარწმუნებდნენ.**

კომისიის დასკვნის გამოქვეყნება ერთხელ გადაიდო ახალ გარემოებათა აღმოჩენის გამო. ჩვენმა პროპაგანდამ დაუყოვნებლივ აიტაცა ეს „ახალი გარემოება": ახლა კი ნამდვილად გაარკვევს კომისია, რომ მართალი იყო საქართველოს მხარეო. გაარკვიეს.

უწინარესად, ვთქვათ, რომ ომში უცოდველი კრავები არ მონაწილეობენ — ორივე მხარე სისხლსა ღვრის, ომი ტრაგედიაა ყველასთვის, ვისაც რაიმე შეხება აქვს მასთან; და ეს აღიარებული ჭეშმარიტებაა.

ცნობილია ისიც, რომ ომები უმეტესად პროვოკაციით იწყება. ჭკუა და გონება, სახელმწიფოებრივი გამოცდილება და ქვეყნის მართვის ხელოვნების ფლობის უმაღლესი დონეა საჭირო, პროვოკაციას რომ არ წამოეგო.

სად არის ეს ცოდნა და გამოცდილება?!

შედეგიც ლოგიკური მივიღეთ, სამწუხაროდ.

**„შპიგელი" იუწყება, რომ „ევროკავშირის დამოუკიდებელი ექსპერტები სამხრეთ ოსეთის ომში საქართველოს ადანაშაულებენ".**

თუმცა პასუხისმგებლობა ნაწილობრივ რუსეთსაც დაეკისრა. მაგრამ, ნათქვამია „შპიგელის" ინფორმაციაში, ევროკავშირის მიერ საქართველო-რუსეთის შარშანდელი ზაფხულის ომის მიზეზების გამოსაძიებლად შექმნილმა დამოუკიდებელმა კომისიამ დაასკვნა, რომ ხუთდღიანი ომის დაწყებაზე პასუხისმგებელია თბილისი.

აქვე ხაზგასმულია, რომ იმ დიპლომატების ინფორმაციით, რომლებიც საიდუმლო დოკუმენტის შინაარსს იცნობენ, „არმიის მასობრივი გადაადგილების გზით მოსკოვმა კონფლიქტის ესკალაცია მოახდინა". ალბათ, უადგილო არ იქნება, ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ: რუსეთის ხელმძღვანელობა ამ ბოლო პერიოდის გამოსვლებში ერთგვარად კრიტიკულადაა განწყობილი ხუთდღიან ომში რუსეთის მხარის ჩაბმისა გამო. ყოველ შემთხვევაში, — რეალისტურად აფასებს.

**Blog Archive „შპიგელზე" დაყრდნობით იუწყება: „საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკვე დაიჩივლა, „ზოგიერთი იდიოტი აცხადებს, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ".**

ეს იმას ჰგავს, მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდნენ და იგი იდიოტებს ეძებდა... ევროპაში.

ირკვევა, რომ ჰაიდი ტალიავინის კომისიას სურს, დოკუმენტი მომავალ კვირამდე არ გამოაქვეყნოს, რადგან **„შვეიცარიელ დიპლომატს განზრახული აქვს, ეს სადავო დასკვნა ნიუ იორკში გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს წარუდგინოს. ამის შემდეგ კომისიის დასკვნის შედეგებს ერთდროულად აცნობებენ ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის ელჩებს ბრიუსელში, საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს".**

ისე რომ, წინ დებატებია.

მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?!

ერთი კი უდავოა: ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს მიღება, უწინარესად კი — ნატოში გაწევრების შანსი, კატასტროფულად მცირდება.

თუმცა ეს ტალიავინის კომისიის დასკვნის გარეშეც ვიცოდით.

**ლაშა გიორგიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჯიმი ჯალიაშვილი: ამერიკა ძალიან ჩქარობს და აუცილებლად დაკარგავს მხარდაჭერას საქართველოში

**ვიდრე მსოფლიოს მძიმეწონიანი პოლიტიკოსები თბილისსა და მოსკოვს შორის უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობაზე საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მსჯელობენ, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრებთან ვითარება დღითიდღე მწვავდება. აფეთქებები, ადამიანის გატაცება თუ სხვა მსგავსი ინციდენტი აქ უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, თუმცა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიან და აცხადებენ, რომ კონფლიქტური რეგიონების საზღვრებთან ვითარება უკონტროლოა... მარტო ბოლო ორი თვის მანძილზე ზუგდიდში რკინიგზის აფეთქების სამი შემთხვევა მოხდა. სამივე ინციდენტი ხელისუფლებამ ტერორისტულ აქტად შერაცხა და თითი აფხაზი სეპარატისტებისკენ გაიშვირა.**
**„ბრალდებულისგან“ (აფხაზური მხარისგან) საპასუხო განცხადებები არ მოგვისმენია, თუმცა ექსპერტთა წრეში უამრავი მოსაზრება გამოითქვა და აღინიშნა ისიც, რომ მომხდარ ფაქტებს ნაკლებად შეიძლება ტერორისტული აქტი ვუწოდოთ...**
**ამ და ბოლოდროინდელ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილს ესაუბრა, რომელიც მიიჩნევს, რომ გამორიცხული არ არის, აფეთქებები ხელისუფლების ორგანიზებული ყოფილიყო.**



## ეკლესიაც იმ რეალობის წარმომადგენელია, რა რეალობაც დღეს საქართველოს აქვს...

**— ბატონო ჯიმი, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ზუგდიდში მომხდარ აფეთქებებს — რკინიგზის აფეთქებებს ვგულისხმობ, ხელისუფლება ტერორისტულ აქტად აფასებს და მომხდარში ბრალს აფხაზ სეპარატისტებს სდებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად სარწმუნოა და, ზოგადად, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ვერსია?**

— საკითხის სირთულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დარწმუნებული ვარ, ტერორისტული აქტები აფხაზეთის ინტერესებში არანაირად არ შედის. მესმის, ეს გაკეთებულიყო მანამ, სანამ აფხაზეთი მიიღებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მაგრამ დღესდღეობით, როცა მან მთავარ მიზანს მიაღწია — დამოუკიდებლობას ვგულისხმობ — ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

თუ ეს პროვოკაციები მართლა აფხაზი სეპარატისტებისგან მოდის, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ისინი ხელს უწყობენ ჩვენს წარმატებებს საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აფხაზებს ჩვენთვის სასურველი და მომგებიანი ნაბიჯები გადაუდგამთ, რაც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება...

**— არსებობს ასეთი ბანალური ვერსიაც, რომ ეს აფეთქებები ჩვენი ხელისუფლების მიერ იყო მოწყობილი საზოგადოების ყურადღების გადასატანად.**

— მე ამ ვერსიას არ გამოვრიცხავ და უფრო მეტსაც გეტყვით; თუ გავითვალისწინებთ ბრძოლის იმ მეთოდებს, რომელთაც მმართველი ძალა ხელისუფლების შესანარჩუნებლად იყენებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სავსებით სარწმუნო და ლოგიკური მოსაზრება.

დღეს, სამწუხაროდ, ხალხსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობამ ძალიან მარტივი სახე მიიღო. უწინარესად, იმიტომ, რომ ხელისუფლების მხრიდან შუასაუკუნეობრივი მეთოდებია გამოყენებული საზოგადოებისა და, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მართვაში. ეს არის მტრის ხატი და ამ პოლიტიკის შედეგად ჩვენ აღმოვჩნდით იმ ეტაპზე, რომ უკვე აღარაფერი გვჯერა არც ჩვენ, არც ხელისუფლებას და, შესაბამისად, ვერ ვპოულობთ იმ გზას, მიმართულებას, რომელიც დაალაგებს ყველა საკითხს.

ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფლების მიერ ხალხისთვის მტრის ხატის შექმნა მისი ავტორის დასჯამდე არ დასრულდება. ამიტომ ყველა საკითხს ასე ვუყურებ: მტყუან-მართლის გარჩევა, მოსახლეობის ასე თუ ისე დამშვიდება ვერანაირად ვერ მოხერხდება ამავე პოლიტიკის გაგრძელებით და ძალზე სამწუხაროა, რომ ამან შეიძლება მიგვიყვანოს იმ მდგომარეობამდე, როცა თვით ხელისუფლებაში გარკვეულ ჯგუფებს შორის დაიწყება მწვავე დაპირისპირება, რაც თავისთავად კიდევ უფრო დიდ ქაოსსა და უწესრიგობას გამოიწვევს ქვეყანაში.

**— გასულ კვირას აფხაზური ეკლესიის ავტონომიური უფლებების აღდგენის შესახებ სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ე.წ. წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებლის ბესარიონ აპლიას განცხადებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთსულოვანი განცხადებით, ეს თემა მოსკოვმა ხელოვნურად შექმნა, რათა მერე ქართველი საზოგადოებისთვის შეეხსენებინა, რომ ჩვენსა და რუსებს შორის ურთიერთობის ერთადერთ ხიდად სწორედ სარწმუნოება რჩება.**

— თუ ეს მართლა ასეა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ამ განცხადებებს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში აკეთებენ...

მორწმუნეობის თვალსაზრისით, რუსეთი არ ჩამოგვრჩება. ის, რომ ერთი სარწმუნოება გვაკავშირებს, რა თქმა უნდა, ჩვენი ურთიერთობის ამოსავალი წერტილია. მე არ ვლაპარაკობ სახელმწიფოთა შორის ხელისუფლებების ურთიერთობაზე, მხედველობაში მაქვს რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობა, რომელიც ისტორიულად ძალიან ღრმა და ერთობ პოზიტიურია. რაც შეეხება აფხაზეთის ეპარქიის პოზიციას, ეს აიხსნება არა რუსეთის საქციელით, არამედ იმით, რაც მას — აფხაზეთს — აქვს გაკვეთილად ჩვენგან...

დღეს ის უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ბუნებრივია, აქვს უფლება, განსაზღვროს თავისი ეკლესიის ფუნქცია და მასშტაბები. ასე რომ, აქ რუსეთის მიერ გამოგონილს ვერაფერს ვხედავ.

რუსეთის საპატრიარქომ მკაფიო განცხადება გააკეთა და ორივე სახელმწიფოს, რუსეთსაც და საქართველოსაც, სწორი მიმართულებით უბიძგა, მაგრამ რაკი პროცესები მაინც მწვავდება და აფხაზეთს საქართველო კვლავ სერიოზულ საფრთხედ მიაჩნია, შემორიგების არანაირი საფუძველი არ არსებობს და, ბუნებრივია, მას ურჩევნია, აბსოლუტურად იზოლირებული იყოს საქართველოსგან. ეს არის ჩვენი პოლიტიკის და იმ არასწორი, წინდაუხედავი ნაბიჯების შედეგი, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ, და არამარტო მან, გადადგა.

**— რაც შეეხება ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის კავკასიაში განთავსებას, რუსეთი ვაშინგტონის ამ გადაწყვეტილებას მიესალმა, თუმცა იმავე ამერიკამ ნაციონალური დაზვერვის სამსახურის ბოლო ანგარიშში რუსეთი პოტენციური მტრების სიაში ერთ-ერთ „მოწინავე“ ქვეყნად შეიყვანა. თქვენი აზრით, რაზე მიანიშნებს, როცა სახელმწიფოები, ერთი მხრივ, ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე თანხმდებიან და, მეორე მხრივ, ერთმანეთს პოტენციურ მტრებად მიიჩნევენ?**

— ჩქარობს ამერიკა, ძალიან ჩქარობს და ადრე თუ გვიან აუცილებლად დაკარგავს მხარდაჭერას საქართველოში.

ვაშინგტონში კარგად ესმით რუსეთის ძალაც, ფსიქოლოგიაც და მენტალიტეტიც, ამიტომ არ მგონია, კავკასიაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსება ამერიკის მხრიდან სწორი გადაწყვეტილება იყოს.

ყველაზე მძიმე შედეგი, რაც ჩვენი ოკეანისგაღმელი მეზობლის ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს, ის არის, რომ, თუ რუსეთი ამას სერიოზულ საფრთხედ ჩათვლის, ჩაკეტავს მთლიანად კავკასიის სივრცეს. ასეთ შემთხვევაში მთელი რეგიონი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, განსაკუთრებით, საქართველო, რომელსაც ამ ეტაპზე მოსკოვთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს, გარდა ურთიერთკრიტიკისა და მწვავე დაპირისპირებისა...

**— კავკასიაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებაზე რუსეთსა და ამერიკას შორის ოფიციალური შეთანხმება არ ყოფილა, თუმცა პრეზიდენტ მედვედევის განცხადება, რომ კრემლი ვაშინგტონის ინიციატივას მიესალმება, ალბათ, ნაწილობრივ იმაზეც მეტყველებს, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ამ საკითხზე გარკვეულ დონეზე მოლაპარაკებები იყო. როგორ ფიქრობთ, ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ ამერიკამ რუსეთთან გარკვეული შეთანხმებების სანაცვლოდ საქართველოს საკითხი შესაძლოა, მეორეხარისხოვანი გახადოს?**

— შეიძლება ასეთი ვერსია არსებობდეს, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად ლოგიკურია ეს ვარიანტი.

სიმართლე გითხრათ, რეალობას მოკლებულად მიმაჩნია ის მოსაზრება, რომ ამერიკამ შესაძლოა, საკუთარი გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე თუნდაც ნაწილობრივ მაინც უარი თქვას; თუ ეს რომელიმე სახელმწიფოსთან, ამ შემთხვევაში, რუსეთთან, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე მოხდება, მაშინ ეს შეთანხმება მისთვის აბსოლუტურად ხელსაყრელი უნდა იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა იმ ეტაპზე არ არის, რომ მათ შორის რაიმე მსგავსი შეთანხმება ან მოლაპარაკება მოსალოდნელი იყოს.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, რადგან არც პირველხარისხოვანი ყოფილა ოდესმე. ასე რომ, ვარიანტი ძალიან ბევრია, არის მოსაზრებები და ვერსიები, მაგრამ რეალობა მხოლოდ ერთ რამეზე მიგვანიშნებს — ვიდრე ამერიკის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არ გახდება ღია და გამჭვირვალე, მანამდე ჩვენთვის ყოველთვის იქნება ქაოსი, დაძაბულობა და საბოლოოდ ეს აუცილებლად მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდე, როცა გამოსავლის მოძებნა თეორიულ დონეზეც კი გაძნელდება.

**— დასასრულ, ისევ ქვეყნის შიგნით განვითარებულ მოვლენებს დავუბრუნდეთ. გასულ კვირას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორი როლანდ ახალაია (აწ უკვე თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას მამა) ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისთვის წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. საზოგადოება, ბუნებრივია, შეძრა ამ ფაქტმა, გაჩნდა უამრავი კითხვა, თუმცა უმრავლესისთვის დღემდე გაუგებარია, რა დამსახურებისთვის მიიღო ბატონმა ახალაიამ ეს ორდენი...**

— ეს ძალიან სათუთი თემაა, ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებ... მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უნდა თუ არა ეკლესიას, ის მაინც, ალბათ, იმ რეალობის წარმომადგენელია, რა რეალობაც დღეს საქართველოს აქვს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# ქართული ხეტყის ბედი

**ქართული, კერძოდ, ახმეტის რაიონის ხეტყე ვის ხმარდება — ქართველებს თუ ჩინელებს, დღესაც გაურკვეველია, ვინაიდან ორივე მხარე, პოზიციაც და ოპოზიციაც, საპირისპიროს ამტკიცებს.**

ოპოზიციის ნაწილის განცხადებით, ახმეტის ტყე მასიურად იჩეხება, რაც, პირველ რიგში, ბუნებრივი კატაკლიზმების საშიშროებას ქმნის. ამ ცნობას ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის კოორდინატორი თეიმურაზ ბოდაველი რადიო „ჰერეთთან“ საუბარში აცხადებს.

თუ ბოდაველის ნათქვამს დავუჯერებთ, საქართველოში ისედაც ქართველებზე მეტად „მომრავლებულმა“ ჩინელებმა შეისყიდეს ახმეტის ხეტყე და ყოველთვიურად 30-40 კუბური მეტრის ოდენობის ხის მორები შავიზღვისპირეთში გააქვთ.

„ამ დროისათვის ჩინელების მიერ მოჭრილი 300 კუბური მეტრის ხის მორები ახმეტის ავტოსაწარმოს ტერიტორიაზე აწყვია. გარდა ამისა, უკვე ოთხი თვეა, მასიურად იჩეხება მრავალწლიანი წიწვოვანი ტყე“, — განაცხადა ბოდაველმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლეიბორისტებს უკომპრომისო შეთავაზება აქვთ ხელისუფლებასთან. ისინი მოითხოვენ ბუნებრივი რესურსის გაყიდვების შეწყვეტას. თეიმურაზ ბოდაველის ბრალდებას ახმეტის გამგებელი კობა მაისურაძე უარყოფს. მისი მტკიცებით, ხე არც უპატრონოდაა და არც გაყიდულია, არამედ ხეტყის გარკვეული ნაწილი დასამუშავებლად ორ კომპანიას — შპს „იმედს“ და „ჯორჯიან ინდუსტრიალს“ გადაეცა. ეს ორი კომპანია ზრუნავს არა მარტო ხეტყის გადამუშავებაზე, არამედ ტყის განაშენიანებაზე.

„ორივე კომპანიიდან 8 თვის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში 245 ათასი ლარი შევიდა, ხოლო წლის ბოლომდე კიდევ 200 ათასი ლარს ველოდებით“, — განაცხადა რადიო „ჰერეთთან“ ახმეტის გამგებელმა.

თავდაპირველად იმით დაშინებულებმა, რომ ბუნებრივი კატაკლიზმები მოგვადგა კარს, აღმოჩნდა, რომ არც რაიმე საფრთხე გველოდება და, მითუმეტეს, ხეტყით ბიუჯეტიც გაგვეზრდება. საინტერესოა, წინასწარმეტყველური ნიჭი რომელ მხარეს უფრო განვითარებული აქვს?!

# საარსებო მინიმუმამდე დაყვანილი ქვეყანა

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 123 ლარს უტოლდება.**

აქედან გამომდინარე, ადამიანი შიმშილითა და სიცივით რომ არ მოკვდეს, ეს მცირე თანხა გადაარჩენს. ასე არ ფიქრობს პოლიტიკური მოძრაობა „ქართული დასის“ ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია. მან 17 სექტემბერს ამ საკითხთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა. მისი გაანგარიშებით, საარსებო მინიმუმი 200 ლარს აღემატება. ამ თანხაში შედის ყოველდღიური მოხმარების, არსებობისათვის აუცილებელი საკვები: პური, შაქარი, მარილი, ბრინჯი, მაკარონი; პირველადი მოხმარების საგნები: სარეცხი ფხვნილი, საპონი და ასანთი; ასევე, დღეში ერთჯერადი მგზავრობა და კომუნალური გადასახადების ხარჯები. თითოეულის გაანგარიშებით თანხა 123 ლარიდან 200 ლარამდე გაიზარდა. ჯონდი ბაღათურია სტატისტიკის დეპარტამენტისგან მოითხოვს დაწვრილებით ინფორმაციას, თუ რა გაანგარიშებით მიიღეს 123 ლარი.

თავის დროზე „ქართული დასის“ ლიდერმა შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც, პენსიის ქვედა ზღვარი საარსებო მინიმუმს უნდა გატოლებოდა და 150 ლარამდე გაზრდილიყო. შემდგომში სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო, შესაბამისად, საარსებო მინიმუმმა 150 ლარს გადააჭარბა.

ამ საკითხზე „ქართული დასი“ პოლემიკის გამართვას ხელისუფლების წინააღმდეგ კვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად აპირებს.

თუკი პოლემიკამ და დიალოგმა შედეგი გამოიღო, საბოლოოდ გავიგებთ, რამდენია საარსებო მინიმუმი ქვეყანაში.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## რეპლიკა

### აშენდა თქვენი სახლ-კარი!

**გვეშველა, მგონი!**

ჰოლანდიური კომპანია „დაჩდიზაინგარდენი“ თბილისში უპატრონო ძაღლებისა და კატების თავშესაფარს აშენებს.

ამის შემდეგ უფრო თავისუფლად ვივლით ქუჩაში, უფრო ნაკლებად შეგვეშინდება და უფრო მეტად აღარ დავკეტავთ მანქანის კარებს (მე, მით უმეტეს, იმიტომ, რომ არ მყავს მანქანა)!

რა შუაშიაო, იკითხავთ.

გიპასუხებთ — განა ასე უცებ დაგავიწყდათ, 6 საათის მერე უპატრონო ძაღლების შიშით დედები შვილებს რომ ვერ უშვებდნენ ქუჩებში? მანქანებს რომ გვპარავდნენ უპატრონო კატები და ძაღლები, აღარ გახსოვთ? ქუჩას რომ უპატრონო ცხოველები განაგებდნენ და საბრალო მცირე მეწარმეებს წილებს რომ ახევდნენ? ეგეც დაგავიწყდათ?

...

თუ ეგ სხვა რამეზეა...

ავურიე.

ვაჟა ზაზაევიჩისა არ იყოს — ნეტავი არ შევიშლებოდე თქვენი გადამკიდე და მეტი არ მინდა არაფერი!

მიშა რამდენიმე კვირის წინ მუხრან მაჭავარიანს ესტუმრა.

მუხრან მაჭავარიანმა დაწერა ლექსი, რომელშიც არის სტრიქონები: „ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.“

არ გეცოდებით, ბატონო მიშა?

კატებს რას ვერჩი, მაგრამ, ისე, არ იქნებოდა ცუდი, ძაღლების თავშესაფარს რომ დაამთავრებს, უპატრონო პოლიტიკოსების თავშესაფარიც ააშენოს იმ დღემდე უცნობმა კომპანიამ (რაც უნდა იყოს, აეროპორტის შენობას მაინც აჯობებს).

ჩავსხათ მერე შიგ გზააბნეული გია ცაგარეიშვილი, უპატრონო ეკა ბესელია (მართალია, ღამღამობით არ ყმუის ხოლმე, მაგრამ არა უშავს), პატრონიანი გიორგი თარგამაძე, ფრანგული ბულდოგი სალომე ზურაბიშვილი, ბეწვგაცვენილი ფიქრია ჩიხრაძე, პიტბული ლევან გაჩეჩილაძე, ძაღლი ახსენეო და „უცნობი“, საყელურგადაგლეჯილი ანუ აწყვეტილი შალვა ნათელაშვილი, აძაღლებული პაატა დავითაია, რეტიანი კოკო გამსახურდია, კიდევ სხვანი მრავალნი და ქალაქიც დაისვენებს, ქვეყანაც და ეს ზემოჩამოთვლილნიც დაწყნარდებიან ცოტა.

მისახედია, ბატონო მიშა, ეს ამბავი, თორემ ამათ თუ ერთხელ კიდე აიწყვიტეს, მართლა მოგვაჭამენ რაღაცას და მერე ვისხდეთ და ველოდოთ, ცოფი მოგვიღებს ბოლოს თუ ღორის გრიპის ახალი მუტაცია!

**გეგა ბაიტიანი**

# სააკაშვილმა ბაგრატის ტაძარს წირვა გამოუყვანა

## მსოფლიო კულტურის ძეგლი პრეზიდენტის ხუშტურს ეწირება

### კონფლიქტი იუნესკოსთან

ისე უკუღმართად აეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ ფართო საზოგადოებას უმეტესწილად მაშინ ახსენდება ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, როცა მათ გარშემო სკანდალური ისტორიები აგორდება. მაშინ მოექცევა ისინი საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში: „რა განძი გვქონია!“

**ეს ერთხელ კიდევ სულ ახლახან დადასტურდა, როცა ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების გამო ავფორიაქდით. მომწიფდა საერთაშორისო სკანდალიც. საქართველო დაუპირისპირდა იუნესკოს — გაეროს ორგანიზაციას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში — კულტურული ძეგლების დაცვის შესახებ კონვენციის მოთხოვნილებათა დარღვევისა გამო.**

მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა ბაგრატის ტაძრის შესახებ.

ტაძრის აგება 1003 წელს გასრულდა, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამის დროს მთელი თავისი დიდებულებით აღიმართა იგი ქუთაისის ცენტრში, როგორც სიმბოლო მაღალი ქართული სულიერების, სახელმწიფოებრივი სიძლიერის მატერიალური განსახიერება.

„ბაგრატის ტაძარი, — ჩაწერილია ქართულ ენციკლოპედიაში, — ხუროთმოძღვრების ძეგლი ქუთაისში, „უქიმერიონის გორაზე“, აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე. ბაგრატ III-ს (975-1014) მეფობის პერიოდში. ჩრდილოეთის კედლის წარწერის თანახმად, „ქ. ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“ (1003), ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა იყო.

თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელ ნაწარმოებს. XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იდგა. 1692 წელს, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, „შემუსრეს ოსმალთა“. XIX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კარიბჭეებიც, რასაც მოწმობს მხატვარ ნიკოლაი ჩერენცოვის ჩანახატები.

**...ბაგრატის ტაძრის დახვეწილი პროპორციები, გარე მასების ჰარმონიულობა, გრანდიოზული შიდა სივრცე, ფასადების კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა დაძლევა არქიტექტორის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას მოწმობს.**

1952 წლიდან დაიწყო ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის დიდი სამუშაოები. პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის მეცნიერული შესწავლა და გამოკვლევა“.

საბაზისო ცოდნა უკვე განვიახლეთ და, უთუოდ, მიაქცია ჩვენმა მკითხველმა ყურადღება იმას, თუ **როგორი ხაზგასმითაა გამოყოფილი არქიტექტორის როლი და ადგილი ამ დიდებულების შექმნაში:** მისი შემოქმედების ნაყოფია ქართული და მსოფლიო ხუროთმოძღვრების ეს გამორჩეული ძეგლი.

სწორედ არქიტექტორებს შორის (უწინარესად, — მათ შორის) წარმოიქმნა პრობლემა, რომელიც ტაძართანაა დაკავშირებული: აღდგენა თუ კონსერვაცია? როგორი არქიტექტურულ-ტექნიკური გადაწყვეტით? და ა.შ.

ეს ერთი კვირაა, სიტუაცია დაიძაბა, გასცდა პროფესიონალთა (მეტ-ნაკლებად ცნობილ არქიტექტორთა და ხელოვნებათმცოდნეთა) დავისა და კამათის ჩარჩოებს, ფართო საზოგადოებრიობის ინტერესის საგნად იქცა, და, როგორც ყოველთვის, გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის — გიგა ბათიაშვილის თქმისა არ იყოს, „დღეს ქვეყანა იმართება „ხოშით“ და არა წესითა და რიგით“, აქაც თავი იჩინა მიკერძოებამ, სუბიექტივიზმმა, თავდაჯერებულმა უმწიფარობამ, კლანური ინტერესებით მოიკირწყლა ის გზა, რომელიც, ჩვეულებრივ, ჯოჯოხეთისკენ მიდის.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევები კეთილი განზრახვით ხელყვეს, თანაც, ისე, რომ იავარქმნის საშიშროების წინაშე დააყენეს „ნაშთი ძველი დიდებისა“, რომელიც, საბედნიეროდ, „არ გამქრალა ჯერაც ყველა“.

ემოციური ფონი ხომ შევიქმენით, ახლა თავად პრობლემაში ვცადოთ გარკვევა.

ახლახან იხილა იქ დაწყებული აღდგენითი სამუშაოები საქართველოში ჩამოსულმა იტალიელმა ინჟინერმა და არქიტექტორმა **სილვიო კალვომ,** გამოაქვეყნა სტატია და ატყდა სკანდალი სოციალურ ინტერნეტქსელ „ფეისბუკში“.

**სანამ უცხოელები არ იტყვიან ჩვენს სატკივარზე სიმართლეს, ჩვენთან ხომ არავინ არის ხმის ამომღები. უმეტეს შემთხვევაში ასეა.**

**ჩურჩულისა და მიყურადების ხელოვნებას კი, იცოცხლეთ, კარგად ვართ დაუფლებულები:**

**— გაიგე, ზუგდიდში რა მოხდა?**

**— აბა, კაცო!**

**და ეს „აბა, კაცო!“, „მაგარიასი“ არ იყოს, მოწონებასაც ნიშნავს და დაგმობასაც, გაოცებასაც და კატეგორიულ მიუღებლობას იმისა, რაც, ვთქვათ, ზუგდიდში მოხდა. ვერც ვერავინ შეედავება, რადგან არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.**

**ტელეფონშიც არ ეტყვიან ერთმანეთს ამის შესახებ სიმართლეს, რადგან მიყურადების ვირუსი შეჰყრია კავშირგაბმულობის ამ მასობრივ საშუალებას.**

**შიში დაბრუნდა საქართველოში, შავი მანტიით დემოკრატიის მეცხრე ტალღაზე გაიძვერულად ამხედრებული.**

მეცხრეა თუ მეორე, თქვენ გაარკვიეთ, ჩვენ კი ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პრობლემას დავუბრუნდეთ.

არსი: **ტაძარი დღემდე იუნესკოს მსოფლიოს კულტურული საგანძურის სიაშია შეტანილი, ერთ-ერთია 450 შედევრს შორის.**

ეს ნიშნავს, რომ საერთო საკაცობრიო მფარველობის კალთა აქვს გადაფარებული ქართული ტაძრის ნანგრევებს.

ჯერჯერობით.

**რადგან ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების მნახველი სპეციალისტები გვარწმუნებენ — გამორიცხული არ არის, შედევრების ნუსხიდან ამოშალონ ხუროთმოძღვრების ეს დიდებული ქმნილება.**

რატომ?

იმიტომო, ამბობენ პროფესიონალები, რომ, რაც იქ ხდება, ვნებს ძეგლის ავთენტურობას.

### ძეგლის გამაგრება თუ კაშხლის გამაგრების სამუშაოები?

ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „იკომოსის“ საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური მდივანი, არქიტექტორ-რესტავრატორი **ნატო ცინცაბაძე**, რომელმაც კოლეგებთან ერთად დაათვალიერა ტაძარში გაშლილი „სამშენებლო პოლიგონი“, აცხადებს, რომ, რაც იქ კეთდება, ტაძრის გამაგრებას არ ჰგავს, ეს უფრო კაშხლის გამაგრებას მოგვაგონებსო.

რა ხდება ასეთი?

ახლავე გეტყვით, რომ ტაძრის თავს დამტყდარი თვითკმარი აქტიურობა, რომლის მოსალოდნელ შედეგებს ფრიადი სკეპტიციზმით აფასებს პროფესიონალთა დიდი ჯგუფი, არ უნდა იყოს გაზვიადებული და ხელასაქნევი ხელისუფლებისა და იმ ორგანიზაციების, განსაკუთრებით, საპატრიარქოს მხრიდან, რომლის უშუალო კომპეტენციაშია ამ პრობლემის მოგვარება.

ამ ჯგუფთან დაპირისპირებულია „საქმეში გასული“ რამდენიმე არქიტექტორი, მათ შორის, ეკლესიის მსახურნიც, რომელთაც ნათელ ფერებში ესახებათ ხვალინდელი დღე ტაძრისა, რომლის აღდგენას შესდგომიან ძლიერთა ამა ქვეყნისა მხარდაჭერითა და თანადგომით.

ახლა მოკლედ იმის თაობაზე, თუ რა არგუმენტები აქვს ეკლესიას, რომლის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს ტაძრის აღდგენითი სამუშაოები.

**ისტორიულად დადგენილი პროცესია, რომ საქართველოში ტაძრების მშენებლობის პარალელურად, ყოველთვის მიმდინარეობდა მათი აღდგენა-გაფართოება, განახლება და რეკონსტრუქციის დროს ხშირად გამოიყენებოდა წინამორბედ ეკლესიათა კედლების ძველი ფრაგმენტები, ზოგჯერ — ხელუხლებლად, ზოგჯერ — ახალი ვარიაციებით.**

ესე იგი, **პრინციპულად, პრეცედენტი არსებობს.**

ამ პრეცედენტზე დაყრდნობით საპატრიარქო გამართლებულად მიიჩნევს ბაგრატის ტაძრის აღდგენას იქ ღვთისმსახურების გამართვის მიზნით.



**შევარდნაძის დროს — სამების კათედრალი, სააკაშვილის დროს — ბაგრატის ტაძარი? რატომაც არა?!**

მაშასადამე, აღდგენა-გამაგრებაში არათუ არაფერია ცუდი, არამედ კეთილშობილური და მაღალსულიერი საქმეა ეს.

მაგრამ...

მოწინააღმდეგე პროფესიონალები შეშფოთებულები არიან იმ მეთოდის გამო, რომელიც რესტავრატორებმა გამოიყენეს იმ შედეგების გამო, რომლებიც შეუქცევადად უარყოფითი შეიძლება აღმოჩნდეს.

ნეგატიური ფაქტების მოკლე ჩამონათვალი ასეთია: **„დიდია ინტერიერში ჩარევა“, „ყველა სვეტი მოხსნილია“, „ბაზები არის დაბურღული, ანუ დაზიანებულია ფიზიკური ქსოვილი“, რკინის არმატურა უკვე ჩაწყობილია, რომელიც უფრო ღრმად უნდა ჩასვან, რაც „ძალიან მძიმეა საძირკვლისთვის“, რომელიც „მთლიანად ბეტონის სარტყელშია, ანუ ძველი ქსოვილი დაფარულია ბეტონით“** და ა.შ. ისეთი სპეციფიკური დეტალები, რომლებშიც გარკვევა ჩვენთვის ძნელია. სამაგიეროდ, დასკვნაა ნათელი: „სანამ ეს პროცესი მთელ ტაძარზე არ გადასულა; საჭიროა, გაიმართოს მსჯელობა, გაანალიზდეს, ითქვას, რომ ეს მეთოდი სწორად არ იყო შერჩეული.“

აი, ვმსჯელობთ, მაგრამ აქვს კი ისეთ მსჯელობას აზრი, როცა ამ მეთოდს პრაქტიკულად და დიდი ფრონტით უკვე იყენებენ სარესტავრაციო სამუშაოებში, გალავნად კი რკინა-ბეტონზე უმაგრესი მხარდაჭერა აქვთ შემოვლებული ხელისუფლების და იგივე ეკლესიის მხრიდან.

## გუმბათი უნდა დაიდგას და – მორჩა!

პროექტი, რომლის ავტორია არქიტექტორი ივანე გრემელაშვილი და რომლის მიხედვით წლევანდელი გაზაფხულიდან ფორსირებულად მიმდინარეობს სამუშაოები, იუნესკოსთან არ შეუთანხმებიათ, თუმცა ელემენტარული წესიერება მოითხოვდა ამის გაკეთებას, რადგან ბაგრატის ტაძარი, როგორც ვთქვით, იუნესკოს ნუსხაშია შეტანილი და მისი მფარველობითაა გარემოსილი.

ნებისმიერი ხელყოფა ამ დიდებული ნაშთისა, რაგინდ კეთილშობილური მიზნებით იყოს ნაკარნახევი, ტაძრის დღევანდელი სტატუსის დაკარგვას გამოიწვევს, ამას შესაბამისი კონვენცია ითვალისწინებს.

**შეუთანხმეთ თუ არა ეს პროექტი იუნესკოს? — შეეკითხებიან ტელეეთერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელს — ნიკოლოზ ვაჩეიშვილს და პასუხს ისეთს მიიღებენ, როგორსაც სალტიკოვ-შჩედრინის ქალაქ გლუპოვოს გამოშტერებულ ობივატელებსაც არ აკადრებდნენ:**

**— ორი დღეა, რაც გავუგზავნეთო (?!)**

**დანარჩენი თვეები?!**

**— საჭიროდ არ ჩავთვალეთ, გვეცნობებინა, რადგან სვეტების მოხსნა კონვენციის მოთხოვნათა დარღვევად არ ითვლებაო.**

გემცხეთება ადამიანს!

თავისმართლების ეს არგუმენტები, სტენოგრაფიული სიზუსტით თუ არა, არსობრივად დაუმახინჯებლად გადმოსცემს ძეგლთა პატივცემული დამცველის სიტყვებს.

მისი პოზიციის ფრაგმენტების გადმოცემის პატივი კვლავაც გვექნება, მანამდე კი ჩვენი ვთქვათ.

არსებობს ასეთი მცნება „დიდებული ნანგრევები“, რომელთა გაცოცხლების დილეტანტური, თანაც, მერკანტილური მცდელობა, შეიძლება ითქვას, ვანდალიზმის ნაირსახეობაა. ამიტომ უფრთხილდება თვალისჩინივით ასეთი შედევრების ჩვენამდე მოღწეულ ნანგრევებს იუნესკო, ამიტომ მოითხოვს კატეგორიულად მათთან შეხების ნებისმიერი პროექტის ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან შეთანხმებას.

ბატონ ვაჩეიშვილს კი მიაჩნია, რომ საჭირო არ არის; პროვინციას ახასიათებს ასეთი თავდაჯერებულობა.

იგი, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ: **„რაც დღეს ბაგრატის ტაძარზე ხდება, მხოლოდ საძირკვლის გაძლიერებაა, ანუ ვიზუალურ მხარეზე გავლენას არ იქონიებს“.**

მხოლოდ ვიზუალურ მხარეზე რომ არაა ლაპარაკი?!

ივანე გრემელაშვილის პროექტის მოწინააღმდეგენი იწუნებენ მეთოდს, რომელიც „ამ ტიპის ძეგლების ე.წ. პირვანდელი სახით აღდგენას გულისხმობს“. ასეთი პრაქტიკა არ არსებობს, არავინ აკეთებს ამას... ახლა მთავარია, ავთენტურობის შენარჩუნება, გამაგრება, კონსერვაცია, დაცვა, შენობის სტაბილიზაცია ისე, რომ არ დაინგრეს იგი, არ დაზიანდეს და არა მისი აღდგენა-რესტავრაცია, ანუ მისი ხელახალი აშენება“.

„ავთენტურობის ხსენებაზე მეცინება! — განაცხადა ორშაბათის დილის „კურიერში“ პატივცემულმა ვაჩეიშვილმა, რადგან 70-იან წლებში მიშენებულის დანგრევაზეაო ლაპარაკი.

აი, ნატო ცინცაბაძე კი შენიშნავს, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. მაგალითად, შესაძლებელია, „მისი ნაწილობრივი რესტავრაცია, მაგრამ ასე, აიღო და შენობას უცბათ გუმბათი დაადგა, ასეთი პრაქტიკა მიუღებელია. ამას უკვე, დიდი ხანია, აღარ აკეთებენ“.

არ აკეთებენ და, თავშიც ქვა უხლიათ, ოღონდ — რიყის, სამაგიეროდ, ჩვენ გავაკეთებთ და, თანაც, პირველად საქართველოში!

**მიხეილ სააკაშვილმა** აკი ბრძანა თავის სატელევიზიო გამოსვლაში, რომ **„ბაგრატის ტაძარს გუმბათი მისი პრეზიდენტობის პერიოდში უნდა დაედგას,** — შეშფოთებულია არქიტექტორ-რესტავრატორი **ნესტან თათარაშვილი,** —

## ეს არის კონკრეტული პოლიტიკური დაკვეთა, რომელიც ამჟერად სრულ ჰარმონიაშია ეკლესიის სურვილთან. ეკლესიას ტაძრის აღდგენა ტრადიციული მეთოდით სურს, ვადებს კი პრეზიდენტი ადგენს“.

ექსპერტები თვლიან, რომ დროის სიმცირე არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია. „შეუძლებელია, — ამბობენ ისინი, — გუმბათის დადგმამდე ტაძარი ტრადიციული — ხელით კვეთილი საპირე ქვებითა და კირის დუღაბით გამაგრდეს“. ასახელებენ წრომის ტაძრის მაგალითს, რომლის გუმბათის აღდგენას კვლევა-ძიებისა და შესწავლის მრავალი წელიწადი დასჭირდა. ისინი ხაზს უსვამენ გამოცდილების ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას: „იმისათვის, რომ, როგორც მეცნიერულად, ასევე, ვიზუალურად მომხდარიყო განსახორციელებელი იდეის სრულყოფილი დასაბუთება, ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე ტაძარს რამდენიმე წელიწადი ხელოვნური მასალით გაკეთებული, ნატურალური ზომის გუმბათის მაკეტი ედგა“.

მაგრამ ეს საბჭოთა პერიოდში ხდებოდა, ახლა სხვა დროა: უნდა დაიდგას და — მორჩა! „ამოქუხდი, ნაკადულო!“ ასეთია უმაღლესი დირექტივა!

პრეზიდენტის პრობლემა გასაგებია.

ეკლესიის მხარდაჭერის საკითხი კი უნდა დაკონკრეტდეს, დასახელდნენ ისინი, ვინც ივანე გრემელაშვილის პროექტს უჭერს მხარს.

**ეს პროექტი 16 მილიონი ღირს და ამ რეალობაში, როგორც დეტალში, ხომ არ ზის მერკანტილიზმის ეშმაკი?**

სპეციალისტები კარტების გახსნას ისტორიული ფაქტის დასახელებით იწყებენ: 1870-იან წლებში ეპისკოპოსი წულუკიძე წმიდა სინოდს 700 ოქროს რუბლსა სთხოვს ბაგრატის ტაძრის მთლიანად დასაშლელად და მის ადგილზე ახლის ასაგებად.

იმ დროისათვის სინოდმა ვერ შეძლო ასეთი თანხის გამოყოფა და მაშინ გადარჩა გაქრობას ბაგრატის დიდებულება.

დღეს **ეპისკოპოსი კალისტრატე**, რომელიც ამ მშენებლობას ხელმძღვანელობს, 16-მილიონიანი პროექტის მომხრეა. ეს ეპისკოპოსი პროექტის ავტორის უახლოესი ნათესავია და, რა თქმა უნდა, ტაძრის აღდგენის გრემელაშვილის მიერ შეთავაზებულ პრინციპს აღიარებს.

უეჭველია, რომ საპატრიარქოს მშენებლობის განყოფილების უფროსი **სოსო ბანძელაძეც** ამ აზრზე უნდა იდგეს.

ბოდიში უნდა მოვიხადო ამ პატივცემულ გვამთა და სხვათა ტიტულების არასრულად წარმოდგენისათვის და განვაგრძო, რომ ამავე პოზიციას იზიარებენ პროფესიით არქიტექტორები, ამჟამად კი სასულიერო პირები: **მამა ბესარიონი** (მენაბდე) — ზემოთ დასახელებული განყოფილების მდივანი, **მეუფე დავითი** და სხვები.

ამათ ყველას ისეთი ძლიერი მხარდამჭერები ჰყავთ, როგორიც კულტურის ყოფილი მინისტრი **გოკა გაბაშვილი** და მის კვალზე მოსიარულე, ზემოთ უკვე ნახსენები **ნიკოლოზ ვაჩეიშვილია** — კულტურის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე, შემდეგ — თავად ყოფილი მინისტრიც, ამჟამინდელ მის თანამდებობას ნუღარ გამამეორებინებთ.

უმცროსი გაბაშვილი კი საქართველოს პარლამენტის იმ კომიტეტის თავმჯდომარეა, რომლის კომპეტენციაში შედის კულტურის ძეგლთა დაცვა-განახლების საქმე.

მიდი და გაარღვიე ეს ჩადუღაბებული დამცავი სალტე თუ სარტყელი, რომელიც აქამდე ნებისმიერ რყევას უძლებს.

დიდი ფულია 16 მილიონი. ფუი ეშმაკს!

ალბათ, ისიც სათქმელია, რომ ამ ბოლო დღეებში მათი მხრიდან თითქოს შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის სურვილი გამოიხატა, თითქოს შერბილდა კატეგორიული ტონი და ამბიციურობა.

**ნიკოლოზ ვაჩეიშვილი აცხადებს: „პროექტის მიხედვით განხორციელებული სამუშაოები იქნება კიდევ მრავალგზის განხილული“. მისი აზრით, თუ დაშვებულია შეცდომები, არსებობს მათი გამოსწორების გზებიც — „დასჯა რომ არ ვთქვა, არის სანქციები, რომლებიც ამოქმედდება — იქნება ეს ფინანსური, იქნება შეჩერების თუ ამა თუ იმ მონაკვეთის მთლიანად გამოცვლის შემთხვევები... ეს ყველაფერი არის მთელ არსენალში. ასე რომ, იქ თუ რამე ისე არ გაკეთდება ან ვერ გაკეთდება, ან უკეთესად შეიძლება გაკეთდეს, ეს გაკეთდება ისე, როგორც უნდა გაკეთდეს“.**

ვნახოთ, რა შეიძლება „უკეთესად გაკეთდეს, როგორც უნდა გაკეთდეს“.

სისხლისსამართლებრივი სანქციებიც არსებობს, სხვათაშორის.

## მოქმედი ეკლესია თუ „დიადი ნანგრევები“?

გასულ შაბათს „რუსთავი 2“-ის პროგრამა „პოსტ სკრიპტუმის“ მიერ ჩატარებულ ინტერაქტიულ გამოკითხვაში ბაგრატის ტაძრის თავდაპირველი ფუნქციის აღდგენას მხარი დაუჭირა ინტერაქტივში მონაწილეთა 70 პროცენტმა.

კითხვა ისე იყო დასმული, რომ ტაძრის ავთენტურობას არ ეხებოდა, გინდა თუ არას დონეზე ეკითხებოდნენ.

შევეცადოთ ამ ხარვეზის გამოსწორებას და ვიკითხოთ: **შეიძლება თუ არა ტაძარში ღვთისმსახურების აღდგენა ისე, რომ არ დაირღვეს შედევრული ხუროთმოძღვრული ძეგლის ავთენტურობა, ანუ განეიტრალდეს ის კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც ამჟამად შეიქმნა იუნესკოსთან ურთიერთობაში და, ამასთან, დაკმაყოფილდეს ეკლესიის მისწრაფებაც?**

მიხეილ სააკაშვილის განცხადებას თავი დავანებოთ, რადგან, თუ განხილვას შევუდგებით, ძალიან უხერხულ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, ამბიციური სურვილის გამჟღავნებამდე: თუ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს წმიდა სამების ტაძარი აიგო, სააკაშვილის პრეზიდენტობა ბაგრატის ტაძრის აღდგენით რატომ არ უნდა აღინიშნოს?

ბარი-ბარში!

პროფესიონალს ვთხოვოთ სიტუაციის შეფასება, გამოჩენილ ქართველ არქიტექტორსა და მოღვაწეს — **გიგა ბათიაშვილს:**

**— რა გამოსავალს ხედავთ, ბატონო გიგა?**

— საკითხი ძალიან დელიკატურია და მის გადაჭრასაც დელიკატურად უნდა მივუდგეთ. ჩემი აზრით, ჩასატარებელი იყო კონსერვაციის სამუშაოები, ანუ ბოლომდე ყოფილიყო კარგად დაფიქსირებული არსებული მდგომარეობა, რათა ნანგრევებს ყველა სტიქიური მოვლენისათვის გაეძლო, **ახალი ტაძარი აეშენებინათ იქვე, გვერდით, თუნდაც კედელზე ყოფილიყო მიმდგარი.** ამით ორ საქმეს გავაკეთებდით: ეკლესია აღადგენდა თავის სასულიერო საქმიანობას ტრადიციულ ადგილზე და, ამავე დროს, შევინარჩუნებდით ჩვენი ისტორიის ფურცელს.

და, მესამე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია:

## რადგან იუნესკომ აღიარა ტაძარი მსოფლიო კულტურის ძეგლად, რა უფლებით ატარებენ რაღაც ღონისძიებებს ისე, რომ არც ეკითხებიან ამ საერთაშორისო ორგანიზაციას?!

ყველა შემთხვევაში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები უნდა დაგვეცვა, მაგრამ ჩვენთან პრინციპია გაბატონებული, როცა ორგანიზაციები, რომელთაც ამის გაკეთება ევალებათ, აკეთებენ იმას, რასაც ეტყვიან და უბრძანებენ, და არა იმას, რაც საჭიროა.

**— არსებობს თუ არა რაიმე პროექტი, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს?**

— როგორ არა! იყო, იყო. არქიტექტორ კახა ქორიძეს ჰქონდა ძალიან საინტერესო პროექტი.

**— და გაქრა? თუმცა რატომ მიკვირს, როცა უკვე აგებული და დამთავრებული სასახლის პროექტის ავტორობა თქვენ წაგართვეს...**

— ხდება ასეთი ამბები... თუ საკითხი დადგებოდა იმგვარად, რომ ბაგრატის ტაძარი თავისი ფუნქციის შესასრულებლად უნდა აღდგენილიყო, რა თქმა უნდა, ის მეთოდი, რომელიც ქორიძემ შემოგვთავაზა, ერთადერთი სწორი მეთოდია.

**— „საქართველო და მსოფლიო“ აპირებს ბატონ კახა ქორიძესთან შეხვედრას.**

— კარგ საქმეს იზამთ... რასაც ახლა აკეთებენ ბაგრატის ტაძარში, არა მგონია, პროფესიულ დონეზე მიმდინარეობდეს. მშენებლობის ტექნოლოგია, მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ რომ განვითარდა, ცხადზე უცხადესია. მაგრამ საკითხი ასე დგას: რისთვისაა საჭირო და რა დოზით?

უნდა ვიხმაროთ თუ არა თანამედროვე მასალები? — რა თქმა უნდა, უნდა გამოვიყენოთ. სარტყელით უნდა შეკრა ეს შენობა ზევიდან, რომელიც საფეხურებად არის დანგრეული, ხერხით ხომ არ არის გადაჭრილი?! საფეხურებად სარტყელის შესაკრავად, რკინა-ბეტონის გარდა, არ არსებობს სხვა მასალა.

**— აბა, არ ვარგაო რკინა-ბეტონი?**

— რკინა-ბეტონის კედელი კი არ უნდა აშენდეს, სარტყელი უნდა გაკეთებულიყო.

**— კირზეცაა ლაპარაკი.**

— ამ მასალას აქვს იდეალური თვისება — სინესტეში მაგრდება, მაგრამ კირის გამოყენება ლითონთან ერთად არ შეიძლება — ლითონი იწყებს კოროზიას. ბეტონში კი რკინა დაცული არის კოროზიისგან.

პროფესიულ საზოგადოებასთან საუბარი იყო საჭირო. მე არ ვადანაშაულებ ეკლესიას. მისი სურვილია, შეასრულოს თავისი ფუნქცია, მაგრამ ეს სურვილი რომ განხორციელდეს, ხელოვნება უნდა ჩაერიოს, არქიტექტურა. ბაგრატის ტაძარი ხომ არქიტექტორის აგებულია?

არქიტექტორი კი იტყვის: მოდი, ნუ შევცვლით ისტორიას, რაც შემოგვრჩა, გავამაგროთ. ვაჩვენოთ, რანი ვიყავით და რა დღეში ჩაგვაგდეს. შევინახოთ მომავალი თაობებისთვის როგორც თვალსაჩინოება. ვარშავის ნახევარი ხელშეუხებლად დატოვეს, კელნის ტაძრის მხოლოდ ფასადი აღადგინეს და ასე შემდეგ, რათა მეორე მსოფლიო ომის საშინელება ყოფილიყო მუდმივად ილუსტრირებული.

ჩვენც ასე მოვქცეულიყავით, რა გვიშლიდა ხელს? მსოფლიოც ტაშს დაგვიკრავდა და მართლმადიდებლობაც თავისი ნაფუძარიდან აღავლენდა წირვა-ლოცვას.

* * *

**მაშ ასე, „საქართველო და მსოფლიოს“ მორიგ ნომერში ეძებეთ საუბარი არქიტექტორ კახა ქორიძესთან 2003 წელს შექმნილი მისი პროექტის თაობაზე.**

**არმაზ სანებლიძე**



კარგად დააკვირდით ტაძრის ამ ინტერიერს, გამორიცხული არ არის, ველარ ნახოთ...

23 - 29 სექტემბერი, 2009 წელი. №30
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ახალ რეალობას ახალი ლიდერი სჭირდება

**პრეზიდენტ ობამას განცხადებამ, რომ პოლონეთსა და ჩეხეთში ამერიკა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს აღარ განათავსებდა, მსოფლიოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ლავროვის განცხადება „ვალდაის კლუბის“ ფორუმზე, რომ, თუ ამერიკას უნდოდა რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვა“, მაშინ ეს საქმით უნდა ეჩვენებინა და წინა შეცდომები გამოესწორებინა.**



ის, რომ ამერიკა ჩეხეთსა და პოლონეთში ამ სისტემას აღარ განალაგებდა, ბოლო პერიოდში ნათელი იყო. ალბათ, სწორედ ამის მოლოდინმა განაპირობა აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ყოფილი ლიდერის ღია წერილი პრეზიდენტ ობამასადმი, რომელიც წლეულს, 15 ივლისს, გამოქვეყნდა, სადაც ისინი ამერიკას ადანაშაულებდნენ აღმოსავლეთ ევროპის მიტოვებაში. ამ წერილს ხელს აწერს ექვსი ყოფილი პრეზიდენტი; მათ შორის, ვაცლავ ჰაველი და ლეხ ვალენსა; ასევე, რამდენიმე ყოფილი პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრები და სხვები. პრეზიდენტ ობამასა და რობერტ გეიტსის განცხადებათა ფონზე აქტუალური ხდება ეს წერილი, ვინაიდან ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში საქართველოც შეიძლება ადვილად მოვიაზროთ! უფრო მეტიც, ისინი ამერიკას აკრიტიკებენ, რომ ზაფხულში საქართველო ვერ დაიცვა, გავიხსენოთ რამდენიმე ამონარიდი ამ წერილიდან:

„ცივი ომის“ დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აღარ არიან ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“.

„აღმოსავლეთ ევროპა დგას გზის გასაყარზე და რეგიონში შეიმჩნევა სულ უფრო მეტი ნერვიულობა“.

**„მიუხედავად ახალი წევრების მიერ შეტანილი დიდი წვლილისა, დღეს ნატო უფრო სუსტი ჩანს, ვიდრე მაშინ, როდესაც მას შევუერთდით“** (ეს ფრაზა შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ ნატო სწორედ ახალმა წევრებმა დაასუსტეს – რ.კ.)

**„ჩვენს რეგიონში გაძლიერდა ანტიამერიკანიზმი, რომელმაც ბუშის მმართველობის დროს მთელი ევროპა დაფარა და მივიდა ამერიკისადმი სიმპათიის დაკარგვამდე“.**

**„ბევრი ქვეყნისათვის დღეს ევროკავშირი უფრო მთავარია, ვიდრე — აშშ“.**

„ყველაზე დელიკატური პრობლემაა რაკეტსაწინააღმდეგო ფარის განთავსება აღმოსავლეთ ევროპაში“.

როგორც ვხედავთ, კომუნიზმისაგან განთავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპის ლიდერთა პირველი თაობა უკმაყოფილოა შექმნილი სიტუაციით და მიაჩნიათ, რომ ახალმა ამერიკულმა ადმინისტრაციამ ისინი რუსეთს შეატოვა. **თვით დოკუმენტში კი, ცხადია, ირანი და ჩრდილოეთ კორეა ნახსენები არცაა – მათ იცოდნენ, რომ ეს რაკეტსაწინააღმდეგო ფარი სწორედ რუსეთის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, ამიტომ ისინი დიდი შეშფოთებით შეხვდნენ „გადატვირთვის“ პოლიტიკას.**

ეს ხმაურიანი პროექტი დაიწყო ბუშის ადმინისტრაციის დროს, 2006 წელს. მაშინ გაცხადდა, რომ ამერიკა ჩეხეთში განალაგებდა რადიოსალოკაციო რადარს, ხოლო პოლონეთში – რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემა „პატრიოტს“. ეს ყველაფერი კი თითქოს ევროპის, ჩრდილოეთ კორეისა და ირანის რაკეტებისაგან თავის დასაცავად იყო გამიზნული. **პოლონელები და ჩეხები ამას უნდობლად შეხვდნენ, ვინაიდან საკმარისია რუქას დავხედოთ, რომ დავინახოთ, რომ ეს სრული უაზრობა სინამდვილეში რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთში სწორედ საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომის დროს ჩავიდა კონდოლიზა რაისი და ხელი მოეწერა ამ სისტემების განლაგებას, ანუ ამერიკელების მხრიდან ხელების გადაგრეხვას ჰქონდა ადგილი.**

რუსეთმა ამერიკას ჯერ შესთავაზა ერთად გამოეყენებინათ ირანის საზღვართან ახლოს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, გაბალინში, არსებული რადიო-სალოკაციო რადარი, რომელსაც რუსეთი იჯარით განაგებს 2012 წლამდე; მაგრამ ამერიკელებმა უარი თქვეს, ვინაიდან იქ მოძველებული ტექნიკა იყო. ამის შემდეგ რუსებმა განაცხადეს, რომ ისინი ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ არმავირთან, დგამდნენ ახალ სისტემას, რომელსაც, სურვილის შემთხვევაში, ამერიკელებთან ერთად გაუშვებდნენ ექსპლუატაციაში, მაგრამ ამეზეც უარი მიიღეს. ბოლოს რუსეთმა გამოაცხადა, რომ კალინინგრადის ოლქში (ყოფილი აღმოსავლეთი პრუსია), ზედ პოლონეთის საზღვართან განალაგებდნენ სარაკეტო სისტემა „ისკანდერს“, რამაც სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ევროპაში, ვინაიდან ცივი ომის დამთავრების შემდეგ ევროპაში რუსული რაკეტები აღარ იდგა.

ამერიკამ რუსეთს შესთავაზა, რომ ისინი უარს იტყოდნენ აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო ფარის განთავსებასა და ნატოს გაფართოებაზე, თუ რუსეთი დაეხმარებოდა ირანის ბირთვულ განიარაღებასა და ავღანეთის ომში უფრო ფართო მონაწილეობაზე. რუსეთი ამ მეორე პუნქტს დათანხმდა, მაგრამ, ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების შემთხვევაში, ვეტოთი დაიმუქრა. მიუხედავად ამისა, პარასკევს მაინც შედგა პრეზიდენტ ობამას ბრიფინგი და რობერტ გეიტსის გამოსვლა.



**„ჩემი გადაწყვეტილება ეყრდნობა ორ საკვანძო ფაქტორს, — განაცხადა ბრიფინგზე პრეზიდენტმა ობამამ, – პირველ ყოვლისა, ჩვენს განკარგულებაშია ირანში რაკეტების წარმოების ბოლო მონაცემები, რაც გვიჩვენებს მოკლე და საშუალო რადიუსის რაკეტების საშიშროებას, რომელთაც შეუძლიათ, მიაღწიონ ევროპამდე. მეორე მხრივ, ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაში. ასე რომ ვთქვათ, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის არქიტექტურა უფრო მტკიცე და ოპერატიული იქნება ამერიკული და ჩვენი მოკავშირეთა ჯარებისათვის“.**

**„რუსეთის სამხრეთ ნაწილში, არმავირთან, არსებობს სარადარო სადგური. ამ ობიექტის ჩაართვა საშუალებას მოგვცემს, შევავსოთ სიცარიელეები, რომელიც სისტემას ირანის ტერიტორიის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში გააჩნია,“ – განაცხადა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა.**

რუსეთმა არ დააყოვნა და გამოაცხადა, რომ კალინინგრადის ოლქში სისტემა „ისკანდერს“ აღარ განალაგებდა, ობამას გამოსვლას თუ ამერიკის კონსერვატული წრეების კრიტიკა მოჰყვა, ხოლო, რაზეც ობამამაც საკმაოდ მწვავედ უპასუხა, ევროპის ყველა ლიდერი დადებითად შეხვდა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის მოსალოდნელ „გადატვირთვას“.

**რაში მდგომარეობს ამ ცვლილებების არსი? — ამერიკა ხმელთაშუა და ჩრდილოეთის ზღვებში მოახდენს პატრულირებას სამი სამხედრო გემის საშუალებით, რომლებიც აღიჭურვებიან ბალისტიკური რაკეტებით, ხოლო თვითონ სადგური 2015 წლისთვის განთავსდება სადღაც „კავკასიასთან ახლოს“. ამ ფრაზამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართულ მასმედიაში, თუმცა გეიტსმა დააკონკრეტა, რომ ის არმავირთან არსებული რადარებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულით, რამაც აზერბაიჯანის მწვავე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.**

ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში გამართულ ამერიკულ-აზერბაიჯანულ კონფერენციაზე პოლიტიკურ საკითხებში ჰილარი კლინტონის მოადგილე ვილიამ ბერნსმა აზერბაიჯანს შესთავაზა, უფრო მეტად იფიქროს თურქმენეთთან, ყაზახეთთან და თურქეთთან ერთად ნაბუკოს მომავალი მილსადენის გაზით შევსებაზე, რაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. არადა კასპიის ზღვის შელფის გაუნაწილებლობის გამო აზერბაიჯანს ამ ქვეყნებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, რაც ლამის ღია კონფრონტაციაში გადადის, გაბსაკუთრებით თურქმენებთან მიმართებაში. ისინი (თურქმენები) კასპიის ზღვაზე სამხედრო ბაზის მშენებლობას იწყებენ, ხოლო რუსეთმა კი ირანთან ერთად საზღვაო წვრთნები ჩაატარა ირანის ერთ-ერთ პორტში. ბერნსმა აზერბაიჯანს მოუწოდა, ცოტა დემოკრატიის განვითარებაზეც ეფიქრა, რაც ადრე ტაბუდადებული თემა იყო. ამავე კონფერენციაზე ბერნსმა თურქეთ-სომხეთის შერიგების პროცესს ისტორიული უწოდა, რაც ცოტა უადგილოც კი ჩანდა.

ამ კონფერენციაზე კვლავ გაჟღერდა, რომ ყარაბაღის პრობლემა თითქმის გადაწყვეტილია და მხოლოდ „მცირედი პრობლემებია“ შესათანხმენელი. თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ ერთხელ ვიკითხოთ – შარშან აგვისტოს ავანტიურა რა საჭირო იყო, თუ ყარაბაღის უფრო რთული პრობლემა მოგვარებადია, ჩვენ რა, ვერ მოვაგვარებდით ჩვენსას უომრად? და კიდევ, აზერბაიჯანთან დაკავშირებული ერთი დეტალი: იქაურ პრესაში გამოიკვეთა ანტი-თურქული კამპანია, თურქული პრესა კი იტყობინება, რომ აზერბაიჯანში იხურება თურქული სკოლები, ფირმები და ა.შ. ყოველივე ამის უკან ვინც დგას, ადვილი მისახვედრია.

დადგა დრო ვიკითხოთ – ეს ყველაფერი ჩვენ რას მოგვიტანს? სახეზეა ძალთა ის დიდი გადანაწილება, რომელიც ბუშის აგრესიული მმართველობის დამთავრების შემდეგ უნდა დაწყებულიყო. პრეზიდენტმა ობამამ წინა ადმინისტრაციისაგან ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო: უმაგალითო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი; ავღანეთში თალიბებთან თითქმის წაგებული ომი; ერაყის ქაოსი, რომლიდანაც ამოსვლა ძალიან ძნელია და რეგიონს ახალ რთულ პრობლემებს ჰპირდება („აღმოსავლურ კოსოვოდ“ წოდებული ქურთისტანის ახალი სახელმწიფოს შექმნა); ირანის ბირთვული პროგრამა, რაც, ასევე, გადაუჭრელი ჩანს. ცხადია, დღეს მსოფლიო სულ უფრო და უფრო იძირება პრობლემებში. თუ ამას დავუმატებთ ტერორიზმის სულ უფრო მზარდ საშიშროებას, სურათი ბოლომდე დასრულებული მაინც ვერ იქნება. ყოველივე ამან კი გამოიწვია ამერიკის პრიორიტეტების სრული გადახედვა, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ამას ღიად არ აღიარებდნენ.

**თუ ამერიკა და რუსეთი მართლა ქმნიან ერთობლივ რაკეტსაწინააღმდეგო ფარს, ეს ყველაფერს ცვლის. რასაკვირველია, ეს მსოფლიო უსაფრთხოების პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ ამით სხვა აქცენტები იკვეთება. განსაკუთრებით ნათელია, რომ საქართველოს როლი სრულიად გაუგებარი ხდება – ის ამერიკის წინა ადმინისტრაციას სჭირდებოდა რუსეთის გამაღიზიანებელ ფაქტორად, ამერიკის ნაპირებთან ახლოს მყოფი კომუნისტური კუბის მსგავსად (გავიხსენოთ სააკაშვილის სვლა წალენჯიხიდან თბილისამდე – ეს იყო ფიდელ კასტროს ანალოგიური სვლის ზუსტი ასლი), ამიტომ კვლავ დღის წესრიგში დგება საქართველოს საგარეო პოლიტიკის სრული რევიზიის მართებულობა – არსებულმა პოლიტიკამ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.**

რა შეიძლება იყოს ალტერნატივა? ჩვენთვის ასე გაპიარებული ნაბუკოს პროექტი ჰაერშია ჩამოკიდებული, მიუხედავად ქართული მასმედიის ოპტიმიზმისა. სინამდვილე კი სულ სხვაა – შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი მილსადენის აშენებას უკვე აღარავინ აპირებს. ლაპარაკია (თუ ეს შეპირებული 7-8 მილიარდი ევრო გამოიძებნა) ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენს უკვე თურქეთის ტერიტორიაზე შეუერთდეს ევროპისაკენ მიმავალი ახალი მილსადენი. მაგრამ იტალიამ და საბერძნეთმა უკვე უარი სთქვეს მასში მონაწილეობაზე და რუსეთის ახალ მილსადენს — „სამხრეთის ნაკადს“ უჭერენ მხარს, რომლის თურქეთის ტერიტორიაზე გატარების შეთანხმებას პუტინმა ანკარაში 7 აგვისტოს მოაწერა ხელი. ასევე, დგას საკითხი – თუ ნაბუკოს მილი მაინც აშენდა, რით შეივსება იგი? უკვე საუბრობენ ამ პროექტისათვის ირანის მიერთებაზე. ამის რისი სასტიკი წინააღმდეგია ამერიკა, ევროკავშირს კი ეს იდეა მოსწონს!

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წელიწადში 31 მილიარდი კუბომეტრის გამტარუნარიანობით ეს პროექტი ევროპის მოთხოვნილების მხოლოდ 5 – 10 პროცენტს თუ ეყოფა, მაშინ, როდესაც მილსადენის გაზით შევსების პრობლემა გადაუჭრელია. მაისში პრაღის სამიტზე თურქმენეთმა, ყაზახეთმა და უზბეკეთმა უარი თქვეს ამ პროექტში მონაწილეობაზე, მაგრამ ობამას მოსკოვში ვიზიტის შემდეგ ვილიამ ბერნსი თურქმენეთში ჩაფრინდა და თითქმის დაიყოლია ისინი პროექტში მონაწილეობაზე. სულ მალე კი თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. ასე, რომ სიტუაცია მილსადენის ირგვლივ კვლავ გაურკვეველია.

ოთხშაბათს ნიუ იორკში გენერალურ ასამბლეაზე იწყება საერთო პოლიტიკური დისკუსია, რომელზეც მსოფლიო ქვეყნების პირველი პირები გამოვლენ. როგორც უკვე გაცხადდა, რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი თავის გამოსვლაში ილაპარაკებს უკრაინისა და საქართველოს საკითხებზე, ალბათ, ნატოში მიღება-არმიღების შესახებ, თუმცა ეს საკითხიც უკვე გადაჭრილი ჩანს ამ „გადატვირთვის“ და ნატო-რუსეთის დამოყვრების ფონზე. მაგრამ საწყენი ნამდვილად არ უნდა იყოს – შარშან ყველამ ვნახეთ, რომ ეს სამხედრო ბლოკი ჩვენთვის გამოსადეგი არ ყოფილა, ხოლო, თუ ჩვენ ბუქარესტის სამიტზე მივიღებდით იმ ძალიან გაპიარებულ MAP-ს, რუსეთი, ცხადია, უფრო ადრე შემოგვიტევდა. ეს არის რეალობა და პოლიტიკოსები რაღაც ბუნდოვანი ფანტაზიებიდან კი არ უნდა გამოდიოდნენ, ისინი რეალობას უნდა უსწორებდნენ თვალს. რეალობა კი ჩვენს რეგიონში საკმაოდ მძიმეა.

როგორ განვითარდება რუსეთ-ამერიკის „გადატვირთვა“, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. საერთოდ, ასეთი ტენდენცია გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – დემოკრატ პრეზიდენტებს, როგორც წესი, ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან (ტრუმენი, კენედი, კარტერი, კლინტონი), მაშინ, როდესაც ზოგიერთ ულტრა-კონსერვატორ რესპუბლიკელ პრეზიდენტს რუსეთის ლიდერებთან საუკეთესო ურთიერთობები ჰქონდათ (ნიქსონ – ბრეჟნევი, რეიგან – გორბაჩოვი, ბუშ-უფროსი – ელცინი, ბუშ-უმცროსი – პუტინი).

**საკითხავია, აგვისტოს ავანტიურა რომ არა, რომლის დროსაც სააკაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მან რუსეთს ნიღაბი ჩამოჰგლიჯა, ეს დღევანდელი „გადატვირთვა“ შედგებოდა? ევროპა შეშინდა ლიბერალიზმის ნიღბის გარეშე აგრესიული რუსეთის ხილვით და ამერიკას მოსთხოვა თავისი პოლიტიკის კარდინალურად შეცვლა. წაადგება თუ არა ახალი რეალობა მსოფლიოს და, პირველ ყოვლისა, ჩვენ რას მოგვიტანს – ამას მომავალი გვიჩვენებს. ახალ რეალობას კი ახალი ხალხი სჭირდება; სააკაშვილის ყოველი გამოსვლა, მათ შორის, გენერალურ ასამბლეაზე, იმას გვიჩვენებს, რომ მან ვერც ახალ რეალობას აუღო ალღო.**

**რამაზ კლიმიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ის, რაც სახელმწიფო პოლიტიკამ ვერ შეძლო, ქართველებმა და აფხაზებმა ადვილად მოახერხეს

**„ბეწვის ხიდად“ წოდებულ საქართველო-აფხაზეთის საზღვარს მიმომსვლელი დღესაც არ აკლია. ენგურსგაღმა მცხოვრები ქართველობა, სირთულის მიუხედავად, პირობითი საზღვრის გადალახვას მაინც ახერხებს. ზაფხულობით მათთან ენგურსგამოღმა მცხოვრები ახლობლები ჩადიან. მყუდროებით გამორჩეული გალის რაიონი ზაფხულში ცოტათი ახმაურდა. ამ სეზონზე აფხაზეთში შესვლა ადვილი როდი იყო. რუსი ოკუპანტები სასაზღვრო პუნქტებს მთელი მონდომებით აკონტროლებენ. შესვლის ნებართვას მხოლოდ რაიონში მცხოვრები ქართველების ოჯახის წევრებს აძლევდნენ. ენგურის გადალახვა მათთვის დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ წლობით უნახავი ოჯახის წევრებთან შეხვედრა ბევრისთვის ამ რისკად ღირდა.**



გალის ცენტრი

**განადგურებულ და გადამწვარ სოფლებში ცხოვრება თითქოს ჩვეულ რიტმში გრძელდება. თვითნებურად დაბრუნებულები აფხაზებთან ერთად განაგრძობენ თანაცხოვრებას. ორივე მხარის სატკივარი ერთია. უსაშველოდ გაწელილი კონფლიქტის მოუგვარებლობა აფხაზსაც და ქართველსაც თანაბრად აწუხებს. საუბრისას თავიანთ შეხედულებებს უშიშრად ახმიანებენ. უჭირთ ცხოვრება. მათთვის არანაირი სოციალური დახმარება არ არსებობს. ენგურსგაღმა მცხოვრები ქართველობა დანარჩენი საქართველოსაგან თავს მიტოვებულად გრძნობს. გალელი გლეხი ცხოვრების ჭაპანს კვლავინდებურად ეწევა.**

**„განადგურებულ და გაოხრებულ სახლში დავბრუნდი,** — ამბობს სოფელ განახლებაში მცხოვრები **ნუგზარ შამათავა, — სახლ-კარი არ გადაუწვავთ, მაგრამ გავერანებული დამხვდა. მძიმე შრომით მე და ჩემი მეუღლე ფეხზე დავდექით. შვილები ენგურსგაღმა ცხოვრობენ. ისინი ზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე. წელს საზღვრის გადალახვა გართულდა და შიშიც ჰქონდათ. მაინც წამოვიდნენ და ახლა ბედნიერი ვარ. გვიჭირს მათ გარეშე ცხოვრება, მაგრამ რა უნდა ვქნათ?! აქ ცხოვრება თავდაპირველად საშიში იყო. თანდათან ყველაფერი შეიცვალა. უკანონოდ შეიარაღებული ბანდფორმირებებისგან განვთავისუფლდით. უკვე აფხაზური პოლიცია განაგებს სოფლებს და სიმშვიდეც გვეღირსა. ახლა, ადრინდელთან შედარებით, შემცირდა დანაშაული. არავინ გვაწიოკებს. ცუდია ის, რომ ოჯახი ორად გავიყავით. შვილებს იშვიათად ვნახულობ. ისინი გადაღმა ცხოვრობენ. ადრე საზღვარს ადვილად ვკვეთდით. დღეს რუსულმა ჯარმა საზღვრის დაცვის ფუნქცია იკისრა და კონტროლიც გაამკაცრა. აფხაზებსა და ქართველებს გასაყოფი არაფერი გვაქვს. აქ ცხოვრობენ შერეული ოჯახები, რომლებთანაც საკმაოდ კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა არ გვიჭირს“.**

გალელი ქართველების უსაფრთხოების დაცვა აფხაზური პოლიციის ხელშია. ის მოსახლეობაში კეთილი დამოკიდებულების მოპოვებას ცდილობს. აფხაზმა პოლიციელებმა ნაწილობრივ ალაგმეს კიდეც ყაჩაღობა და დანაშაული, თუმცა უკანასკნელ ხანებში მაინც ხდება გარკვეული დანაშაულები. ვინაიდან რეგიონში საშემოდგომო სეზონი მეტად ბარაქიანია, ყაჩაღებმაც არ დააყოვნეს. თხილის სეზონზე იმატა ყაჩაღობამ და ძარცვამ. ხუთ სექტემბერს სოფელ ოტობაიასთან რამდენიმე ნიღბიანმა ადგილობრივი მკვიდრი დააყაჩაღა და 7000 ლარის ოდენობის თანხა წაართვა. დაზარალებულმა რაიონში გადაიტანა თხილი გასაყიდად და დაბრუნებისას დაესხნენ თავს. ასეთი შემთხვევები უკანასკნელ პერიოდში გახშირდა.

**„შიშის ქვეშ ვცხოვრობთ,** — ამბობს სოფელ ოტობაიას მკვიდრი, — **მართალია, აფხაზური პოლიცია აკონტროლებს სოფლებს, მაგრამ წესრიგის სრულყოფა კვლავ რთული მისაღწევია. თხილი გადავიტანე გასაყიდად. შვილი უნდა მომემზადებინა სკოლაში წასასვლელად. ყაჩაღებმა წამართვეს. სული მწარეა და წინააღმდეგობა ვერ გავუწიე შეიარაღებულ ნიღბიანებს. სულ შიშში ვართ. საქართველოს ხელისუფლება ჩვენზე ნაკლებად ზრუნავს, დავავიწყდით და ამ ფონზე ძნელია, რამე გითხრათ“.**

გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლები, ძირითადად, ქართველებითაა დასახლებული. აქვე ცხოვრობენ შერეული ოჯახებიც. მოსახლეობა ერთმანეთთან კეთილი დამოკიდებულებით გამოირჩევა, ჭირსა თუ ლხინში ერთადაა. ქართველებმა ადვილად გამონახეს საერთო ენა აფხაზებთან. ორივე ეროვნების წარმომადგენელი ცდილობს, არსებული პოლიტიკური დაპირისპირება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ნაკლებად აისახოს. ერთმანეთში დადიან, ურთიერთობენ და საერთო სატკივარზეც ხმამაღლა საუბრობენ.

**„დედით აფხაზი და მამით ქართველი ვარ,** — ამბობს გალის რაიონის მკვიდრი, — **ჩემთვის ეს კონფლიქტი საკმაოდ მძიმე იყო. ომმა დამაშორა აფხაზ ბიძაშვილებს, რომლებიც ტყვარჩელში ცხოვრობდნენ. კონფლიქტის დროს მათ იარაღი აიღეს და ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჩემთვის ეს ყველაფერი მძიმე სანახავი იყო. უმძიმესმა დღეებმა უკვე ჩაიარა. კვლავ ჩემს სახლში ვცხოვრობ. ორივე მხარესთან კარგი ურთიერთობა მაქვს. აქ, ძირითადად, ქართული ოჯახების გარემოცვაში ვარ. თითქმის ყველასთან ვმეგობრობ. ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით ვდგავართ. აფხაზსა და ქართველს გასაყოფი არაფერი გვაქვს. რაც მოხდა, ცუდია, მაგრამ ხომ უნდა ჰქონდეს ამ ამბავს დასასრული. საჭიროა სახელმწიფოებრივი კეთილი ნება. აქ ქართველიცა და აფხაზიც ერთმანეთთან საკმაოდ კარგად ვართ. ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მტრები არასოდეს ვყოფილვართ“.**

გალელი ქართველობა დე ფაქტო ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვას თავადვე ცდილობს. გაეროს მანდატის ამოწურვის შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შუამავალი, როგორც თავადვე აცხადებენ, გამოეცალათ. მართალია, ყველა სოფელს ჰყავს გამგებელი, რომელთაც ეს მისია აკისრიათ, მაგრამ, რატომღაც, ფიქრობენ, რომ ეს საკმარისი არაა.

**„უკვე ვაყალიბებთ ქართულ-აფხაზურ ორგანიზაციას, რომელიც შუამავლის ფუნქციას იკისრებს აფხაზურ მთავრობასთან,** — ამბობს სოფელ ოტობაიას მკვიდრი, — **გვყავს გამგებლები, რომლებიც, ძირითადად, სოფლის სამეურნეო და სხვა საკითხების მოგვარებით არიან დაკავებული. ჩვენ სულიერი მხარე უფრო გვაწუხებს. გვინდა სტაბილურობა, სიმშვიდე. სათქმელს თავად უკეთ მივიტანთ დე ფაქტო მთავრობასთან. ძირითადად, საზღვრის გადალახვის პრობლემა გვაწუხებს. რუსულმა არმიამ უკანასკნელ ხანებში კატეგორიულად აგვიკრძალვა საზღვარზე გადასვლა. ჯარიმები დიდია. თუ ზუგდიდში ვერ გადავედით, პურსაც ვერ შევჭამთ. გარდა ამისა, ვერ ვსარგებლობთ სამედიცინო მომსახურებით. აქ გვაქვს პირველად დახმარება, სასწრაფოც მუშაობს, მაგრამ ავადმყოფი სრულყოფილ მომსახურებას მაინც ვერ იღებს. ხომ უნდა გაითვალისწინონ რაღაც მომენტები. გვჯერა, რომ მოგვისმენენ. ადრე ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა. არც გვიფიქრია, მსგავსი რამ შეგვექმნა. ახლა კი ამის აუცილებლობა ვიგრძენით. აფხაზებთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. ერთმანეთის გვესმის და იმედია, პრობლემებს რაღაც დონეზე მაინც განიხილავენ. ჩვენ უბრალო მოსახლეობა ვართ. არ ვითხოვთ ფუფუნებას და არ გვაქვს პროტესტი აფხაზურ მთავრობასთან, უბრალოდ, გვინდა, მოგვისმინონ და ჩვენი სატკივარი გულთან მიიტანონ. პირველი დიალოგი უკვე შედგა დე ფაქტო ლიდერებთან. სექტემბრის ბოლოს კვლავ შევხვდებით და იმედს ვიტოვებთ, ყველაფერი კარგად დასრულდება“.**

გალის რაიონში სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს. ენგურსგამოღმისგან განსხვავებით, პირველი ზარი იქ პირველ სექტემბერს დაირეკა. ქართულ სოფლებში სწავლება ქართულენოვანია. არის მოსაზრება, მთლიან აფხაზეთში რუსულენოვანი სწავლება დაწესდეს, თუმცა ჯერჯერობით ასე არ არის.

კონფლიქტის მიუხედავად, აფხაზეთს არც სტუმრები დაჰკლებია. სოხუმში ტურისტთა სიმრავლეც შეინიშნებოდა. აქ ცხოვრება სხვაგვარად ჩქეფს. გალსა და ოჩამჩირეში თუ ცხოვრება მხოლოდ არსებობაა, სოხუმში ასე არაა. როგორც ამბობენ, დასვენებისთვის იქ მეტი უსაფრთხოებაა.

**„ახლობელმა დაგვპატიჟა სოხუმში,** — ამბობს გალის რაიონის მკვიდრი, — **შეიძლება ითქვას, კარგად დავისვენეთ. მეტი უსაფრთხოება იგრძნობოდა. შვილის ნათლიასთან ვიყავი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და ზაფხულობით ჩამოდის მშობლიურ სოხუმში. თითქოს ძველი დრო დაბრუნდა. საკმაოდ კარგად ვგრძნობდით თავს. ქართველებს აფხაზები მოკრძალებით გვექცეოდნენ. თბილი ურთიერთობა მახარებდა. დავრწმუნდი, რომ ხალხის მრავალწლიანი კონფლიქტისა და ომის მიუხედავად, საერთო ენის გამონახვა შეიძლება. ცუდია, რომ ასეთ დღეში ვართ. არც კეთილად განწყობილ აფხაზებს სურთ კონფლიქტი. სოხუმს დამსვენებელი უხვად ჰყავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არაქართველები, ძირითადად, რუსი მოქალაქეები. გული მწყდება, რომ ქართველს არ შეუძლია აფხაზეთში დასვენება. სოხუმისკენ სხვა სამყარო იშლება. აჩიგვარა და გალი ჩამკვდარია. აქ მხოლოდ სამხედრო ბაზები შენდება. ეს არც აფხაზებს უნდათ. უბრალო მოსახლეობა ვერაფერს გახდება. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მიდგომა შეიცვლება და საერთო ენას გამოვნახავთ. აქ მცხოვრები ქართველობა დამსხვრეული ურთიერთობების აღდგენას მეტ-ნაკლებად ვახერხებთ კიდეც. ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს“.**

გასაყოფი ადგილობრივ ქართველებსა და აფხაზებს მართლაც რომ არაფერი დარჩათ. ის, რაც სახელმწიფო პოლიტიკამ ვერ შეძლო, უბრალო ხალხმა ადვილად მოახერხა. მათ დაივიწყეს ძველი წყენა და კვლავ შეხმატკბილებულ თანაცხოვრებას შეუდგნენ. დღესაც იქმნება ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები. სოფელ გაგიდის მკვიდრი ქართველი გოგონა მარინა აფხაზზე დაქორწინდა. მათ უკვე შვილიც შეეძინათ. მოყვრებს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება აქვთ. მათ ოჯახურ თანაცხოვრებას არსებული კონფლიქტი ხელს არ უშლის:

**„მეუღლე ჩემსავე სოფელში შემთხვევით გავიცანი. აფხაზურ პოლიციაში მუშაობს და ჩვენი სოფლის დაცვა ევალებოდა. ოჯახები ამ ურთიერთობის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ. უკვე პატარა დათო გვეზრდება. ჩვენი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დღეს არც ერთი მხარე არ არის. ჩვენმა ნაბიჯმა რამდენიმე ადამიანი გააერთიანა. ბევრმა წყენა დაივიწყა და კვლავ მეგობრობის ხელი გაუწოდა ერთმანეთს. ვფიქრობ, კონფლიქტის ფონზე ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი სასიკეთოა. სხვებიც თუ მოგვბაძავენ, ალბათ ძველი წყენაც სამუდამოდ გაქრება“...**

**ირმა ჩიტაია**

# რატომ მოხდა მხოლოდ ქართველებით დასახლებული გალის რაიონის ჩაბარება 1993 წელს?

**16 წელი გავიდა აფხაზეთის დაკარგვიდან. ამ ხნის განმავლობაში ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. უფრო მეტიც, დაკარგულ ტერიტორიებს ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობაც დაემატა.**

გალის რაიონი ყოველთვის „აფხაზეთის ბელადად“ იწოდებოდა. იგი მთელ აფხაზეთს ეკონომიკურად აძლიერებდა. ენგურჰესის ამოქმედების შემდეგ მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა. გალის რაიონი ახლაც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია. ცნობილი ფაქტია, რომ ე.წ. საზღვრის გადაკეტვა, კედლის აღმართვა არც რუსების და არც აფხაზების გეგმებში არ შედის, რადგან გალსა და ზუგდიდს შორის ურთიერთობით თვით რუსები და აფხაზები ნახულობენ სარგებელს. ზუგდიდთან სიახლოვე, თხილით, ციტრუსით ვაჭრობა, საქონლის გადატან-გადმოტანა ენგურს გაღმა-გამოღმა სარფიანი საქმეა. რუსებს განზრახული აქვთ გალის რაიონში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რის შემდეგაც იქ დევნილებიც დაბრუნდებიან.

ხშირად ისმის კითხვა, რატომ მოხდა 1993 წელს მხოლოდ ქართველებით დასახლებული რაიონის — გალის ჩაბარება? შეგვეძლო თუ არა გალის რაიონის შენარჩუნება აფხაზეთის დაკარგვის პირობებში? ამის შესახებ თავის მოსაზრებას აფხაზეთის მკვიდრი, საზოგადოება „ჭყონდიდელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1992-1993 წლების საქართველოს დაუმორჩილებლობის კომიტეტის წარმომადგენელი აფხაზეთში **პეტრე ნაჭყებია** გვიზიარებს: „გალის დაკარგვა — ეს იყო შევარდნაძის შეგნებული დანაშაული და გამსახურდიას დანაშაულის ტოლფასი შეცდომა, რადგან გალის აღება და იქ დამკვიდრება არ შედიოდა აფხაზების გეგმაში. მე მომსწრე და თვითმხილველი ვარ აფხაზების მაშინდელი თავდაცვის მინისტრის — სულთან სოსლანიევის განცხადებისა, რომ ისინი საომარი ოპერაციების დასრულებას აპირებდნენ გალი-ოჩამჩირის საზღვართან, სოფელ ოხურეისთან. გარდა ამისა, 1994-1995 წლებში მქონდა შეხვედრა აფხაზ მაღალჩინოსნებთან, რომლებმაც განაცხადეს, ზუგდიდის აღებაც შეგვეძლოო. მაშინ მე ვუთხარი, — ზუგდიდში კი არა, გალშიც არ უნდა შესულიყავით-მეთქი. მათ მიპასუხეს: „მერე და ვინ აპირებდა შემოსვლას? ოთხი საათი ვიდექით გალის რაიონის მისადგომებთან, ორჯერ გავუგზავნეთ ხალხი გალის ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელობას, რომ მოსულიყვნენ და საზღვართან რეაგირება მოეხდინათ, მაგრამ არავინ გამოჩნდა და ჩვენც დავიკავეთ გალის რაიონის ტერიტორია. ეს, მართლაც, მწარე სიმართლეა. შევარდნაძის ინტერესებში შედიოდა, რომ ერთმანეთს მათი მოწინააღმდეგენი შებმოდნენ და საერთოდ არ უზრუნია, თითიც არ გაუნძრევია გალის რაიონის დასაცავად. კანონიერი ხელისუფლების უდიდესი შეცდომა კი ის იყო, რომ ვერ შეძლო გალის რაიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას შეეძლო და ვალდებულიც იყო, დაეცვა გალის რაიონი. წარმოიდგინეთ აფხაზები გალის რაიონის გარეშე“.

გალის რაიონის გარეშე აფხაზეთის წარმოდგენა, მართლაც, შეუძლებელია, სხვა მხრივ, აფხაზები დე ფაქტო მდგომარეობას ვერც შეინარჩუნებდნენ და მოვლენებიც სულ სხვაგვარად წარიმართებოდა.

**ლადო ქირია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვინ ჭამს დევნილებისთვის გამოყოფილ პროდუქტს?

## წეროვანში 300-ზე მეტი ოჯახი ორი თვის დახმარების გარეშე დარჩა

**ვინ მიითვისა ჩვენთვის გამოყოფილი პროდუქტები? — ეს არის შეკითხვა, რომელზეც წეროვანში ჩასახლებული 300-ზე მეტი ოჯახი პასუხს მოითხოვს, მაგრამ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გამცემი წეროვანში ვერ მოიძებნა.**
**როგორც ადგილობრივ გამგეობაში აცხადებენ, იძულებით გადაადგილებულ პირთა ბრალდებები უარგუმენტოა. მათი თქმით, არც 300 ოჯახია დაზარალებული და არც მათი ბრალდებებია საფუძვლიანი. საპირისპიროს ამბობს დისტრიბუციის ხელმძღვანელი გია გიორგაძე და ადასტურებს, რომ წეროვანში რამდენიმე ასეული ოჯახი ორი თვის დახმარების გარეშე დარჩა.**
**ჩვენ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და პირების გამოვლენას შევეცადეთ.**



დაკარგული სახლ-კარი, დევნილობაში სამადლოდ დარიგებული გაფუჭებული ძეხვის სუნში გატარებული ერთი წელი — ასეთია რეალობა, რომელშიც დევნილებს მოუწიათ ცხოვრება. „ცოცხლების სასაფლაო" — ასე თუ უწოდებ წეროვანის დასახლებას.

ზღვის ქაფისგან აგებულ სახლში, ხშირ შემთხვევაში, ხუთი და მეტი წევრი ცხოვრობს. ოჯახის თითოეულ წევრზე 9 კგ ფქვილი, 0,5 ლიტრი ზეთი და 600 გრ შაქარია გამოყოფილი, თუმცა ბოლო ორი თვეა, 300 ოჯახს აღარც ეს მიზერული დახმარება აქვს.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს და ჩვენთან საუბარში ადგილობრივი გამგეობის დარღვევების შესახებ ჰყვება.

**მზია მელქუაშვილი:** „ზაფხულის ორი თვის დახმარება არ ამილია. ჩემს დღეში 300 ოჯახია. ტვირთი და გასანაწილებელი ობიექტი ბევრია, დრო კი — მცირე, შემდეგ თვეში იქნებაო, — მაიმედებენ. ორი თვე მშიერი ხომ არ ვიქნები? ამ თვეებისას აღარ აგვინაზღაურებენ, ჩვენთვის გამოყოფილ საკვებს კი არავინ იცის, ვინ იღებს.

ჩემი და შარშან გარდაიცვალა. ობოლ დისშვილს ვზრდი. საკუთარი შვილებიც მყავს, ჭამა არ უნდათ? ჩემი სოფლიდან და სახლიდან არაფერი წამომიღია.

დღეში რამდენიმეჯერ ავდივართ გამგეობაში, მაგრამ უარით გვისტუმრებენ. ტყუილია, რომ ამბობენ, დათქმულ ვადებში არ მოდიან და არ მიაქვთ პროდუქტებიო".

**— იმას თუ გეუბნებიან, რა ბედი ეწია თქვენს სახელზე გამოწერილ დახმარებას, რაკი დროულად არ „გაიტანეთ"?**

— არ ვიცი, მეუბნებიან, უკან ვაბრუნებთო, მაგრამ სად აბრუნებენ, არავინ იცის. ყოველთვიურად სულზე 600 გრ შაქარს გვპირდებიან და ორი თვეა, იმასაც არ გვაძლევენ. საიდან მოვიტანო ამდენი პროდუქტი? რით ვირჩინო თავი, როცა არც ხელფასი მაქვს და არც მიწები, მოსავალი რომ ავიღო?

დევნილთა პრობლემების მოსმენის შემდეგ შევეცადეთ, პასუხი ყველა შეკითხვაზე გამგებლისგან მიგვეღო, მაგრამ ის ადგილზე არ დაგვხვდა. გამგებლის მოადგილე, ვლადიმერ შერმადინმა კი ურთიერთგამომრიცხავი პასუხი გაგვცა; განგვიმარტა, რომ დევნილებისთვის დახმარების გაუცემლობის მიზეზი მხოლოდ ამ უკანასკნელთა დაუდევრობაა და გამგებელი არაფერ შუაშია.

**ვლადიმერ შერმადინი:** „დილის 6 საათიდან გამგეობასთან რიგი დგას.. ბუნებრივია, ვინც ასეთ დროს მოდის, ის პროდუქტის გარეშე არ დარჩება, მაგრამ ზოგს ეზარება ადრე გაღვიძება დ 12 საათზე დაგვიანებით მოდის და ხელცარიელი რჩება."

**— საკვების განაწილების ცოტა უცნაური ფორმა ხომ არ არის — მოსწრებაზეა პროდუქტის დარიგება თუ იგი ყველა დევნილს უნდა შეხვდეს?**

— ჩვენ პროდუქტის შესანახი ადგილი არ გვაქვს, ამიტომ დევნილებმა დროზე თუ არ გაიტანეს თავიანთი კუთვნილი პროდუქტი, მაშინ საკვების გარეშე დარჩებიან.

**— სად მიგაქვთ ის პროდუქტები, რომლებიც დევნილებამდე არ მიდის?**

— აქ ვინახავთ, კოტეჯებში.

**— თუ ადგილი არ გაქვთ, როგორ ინახავთ?**

— არ არის ადგილი, მაგრამ გაჭირვებით ვინახავთ.

როგორც ხედავთ, ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე კონკრეტული და არგუმენტირებული პასუხი მაინც ვერ მივიღეთ. დევნილებს კი ეჭვი აქვთ, რომ მათი კუთვნილი დახმარებით ვიღაც სარგებლობს და ხელს ითბობს.

საბოლოოდ ერთი რამ დავადგინეთ, რომ თუკი დევნილი დათქმულ საათზე არ გამოცხადდება ადგილზე (გამოუცხადებლობის მიზეზები არ განიხილება, — რედ.), ის კუთვნილ პროდუქტს ვერ აიღებს და იმ თვეში პროდუქტის გარეშე დარჩება, თუნდაც მისი კუთვნილი დახმარება იქვე, კოტეჯში უსარგებლოდ ინახებოდეს.

გამგეობიდან საერთაშორისო მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ მოწყალების კავშირთან გაგვგზავნეს. როგორც წეროვანში საკვების დისტრიბუციის ხელმძღვანელმა გია გიორგაძემ გვითხრა, მიუხედავად იმისა, რომ მან დევნილებს შეატყობინა პროდუქტის მისაღებად გამოცხადების დრო, დათქმულ ვადაში არავინ გამოჩენილა:

„მე ლამის მოსაწვევები გავუგზავნე ამ ადამიანებს, რომ მოსულიყვნენ და აეღოთ კუთვნილი დახმარება. 200-ზე მეტი ოჯახია დარჩენილი, ამ ორი თვის დახმარება რომ არ აუღია. ამ პროდუქტს ადგილზე ვინახავთ ხოლმე; შემდეგ მომდევნო თვისას ვარიგებთ. ძველი დავალიანება, ბუნებრივია, არ სწორდება".

აზრთა სხვადასხვაობა გამგეობასა და დისტრიბუციის სამსახურს შორის პროდუქტმიუღებელი ოჯახების რაოდენობასთან დაკავშირებით აქაც გამოიკვეთა.

იძულებით გადაადგილებულები გამგებლის მოადგილის არგუმენტებს აბსურდულს უწოდებენ.

„მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს იქ 5 საათზე მისვლას? ათ საათზე აღებენ საწყობს და ხშირად დღის 12 საათზე უკვე იკეტება, რატომ? რაში იღებენ ეგენი ხელფასს? თუ შესვენებაა, მაშინ 12 საათი რატომ? ყველგან პირველ საათზე იწყება შესვენება. მაგათ პროდუქტის დარიგება არ უნდათ და ათას მიზეზს იგონებენ," — ჩივიან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამაჩაბლოდან დევნილები.

პროდუქტის არაორგანიზებულ დარიგებასთან ერთად, დევნილებს უყურადღებობის პრობლემაც აწუხებთ. ისინი ამბობენ, რომ ერთი წლის განმავლობაში მათთან სასაუბროდ არავინ ჩასულა — არც მმართველი გუნდისა და არც ოპოზიციის წევრები. გამგეობაში კი საპირისპიროს ამბობენ. გამგეობის მტკიცებით, დევნილების მინისტრი კობა სუბელიანი და ხელისუფლების სხვა წევრები ხშირად სტუმრობენ წეროვანს და დევნილთა პრობლემებით ინტერესდებიან. ლტოლვილები კი აღნიშნავენ, რომ როდესაც წეროვანში ცენტრალური ხელისუფლებიდან სტუმარი ჩადის, მხოლოდ იმ ხალხს ახვედრებენ, ვისაც მთავრობასთან ნაკლები შეკითხვა და პრეტენზია აქვს.

„ამის თაობაზე ჩვენ ხშირად ტელევიზიით ვიგებთ. აქ არავინ არაფერს გვეუბნება," — გვიყვებიან ახალგორიდან დევნილები.

გაზაფხულზე საპროტესტო აქციების დროს აგვისტოს ომი და დევნილთა თემა ოპოზიციის მთავარი ბერკეტი იყო სააკაშვილის წინააღმდეგ, რომლის გამოყენებასაც არასდროს ერიდებოდნენ რადიკალები, თუმცა აღმოჩნდა, რომ იძულებით გადაადგილებული ადამიანები ოპოზიციისთვისაც მხოლოდ მანიპულირების საშუალებაა და მეტი არაფერი.

დევნილებს ეჭვი აღარ ეპარებათ იმაში, რომ მათი უსახლკარობა და ცხოვრების ტრაგედია პოლიტიკური ძალებისთვის მხოლოდ ქულების დაწერის საშუალებაა.

სახელმწოფოს მხრიდან არასწორი პოლიტიკის მიუხედავად, დევნილები თავის გატანას ამ დრომდე ახერხებენ.

„ომმოგებული" ქვეყნის სამართალდამცავები დუშეთის საზღვარზე, სოფელ ოძისთან დგანან და წინ წაწევის შანსი არ აქვთ. ამიტომ საკუთარი სოფლების მონახულება წეროვანის დევნილებს საკუთარი სიცოცხლის გარისკვით უწევთ, ახალგორში შედიან, თავიანთი ეზოებიდან მოაქვთ ხილი. ქალბატონი ასმათი სინანულით აღნიშნავს, რომ მის ბაღში ამ დრომდე ტონობით ხილის მოსავალია, მაგრამ იმის გამო, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ერთ ჯერზე მხოლოდ 25 კილოგრამის წამოღება შეუძლია. დევნილები ამბობენ, რომ საკუთარი სახლების მოსანახულებლად 20 ლიტრი საწვავი სჭირდებათ, რომლის შესაძენი თანხა, ბუნებრივია, მათ არ აქვთ:

„თუკი 20 ლიტრ საწვავს შევიძენთ, იმ ფასად 25 კილოგრამ ხილზე მეტს ვიყიდით. ამიტომ არ გვიღირს იქ წასვლა. რამდენიმე თვის შუალედით მხოლოდ იმიტომ მივდივართ, რომ საკუთარი სახლები მოვინახულოთ".

## «ახალგორში ოსები ჩვენს სახლებში არ ცხოვრობენ, თორემ ჩვენს ყველა ნივთს ეპატრონებიან და იყენებენ»





**— რა ვითარება გხვდებათ ახალგორში ჩასვლისას?**

— ოსები ყველანაირად პრივილეგიურნი არიან; ჩვენს სახლებში არ ცხოვრობენ, მაგრამ იყენებენ ყველაფერს, რაც იქ დაგვრჩა. ქართველი სამართალდამცავები იქ არ არიან, მთლიანად რუსები და ოსები აკონტროლებენ ყველაფერს.

მომაკვდავის საწოლთან დიაგნოზს არ სვამენ. ამიტომ მმართველი გუნდის მხრიდან იმის მტკიცება, რომ ომი მოვიგეთ, სასაცილოა. სასაცილოა იმიტომ, რომ ქვეყანა, რომელიც ომს იგებს, საკუთარ მიწაზე 150 000 დევნილი არ ჰყავს; არ აქვს ოკუპირებული ტერიტორიები. საკუთარი მოსახლეობის ასე „დაბოლება" დანაშაულია, მორალზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. 2008 წლის მოვლენები მომგებიანი მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტისთვის იყო. პრეზიდენტმა სატელევიზიო გამოვლაშიც კი განაცხადა, მე პუტინმაც კი ვერ გამაქციაო.

ბუნებრივია, აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის გვერდში დგომით სააკაშვილმა საკუთარი მოქალაქეების მოსალოდნელი რისხვა აიცილა თავიდან.

ალბათ, ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, მმართველი გუნდის წევრები ისევ იტყვიან, ომი მოვიგეთო, თუმცა ისიც ისეთივე სიმართლე იქნება, როგორც ამ დრომდე გამოთქმული ყველა მოსაზრება, რომელიც აგვისტოს ომის საქართველოს სასარგებლოდ დასრულებას შეეხებოდა.

## სასტუმრო «ივერიის» შემდეგ დევნილთა საცვლები ახლა უკვე წეროვანშიც გამოიფინა



მოამზადა
**შორენა გოგოლაძემ**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 1300 ევროს მიხდიდნენ იმ სახლში, მაგრამ ღირსება მილიარდჯერ მეტი ღირს!

**არავინ იცის, რამდენი ადამიანია სამშობლოდან შორს საშოვარზე გადახვეწილი... თუკი ადრე დამპყრობთა მათრახის ქვეშ უწევდათ იძულებითი სიშორე, დღეს საკუთარი ოჯახებისა და ქვეყნის გარეთ ქართველები მხოლოდ იმიტომ გარბიან, რომ თავი გადაირჩინონ...**



**ყველაზე მეტი ქართველი (უმეტესწილად ქალები) საბერძნეთშია, წასული და აქ დატოვებულ საკუთარ მშობლებსა და ქმარ-შვილს, ძირითადად, ბერძენი მოხუცების მოვლა-პატრონობით არჩენს. მათი უმეტესობა სამშობლოდან არალეგალური გზებით მიემგზავრება, რადგან თბილისში თავმოყრილი საელჩოებისა და საკონსულოების დადგენილი „სტავკები" იმდენად მაღალია, რიგითმა ქართულმა ოჯახებმა, უკანასკნელიც რომ გაყიდონ, მაინც არ ეყოფა აქაც საშოვარზე ჩამოსული დიპლომატების ჯიბეს და ამიტომაც ჩვენებურები მიდიან ისე, რომ არად დაგიდევენ, რა შეიძლება შეემთხვათ ლუკმაპურის საშოვნელ გზებზე!**

**საბერძნეთში მომუშავე ქართველობის ძირითადი საქმიანობა, როგორც აღვნიშნეთ, მოხუცი ბერძნების მოვლა-პატრონობაა. ზოგი მოხუცი ჭირვეულია, ზოგი — დამთმობი, ზოგი — ძალიან მძიმე ავადმყოფი, ზოგი — ლოთი და ა.შ. მათი შვილები, ძირითადად, მაღალანაზღაურებად სამსახურებში მუშაობენ და მშობლების წინაშე პასუხისმგებლობას მოსამსახურისთვის 500, 600, 700, 800 ევროს გადახდით გამოხატავენ... არადა, ბევრმა, შესაძლოა, არცკი იცის, ჩვენს ქალბატონებს თითოეული ევრო როგორი დამცირებისა და ცრემლის ფასად აქვს გამომუშავებული!**

**„საქართველო და მსოფლიო" პირველივე ნომრებიდან აქვეყნებს ჩვენი ემიგრანტების ყოფის ამსახველ მასალებს. ამჯერად გთავაზობთ ქალბატონ თინათინ გ.-ს ისტორიას, რომელიც, ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველს ღრმად ჩააფიქრებს და გულგრილს არ დატოვებს.**

„საბერძნეთში წასვლა და იქ დროებით დამკვიდრება თუნდაც იმიტომ გადავწყვიტე, რომ ბერძნები უძველესი მართლმადიდებლები არიან! როგორც ბევრი მორწმუნე ქართველი, მეც ვოცნებობდი ათონის მონასტრისთვის შორიდან მაინც შემევლო თვალი, ფეხით მომევლო თითოეული ისტორიული ადგილი, მომელოცა იქაური ეკლესიები და ღვთისთვის ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა მეთხოვა.

მართლმადიდებლურ ოჯახში გავიზარდე. დედმამიშვილებში უმცროსი მე ვიყავი და ზედმეტად მათამამებდნენ, მაგრამ შრომა, სწავლა და უფროსისადმი მორჩილება ბავშვობიდანვე სისხლში მქონდა გამჯდარი. სკოლა წარმატებით დავამთავრე, ინსტიტუტშიც ჩავაბარე და სწავლის დამთავრების შემდეგ დროთა განმავლობაში ერთ-ერთი საწარმოს განყოფილების უფროსიც გავხდი! თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ 90-იანი წლებიდან ყველაფერი ამოყირავდა. ჩემი საწარმო დაიხურა, ასობით თანამშრომელი კი უმუშევარი დავრჩით...

ეკლესიაში სიარულს მოვუხშირე; შვებას ლოცვების კითხვასა და მარხვაში ვპოულობდი. მორჩილებაში ვიყავი მღვდლებთან, მრევლთან, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთანაც კი... ბოლოს მონაზვნად აღკვეცა დავაპირე, მაგრამ დედაჩემის სასტიკ წინააღმდეგობას წავაწყდი: „თუ აღიკვეცები, იცოდე ცოცხალს ველარ მნახავ, ან ოჯახი არ გინდა, ან შვილი და ან კიდევ ჩვენ სუყველაო?" ალარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, დედა დარდისთვის არ მემეტებოდა და, შესაძლოა, ჩემმა მცირედ მორწმუნეობამაც განაპირობა ის, რომ ბოლომდე ვერ შევინარჩუნე ჩემი პოზიცია. თანატოლები მეუბნებოდნენ: „თინა, ისეთი ოქროს ხელები გაქვს, ყველაფერს შეძლებ, ახლა საზღვარგარეთ ბევრი ქართველი მიდის სამუშაოდ, იქნებ, შენც წამოსულიყავი და იქ გეცადა ბედი?" დედაჩემი სიხარულით შეხვდა ჩემს აზრს საბერძნეთში შესაძლო გამგზავრების შესახებ და სულ მალე თბილისი-ათენის რეისით საქართველოდან გამოვემგზავრე...

**ძალიან მძიმე ხალხი აღმოჩნდა ჩვენი ერთმორწმუნე ბერძნები... მაცივრის კარებს საგულდაგულოდ მიკეტავდნენ, „ზედმეტი" რომ არ მეჭამა. ნოხის, ლეიბის, სუფრის ქვეშ ხურდა ევროებს მიყრიდნენ: აბა, როცა იპოვის, როგორ მოიქცევა, დაგვიბრუნებს თუ არაო... სახლს დღეში რამდენჯერმე არევდნენ, დაანაგვიანებდნენ და მიყურებდნენ, როგორ ვალაგებდი. სიკვდილს ვნატრობდი, ისე მექცეოდნენ...** ბერძნული ენა ძალიან მალე ვისწავლე (იქამდე კი ვიცოდი გერმანული, რუსული, თურქული და აზერბაიჯანული), გრამატიკულად გამართული ბერძნულით ვესაუბრები ჩემს დღევანდელ „პატრონს", რომელიც ხშირად მეუბნება: „ასეთი ბერძნულით, „კირია" თინა, დღეს ბევრი ველარ ლაპარაკობს ჩვენში და, გასაკვირია, შენ რომ ასე კარგად მეტყველებო. შრომა და ხვალინდელი დღის იმედი მასულდგმულებს აქ, თორემ კალამი ვერ დაწერს და ენა ვერ იტყვის, რა გაჭირვებით მოვედი დღემდე...

**ჩემი პირველი „პატრონი" მოხუცი კაცი რომ გარდაიცვალა, მარტო მე ვტიროდი... არც პანაშვიდი ჰქონია საცოდავს და არც მღვდელი მოსულა წესის ასაგებად. საავადმყოფოს ეზოში შეიკრიბნენ ნათესავები — ცოლი, შვილები — და პირდაპირ იქიდან წაასვენეს სასაფლაოზე. გზაში „ბაბუას" ცოლმა ფეხი მოიტეხა და, რადგან ოჯახს უკვე „გამოცდილი" ვყავდი, ახლა „ბებიას" მოვლა მთხოვეს შვილებმა. ღმერთმა არ გამწირა! წინა დღით უმუშევრად დარჩენილი ისევ მიჩვეულ „ჭირს" შევეჭიდე და რამდენიმე თვეში „კირია" (ბერძნ. ქალბატონი) ფეხზეც დავაყენე.**

საერთოდ, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სარეკომენდაციო ბარათებს", რომლებსაც ძველი „პატრონები" ახალ „პატრონებს" უგზავნიან! ჩემმა „ბებიამ", რადგან უკვე აღარ ვჭირდებოდი, თავისი დაქალის ოჯახში მუშაობა შემომთავაზა, რაზეც, რა თქმა უნდა, თანხმობა განვაცხადე...

ახალი ოჯახი საბერძნეთში ძალიან ცნობილ სანტექნიკურ ნაკეთობათა საწარმოს მეპატრონისა აღმოჩნდა. ფირმის პატრონი მეუღლითა და 5 შვილით უზარმაზარ ვილაში ცხოვრობს. სახლს გარშემო არაჩვეულებრივი სილამაზის ბაღი აკრავს, ეზოში კი სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის ცხოველები დასეირნობენ. ოჯახის უფროსი, ანუ ცნობილი ბიზნესმენი დ.კ. კარგი ადამიანი აღმოჩნდა; ბავშვები — ცელქები, გათამამებული და ზომაზე მეტად თავხედები... **სიტყვა „წესრიგი, ზრდილობა და თავაზიანობა" მათთვის უცხო ხილი იყო და ამიტომაც, როცა ოჯახი დიდ წვეულებებს მართავდა, ბავშვები ქალაქგარეთ გაჰყავდათ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად.**

დილით 6 საათზე ვდგებოდი, ვლოცულობდი და „ჩემი ჯვრის" სიმძიმეს ამგვარად ვამსუბუქებდი. შემდეგ პირველ სართულზე ჩამოვდიოდი, „პატრონს" ფუნთუშას ან ღვეზელს გამოვუცხობდი, ყავას მოვუდუღებდი და კარებამდე გავაცილებდი. მადლიერების თვალით მიყურებდა ის უბედური და რამდენჯერმე თვალზე ცრემლიც კი შევნიშნე, როცა ვუთხარი: „ღმერთმა ავისგან დაგიცვათ, წარმატებულ დღეს გისურვებთ". ***ოჯახში ძაღლად არ აგდებდნენ და ჩემგან ადამიანურმა მოპყრობამ გული აუჩუყა მილიარდელ კაცს.***

„შაბათი დღე ახლოვდებოდა, ე.ი. წვეულება უნდა გაემართათ ჩემს „პატრონებს". გავაკეთე აუარება ბუტერბროდი, გამოვაცხვე ნამცხვრები, გამოვწურე წვენები, მოვრთე-მოვკაზმე სუფრა და დაღლილი საღამოსთვის გავემზადე. „ოოო, რა სილამაზეა, დიზაინერი ვინ გყავდათ?.. ტელეფონი ჩაგვაწერინე... რა გემრიელია ყველაფერი, რომელ საკონდიტრო ფირმას შეუკვეთეთ? რა არაჩვეულებრივი ფერებია?!" — ისმოდა ყოველი კუთხიდან... სასტუმრო დარბაზში ლანგარზე დადებული რაღაც საჭმელი შემქონდა, ჩემმა „ქალბატონმა" დამსწრე საზოგადოებას მოახსენა: **„ყველაფერი ჩვენმა მოსამსახურე ქალმა მოამზადა, არ შეგეზიზღოთ, გემრიელად მიირთვით; ერთი, რაც მან კარგად იცის, სისუფთავე და ყოველდღე ლოცვააო",** — ირონიულად გაიცინა, ჭიქა დადგა და „მწუ, მწუ, მწუ"-ო ხელის მოძრაობით თავისკენ მიხმო. ლანგარი ხმაურით დავდგი. **„ქალბატონო, ჩემს სამშობლოში ასე ძაღლებს, ზოგადად, ცხოველებს, უხმობენ და თქვენ თუ თვლით, რომ მე ცხოველი ვარ, ძალიან შემცდარხართ! ერთადერთი, ვისაც ზღვაში გადაგდებული ღვთისმშობლის ხატის ხელით შეხების უფლება და მადლი მიეცა, ჩემი წინაპარი — ქართველი ბერი იყო... ამ წუთიდან ვტოვებ თქვენს ოჯახს, თუმცა არა განრისხებული. ღმერთმა გაპატიოთ თქვენი ამპარტავნება, გასაგებია?"** — მკაცრად ვუთხარი და წასასვლელად გავემზადე.

სტუმრები შოკში ჩაცვივდნენ — ჯერ ჩემი ბერძნულის ცოდნით, ხოლო შემდეგ — განვითარებული მოვლენების გამო.

სახლის უფროსი, ანუ ცნობილი ბიზნესმენი დ.კ. სირცხვილისგან სად წასულიყო, არ იცოდა. მე და სტუმრებს ერთად გვიხდიდა ბოდიშს, ნუ წახვალთ, მე მაპატიეთო. მისი მთვრალი მეუღლე კი თავისას არ იშლიდა და რამდენიმე წუთს კვლავ აგრძელებდა ჩემს შეურაცხყოფას: „ჰა, როგორია განათლებული მონა, მოგწონთ?" „აბა, შენ თუ ასეთი მცოდნე ხარ, ეს ნივთი რა არის?" — მანიშნა შალითაგადაკრულ როიალზე.

როიალს თავი ავხადე, მიშელ ლეგრანის უკვდავი მელოდია შევასრულე „შერბურის ქოლგებიდან", საზოგადოებას გამოვემშვიდობე, ბიზნესმენ დ.კ.-ს ანგარიშის გასწორება ვთხოვე და ერთ საათში ათენის ცენტრში მდებარე ფეშენებელური ვილა დავტოვე! 1300 ევროს მიხდიდნენ იმ სახლში, მაგრამ ღირსება მილიარდჯერ (და უფრო მეტადაც) მეტი ღირს! ჩემს ქვეყანაში, შესაძლოა, დამცირებულად მიმაჩნდა თავი, მაგრამ იმ დღეს უცხო მიწაზე ღირსებით აღსავსე ვიყავი და ჩემი ქართველობით — ძალიან ამაყი!

იმ ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ მდიდრების კვარტალში სამსახური არცკი მიცდია. საშუალო ფენის ბერძნებთან გაცილებით „მარტივია" ურთიერთობაც და თანაცხოვრებაც. ამჟამად ერთ მოხუც ქალს ვუვლი, დღეში რამდენჯერმე ვბან, ვასუფთავებ და ვკვებავ. მორწმუნე ბერძენია და მიადვილდება მასთან ურთიერთობა. ის კი არადა, მისმა ვაჟმა, რომელიც არქიტექტორია, ამასწინათ ცოლობა მთხოვა, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, რადგან ჩემს ასაკში (45 წლის ვარ) ქორწინება, შვილის გაჩენა და ა.შ. დიდი რისკია! ერთხელ გავრისკე (აქეთ როცა წამოვედი) და არ გაამართლა, ახლა ქორწინება გავრისკო და აქ ჩავრჩე, ეგეც არ მინდა! ალბათ, ისევ სამშობლოში დავბრუნდები, სადაც თითოეული ხე, სახლი, ეკლესია, მიწა და წყალი მშობლიურია და ყველაფერს განსაკუთრებული მადლი აქვს!"

**ირინე გოგოსაშვილი**

ადამიანის უფლებები

# პოლიტპატიმარ ვახანიას სასამართლო პროცესის დაწყებამდე იძულებით გაუკეთდა უცნობი პრეპარატის ორი ინიექცია

**აკადემიკოს ვახანიას ადვოკატმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს და საქართველოს იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში ვლადიმერ ვახანიას მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის გამო.**



**„2009 წლის 11 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ იქნა განსასჯელი, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვლადიმერ ვახანია, რომელსაც ტანსაცმელზე, კერძოდ, პერანგზე, ემჩნეოდა ფიზიკური ზემოქმედების კვალი, სახეზე კი — უაზრო გამომეტყველება, ჰქონდა დაბნეული გამოხედვა. ამ ვითარებამ დამაეჭვა. იმ დღეს მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ისე, რომ ვლადიმერ ვახანიას არ მიეცა საშუალება, წარმოეთქვა საბოლოო სიტყვა",** — აღნიშნა ადვოკატმა.

ერთი კვირის შემდეგ ვლადიმერ ვახანია თბილისის პირველ საპყრობილეში მოინახულა ადვოკატმა. მან ჰკითხა ვახანიას 11 სექტემბრის ვითარების შესახებ.

**„11 სექტემბერს, დაახლოებით 17 საათზე, ზუგდიდის მე-4 საპყრობილის მე-17 საკანში მასთან შევიდნენ საპყრობილის მუშაკები, მისთვის უცნობი ორი პირი. როცა ვახანიამ განუმარტა მათ, რომ შეუძლოდ იყო, არ შეეძლო წასვლა სასამართლო პროცესზე და განცხადების დაწერა მოითხოვა, ზემოხსენებულმა პირებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით ის წაიყვანეს სამედიცინო ნაწილში და ინიექციის გზით შეუყვანეს ორი პრეპარატი, რის შემდეგ იგი წაიყვანეს სასამართლო სხდომის დარბაზში. როგორც ვახანიამ განმიცხადა, იყო გაბრუებული და ბუნდოვნად ახსოვს მოსამართლის მიერ გამოტანილი 4-წლიანი განაჩენი. შემდეგ ის ჩასვეს მანქანაში, კვლავ გაუკეთეს ინიექცია ვენაში და წაიყვანეს თბილისის საპყრობილეში",** — განაცხადა ადვოკატმა.

საპყრობილეში ჩამოყვანისას ვახანიამ საპყრობილის ხელმძღვანელობას აჩვენა მის ხელზე არსებული ნანემსარი, რაც ადვოკატმა დააფიქსირებინა ექიმს. ადვოკატის თქმით, ვლადიმერ ვახანია ითხოვს მისი უგულებელყოფილი უფლებების დაცვას და დახმარებას.

**ლადო ქირია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# პრო-სკენ გაქვთ საქმე, თქვე პროვოკატორებო!

*„როცა დათვი თავს გესხმის, ბაბაია, ბაბაია! რომც უძახო, მაინც შეგახრამუნებს... უმჯობესია, თოფიან კაცს დაუძახო ან რომელიმე კავშირში გაწევრდე, მაგალითად, „მონკავშირში,“* — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა 6 აგვისტოს** ტელეარხ „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ეტყობა, **„მოქკავშირის“** საპარლამენტო ფრაქციის ყოფილ თავმჯდომარეს დაავიწყდა, რომ **„დათვი“ თავს დაგვესხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის „გავაღვიძეთ“ თოფის სროლით, თანაც — ზედ ყურის ძირში! ჩრდილოატლანტიკურ „მონკავშირში“ კი წინდახედულად არ მიგვიღეს, მარტო პამპერსებით დაგვეხმარნენ...** უფრო მეტიც:

— აშშ ახალი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა 6 აგვისტოს** მოსკოვს ვიზიტით ეწვია და განაცხადა, რომ ***„აშშ ამიერიდან გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის — საქართველოშიც“***;

— ნატოს ახალმა გენმდივანმა **ანდერს ფონ რასმუსენმა** თავის პირველ პრესკონფერენციაზე **ალიანსის ერთ-ერთ პრიორიტეტად *„რუსეთთან ნამდვილად პარტნიორული ურთიერთობების დამყარება“*** დაასახელა, ხოლო **6 აგვისტოს** „ინტერფაქსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნა, რომ **საქართველო ჯერ შორს არის ნატოში გაწევრებისგან;**

— რუსეთის პრემიერ-მინისტრმა **ვლადიმერ პუტინმა 6 აგვისტოს**, თურქეთში ვიზიტისას, ხელი მოაწერა 15 სამთავრობოშორის ხელშეკრულებას და 7 სპეციალურ ოქმს, რომლებსაც, თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელის **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** თქმით, ***„რუსეთი და თურქეთი სტრატეგიული თანამშრომლობის დონეზე აჰყავს“***;

— ისრაელის პრეზიდენტმა **შიმონ პერესმა,** რუსეთში ამასწინანდელი ვიზიტისას, განაცხადა: ***„ისრაელს ეჭვი არ ეპარება, რომ რუსეთი გულითადად მიილტვის მშვიდობისაკენ... რუსეთის როლი იზრდება, რადგან მსოფლიო გლობალური ხდება... არც ერთ ქვეყანას უფრო მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია ჰიტლერის დამარცხებაში, როგორიც რუსეთს! რუსეთი რომ არა, მსოფლიო ამ საფრთხეს ვერ გაუმკლავდებოდა“.***

ეს რა გამოდის?! **ჩვენი „უახლოესი მეგობრები — აშშ, ნატო, თურქეთი და ისრაელი — 08.08.08 ომის შემდეგ რუსეთს კიდევ უფრო დაუმეგობრდნენ?! სადღაა რუსეთის ტოტალური საერთაშორისო იზოლაცია, რომელსაც მას ჩვენი გამყიდველი პროვინციალი პოლიტოლოგები უწინასწარმეტყველებდნენ?!**




***„ცალი ფეხით უკვე ნატოში ვართ! „ნაბუკო“ მალე მოუღებს ბოლოს რუსეთს, როგორც ენერგომატარებლების ექსპორტიორს, მისი დაჟანგული მილსადენები ევროპას აღარ დასჭირდება! რუსეთში სამთავრობო კრიზისია, მედვედევი და პუტინი პრეზიდენტობისთვის ერთმანეთს დაჭამენ! რუსეთი სადაცაა დაიშლება ნაწილებად და ომი ჩეჩნეთში, დაღესტანსა და ინგუშეთში ამის დასაწყისია! რუსეთი არასდროს არსაიდან წასულა, სანამ პანჩურით არ გააგდებდნენ! ასე მალე გააგდებენ მას აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მთელი კავკასიიდან გააგდებენ!“***

— ტელეეკრანებიდან, წიგნებისა და კომპიუტერების სავალდებულო ფონზე თვალების ბრიალით ყოველდღე გვირეცხავდნენ ტვინს **პროქტოპოლიტოლოგი ცინცაძე** და ორი-სამი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე „გამჭრიახი„ გაიძვერები, რომლებიც ძალიან ჰგვანან **შურიკას** *„კავკასიელი ტყვე ქალიდან“* და ცხვრებს **(БАРаНОВ)** — ამავე ფილმიდან...

გასაკვირი არც არის, **პროვოკაციები** ხომ მათი **პროფესიაა**, ხოლო ამგვარი **პროპაგანდა — პროვინციელი** პოლიტიკური **პროსტიტუტების** საქმიანობა. ყველა ეს **პროგნოზი** ხელგაშლილად ანაზღაურდება **უცხოური სპეცსამსახურების, „თავისუფლების“ ინსტიტუტებისა და სოროს-ფონდების** მიერ (რაც ერთი და იგივეა)! **პროფესიონალი** მლიქვნელები ისეთი **პროფანებიც** არ არიან, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს — ისინი მხოლოდ საკუთარი **უკანალის** გადარჩენაზე ფიქრობენ, **უკანალით** ზუსტად გრძნობენ თავიანთი პატრონების სურვილებს და **უკანა** რიცხვით (პოსტფაქტუმ) ყოველთვის ამართლებენ მოქმედი ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს, რის გამოც ამ ვიგინდარებს **პროქტოპოლიტოლოგებს** ვეძახი (*ბერძნ.* **proktos — უკანალი**), თუმცა მათი **პრო**-ს თამაში — **პროამერიკული, პროევროპული** – უკვე არავის სჭირდება და ამგვარი მათი **„პროკოლები“** უეჭველად პოლიტიკური **პროზექტურით** დასრულდება.

აი მათი „შორსმჭვრეტელობის“ ყველაზე ცინცხალი მაგალითიც: 2009 წლის 17 სექტემბერს **ბარაკ ობამამ** განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს, **უარი თქვას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტზე** – ე.წ. **პრო**-ზე **(ПротивоРакетная Оборона) უწინდელი სახით** — საშახტო ბაზირების 10 რაკეტის განთავსებაზე პოლონეთში და რადარზე — ჩეხეთში. პენტაგონმა მიიღო განკარგულება, შეუდგეს **პრო**-ს სისტემის კორექტირებული არქიტექტურის შექმნას ევროპაში, რომლის საფუძვლადაც გამოიყენებენ რაკეტსაწინააღმდეგო და სახმელეთო კომპლექსებით **«Standard-3»** აღჭურვილ ხომალდებს, **ხოლო რუსეთმა წინადადება მიიღო, პროექტის სრულფასოვანი მონაწილე გახდეს** — **იტვირთოს პრო-ს რადიოსალოკაციო უზრუნველყოფა და ამ მიზნებით აამოქმედოს არმავირის უახლესი რადიოსალოკაციო სადგური** (Армавирская РЛС), **რომელსაც, კომპეტენტური წყაროს ცნობით, თავისი პარამეტრებით მსოფლიოში ანალოგი არ აქვს!**

ჩვენი **პროქტოპოლიტოლოგები** კი უმალ აყვირდნენ: ***„მორჩა! რუსეთმა დაკარგა მოქმედების თავისუფლება კავკასიაში — ის მთლიანად აშშ კონტროლქვეშ მოექცა, რომელიც გამოიყენებს მის რადარს და ამით ხელ-ფეხს შეუკრავს!“*** (?!). მათ მიბაძეს სამთავრობო ტელეარხების „ჯიბის“ ტელეწამყვანებმაც („საზოგადოებრივი ტელერადიომაუწყებლობა — 1 არხი“, „რუსთავი 2“, „იმედი“), რომლებმაც თავიანთი **პროვინციალიზმის**, თანდაყოლილი უნიჭობის, მწირი ინტელექტისა და **რუსული ენის უცოდინარობის გამო სიმართლედ მიიღეს** ნატოში რუსეთის წარმომადგენლის **დიმიტრი როგოზინის ოხუნჯობა,** რომელმაც განაცხადა, რომ ***„ახლა უკვე აშშ რადარს უეჭველად საქართველოში განათავსებს, რადგან ამისათვის მთიანი ლანდშაფტია საჭირო!“* — და ეს ამბავი მთელ საქართველოს მოსდეს...**

არადა, დიდი ჭკუისკოლოფობა არ უნდა იმას, რომ, უბრალოდ, გაიხსენო:

**— ეს ინიციატივა ობამას ნოუ-ჰაუ არ არის, 2007 წელს ვლადიმერ პუტინმა ეს იდეა ჯორჯ ბუშს შესთავაზა — გაბალის რადიოსალოკაციო სადგურის** (Габалинская РЛС) გამოყენება ჩეხეთსა და პოლონეთში ამერიკული **პრო**-ს სისტემების ალტერნატივად, თუმცა ამერიკელმა სამხედროებმა, გაბალის მონახულების შემდეგ, განაცხადეს, რომ საბჭოთა ხანაში აგებული რადიოსალოკაციო სადგური ვერ შეცვლის რაკეტსაწინააღმდეგო რადარს, რომლის აგებაც დაგეგმილია ჩეხეთში;

— **პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ** ლონდონში ა.წ. **1 აპრილს „G 20“-**ის ფარგლებში აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის **ბარაკ ობამასა** და რუსეთის პრეზიდენტის **დიმიტრი მედვედევის** შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა: ***„საქართველოს თემა, შესაძლოა, ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენონ ამ დიდ ვაჭრობაში, რომელიც ბოლოს და ბოლოს იმით დასრულდება, რომ საქართველოს მიატოვებენ... ჩვენი მხრიდან დიდი პროვინციალიზმია იმაზე ფიქრი, თითქოსდა ამერიკა საქართველოს გულისთვის ვინმესთან კონფლიქტს გააჩაღებს: ეს არასდროს მომხდარა და არც ახლა მოხდება! დარწმუნებული ვარ, რომ აშშ თავისი ინტერესებისთვის გამოგვიყენებს დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში, შემდეგ კი მიგვატოვებს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა გაჭირვებისას. მალე მოხდება ეს თუ მოგვიანებით, მნიშვნელობა არ აქვს. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება არ არის მზად იმ მომენტისათვის, როცა ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოსთან, როგორიც რუსეთია, პირისპირ აღმოჩნდა მოგვიწევს, და მეზობლებთან, რომლებთაც ერთადერთი სურვილი ამოძრავებთ — ტერიტორიები წაგვართვან“***;

— მაშინაც და მოგვიანებითაც (**6-8 ივლისს** მოსკოვში **რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების სამიტის** შედეგების კომენტირებისას როცა აღვნიშნე, რომ საქართველოს პრობლემა თითქმის ერთადერთი აღმოჩნდა, რომლის თაობაზეც არ იქნა მიღწეული **ოფიციალური შეთანხმება**) **გამოვთქვი აზრი, რომ ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა მსოფლიო პოლიტიკაში, როცა ოფიციალური ხელშეკრულების არარსებობა არ გამორიცხავს (გულისხმობს) არასაჯარო შეთანხმების მიღწევას;**

— იმავე სამიტის კომენტირებისას **ალექსანდრე ჭაჭიამ** განაცხადა: ***„ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მოლაპარაკებებისას საქართველოს საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი იყო. ეს, რასაკვირველია, ბლეფია — საქართველოს შესახებ საგანგებოდ არ უმსჯელიათ, ჩვენი ქვეყანა სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების საკითხზე მსჯელობისას კი ობამამ აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი დღის წესრიგში არ დგას... ფაქტია, რომ ამერიკა მზადაა, რუსეთს საქართველო დაუთმოს და სანაცვლოდ მიიღოს ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება — საჰაერო დერეფანი ავღანეთზე, რომლის გავლითაც 4500 ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი გაფრინდება. რუსეთმა კი სანაცვლოდ, როგორც ჩანს, მოქმედების თავისუფლება მიიღო პოსტსაბჭოურ სივრცეში“***;

— **ზემოხსენებული სამიტიდან 10 დღის შემდეგ ჩვენი პროგნოზები ირიბად დადასტურდა** — მიმდინარე წლის **16 ივლისს** აღმოსავლეთ ევროპის ექს-ლიდერებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საუკუთესო ტრადიციების მიხედვით, მისწერეს ***„ღია წერილი ობამას ადმინისტრაციას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან“,*** სადაც 22 ახირებულმა (როგორც მათ პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლეშეკ მილერმა უწოდა) **შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ *„ვაშინგტონი მოსკოვის დაკრულზე აცეკვდა და მსოფლიო ჟანდარმის როლზე უარი განაცხადა, შედეგად კი ბედის ანაბარა მიატოვა ნატოს დასუსტების გამო დაუცველი ევროპა“***;

— გასულ კვირას კი **ჩვენი პროგნოზები პირდაპირ დადასტურდა:** აშშ-ის მიერ ევროპაში მესამე პოზიციური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის (**პრო**-ს) განთავსებაზე უარის თქმის ფაქტი კრემლისა და ვაშინგტონის ადმინისტრაციის შეთანხმების ლოგიკური შედეგია და მათ რეალური პრეტენზიები აქვთ — მთელი მსოფლიოსთვის პოლიტიკური სალადმოაზროვნეობისა და კომპრომისის ხელოვნების ეტალონად იქცნენ. **ორივე მხარემ წარსულს ჩააბარა მეტოქეობა და ზოგიერთი უთანხმოებაც უკანა პლანზე გადაწია (მათ შორის, საქართველოს თაობაზეც!) და უპირატესობა მიანიჭა პირველხარისხოვან, მათთვის საქართველოზე გაცილებით მნიშვნელოვან პრიორიტეტებს — თავიანთი ნაციონალური ინტერესებისა და ნაციონალური უსაფრთხოების დაცვას!**

თუმცა ჩვენი წინდაუხედავი პოლიტიკოსები და მოღალატე **პროქტოპოლიტოლოგები** უწინდებურად დაყრუება-დაბრმავებას ამჯობინებენ, რადგან საზოგადოების გათვითცნობიერება და მისთვის თვალის ახელა მათ ინტერესებში არ შედის! თითქოსდა არ იციან, რომ:

სანამ აშშ და ნატო ემუქრებიან ირანს, ომობენ ავღანეთსა და ერაყში (ვერც იმარჯვებენ და ვერც მიდიან...), უნებლიეთ ერთვებიან პაკისტანის შიდაკონფლიქტში **(რომელმაც 7000 კმ რადიუსის მოქმედების ახალი საკონტინენტთაშორისო რაკეტების დამუშავება დაიწყო!), ჯიჰადის ვექტორი** — მილიარდობით მუსლიმანის სიძულვილი, რომლებიც დიად ისლამისტურ რევოლუციასა და შარიათის კანონების გამარჯვებაზე ოცნებობენ — **მიმართული იქნება ნატოს წევრი ქვეყნებისა და მათი ერთგული მოკავშირის ერაყსა და ავღანეთში — საქართველოსადმი**, რომელიც, **ა. ჭაჭიას** თქმით, **„ირანზე იერიშის შემთხვევაში, გადაიქცევა საომარ პლაცდარმად აშშ-ისთვის, რომელსაც თავის ინფრასტრუქტურას დაუთმობს“. შესაბამისად, აქ რადარების ან რაკეტების** (**«Standard-3» или MIM-104 «Patriot»** ტიპის სახმელეთო კომპლექსების) **განთავსების მოსურნე ან შეშლილია, ან მოღალატე;**





— არც ავღანეთს, არც პაკისტანს, არც ირანს და საუდის არაბეთს, ისრაელს ან სამხრეთ კორეასაც კი **არ გააჩნია** საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, **რომელთა მოქმედების რადიუსი 1200 კმ-ს აღემატება და ამრიგად, შეუძლებელია, საფრთხეს წარმოადგენდეს ევროპისა და, მით**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

უმეტეს, ამერიკისათვის! **სამაგიეროდ, გააჩნია რაკეტები, რომლებიც იოლად მიაღწევენ ამერიკის მოკავშირე საქართველომდე!** მარტო პაკისტანს 80 ბირთვული ქობინი აქვს;

ვაშინგტონის ახალ ადმინისტრაციას ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროექტის განხორციელება რომც არ შეეწყვიტა და საქართველო მისი მოქმედების ეფექტიანობის ზონაში მოხვედრილიყო, **სარაკეტო იერიშის შემთხვევაში — რაკეტა მის საჰაერო სივრცეში რომც გაენადგურებინათ — ის მაინც განადგურებული იქნებოდა!** ამგვარი რაკეტების ნამსხვრევი, რომელიც სულ რაღაც 100 გრამს იწონის, **ხუთსართულიან** შენობის საძირკვლამდე ჩაიტანს (!), მიწაზე კი, ცხადია, ამაზე დიდი ნამსხვრევებიც ცვივა... **მაშ, რაღა მნიშვნელობა აქვს — თავზე ისლამისტ ტერორისტთა რაკეტა დაგვეცემა, თუ მისი ნამსხვრევი ამ რაკეტის „წარმატებით“ გზად დაჭერის შედეგად?!**

კიდევ ბევრი რამის გაგება არ სურთ ჩვენს არაადეკვატურ **პროქტოპოლიტოლოგებს** — პოლიტჰემოროის სპეციალისტებს, კერძოდ კი:

— **რუსეთი ამერიკას არა მარტო საჰაერო-სატრანსპორტო დერეფნის ან ზეძლიერი რადარისთვის, არამედ მოკავშირედ სჭირდება, როგორც დარეგულირების გარანტი ახლო აღმოსავლეთში, მედიატორი ირანსა და ავღანეთში, პარტნიორი ტერორიზმთან, ნარკოტრაფიკთან, მეკობრეობასთან ბრძოლაში;**

— **პრო-ს სიტემა აშშ-სა და ევროპას, პირველ რიგში, არა თალიბების ან ირანისაგან თავის დასაცავად სჭირდება** (რომელსაც მხოლოდ 2015 წლისათვის აქვს შანსი, ბირთვულ სახელმწიფოდ იქცეს, და ესეც საეჭვოა!), **არამედ სერიოზული ბირთვული პოტენციალის მქონე ისრაელისგან თავის დასაცავად, რომელიც, სავარაუდოდ, მისთვის გენეტიკურად საძულველ სპარსეთს, ანუ ირანს შეუტევს და ამით ჯაჭვურ რეაქციას ანდა მსოფლიო ბირთვულ ომს გამოიწვევს;**

— რუსეთმა კალინინგრადის ოლქში **„ისკანდერების“** განთავსებაზე, შესაძლებელია, თავი შეიკავოს აშშ-ის უარის საპასუხოდ — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტები ჩეხეთსა და პოლონეთში განეთავსებინა — და არა ამ უკანასკნელების მიმართ რაღაც შუღლის გამო, ანდა იმის გამო, რომ ამერიკული რაკეტები საფრთხეს წარმოადგენდნენ მისი **„ტოპოლებისთვის“: რუსეთი წინააღმდეგი გახლდათ ევროპაში პრო-ს მესამე პოზიციური რაიონის განთავსებისა იმის გამო, რომ ჩეხეთში რადარი-თურთ, რომელიც ურალამდე რუსეთის მთელ ტერიტორიას გააკონტროლებდა, ის რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა მის ნაციონალურ ინტერესებს!** გარდა ამისა, განა სასიამოვნოა, როცა საკუთარ სახლში გაშიშვლებულს (სააბაზანოში ან საძინებელში) გითვალთვალებენ, თუნდაც მეზობლები ან მეგობრები?!

**გაბალის რადიოლოკაციური სადგური *(„დარიალის“ ტიპის რადიოსალოკაციო სადგური)*** სარაკეტო თავდასხმის გაფრთხილების შესახებ რუსეთის სისტემის შემადგენელი ნაწილია, მდებარეობს აზერბაიჯანში, ქალაქ გაბალის მახლობლად. საბრძოლო მორიგეობაზეა 1985 წლიდან, ტექნიკური რესურსი - 2012 წლამდე. თავისი პარამეტრებით აღემატება ბევრ ამერიკულ სადგურს, მათ შორის — ალასკაზეც. სადგურის მუშაობის ეფექტიანობის რადიუსი 6000 კმ-ს აღწევს (საკმარისია იმისათვის, რომ აღკვეთოს რაკეტების გამოშვება ინდოეთის ოკეანის აკვატორიიდან; ამასთან, მისი მეთვალყურეობის არეში ხვდება თურქეთის, ერაყის, ირანის, ინდოეთისა და ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფო); აფიქსირებს არა მხოლოდ რაკეტების გამოშვებას, არამედ თვალს ადევნებს მათი მოძრაობის ტრაექტორიასაც, რაც საშუალებას იძლევა, გამოყენებული იქნეს საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის. აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მის მფლობელობაში მოქცევის შემდეგ, რუსეთმა განაგრძო მისი გამოყენება საიჯარო პირობებით: რუსეთ-აზერბაიჯანის შეთანხმებას გაბალის რადიოლოკაციური სადგურის თაობაზე ხელი მოეწერა 2002 წელს ათწლიანი ვადით, მისი საიჯარო ღირებულება წელიწადში 7 მლნ დოლარს შეადგენს, თუმცა რუსეთს სადგურის გამოყენება 2012 წლის შემდეგაც შეუძლია (ვაშინგტონის წინა ადმინისტრაცია ამ ფაქტის გათვალისწინებით ბაქოს სადგურის აშშ-თვის მიყიდვას სთავაზობდა).

**არმავირის რადიოლოკაციური სადგური *(„ვორონეჟის“ ტიპის ახალი თაობის რადიოლოკაციური სადგური)*** აგებულია არმავირთან ახლოს, კრასნოდარის მხარეში და გათვალისწინებულია კოსმოსური სივრცის გასაკონტროლებლად, სარაკეტო იერიშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და მონაცემთა გადასაცემად სახელმწიფო და კოსმოსური სამმართველოების პუნქტებში. ასევე, იგი კრებს საჭირო ინფორმაციას მოსკოვის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისათვის; ექსპლუატაციაშია 2009 წლის თებერვლიდან, სადგურის სრულად ამუშავებამ უზრუნველყო რუსეთის დაცვა სამხრეთით, ყველაზე სახიფათო სტრატეგიული მიმართულებით, ჩრდილო აფრიკიდან ჩინეთამდე. თავისი ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლებით ტოლს არ უდებს „დნეპრ-მ“ და „დარიალის“ ტიპის სადგურებს; ამასთან, გამოირჩევა განთავსების მცირე ვადით, კომპაქტურობით, მაღალი საიმედოობითა და ავტონომიურობით; ასევე, 40 %-ით ნაკლები საექსპლუატაციო ხარჯებით. თავისი პარამეტრებით, ის ბევრად აღემატება გაბალის რადიოლოკაციურ სადგურს — 128-მეტრიან ბეტონის მონსტრს, რომელსაც 2000 კაცი ემსახურება: არმავირის რადიოლოკაციურ სადგურს მხოლოდ ბეტონის მოედანი და 83 სამხედრო მოსამსახურე სჭირდება (ცვლაში); ის იყენებს 7-ჯერ ნაკლებ ენერგიასა და 50-ჯერ ნაკლებ სიმძლავრეს (0,7 მეგავატს 50 მეგავატის ნაცვლად) და, ამასთან, ეკოლოგიურად სავსებით უსაფრთხოა. ამიტომ, თუ რადიოლოკაციური სადგური აზერბაიჯანში ოდესმე აშშ-ის კონტროლქვეშ მოექცევა, არმავირის რადიოლოკაციური სადგურის ამუშავების შემდეგ რუსეთს ის პრაქტიკულად აღარც დასჭირდება.

# ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას დევნა შეწყვიტეს

**საქართველოს სამართლებრივ სივრცეში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა — წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა „რია ნოვოსტის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. სამართლებრივ სახელმწიფოში ეს ფაქტი ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა და არც არავის გააკვირვებდა, ჩვენთან კი ამ პრეცედენტმა თვით ეჭვმიტანილის გაოცებაც კი გამოიწვია; გაოცებულნი დარჩნენ იურისტებიც — ჟურნალისტის ადვოკატები.**



„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ვრცელი მასალა, რომელშიც ასახული იყო საქმის არსი. კერძოდ, ჟურნალისტ ბესიკ ფიფიას გამოძიება ადანაშაულებდა სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. იგი ეჭვმიტანილადაც ცნეს და გაუსვლელობის ხელწერილიც ჩამოართვეს. ავტომანქანის მართვის მოწმობაში, რომელიც 32 წლის წინათ გაიცა და რომლის დუბლიკატიც 18 წლის წინათ დამზადდა, მითითებული იყო B და C კატეგორიები. გამოძიება C კატეგორიის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებდა.

ალბათ, კურიოზი იქნებოდა თვით ქართული სამართალწარმოების პრაქტიკაშიც კი, ეს ამბავი ისეთ ცნობილ ჟურნალისტს რომ არ შემთხვეოდა, როგორიც ბესიკ ფიფიაა. სააგენტო „რია ნოვოსტიმ“, ბუნებრივია, განგაში ატეხა ამ ფაქტთან დაკავშირებით და მომხდარი შეაფასა აქციად, რომელიც ღიად არამეგობრულ ხასიათს ატარებს. ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფიფიას წინააღმდეგ აღძრულ საქმეს „პოლიტიკურად მოტივირებული“ უწოდა. სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ჟურნალისტზე ზეწოლის მიზანია არა მხოლოდ მასმედიის დაშინება, არამედ ყველა იმ ადამიანისა საქართველოში, ვისაც დამღუპველად მიაჩნია ახლანდელი რეჟიმის კურსი, რომელიც მეთოდურად ანგრევს რუსეთ-საქართველოს ტრადიციულ კეთილმეზობლობას ყველა ასპექტში.

**ჟურნალისტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას გამოეხმაურა ქართული და რუსული მედია, სააგენტო „ფრანსპრესი“ და გაზეთი „ლე მონდი“. გამოხმაურება მოვიდა ნიუ იორკიდანაც.**

## ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვა ჟურნალისტის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა.

**„ბესიკ ფიფია იმიტომ ამოირჩიეს, რომ რუსეთის ახალი ამბების სააგენტოში მუშაობს... მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, მოუხსნას მას ყველა ბრალდება და მისცეს თავისუფლად მუშაობის საშუალება“, — განაცხადა კომიტეტის დირექტორის მოადგილემ რობერტ მაჰოუნიმ. ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დატოვეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ, ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ და რუსეთის ჟურნალისტთა კავშირმა.**

საქართველოს ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკის დეგენერაციის დამადასტურებელი ამ სიტუაციის დასასრული კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ყველასთვის მოულოდნელი, თუმცა ლოგიკური იყო — 2009 წლის 7 სექტემბერს ეჭვმიტანილად ცნობილი ჟურნალისტის საქმეზე წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა 18 სექტემბერს შეწყდა. პროკურატურას სულ რაღაც 11 დღე დასჭირდა იმის გასარკვევად, რომ ბესიკ ფიფიას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, რადგან მისი მართვის მოწმობა ოფიციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო გაცემული. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნ. მახათაძე დადგენილებაში აღნიშნავს, რომ **„წინასწარ გამოძიებას არ გააჩნია საქართველოს სისხლის სამართლის 281-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების წაყენების საფუძველი — იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, საქმეზე რჩება მხოლოდ ეჭვი იმის შესახებ, რომ მას ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება, რაც კანონით დადგენილი წესით, არ დასტურდება...“** პროკურორი ამავე დადგენილებაში იმასაც აღნიშნავს, რომ **„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მოთხოვნათა თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ექვსი წელი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო მართვის მოწმობის დამზადების, გასაღებისა და შეძენის ნაწილში გასულია ექვს წელზე მეტი, რის გამოც, მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიება ვერ დაიწყება (გამოძიება დაწყებულია ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ნაწილში), ხოლო გამოყენების ნაწილში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბ. ფიფიას მიმართ განზრახვა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების შესახებ არ დასტურდება, რის გამოც საქმეზე წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს“.**

თავი დავანებოთ შეფასებითი კატეგორიებით მსჯელობას. დეგენერაციასთან გვაქვს საქმე თუ პროვოკაციასთან, ამაზე სააკაშვილის ხელისუფლებამ იმტვრიოს თავი. ჩვენ, უბრალოდ, შეკითხვები დავსვათ: **თუკი თავიდანვე ცხადი იყო (და გამოძიებამაც კარგად იცოდა), რომ მართვის მოწმობა 32 წლის, ხოლო მისი დუბლიკატი 18 წლის წინათ გაიცა, ნუთუ იმდენს ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ საქმეს პერსპექტივა არ ჰქონდა? კარგი, დავუშვათ, სიბრიყვით მოუვიდათ (რა, გაგიკვირდებათ?), რატომ არ გაითვალისწინეს ეჭვმიტანილად ცნობილი ფიფიას ადვოკატების არგუმენტები ანდა თვით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანაავტორის, ცნობილი იურისტის, ყოფილი გენერალური პროკურორის, პროფესორ გია მეფარიშვილის კომპეტენტური აზრი, რომელიც პირდაპირ აცხადებდა, რომ ბესიკ ფიფიას ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობდა?** არ გაითვალისწინეს და... იცით, რაც მოხდა — იძულებული გახდნენ საქმე შეეწყვიტათ.

თურმე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების შესახებ ბესიკ ფიფიას განზრახვაც არ დასტურდება. აბა, რას ედავებოდნენ ჟურნალისტს? მან ხომ თვითონ მიუტანა მართვის მოწმობის დუბლიკატი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს საგამოცდო განყოფილებას — გამომიცვალეთო. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ **„გამოძიება დაწყებულია ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ნაწილში“.** გაგიკვირდება პირდაპირ — **ჟურნალისტი საგამოცდო განყოფილებას მისაბმელიანი „კამაზით“ მიადგა?** აბა, რაში გამოიხატება **„გამოყენების ნაწილი“?** როდის გამოიყენა C კატეგორია, მოსკოვიდან თბილისამდე „რეფრეჟერატორით“ ჩამოვიდა?

ფიფიას ადვოკატის რეზო მხეიძის თქმით, ჟურნალისტის მართვის მოწმობაში C კატეგორიის ჩაწერა სახელმწიფო ორგანოს შეცდომაა და არა მისი დაცვის ქვეშ მყოფის. **„ბესიკ ფიფიას მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, რადგან მას არასოდეს გამოუყენებია მართვის მოწმობაში მითითებული C კატეგორია და არ ატარებდა სატვირთო ავტომობილს“, —** განაცხადა ადვოკატმა. ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოც“ წერდა — ამ სამი წლის მანძილზე თბილისში მოვლინებული ჟურნალისტი მხოლოდ რუსული მართვის მოწმობით სარგებლობდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს „მადლობა პატრულს“ არაერთხელ დაუჯარიმებია კიდეც. ამ საჯარიმო ქვითრებში სწორედ რომ რუსული „პრავაა“ მითითებული.

**ჟურნალისტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემდეგ „რია ნოვოსტის“ მთავარმა რედაქტორმა სვეტლანა მირონიუკმა განაცხადა: „ვიმედოვნებთ, რომ მომავალში „რია ნოვოსტის“ თანამშრომლების და თვით წარმომადგენლობის მიმართ პოლიტიკური ხასიათის ქმედებებს არ ჩაიდენენ...“**

როგორც ხედავთ, „რია ნოვოსტის“ მთავარი რედაქტორი „იმედოვნებს“. აი, ჩვენ,

## ქართველი ჟურნალისტები კი ბოლო ხუთი წლის მანძილზე აღარაფერს ვიმედოვნებთ. ჩვენ კარგად ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე. ეს ახლა უკვე, შესაძლოა, ჩვენზე კარგადაც კი იცის ჟურნალისტმა ბესიკ ფიფიამ, რომელიც სიხარულს არ მალავდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გამო.

**„საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს ეყოთ გამბედაობა, შეეწყვიტათ თავიანთივე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. და ეს, ჩემი აზრით, მათი დამარცხება არ არის, სამართლიანი გადაწყვეტილება მათვე ამშვენებს“, — თქვა მან.**

ბუნებრივია, ჩვენც ვიზიარებთ ცნობილი ჟურნალისტის ამ სიხარულს, მაგრამ აქვე დიდი წუხილით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის იმიჯის შემლახველი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

ამ ნაბიჯს მძიმე შედეგები მოჰყვება. და ეს დრო არც ისე შორს არის.

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



# თენგიზ სანაძე: ქვეყნის პრეზიდენტი ფაკულტეტსა და კათედრას ერთმანეთისგან ვერ არჩევდა, უზირად საუბრობდა

**განათლების სისტემა ქვეყნის ძლიერების დედაბოძია. ამაზე უნდა ფიქრობდეს ერი და დროდადრო კიდევაც უნდა ამოწმებდეს მის ხარისხს.
„ვარდების რევოლუციის“ შედეგად ჩატარებული განათლების რეფორმა დღეს უკვე განათლებისთვის მომაკვდინებელ, ეპიდემიურ ხასიათს იძენს. ეს ეპიდემია დროზე თუ არ ჩავაქრეთ, კატასტროფაა მოსალოდნელი. განათლების სისტემის მოშლა უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ნორმალური ყოფის მოშლას და, რაც სამწუხაროა, ჩერდება ერის გონებრივი უნარების ევოლუციის პროცესი.
განათლების სისტემის პრობლემებზე გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ სანაძე.**



**— ბატონო თენგიზ, როგორ ფიქრობთ, ჩატარებულ განათლების რეფორმას ღრმა პოლიტიკური მიზეზები განაპირობებდა, თუ ეს წინსვლისთვის აუცილებელი ნაბიჯი იყო?**

— ლომაიას რეფორმის პროექტი როდესაც მივიღეთ, დაკვირვებული თვალი მაშინვე დაინახავდა იმ აისბერგულ ქვეტექსტებს, რომლებიც ქართული უნივერსიტეტის განადგურებისკენ იყო მიმართული. განსაკუთრებით გამოიკვეთა რექტორის განუსაზღვრელი ვადით დანიშვნის საკითხი, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ უნივერსიტეტი საბოლოოდ კარგავდა ავტონომიურობას და ხელმძღვანელის დემოკრატიულად არჩევის შესაძლებლობას. ამით განათლების სისტემა ხდებოდა ხელისუფალთა პოლიტიკური ნების მძევალი, ანუ ვინც უნდოდათ და ვისაც საჭიროდ ჩათვლიდნენ, იმას აირჩევდნენ.

ამან განაპირობა ის სისასტიკე, რასაც „რეფორმის მამები“ იჩენდნენ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორი 1500 მეცნიერს ითვლიდა, რომლებიც სხვადასხვა ლაბორატორიის თანამშრომლები იყვნენ. მათი სახელფასო ფონდი მილიონ ასი ათას ლარს შეადგენდა. ერთ მშვენიერ დღეს მათ ხელფასები შეუწყვიტეს. წარმოიდგინეთ, ეს სალაროსთან აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტს 1500 მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასის ფონდი ჩამოაჭრა, რუსუდან ლორთქიფანიძემ ეს კონტინგენტი სამსახურიდან არ გაათავისუფლა და ისინი კარგა ხანს უნივერსიტეტის უხელფასო თანამშრომლებად ითვლებოდნენ. როგორც კი მოვიდა პროფესურის მიმართ ზიზღით გაჟღენთილი გია ხუბუა, 1500 მეცნიერი, ასე ვთქვათ „მოისროლეს“. ამაზე კი ნამდვილად შეიძლება თქმა, რომ „მსოფლიოში პირველად“ მოხდა — წინასწარ გაუფრთხილებლად 1500 კაცი სამსახურიდან გაუშვეს. ეს უპრეცედენტო საკითხია და ამის თაობაზე სასამართლო პროცესი დღესაც გრძელდება, მაგრამ უაზრო ჩიხშია შესული — საჩივრები ერთი ინსტანციიდან მეორეში გადადის, უკან ბრუნდება, უსასრულოდ ტრიალებს „მოჯადოებულ“ წრეში. და ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი მიზნით კეთდება — დაღალონ მეცნიერები, ვადები გაწელონ და საქმე სტრასბურგში არ წავიდეს, თორემ ამდენ ჯარიმებს ვეღარ აუვლენ.

**— კონკურსში მონაწილეობა ხომ ყველას შეეძლო, გათავისუფლებულებმა რატომ არ მიიღეს კონკურსის პირობები?**

— მე, პირადად, მედალოსანი გახლდით და 1947 წელს ყველა ფაკულტეტზე მედალოსნებს უკონკურსოდ იღებდნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც იაპონიაში ატომური ბომბი აფეთქდა და ატომურ ენერგიაზე დიდი კონფერენციები ტარდებოდა. ახალი გახსნილი იყო ნიკო კეცხოველის ინიციატივით ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი და იქ შევედი. მის მერე უნივერსიტეტს არ მოვცილებივარ, 45 წლის განმავლობაში ვიყავი რადიო-ფიზიკის კათედრის გამგე. ჩემს დარგში საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი და აღიარებული მეცნიერი ვარ. ჩემი ინიციატივითა და კათედრის თანამშრომელთა ძალისხმევით აღმოვაჩინეთ ულამაზესი მოვლენა — დისკრეტული გაჯერება, რომელიც დღესაც მაგნიტური რეზონანსის საერთაშორისო საზოგადოების ლოგო-ემბლემაა, რომელმაც მოხიბლა და აღაფრთოვანა მსოფლიო დონის, თვით ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსები.

საერთოდ, უნივერსიტეტში ფიზიკის უძლიერესი სკოლა გვქონდა. საქმე ისაა, რომ უნივერსიტეტს აკრედიტებული ჰყავდა 3000 პროფესორ-მასწავლებელი. კონკურსის თანახმად, უნივერსიტეტში 800 კაცი უნდა დარჩენილიყო. ფიზიკის ფაკულტეტის 115 მასწავლებლიდან სამსახურში 23 პედაგოგი რჩებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 5 პროფესორის ადგილს ერთი იკავებდა. ამას გამანადგურებელი დარტყმა, ანუ პოლიტიკური ნოკაუტი ჰქვია.

ცნობილია, რომ ნებისმიერი დარგის 40%-მდე შემცირება კატასტროფაა, ხოლო 80%-ით — მომაკვდინებელი დარტყმა სრული განადგურებისთვის. ჩვენ, რომელთაც გავუძელით 90-იანი წლების გაყინულ აუდიტორიებსა და მიზერულ ხელფასებს და, მიუხედავად ყველაფრისა, ფაკულტეტზე ყოველწლიურად 150-მდე სტუდენტს ვიღებდით და ვზრდიდით, ამგვარ კონკურსსა და დარტყმებს არაფრით ვიმსახურებდით.

ამ გაჭირვების პერიოდში ყოველწლიურად ფიზიკის ფაკულტეტზე 45 სტუდენტი მაინც აბარებდა მაგისტრატურაში, ხოლო 15 ასპირანტურაში რჩებოდა. ბოლო წლებში 4 კურსდამთავრებული მაგისტრი წავიდა ამერიკის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში. იქაური პროფესურა მათი მომზადების დონით გაოცდა. ერთი რომ ყოფილიყო, იფიქრებდნენ, ნიჭიერია და იმიტომო, ოთხის სიძლიერემ კი ისინი განათლების სისტემის სიძლიერეში დაარწმუნა. დიახ, ჩვენ ისეთი სისტემა გვქონდა, ვისაც სწავლა უნდოდა, დიდ ცოდნას იძენდა. ამერიკიდან წერილობითი მადლობაც გამოგვიგზავნეს.

ხუბუას დროს ამ ამერიკულმა უნივერსიტეტმა კვლავ მოითხოვა 10 წარჩინებული სტუდენტი, მოგვიმზადეთ და ჩვენ თვითონ დავაფინანსებთო. ხუბუას უნივერსიტეტს კი ეს აღარ შეეძლო, რადგან იმ ოთხი ახალგაზრდის გამზრდელები უნივერსიტეტიდან გააძევეს, უმუშევრად ისხდნენ და მათ დიდ გონებას დეპრესია ხრავდა. ეს ყველაფერი რეფორმით წინასწარ იყო დაგეგმილი და აწონილი, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ უნივერსიტეტისთვის 7 თვეზე გამოყო 4,5 მილიონი ლარი, რის შემდეგ, ვანო კილურაძის გათვლით, უნივერსიტეტიდან უნდა წასულიყო 4,5 ათასი პროფესორ-მასწავლებელი. სწორედ დედაუნივერსიტეტის გამიზნულად დანგრევას მოჰყვა პროტესტი...

**— როგორც მახსოვს, ამ პროტესტს პრეზიდენტიც გამოეხმაურა...**

— დიახ და გავოცდი. მან თქვა — რა ვქენით ჩვენ უნივერსიტეტში? — ფიზიკის კათედრა დავხურეთო. უნივერსიტეტის სისტემაში მისმა გაუთვითცნობიერებულობამ გულწრფელად გამაკვირვა, ქვეყნის პრეზიდენტი კათედრასა და ფაკულტეტს ვერ არჩევდა, უზირად საუბრობდა. მარტო ფიზიკის ფაკულტეტზე 10 კათედრა იყო. ვუყურებდი, ვუსმენდი და ყურებს არ ვუჯერებდი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „განათლების შესახებ“ კანონი დაირღვა. ეს მოწმედ მოყვანილმა ნოდარ გრიგალაშვილმაც აღიარა: „ეწერა ერთი და გაკეთდა მეორე, აბა, რა არისო?“ მაგრამ ჩვენი სარჩელი იმიტომ არ დაკმაყოფილდა, კონსტიტუცია არ დარღვეულაო. ამ დროს კონსტიტუციას თვითონვე ისე ცვლიან, ჭრიან და კერავენ, სანამ კანონს მხრებზე თექასავით არ მოიგდებენ. მათთვის პოლიტიკური ნება კანონზე მაღლა დგას. კანონი თუ შეაწუხებთ, ხელთათმანივით ცვლიან.

ამ რეფორმის ყველაზე ცუდი შედეგია ის, რომ უნივერსიტეტის სახელი შელახეს, აკადემიკოსებსა და პროფესორებს „ჩარეცხილები“ უწოდეს, ტაძრისეული სიწმინდე ფეხქვეშ გაიგდეს, უნივერსიტეტს უდიდეს მოაზროვნეთა შარავანდედი მოაცილეს.

**— მათ მიაჩნიათ, რომ ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორიც ჩვენ ვართ, მეცნიერება იმდენად არ სჭირდება, როგორც ტურიზმი...**

— ფეხი თუ არ აუწყე ტექნოლოგიების განვითარების ტემპს, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, არავინ სერიოზულად არ მიგიღებს. როდესაც ერი განათლებულია, ის ძლიერია. მაგალითად, გერმანია დამარცხდა და გაიძარცვა, მაგრამ სოციალისტურ ქვეყნებში ყველაზე ძლიერი იყო. რატომ? — იმიტომ, რომ ჰყავდა განათლებული მოსახლეობა.

იაპონია განათლებამ გადაარჩინა. დღეს იაპონიაში საყოველთაო სავალდებულო უმაღლესი განათლებაა, რამაც ის მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია. იაპონია განათლებასა და მეცნიერებაში დებს ეროვნული პროდუქციის 5%-ს, ანუ ასიდან 5-ს, ამერიკის შეერთებული შტატები 100 დოლარიდან — 3 დოლარს, ჩვენ კი 100 ლარიდან — 20 თეთრს. ცნობილი და დადასტურებული ფაქტია, თუ 1%-ზე ნაკლებს დებ მეცნიერებაში, მაშინ მეცნიერებიდან უკუგებას აღარ უნდა ელოდო. ჩვენსავით მცირერიცხოვან ფინეთში ძალიან მაღალი ცხოვრების დონეა.

ჩვენ უდიდესი განათლების ტრადიციული კერები გვქონდა კვალიფიციური კადრებით და მოისპო გაუნათლებელი, არაპროგრესულად მოაზროვნე ხელისუფლების გამო. მათ ან არ ესმით განათლების მნიშვნელობა, ან გამიზნულად აკეთებენ ყოველივეს.

დიდია სტუდენტთა გადინება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, ეს ნიჭის უმიზნოდ გაფლანგვაა, რადგან მათი უმეტესობა აღარ დაბრუნდება. თუ არა და... გაიხედონ, ნახონ, რამდენს დებენ სხვა ქვეყნები განათლებაში. ევროპის ქვეყნები გაისად 3%-ზე გადადიან. დიდ წყალს კი დიდი ნაფოტი მოაქვს.

ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოსული იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი. მისმა მოხსენებამ მე, პირადად, განმაცვიფრა. მათი უნივერსიტეტის ქსელის 208 000 სტუდენტს 156 000 მეცნიერი ემსახურება. უხეშად რომ ვთქვათ, ერთი ერთზე მოდის. მათი წლიური დაფინანსება 19,7 მილიარდი დოლარია, აქედან 73%-ს ხელისუფლება აფინანსებს, დანარჩენი სტუდენტური გადასახადებიდან, შემოწირულობებიდან და მცირე გადასახადბიდან ფინანსდება. ჩვენ მათ, როგორ შევედრებით, და თუ ქართული ნიჭი ამ უთანასწორო კონკურენციაში მაინც ბრწყინავს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ცოდნის შეძენის უდიდესი მისწრაფება გვაქვს.

განათლება ის გზაა, რომლითაც დღეს ხალხმა თავი უნდა გაიტანოს. ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა. ბაბუაჩემს 6 შვილი ჰყავდა და ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს ექვსივეს ასწავლა შვეიცარიაში, მოსკოვში, ოდესასა და თბილისში.

ილია ვეკუას მამამ იმისთვის, რომ ილია თბილისში გამოეგზავნა, კამეჩები გაყიდა. ერთმა გლეხმა დამცინავად უთხრა: „ე კამეჩები რად გაყიდე, შენც ახლა პროფესორი არ დაგიბრუნდესო!“. ილია ვეკუა აკადემიკოსი და საერთაშორისო დონის ბრწყინვალე მათემატიკოსი გახდა.

დღეს ამ მისწრაფების ალაგმვა ხდება, მაგრამ განათლება ჩვენი ზნის მარადი ლტოლვაა. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს დროებითია. ქართველი კაცი შეძლებს ნიჭი დღევანდელობის სამსახურში ჩააყენოს, მამულს არგოს და ზოგადსაკაცობრიო საქმეშიც თავისი წვლილი შეიტანოს.

**ესაუბრა
ლალი ზაზიაშვილი**

## ჯაბა ჯიშკარიანი: ყველგან ვიქნებით, სადაც კი მიშა სააკაშვილი გასართობად თუ მუცლის ამოსაყორად მივა



**„შეაჩერე ძალადობა, გადავარჩინოთ სიცოცხლე!“ — ამ ლოზუნგით 28 სექტემბერს, ხუთ საათზე, სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა „7 ნოემბერი“ პარლამენტის წინ მიტინგს გამართავს. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, მიტინგის მსვლელობისას გზა მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიკეტება, თუ ქუჩაში სათანადო რაოდენობის ხალხი გამოვა. რაც შეეხება მოძრაობა „7 ნოემბრის“ სამომავლო გეგმებსა და სტრატეგიას, ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი.**

— დარწმუნებული ვარ, 28 სექტემბრის აქციაზე უამრავი ხალხი მოვა; ყველა შემოგვიერთდება, ვინც ამ ხელისუფლების წყალობით ღირსებაშელახული და დამცირებულია; და კიდევ ერთხელ ვეტყვით მიხეილ სააკაშვილს, რომ ჩვენ არასდროს შევეგუებით ძალადობას, უსამართლობას და უკანონო ხელისუფლებას.

მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის ხელს შევუშლით და გავაპროტესტებთ საქართველოში პოლიციური სახელმწიფოს მშენებლობას, პოლიციის თვითნებობას, სიკვდილის ბრიგადების ბოგინს და მიშა სააკაშვილის, ამ ცანცარა ადამიანის განცხადებებს, რომ თითქოს ჩვენ ხულიგნები ვართ და კრიმინალების პლაკატებს ვაკრავთ ქალაქში. ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ ეძახიან გუთნის ქ. №23ა-ში აგებულ შენობას

**ორი წელიწადია, ძველი თბილისის მეშვიდე განყოფილების უფროსი ინსპექტორი ი. ალანია სისხლის სამართლის №06072332 საქმეს იძიებს ქ. თბილისში, გუთნის ქუჩის №23ა-ში მდებარე ორსართულიანი სახლის დანგრევის ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც 2007 წლის 12 ივნისს ამხანაგობა „მეტეხი 2005“-ის წარმომადგენლების დაკვეთით გუთნის ქ. №23ა-ში ახალი მშენებლობისთვის აუცილებელი ფუნდამენტის მომზადებისას მუშებმა მაია პაპალაშვილის კუთვნილ საცხოვრებელ სახლს საძირკველი გამოაცალეს და შენობის კედლის ჩამონგრევის საშიშროება ხელოვნურად შექმნეს. უკვე აგვისტოში კი პაპალაშვილის სახლის განადგურება დაიწყეს; კერძოდ, დაანგრიეს ავტოფარეხი, კიბე, სამზარეულო, ტერასა და სახლს სახურავი გადახადეს.**





# პროკურორების სახლს

## რაში ადანაშაულებს დაზარალებული მაია პაპალაშვილი პროკურორის მოადგილეს — თამაზ მეზონიას

როგორც დაზარალებულმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ამხანაგობა „მეტეხი 2005“-ის წევრები — მარინა თუმანიშვილი და ვახტანგ სიხარულიძე მშენებლობის დაწყებამდე დაუკავშირდნენ მას და სთხოვეს, 150 კვ. მ მიწის ფართი მიეყიდა. „მათ უარი ვუთხარი იმ მიზეზით, რომ სულ სხვა გეგმები მქონდა. ჩემგან უარის მიღების შემდეგ მიზანმიმართულად დაიწყეს ჩემი სახლის ნგრევა, რათა მათთვის სასურველ მიწის ფართს დაპატრონებოდნენ. როგორც მოგვიანებით გავიგე, ამხანაგობის წევრებს ისე შეუდგენიათ სახლის პროექტი, რომ მათი ბინის დიდი ნაწილი ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე უნდა მდგარიყო.

ყველა საბუთი მერიაში ჰქონდათ გაკეთებული, რომელსაც ხელს ურბანული დაგეგმარების თანამშრომელი, ვინმე მახათაძე აწერს, თუმცა საბუთების გაყალბებაში, მსგავს პროექტზე ნებართვა რომ გაცემულიყო, ძირითადად, ურბანული დაგეგმარების თანამშრომელი მარინა თუმანიშვილი მონაწილეობდა. ვფიქრობ, გარკვეული ფინანსური დაინტერესება ექნებოდა, თორემ დღეს უფულოდ გამარჯობას აღარავინ ამბობს.

როდესაც ზარალის ანაზღაურება მოვითხოვე და ზავრიევის სახელობის სეისმომედეგობის ინსტიტუტიდან ექსპერტები მოვიყვანე, მარინა თუმანიშვილი და ვახტანგ სიხარულიძე მუქარაზე გადმოვიდნენ: „ვერაფერს გვიზამ, რომელ ინსტანციაშიც მიხვალ, ყველგან ხალხი გვყავს. ფრთხილად იყავი, ეგ მიწაც არ დაკარგოო“. ამ მუქარის შემდეგ საჩივრები შევიტანე გენპროკურატურაში, ურბანული დაგეგმარების და ზედამხედველობის სამსახურებში, ყველგან, სადაც ხელი მიმიწვდებოდა. ყველა დოკუმენტში თვალნათლივ ჩანდა, რომ დანაშაულებრივი ფაქტი მოხდა, მაგრამ, რატომღაც, საქმე გაჭიანურდა, თუმცა ყველაზე ცუდი ამის შემდეგ დაიწყო — ამხანაგობის წევრებმა სასამართლოში საჩივარი შეიტანეს, თითქოსდა ჩემი კუთვნილი შენობა ავარიული იყო, რომელშიც არავინ ცხოვრობდა და რომელიც წვიმებმა იმდენად დააზიანა, რომ მშენებლობაზე დასაქმებული მუშების სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებდა.

მიზანმიმართულად შეიყვანეს რა სასამართლო შეცდომაში, მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება, ტერიტორია გაეწმინდათ ჩამონგრეული საშენი მასალებისგან. მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავების ნებართვა შენობის დემონტაჟისთვის გამოიყენეს. სახლიდან გამოიტანეს ჩემი კუთვნილი ნივთები, ავეჯი და სახლის ნგრევა დაიწყეს. ოთხი დღის განმავლობაში ღამის ორ საათამდე ანგრევდნენ. ვიძახებდი პატრულს, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ ეს უმსგავსობა შეეჩერებინა, დაჭერით მემუქრებოდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ პატრულის თანამშრომლებთან გარიგებულები იყვნენ. მოვითხოვე აღმასრულებელი. ეს უკანასკნელი შვებულებაში იმყოფებოდა. ასე ვანდალურად დამინგრიეს სახლი, რის შემდეგაც შემოიჭრნენ ჩემს ტერიტორიაზე და მშენებლობა დაიწყეს“.

ამხანაგობა „მეტეხი 2005“-ის წარმომადგენლების — ვახტანგ სიხარულიძისა და მარინა თუმანიშვილის უდავოდ უკანონო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით დაზარალებულის ადვოკატმა 2008 წლის ოქტომბერში მიმართა გამოძიებას და მასზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელ პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით.

ადვოკატი **მერაბ ჩიქოვანი: „მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი მტკიცებულებები არსებობდა, ვ. სიხარულიძისა და მ. თუმანიშვილის უშუალო მითითებებითა და ზედამხედველობით, მუშებმა როგორ გაანადგურეს მ. პაპალაშვილის საცხოვრებელი სახლი, ხოლო განადგურებული სახლის მიწის ნაწილზე დაიწყეს მშენებლობა (გამოძიების მიერ დაკითხული ექვსი მოწმე პირდაპირ მიუთითებდა აღნიშნული პირების დანაშაულებრივ ქმედებაზე, ხოლო ჩვენ მიერ წარმოდგენილი ფოტო- და ვიდეომასალებიდან ნათლად ჩანდა, თუ როგორ ანგრევდნენ პაპალაშვილის სახლს), პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარი განაცხადა. ძველი თბილისის პროკურორის მოადგილემ თამაზ მეზონიამ განგვიმარტა: „გაცნობებთ, რომ გამოძიებას მიეცა მითითება ქ. თბილისში, გუთნის ქ. №23ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევასთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ქმედებაში მონაწილე პირთა წრისა და მათი როლის განსაზღვრის მიზნით კომისიურ-კომპლექსური საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. დასკვნის მიღების შემდეგ გადაწყდება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი“.**

**2009 წლის 7 აპრილს გამოძიებამ მიიღო კომისიურ-კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის ექსპერტთა მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, კიდევ ერთხელ დადასტურდა ამხანაგობა „მეტეხი 2005“-ის წარმომადგენელთა დანაშაულებრივი საქმიანობა და იმ თაღლითობების მთელი ჯაჭვი, რომლებსაც ისინი ახორციელებდნენ წლების განმავლობაში, დღემდე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება არ ხდება“.**

საინტერესოა, რატომ არ ჩქარობს გამოძიება და მასზე ზედამხედველი პროკურატურა კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ზემოთ ნახსენები პიროვნებების წინააღმდეგ? რა აბრკოლებს ძველი თბილისის პროკურატურას და, განსაკუთრებით, პროკურორის მოადგილეს, ბატონ თამაზ მეზონიას (ის ამჟამად პროკურორის მოვალეობის შემსრულებელია), სამართლებრივ ჩარჩოებში იმოქმედოს? რატომ ლობირებს ამხანაგობის წარმომადგენლებს და ასე აშკარად რატომ არღვევს დაზარალებული პაპალაშვილის უფლებებს? ამის უკან გარკვეული კორუფციული გარიგებები ხომ არ იმალება ან, იქნებ, ვ.სიხარულიძესა და მ. თუმანიშვილს მაღალ ეშელონებში „კრიშა“ ჰყავთ და სწორედ ამიტომ დაემუქრნენ მაია პაპალაშვილს, — „ეგ მიწაც არ დაკარგოო“?

შესაძლოა, გამოძიების ობიექტურად წარმართვით იმიტომ არ არიან დაინტერესებულნი, რომ ამ საქმეში სხვადასხვა დაწესებულების არა ერთი თანამშრომელია „გასვრილი“. დანაშაულებრივ ქმედებათა ამ ჯაჭვში ჩართულნი არიან არა მხოლოდ ამხანაგობა „მეტეხი 2005“-ის წარმომადგენლები, არამედ საჯარო რეესტრის ის თანამშრომლები, რომლებმაც ყოველგვარი საინვენტარიზაციო გეგმისა და უფლებადამდგენი დოკუმენტაციების მოთხოვნის გარეშე რეგისტრაციაში გაატარეს მათი მიწის ნაკვეთი; მერიის მიწის დაგეგმარებისა და ურბანიზაციის სამსახურის ის წარმომადგენლები, რომლებმაც კონსტრუქციული გეგმის გარეშე გასცეს მშენებლობის ნებართვა და უფლება მისცეს, სახლზე სახლი დაეშენებინათ; ჩვენი „საამაყო“ პატრულის თანამშრომლებიც ოთხი დღის მანძილზე მშვიდად უყურებდნენ, როგორ უნგრევდნენ ქალბატონ მაიას სახლს და დაჭერითაც კი ემუქრებოდნენ; ძველი თბილისის პროკურორის მოადგილე, რომელიც საერთოდ არ არის დაინტერესებული დამნაშავეს დასჯით.

დაზარალებულმა ამ ორი წლის მანძილზე არა ერთ ინსტანციასა და უწყებას მიმართა (მათ შორის, პარლამენტს) წერილობით, რათა ობიექტურად მომხდარიყო მისი საქმის გამოძიება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქმე კვლავ იმ პიროვნების ხელში ხვდებოდა, ვის კეთილსინდისიერებაშიც ეჭვი ეპარებოდა.

დაზარალებული მაია პაპალაშვილი ფიქრობს, რომ გამოძიების გაჭიანურებით ცალკეული ჩინოვნიკები დროის მოგებას ცდილობენ. როდესაც ამხანაგობა მშენებლობას დაასრულებს და შენობა ექსპლუატაციაში შევა, შემდეგ ვეღარც მიწის ნაკვეთს დაიბრუნებს და აღარც ზარალს აუნაზღაურებენ.

**მაია პაპალაშვილი:** „ახალი შენობა მრავალსართულიანი სახლია და „პროკურორების“ სახლს ეძახიან. ის ერთ თვეში უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში, მშენებლობის ძირითადი ნაწილი დასრულებულია, სარემონტო სამუშაოებიღაა დარჩენილი და, როგორც ამ ობიექტის დაცვის წევრები ამბობენ, ცალკეული პროკურორები მშენებლობის ხშირი სტუმრები არიან, მუშებს მითითებებს აძლევენ, რა როგორ გააკეთონ. ვფიქრობ, ამ პროკურორებს თითო-თითო ბინას მისცემენ; აბა, მეზონია სხვა რა ინტერესების გამო გაწელავდა ამ საქმეს?! მობილურის ქურდობისთვის ერთი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით ადამიანს 15 წელს უსჯიან, ამათ კი, თითები არ მყოფნის ჩამოსათვლელად, იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი: ქურდობა, ყაჩაღობა, ძალადობა, მიტაცება, დანგრევა, თაღლითობა და ა.შ. ექვსი მოწმე ადასტურებს მათ დანაშაულებრივ ქმედებას. უამრავი ფოტო და ვიდეომასალა აქვს გამოძიებას, მაგრამ მაინც არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას. ძირითადად, თამაზ მეზონია მფარველობს ამ ამხანაგობის წევრებს“.

**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ გახდა ცნობილი, თამაზ მეზონია ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს მუშაობდა პროკურატურაში და ერთ-ერთი იმ პროკურორთაგანი იყო, რომელიც სიმართლის დადგენის ნაცვლად ფულის კეთებით იყო გართული. სამწუხაროა, რომ ასეთი მექრთამეებითა და ჯიბის ჩინოვნიკებითაა დაკომპლექტებული ცალკეული უწყებები და სიმართლის პოვნის ერთადერთ იმედად მრავალი ადამიანისთვის კვლავ სტრასბურგი რჩება.**

*ვინ არის კრიმინალი? — სანდრო გირგვლიანი, ზურაბ ვაზაგაშვილი, ბუტა რობაქიძე, გიორგი გამცემლიძე, ვალერი ფხაკაძე თუ რონ შავაძე (ეს უკანასკნელი აგვისტოს ომის ჩაფარცხვის გამო მოკლეს)?! რომელი ერთი იყო ამათგან კრიმინალი?!*

...კრიმინალი არის სააკაშვილი — ცანცარა ავანტიურისტი, ავადმყოფი ადამიანი, რომელმაც პირად ვნებებს და პირად ავანტიურას გადააყოლა ქვეყანა, ხალხი და საკუთარი გარემოცვაც კი. ეს კაცი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებს ვნების ანგელოზს და ეს ვნების ანგელოზი ჩვენ არაერთხელ დაგვიფრთხია, როცა მასთან მივსულვართ რესტორანსა თუ გასართობ ადგილებში.

ჩვენი კამპანია, რა თქმა უნდა, გაგრძელდება და ყველგან ვიქნებით, სადაც კი მიშა სააკაშვილი გასართობად თუ მუცლის ამოსაყორად მივა.

მე მას უკვე პრეზიდენტად აღარ მოვიხსენიებ, იმიტომ, რომ ის არის არა მთელი საქართველოს, არამედ მარნეულის, ხათუნა გოგორიშვილის და მიხეილ მაჭავარიანის პრეზიდენტი, ვინაიდან სწორედ ეს ადამიანები ცდილობდნენ, ექვსი იანვრის დილამდე აეწიათ პროცენტი 53,9-მდე, რომ „გამსვლელი ქულა“ შეეგროვებინათ სააკაშვილისთვის. ჩვენ გვაქვს ამის რეალური მტკიცებულება — ნაგავსაყრელზე ნაპოვნი ბიულეტენები, რომლებიც, ალბათ, ვერ ჩაყარეს საარჩევნო ყუთებში ან მორჩათ. სააკაშვილის ავანტიურებს არ უნდა შეეწიროს მთელი ქვეყანა.

**— ოპოზიციური პარტიებიდან რომელიმე თუ გამოეხმაურა თქვენს ინიციატივას 28 სექტემბრის აქციასთან დაკავშირებით?**

— ჩვენ დიდხანს ველოდებოდით ოპოზიციური პარტიებისა თუ ლიდერების გამოძახილს, თუმცა ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ გამოგვხმაურებია. კარგად მახსოვს მათი მოწოდებები და დაპირებები იმის თაობაზე, რომ არ დაიშლებოდნენ, სანამ სააკაშვილი არ გადადგებოდა. დღეს კი გული მიკვდება, როცა რუსთაველის გამზირს ცარიელს ვხედავ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«დიდხანს ველოდებოდით ოპოზიციური პარტიებისა თუ ლიდერების გამოძახილს, თუმცა ჯერჯერობით არც ერთი მათგანი გამოგვხმაურებია»**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართული ძიუდოს მესაფლავე დილარ ხაბულიანი გულით 24-წლიან ბოლმას ატარებდა

**„წლების განმავლობაში ხაბულიანს ჩემთან პირადი ანგარიშსწორების სურვილი ჰქონდა, ამიტომაც გამათავისუფლა ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან,“ — ამბობს შოთა ხაბარელი.**
**დილარ ხაბულიანი კი ხაბარელს უმადურობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ უსინდისო უნდა იყო, ვერ დაინახო, თუ რამდენი სპორტული კომპლექსი აქვს ძიუდიოსტთა ნაკრებს; „ამდენი არც ერთ გუნდს არ აქვს საქართველოში,“ — განმარტავს ხაბულიანი. მეეჭვება, ამ სპორტული კომპლექსების არსებობა მთლიანად დილარ ხაბულიანის დამსახურება იყოს. ისე კი, საქმე უნდა გააკეთო, რომ საზოგადოებამ დაინახოს.**


დილარ ხაბულიანი


შოთა ხაბარელი

ნოდარ ახალკაცის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან წასვლას წინ უსწრებდა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დილარ ხაბულიანის მიერ ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელ შოთა ხაბარელის თანამდებობიდან გათავისუფლება.

კირკიტაძე-ახალკაცის დაპირისპირება ხაბარელი-ხაბულიანის დუეტმა შეცვალა, რაც უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ორთაბრძოლაში რომ ხაბულიანი ძიუდოზე ნაკლებად ფიქრობდა, საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუმცა ფაქტია, რომ ფრაქციის — **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** — თავმჯდომარის მოადგილე ასეთ ბოლმას თუ ატარებდა გულით, ვერავინ წარმოიდგენდა.

## რა არის შოთა ხაბარელის გათავისუფლების რეალური მიზეზი?

შოთა ხაბარელი ამბობს, რომ დილარ ხაბულიანს მასთან პირადი ანგარიშსწორების სურვილი ჯერ კიდევ 1984 წელს გაუჩნდა, როდესაც იგი ხაბულიანის ნაცვლად, ძიუდოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ დანიშნეს.

„ხაბულიანთან მთავარი დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც მისი ნაკრების მწვრთნელობიდან გათავისუფლების 6 თვის თავზე ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მე დამნიშნეს. დილარ ხაბულიანი ისეთი ბუნების ადამიანია, რომ ვერ იტანს, როდესაც მის ადგილს სხვა იკავებს. ალბათ, ჰგონია, რომ ეს ადგილი მას მემკვიდრეობით ერგო,“ — ამბობს შოთა ხაბარელი.

მისი განმარტებით, გუნდის თითქმის ყველა წევრი ოლიმპიური კომიტეტისგან იმ ადამიანთა დასჯას მოითხოვს, ვინც მსგავს ხელოვნურ პრობლემებს უქმნის მათ.

„თქვენ, შეიძლება, არც კი იცით დაზუსტებით, რომ ჩემი გათავისუფლების შემდეგ ბიჭები საჭიდაო დარბაზში არ შედიან; ამბობენ, აღარ ვიჭიდავებთ მანამ, ვიდრე არ გაირკვევა სიმართლე და არ დაისჯება ის, ვინც ნამდვილად დასასჯელიაო. არადა, ამ სპორტსმენთა უმრავლესობა ძალიან ახალგაზრდაა, მათზე დგას დღეს ქართული ძიუდო. ამ ადამიანების გაშვება და დაკარგვა კი არაფრით არ შეიძლება. დილარ ხაბულიანს ძიუდო ნაკლებად აინტერესებს. ის გუნდის წევრებსაც კი არ იცნობს. წლების განმავლობაში ნაკრების შეკრებებზე არც კი მოდიოდა; ბევრჯერ მნიშვნელოვანი შეხვედრა მის გარეშე გამართულა.

თავად ხაბულიანი შოთა ხაბარელის ბრალდებას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ მასთან დაპირისპირების არანაირი პირადი მიზეზი არ გააჩნია.

„რაც შეეხება გუნდის წევრების ცნობას, მე პრეზიდენტი ვარ, ამიტომ არ მევალება, ყველას პირადად რომ ვიცნობდე, ხაბარელი კი მოვალეა, იცნობდეს მათ,“ — ირწმუნება დილარ ხაბულიანი.

**— ბატონო დილარ, შოთა ხაბარელი ბრალდებას გიყენებთ, რომ თქვენ სათანადოდ არ უწყობთ ხელს ქართული ძიუდოს აღორძინებას...**

— როგორ არ ვუწყობ! სხვათაშორის, ყველაზე მეტი სპორტული კომპლექსი დღეს ძიუდოს ფედერაციას აქვს.

**— თუმცა მთავარი კომპლექსი, რომელიც ხელისუფლებამ ძიუდოს ფედერაციას გადასცა, არასრულყოფილად ფუნქციონირებს, რადგან წყლის პრობლემა, უკვე ორი წელია, აწუხებთ.**

— წყლის პრობლემის არსებობას ვადასტურებ, მაგრამ ეს იმის ბრალია, ვინც სპორტული კომპლექსი ააშენა.

სპორტული კომპლექსი კი ძიუდოს ფედერაციას ხელისუფლებამ გადასცა. გამოდის, ხელისუფლების ბრალი ყოფილა მოჭიდავეებისთვის არასაკმარისად ხელსაყრელი გარემოს შექმნა. თუკი ხელისუფლებაა დამნაშავე, ესე იგი დილარ ხაბულიანის წვლილიცაა შექმნილ პრობლემაში, რადგან ის ქვეყნის მმართველი გუნდის წევრია და, ამასთან, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტია, რომელიც პირადად უნდა აკონტროლებდეს მოჭიდავეთა წვრთნას, რათა ჩემპიონატებსა და სხვადასხვა სახის შეჯიბრებაზე შედეგი მიიღოს. შედეგის მიღება კი ხაბულიანს მთელი გულით სურს, რათა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე სალაპარაკო ჰქონდეს.

ქართველი მოჭიდავეები უშედეგოდ მოითხოვენ კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუასთან შეხვედრას და იმუქრებიან, თუკი მათი პროტესტი დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაშინ თავიანთ კიმონოებს ფედერაციას უსახსოვრებენ. ამის შემდეგ კი გამორიცხული არაა, ტატამზე გამოსვლა თავად ხაბულიანსა და რურუას მოუხდეთ.

**შორენა გოგოლაძე**

# ახალკაცი ფანდარასტ!

## რაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა მოვიდეს, რეზო არველაძის დატოვება არ შეიძლება ფედერაციაში

**ქართულ ფეხბურთში არსებულ მძიმე ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში წერდა. გარდა იმ მიზეზებისა, თუ რამ მიიყვანა სპორტის ეს სახეობა საქართველოში უმძიმეს ვითარებამდე, მასალაში საუბარი იყო ნოდარ ახალკაცის „ბექგრაუნდზეც“. ახალკაცს რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა თანამდებობა, ამის მიზეზები ბევრი იყო. ვინაიდან ხმაურიან არჩევნებში „გამარჯვებულ“ ახალკაცს ყვითელი ბარათი უკვე მიღებული ჰქონდა, ვვარაუდობდით, რომ მალე მას მეორე ყვითელიც მოჰყვებოდა და ახალკაცს ფედერაციას დაატოვებინებდა. მისი „გაწითლება“ იმაზე ადრე მოხდა, ვიდრე ამას მკითხველი წარმოიდგენდა. მასალის გასვლიდან რამდენიმე საათში ნოდარ ახალკაცის გადადგომის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია და, ფაქტობრივად, 24 საათში თავადაც დაადასტურა.**
**ახალკაცი წავიდა, მაგრამ ვინ იქნება შემდეგი? გადაუსხამენ თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალ სისხლს, თუ კვლავ „ნოდარჯუნიორი“ დაბრუნდება სხვა სახელით? ვის „გაუფორმებს“ ხელისუფლება ამ სკამს?**

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლში სამარცხვინო შედეგი აჩვენა — ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო, რამაც გულშემატკივართა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო ახალკაცს სერიოზული გადაწყვეტილება მიაღებინა. „მე თავს ვერ მივცემ უფლებას, შევინარჩუნო ეს თანამდებობა და, შესაბამისად, ჩემივე სურვილით მივიღე გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ, მართლაც, ნიჭიერი თაობა გვეზრდება, რომელიც შეძლებს, ქართულ ფეხბურთს გამარჯვება მოუტანოს. ბოლო დროს მათი გამარჯვებები შემთხვევითი არ იყო, ამას წინ სერიოზული მუშაობა უძღოდა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მათი გამარჯვებების ნახვა შეგვეძლება“, — ეს ის ოფიციალური კომენტარია, რომელიც ნოდარ ახალკაცმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გააკეთა, ჟურნალისტების მიერ „მიყრილი“ კითხვები უპასუხოდ დატოვა და ფედერაციიდან — პირდაპირ აეროპორტში, აეროპორტიდან ბიზნესკლასით — სტამბულში, იქიდან კი გერმანიაში გაემგზავრა.

**რა იყო ნოდარ ახალკაცის უეცარი გამგზავრების მიზეზი?**

კულუარებში ბევრს საუბრობენ და, ალბათ, მალე გამომზიურდება კიდეც ის ვალები (საუბარია 28 მილიონ ლარზე), რომლებიც ახალკაცმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ფედერაციას დაუტოვა; ახალკაცს ფიფაუეფას მიერ გამოყოფილი თანხების (40 მილიონი ლარის) უმიზნოდ ხარჯვაშიც ადანაშაულებენ.

როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია ახალკაცის გადადგომის შესახებ, უკვე მის შემცვლელზე ალაპარაკდა საზოგადოება. ვინ შეცვლის ნოდარ ახალკაცს? ვინ არიან ზვიად სიჭინავა და მერაბ შარანგია?

ზვიად სიჭინავა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ პრეზიდენტია. როგორც ცნობილია, მას ზუგდიდში მილიონერს ეძახიან. ფული რომ რუსეთში იშოვა, ესეც ყველამ იცის. კარგ საქმეს რომ აკეთებს, ამას ფეხბურთელებიც ამბობენ და ფეხბურთზე შეყვარებული ადამიანებიც. „ბაიას“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კარგი თანამედროვე მოსამზადებელი ბაზა აქვს.

სიჭინავა მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პიროვნებაა. ვიდრე ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაუკავშირდებოდა, მის პოლიტიკურ მომავალზეც იყო საუბარი. ერთ-ერთი გულშემატკივარი გაოცებას ვერ მალავდა სიჭინავას კანდიდატურასთან დაკავშირებით და ამბობდა, რომ, თუკი სიჭინავას მოიყვანენ სათავეში, არაფერი შეიცვლება და ჯობს, ისევ ახალკაცი დააბრუნონო.

**„სიჭინავა ერთი თვის წინათ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად უნდოდა ხელისუფლებას, ახლა კიდევ — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. როგორც ჩანს, „ნოდარჯუნიორი“ სხვა სახელით დაბრუნდება.**

მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ, მიზანშეწონილი არ არის, კლუბის პრეზიდენტის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დანიშვნა. ინტერესთა კონფლიქტი აშკარაა და არაა გამორიცხული, სიჭინავამ ფედერაციის სათავიდან დაიწყოს საკუთარი გუნდის ინტერესების ლობირება.

**რაც შეეხება შარანგიას, მასზე მხოლოდ ის იციან, რომ ბიზნესმენია და რესტორნები აქვს. სპორტულ ფორუმებზე მასზე უფრო მეტი სარკაზმით საუბრობენ: „ეტყობა, ხელისუფლება მისი რესტორნების პიარს აპირებს, ნაკრების მაისურებზე შარანგიას რესტორნის სახელს დააწერინებს და, წაგების შემთხვევაში, რესტორანში დაგვპატიჟებს, რომ არ ვაგინოთო“.**

სიჭინავასა და შარანგიას, სავარაუდოდ, რევაზ არველაძე და „ჩვენი ფეხბურთიდან“ ჯამარაული, ყაველაშვილი ან ყიფიანი შეიძლება დაემატოს. რაც შეეხება ნემსაძეს, საფეხბურთო საზოგადოება მის კანდიდატურას გამორიცხავს. რევაზ არველაძე და გოგი ქავთარაძე (ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი) ამ ეტაპზე ფედერაციის ხელმძღვანელის მოვალეობას იყოფენ და ასრულებენ. არველაძეების საფეხბურთო ოჯახს ბევრი სცემს პატივს, მაგრამ, რაც შეეხება რევაზ არველაძეს, როგორც გულშემატკივრები ამბობენ, არ შეიძლება მუდმივად ყველას ნავში იჯდე და წარუმატებლობაზე პასუხს არ აგებდე. „რაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა მოვიდეს, რეზო არველაძის დატოვება არ შეიძლება ფედერაციაში“, — ასეთია გულშემატკივრების პოზიცია.

**მაგდა კლდიაშვილი**

## ახალკაცმა ფეხბურთის ფედერაციას 28-მილიონიანი ვალი დაუტოვა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილმა პატრულს მოქალაქეებზე ნადირობის სეზონი გახსნილად გამოუცხადა...

**ეროსი მანჯგალაძის გმირის — აღა გეურქას ეს სიტყვები გამახსენა ჩვენი პრეზიდენტის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულმა გამოსვლამ. სიმართლე გითხრათ, უკვე დავიღალე და მომბეზრდა მიშას სისულელეებზე რეპლიკების კეთება, მაგრამ რა ვქნა? ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ ისეთ „სატოპკეს აწევს“ ხოლმე, ძნელია, ცდუნებას გაუძლო და არ „ჩაარტყა!“ ინტერიერიდან გამომდინარე, მგონი, ავლაბრის სასახლეში აძლევდა ინტერვიუს 12-13 წლის გოგონას, მისი მშობლიური №51 სკოლის მოწაფეს. ჰოდა, გარეკა, მაგრამ რა გარეკა...**

მარგარეტ ტეტჩერი შარშან გავიცანიო და მაგისთანა პოლიტიკოსი მეორეც რომ იყოს ევროპაში, ჩვენი საქმე ასე შავად არ იქნებოდაო. მერე გაახსენდა, რომ ამის თქმა არ ვარგოდა. ჩვენ ხომ გამარჯვებულები ვართ... ხელში რაღაც ჟურნალისმაგვარი ეჭირა, რომელსაც ნორჩი „ჟურნალისტის“ თვალწინ ფურცლავდა.

**აი, მეც ერთ დროს შენსავით ნორჩი ჟურნალისტი ვიყავი და ჯერ კიდევ როდის ვიწინასწარმეტყველე, რომ ავღანეთში რუსები დამარცხდებოდნენო, ჰოდა, აი, ახლა შენ გეუბნები — რუსები ამ ომში (საქართველოსთან, — ავტ.) უფრო სასტიკად დამარცხდებიანო.**

არა, კი არ დამარცხდებიან, უკვე დამარცხდნენ, მაგრამ ჯერ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთო. ეს პარადოქსული სისულელე პირდაპირ ეთერში კი გაეპარათ, მაგრამ „მიშავიზიებმა“ დამონტაჟებულ გამოშვებებში სასწრაფოდ ამოჭრეს.

თუმცა ერთი „იალლიში“ მიშას ცენზორებსაც მოუვიდათ — მონტაჟის გარეშე, თანაც, მრავალჯერ გაიმეორეს ის პასაჟი, სადაც მიშა მთარგმნელობითი პოეზიის ასპარეზზე მიღწეული წარმატებებით ყელყელაობდა ნორჩი „კორესპონდენტის“ წინაშე.

**აბა, მოემზადე, ჩემო მკითხველო, რომ ელდანაცემი სკამიდან არ გადმოვარდე!**

**აი, ნახე: „ჰოი, თქვე არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა“ — ინგლისურად ვთარგმნე ეს ლექსიო.**

ამაზე თუა ნათქვამი: „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაქონდაო“. ბრძოლის ველზე რომ „უშიში ვითარცა უხორცო“ არის, ეს ხომ გორში გორაობით დაანახა მსოფლიოს; პოეზიის უბადლო მცოდნე დეკლამატორიც რომ არის, ეგ მთელმა მსოფლიომ თუ არა, მუხრან მაჭავარიანმა მაინც იცის, მაგრამ ლადო ასათიანის თარგმნასაც თუ მიჰყო ხელი, ეს ნამდვილად ახალი შტრიხია ჩვენი პრეზიდენტის მრავალწახნაგოვან პორტრეტში.

არა, ძმაო, მიშა მართლა მაგარია! იმდენად მაგარი, რომ ვაი ჩვენი ბრალი ამ „გენიოსას“ ხელში.

ღმერთო, შენ გვიშველე!..

ამასწინათ კიდევ ერთი დაკვირვებით გაგვაკვირვა, როცა პოლიციელის მკვლელობის სამწუხარო ფაქტის კომენტირებისას განაცხადა, რომ თურმე ეს ყველაფერი შეწყალების ინსტიტუტის ბრალი ყოფილა.

ეგ კიდევ არაფერი, მიშა რის მიშა იქნებოდა, ეს ტრაგედია სათავისოდ რომ არ გამოეყენებინა — „პოლიციელს რომ მოეკლა ეს ნაძირალა, ოპოზიცია მიტინგზე გამოფენდა მის სურათს, აი, უდანაშაულო მსხვერპლი ხელისუფლების ტერორისა. მათ სინდისზე იყოს, ვინც ადრე გამოფინა მსგავსი სურათები“. აშკარად მიანიშნა კორტებთან ჯერ ჩაცხრილული, შემდეგ „კანტროლკებით“ „გასტოპრაცენტებულ“ ვაზაგაშვილზე, 23 ნოემბერს დიდუბეში ორი გასროლით „შემთხვევით“ მოკლულ ბუტა რობაქიძეზე, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლულ სანდრო გირგვლიანზე.

რა არის ეს, თუ არა აშკარა მცდელობა მიშას მიერვე გამოცხადებული ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობის და პოლიციისთვის პირდაპირი მოწოდების — ხელი არ აგიკანკალდეთ, იარაღი უყოყმანოდ იხმარეთ! — გამართლებისა, რის შემდეგაც დაიწყო მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩებში ხალხზე ნადირობა, უმოწყალოდ ჩაცხრილვა, რასაც ზემოთ ჩამოთვლილი ახალგაზრდების გარდა, ათობით ადამიანი შეეწირა.

**პრეზიდენტის ამ აშკარა მინიშნების შემდეგ უმალ აღავღავდა პარლამენტის მონური უმრავლესობა. მათი ოდიოზური სახეები ლამის შეწყალების ინსტიტუტის გაუქმებაზე ალაპარაკდნენ.**

როგორც დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა განაცხადა, პრეზიდენტი ტყუის! რადგან ის მსჯავრდებული, რომელმაც პოლიციელი მოკლა, შეწყალების კომისიას არ შეუწყალებიაო. უფრო მეტიც, საპატიმროდან მისი დროზე ადრე გამოშვება პროკურატურის წარდგინებით მოხდაო... ანუ ის პირადად მიშამ შეიწყალაო.

დემოკრატიის არა ერთი ტალღის დგაფუნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ შეწყალების პროცედურების პირობების გადახედვის პარალელურად, ალბათ, ნულოვანი ტოლერანტობის ახალი ტალღა დაიწყება შესაბამისი ახალი მოწოდებით — ხელი არ აგიკანკალდეთ და იარაღის სასხლეტს თითი გამოჰკარით!

**დავით მხეიძე**

**P.S. ამასწინათ გირგვლიანის მკვლელების ვადაზე ადრე გამოშვებით (სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო, — ავტ.) მთელ ქართველ საზოგადოებას სილა ხომ გააწნეს? ჰოდა, კარგი იქნება, თუ სახელმწიფოებრივად აზროვნებას გააგრძელებენ და იმ პოლიციელის მკვლელს გაათავისუფლებენ, ქართულ საჯარისო ფორმირებასთან ერთად ავღანეთში რომ გააგზავნონ.**

**ერთმა კაცმა უბრალო დანით 3 შეიარაღებული პოლიციელი დაჭრა, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა. სილვესტერ სტალონეს დედა ვატირე — აბა „რემბო“ ეგ ყოფილა, თუ ყოფილა, და ავღანეთში აუცილებლად გამოდგება.**

# ელგუჯა მინაძე: საქართველოში ხელისუფლებაში მოსვლა იმიტომ უნდათ, რომ ბიუჯეტში ხელები აფათურონ და «წარმატებული ბიზნესმენები» გახდნენ

**საბერძნეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. 4 ოქტომბერს ამ ქვეყნის მოსახლეობა გადაწყვეტს, ვის ჩააბაროს მართვა-გამგეობა. ვადამდელი არჩევნების მიზეზად ეკონომიკური კრიზისი დასახელდა. ელინთა ცხოვრების პირობების შემხედვარე, ძნელად თუ იტყვი, რომ კრიზისმა მათ მძიმე დაღი დაასვა, თუმცა ამ ზაფხულს ეკონომიკა არ განვითარდა და მმართველმა ძალამ გლობალური ეკონომიკური კრიზისით კი არ გაიმართლა თავი, პასუხისმგებლობა იგრძნო. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს ბიზნესმენებმა და ეკონომიკის სპეციალისტებმა ხელისუფლებას გარკვეული ზომების მიღება მოსთხოვეს. უკვე მეორე დღეს კი პრემიერმა ხალხს მიმართა, ქვეყანა კრიზისშია და ამ ვითარებიდან გამოსასვლელად საჭიროა ახალი მანდატი, ამიტომ არჩევნებზე თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ვის ანდობთ სამშობლოს ბედსო...**
**ამ მაგალითითაც ცხადი ხდება, რომ საქართველოში არა მარტო ეკონომიკური, არამედ (და უპირველესად!) სინდის-ნამუსის კრიზისიც არის! სამშობლოდან გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეები მოსამსახურეებად უდგებიან ბერძნებს და თურმე მათთან კრიზისი ყოფილა. თესალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველოს“ თავმჯდომარესთან, საბერძნეთის სოციალისტური პარტიისა და ემიგრანტთა თანადგომის პრეზიდენტ ელგუჯა მინაძესთან დღევანდელი საუბრის ძირითადი თემა სწორედ საბერძნეთის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. ბატონი ელგუჯა საბერძნეთის პარლამენტის წევრობის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი კანდიდატია.**



ქართველი ელგუჯა მინაძე და ბერძენი სტელიოს პაპათემელისი ერთად იბრძოლებენ საბერძნეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის

**— ბატონო ელგუჯა, საბერძნეთის მმართველმა ძალამ ეკონომიკური კრიზისის გამო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. ჩვენთან კინაღამ დაიქცა მთელი საქართველო, მიტინგებიც გამოვიარეთ და ომიც, ლტოლვილთა ახალი ნაკადიც შეგვემატა, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია ამის გამო რაიმეს შეცვლა...**

— მე ამის შესახებ არაერთგზის მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენს ერს აქვს ავადმყოფობა და სანამ ამ სენისგან არ განვიკურნებით, ჩვენი საშველი არ იქნება — ხელისუფლებაში მოსვლა იმიტომ უნდათ, რომ ქვეყნის ბიუჯეტში ხელები აფათურონ და „წარმატებული ბიზნესმენები“ გახდნენ.

ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი პრობლემაა ისიც, რომ არ არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები და ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ ნორმალური არჩევნების ჩატარება. გამოდის, რომ ჩვენ არ ვართ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები და საქართველო მარტო სიტყვებით და ხმამაღალი შემოძახილებით გვიყვარს. ხალხი დაყოფილია გუნდებად, „კუტოკებად“ და „სასტავებად“... აბა, ასეთ ქვეყანაში წარმატებას როგორ მიაღწევ?

**— თქვენი აზრით, ეკონომიკური კრიზისის გარდა, რამ გამოიწვია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა?**

— როგორც მოგეხსენებათ, საბერძნეთი ტურისტული ქვეყანაა და სეზონზე 10 მილიონ და ზოგჯერ უფრო მეტ ტურისტს მასპინძლობს. ასევე, ყოველ ზაფხულს მთელ ქვეყანაში ხდება ფასდაკლებები, სადაც ჩანს, თუ რამდენად მყიდველუნარიანია საბერძნეთის მოსახლეობა. მოკლედ, ჩაიარა ზაფხულის სეზონმა და საბერძნეთის ეკონომიკურმა საზოგადოებებმა მაგიდაზე დაუდეს პრემიერ-მინისტრს, რომ საბერძნეთი ეკონომიკურად არ ვითარდება. პირიქით, ეკონომიკაში სერიოზული პრობლემებია და ამას, შეიძლება, ძალიან რთული განვითარება მოჰყვეს.

არჩევნების დანიშვნას, ასევე, წინ უძღოდა დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლებისა და წინა მთავრობის წევრების კორუფციული გარიგება. კერძოდ, ნაყიდი ჰქონდათ სახელმწიფო მიწები, სახელმწიფო ობლიგაციები და, ასევე, გარიგებული იყვნენ გერმანულ ფირმა „სიმენსთან“ და ამ ფირმისგან ფინანსდებოდნენ, რაც არსად არ იყო ასახული.

ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის მოხსნის მიზნით, პრემიერ- მინისტრმა კოსტას კარამანლისმა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო (წინა არჩევნები 2007 წლის შემოდგომაზე ჩატარდა და, კანონით, მორიგი არჩევნები 2011 წელს უნდა გამართულიყო).

**— კრიზისმა მთელი მსოფლიო და, მათ შორის, ევროპის სახელმწიფოებიც მოიცვა. არჩევნები კი მხოლოდ საბერძნეთში დაინიშნა...**

— საბერძნეთს აქამდე კრიზისი არ დასტყობია იმიტომ, რომ მას არ აქვს მძიმე მრეწველობა. აქ მთავარი ტურიზმია. ეტყობა, ნამდვილად გრძნობენ კრიზისს და ამის გამო ხალხს ანგარიშს უწევენ. ამასთან, მმართველი პარტია აცხადებს, რომ დიდი ოპოზიციური პარტია „პასოკი“ ქმნის ხელოვნურ კრიზისს, რაც შეიძლება აისახოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე, რომელიც მარტში გაიმართება (როგორც იცით, პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს). ამიტომ ხელისუფლებამ უფრო ღრმა პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად რიგგარეშე არჩევნები დანიშნა.

**— ჩვენს წინა ინტერვიუს გაგახსენებთ: მაშინ ქართველი ემიგრანტებისთვის შექმნილ საშიშროებაზე წუხდით, რომ, შესაძლოა, ისინი, ახალი კანონის თანახმად, საბერძნეთის ციხეებში აღმოჩენილიყვნენ. ამ მხრივ რა მდგომარეობაა?**

— რა თქმა უნდა, გახშირდა დაჭერები და მრავალი ჩვენი თანამემამულე იმყოფება ციხეში (ზოგი 6 თვით და ზოგი ერთი წლით). რაც შეეხება ბანაკებს, რომლებზეც ვსაუბრობდით, მათი საკითხი ჯერჯერობით შეჩერებულია. მას შემდეგ, რაც ზოგმა პოლიტიკურმა პარტიამ, მათ შორის, ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ („სოციალისტური პარტია და ემიგრანტთა თანადგომა“) და მრავალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ იგი გააპროტესტეს, შედეგი გამოიღო და შეჩერდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბანაკების თემა ისევ გააქტიურდება (ბერნული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას და დიდი მადლობა მათ, ვინც პოლიციას პირდაპირ ავტობუსებში უვარდებოდა და იყო ერთი შეხლა-შემოხლა ემიგრანტების დასაცავად, როდესაც მასობრივი აყვანები დაიწყეს).

**— როგორც ცნობილია, თქვენმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. კონკრეტულად ვისთან ერთად აპირებთ კენჭისყრას?**

— ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ალიანსში პარტია „დემოკრატიული აღმავლობა“, რომლის პრეზიდენტიც ბატონი სტელიოს პაპათემელისია. იგი 1974 წლიდან საბერძნეთის დეპუტატია; იყო საბერძნეთის საშინაო საქმეთა, განათლების, მაკედონია-თრაკიის უშიშროების მინისტრი; ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოაყალიბა პარტია, რომელიც მას შემდეგ იბრძვის მთავრობაში მოსასვლელად. ბატონი სტელიოს პაპათემელისს დიდი კავშირები აქვს ეკლესიასთან. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად ძლიერია ბერძნული ეკლესია.

**— დაბოლოს, ქართული ხასიათი ამჯერადაც ხომ არ იჩენს თავს — ურთიერთდაპირისპირებული ქართული ემიგრაციის მხარდაჭერის იმედი რამდენად გაქვთ?**

— რა მოგახსენოთ?! სამწუხაროდ, ცოტა ქართველს აქვს ხმის მიცემის უფლება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აქ მცხოვრებ ქართველებსაც შეუძლიათ დახმარება და მხარში ამოდგომა. ამის იმედი ნამდვილად მაქვს. დაპირისპირების მოსურნე ერთეულები, რა თქმა უნდა, იქნებიან, მაგრამ ეგ არაფერი.

ქართულ პრესაში ძალიან ბევრს წერენ სომხურ, ებრაულ, ბერძნულ ლობზე სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენ რატომ არ შეგვიძლია, შევქმნათ ქართული ლობი და ვიმოქმედოთ? დღეს არ შეგვიძლია იმიტომ, რომ რაღაც უაზრობების გამო ერთმანეთს ვუპირისპირდებით და დღევანდელი პოლიტიკოსებისთვის პირადი მიზნები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ერთიანი ქართული საქმის კეთება.

**ესაუბრა**
**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მიუყვანენ თუ არა ომბუდსმენ გიორგი ტუღუშს ბუშტიან ინდაურს?

**საქართველო თანდათან ყალიბდება ავტორიტარულ ქვეყნად. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სახალხო დამცველს. თავის დროზე ამ თანამდებობაზე დამტკიცებული სოზარ სუბარი დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა მერე შეუძახეს და ამ ფუნქციას, ასე თუ ისე, თავი გაართვა. ახალს, გიორგი ტუღუშს, რომელიც ნაციონალურმა უმრავლესობამ დიდი ზარ-ზეიმით „აკურთხა“, უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. იგი 16 სექტემბრიდან შეუდგა სახალხო დამცველის მოვალეობის შესრულებას.**





**თუ სურს, კარგი სახალხო დამცველი იყოს, მის საქმიანობაში პოლიტიკური აქცენტი მაინც გამოერევა. ქვეყანა გვაქვს ასეთი. უნდა აირჩიოს, ტელევიზიების მიერ შექმნილი ვირტუალური ქვეყნის სახალხო დამცველი იქნება, სადაც რძის მდინარეები მოედინება და ხალხი უბედნიერესია, თუ რეალური საქართველოსი?**

XXI საუკუნის საქართველოში ათეულობით პოლიტპატიმარია, თუმცა ხელისუფლება ამას არ აღიარებს და აცხადებს, რომ ეს ხალხი სისხლის სამართლის კონკრეტული დანაშაულებებისთვისაა დაპატიმრებული. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2004 წლის №1359 რეზოლუციით პოლიტპატიმრის შემდეგი განსაზღვრება მოგვცა: **„დაპატიმრებამდე ადამიანი უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიური და მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური სარგებელი. ადამიანები, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად შეურაცხყოფენ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს, ადამიანები, რომელთა დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულება და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოწმის ჩვენება, რომლის გამოყენებითაც მოხდა პატიმრობის გამოყენება, ყალბია... დაპატიმრებული ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება პირთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებს“.**

ეს ტუღუშმაც იცის... ალბათ...

ამ ხალხს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლის „ბუკეტი“ აქვს წაყენებული, მაგრამ, ძირითადად, იარაღისა და ნარკოტიკისთვის დააკავეს. ეს ნაცადი მეთოდია ნებისმიერ ავტორიტარულ სახელმწიფოში; პოლიცია ჩაგიდებს იარაღს ან ნარკოტიკს და ამტკიცე, რომ შენი არაა. მით უმეტეს, ჩვენი სასამართლოს პირობებში ეს საქმე წყლის ნაყვას ემსგავსება. შეიძლება ზოგიერთმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ როცა ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აპატიმრებ, როცა შენი მოწინააღმდეგე ხდება, ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ანგარიშსწორებაა.

**დღეს ხელისუფლება მოქმედებს ერთი პრინციპით: თუ ვინმე მიდის მისი ბანაკიდან, იგი აუცილებლად სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც თვითონ იყო რეპრესიული იარაღი სააკაშვილის ხელში, დაპირისპირების შემდეგ საამაყო და მისაბაძი მინისტრისგან უცებ ყველაზე დიდ შეცდომად გადაიქცა. შეიძლება ოქრუაშვილმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს მართლაც ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ მისი დაპატიმრება აშკარად პოლიტიკური მოწინააღმდეგის განეიტრალების სურვილით იყო ნაკარნახევი. ტენდერების მიკერძოებულად ჩატარება და ფინანსური დარღვევები, რასაც ოქრუაშვილს ედავებიან, ნებისმიერ დროს შეიძლება ნებისმიერი მინისტრისთვის იქცეს დამოკლეს მახვილად, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო უწყება დღესაც ანალოგიურად მუშაობს. ასე იყო შევარდნაძის დროსაც. ისე, ეს მაგალითი უნდა იყოს ყველა მოხელისთვის. „მეფის“ წყალობა ადვილად იცვლება რისხვით.**

ხელისუფლება განსაკუთრებით ყოფილ სამართალდამცველებს უსწორდება. მაგალითად, მიშა გიორგაძე და რეზო კლდიაშვილი ოპოზიციასთან კავშირის გამო დააკავეს. არადა, ისინი ადრე თავად „კერავდნენ“ საქმეებს და თავად იყენებდნენ იმ საშუალებებს, რა ბრალდებითაც ისინი დაიჭირეს (ნარკოტიკის და იარაღის ჩადება). ასე რომ, კარგი იქნება, თუ ამ მაგალითს დღევანდელი სამართალდამცველებიც გაითვალისწინებენ.

რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას, სადაც ხალხის ერთსა და იმავე ქცევას სხვადასხვა ფინალი აქვს. თუ ხელისუფლების მოწინააღმდეგე დააშავებს, ის აუცილებლად ციხეში მოხვდება, ხოლო თუ იმავე დანაშაულს ხელისუფლების მეხოტბე და დამცველი ჩაიდენს, მას საარჩევნო სიაში უკრავენ თავს. ნაციონალების სიაში ასეთი ორი კაცი იყო (ღურწკაია და ცქიფურიშვილი);

ხელისუფლებამ ფართოდ დანერგა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური ანგარიშსწორება, სადაც გაურკვეველი წარმოშობის კუნთმაგარი მამაკაცები დაძრწიან და სასტიკად უსწორდებიან პოლიტიკურად აქტიურ ხალხს. დაასრულებენ თუ არა თავიანთ საქმეს, მაშინ გამოჩნდება პატრული და იწყებს ფაციფუცს, თითქოს გულით უნდა დამნაშავის პოვნა, არადა, შეიძლება დამნაშავე იქვე, მათ შორისაც იმყოფებოდეს. ხელისუფლებისთვის პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმეორებენ დაზეპირებულ ფრაზას „დაველოდოთ გამოძიებას...“ არადა, არც ერთი ასეთი ფაქტი გამოძიებული არაა. ამ დროს ოპოზიციონერთა მიერ ნებისმიერი „გაფაფხურება“ უყურადღებოდ არ რჩება პოლიციას და დამნაშავეს მაშინვე კამერაში ამოაყოფინებენ თავს. ასეთი ფაქტი უხვადაა უფლებათა დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში, მაგრამ რა...

**ტუღუში წინამორბედის ანგარიშებშიც ნახავს იმის მაგალითებს, რომ ხელისუფლება უკიდურეს ცინიზმზეც არ ამბობს უარს — დაზარალებულ ოპოზიციის აქტივისტს აქეთ სდებს ბრალს და ციხეში ამწყვდევს. თუმცა მის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ არ მოსწონს სუბარის სქელტანიანი ანგარიშები. ალბათ, კითხვა ეზარება, მაგრამ ცუდი არ იქნება, თუ თვალს მაინც გადაავლებს...**

ახალ სახალხო დამცველს თვალის გასწორება იმისთვისაც მოუწევს, რომ ხელისუფლება ავიწროებს იმ ხალხს, ვინც საჯარო სამსახურშია და არ ეთანხმება მის პოლიტიკას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში პედაგოგები და საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი არიან. სოფლად მასწავლებლებს დიდი ავტორიტეტი აქვთ, ამიტომ ხელისუფლება მათ ისე უყურებს, როგორც საარჩევნო ხმების მოპოვების საშუალებას. თუ რომელიმეს „ღმერთი გაუწყრა“ და განსხვავებული აზრი გამოთქვა ან ასეთი აზრის მქონე პოლიტიკოსს დაუჭირა მხარი, მაშინ მას სხვადასხვა მეთოდით აიძულებენ სკოლის დატოვებას. გორელ ჟურნალისტთან (გაზეთ „ქართული ხმის“ რედაქტორ საბა წიწიკაშვილთან) საუბარში პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, რომ მას არ სჭირდება სკოლაში ისეთი პედაგოგი, რომელიც ვერ ხედავს ქვეყანაში მიმდინარე დადებით პროცესებს. მუშაობს პრინციპი — ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია...

***მოხელეთა ფანტაზია ხანდახან კომიკურ ელფერსაც იღებს. მაგალითად, სვანეთში ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსმა თანამშრომლები პრეზიდენტის ერთგულებაზე ხატზე დააფიცა. ვინც ეს არ გააკეთა, სამსახურიდან გაუშვა. ესაა პოლიტიკური პოლიციის კლასიკური ნიმუში. პოლიციამ ამგვარი სიბეცე არაერთხელ გამოამჟღავნა, განსაკუთრებით, 6 მაისს პოლიციის სამმართველოს შენობასთან, როცა სპეცრაზმი გულმოდგინედ სკანდირებდა „მიშა! მიშას“!***

ვინც ხელისუფლების მიმართ ხაზგასმულად ლოიალური არ არის, მის ბიზნესს პერსპექტივა არ აქვს; აუცილებლად საგადასახადო ან ფინანსური პოლიციის კლანჭებში ხვდება. თუ ჭკვიანად მოიქცევა, ტენდერსაც მოიგებს და ნებისმიერ დარღვევასაც „გააპრავებს“, მაგრამ საკმარისია, ფიქრები სხვა მიმართულებით გაექცეს, ხელისუფლის წყალობა მაშინვე რისხვით შეიცვლება. მაგალითისთვის ოქრუაშვილის მეგობრის ქიბარ ხალვაშის ერთ დროს წარმატებული და ახლა აუქციონზე გატანილი ბიზნესიც კმარა. როცა ოქრუაშვილი სანიმუშო მინისტრის სახელით იწონებდა თავს, ხალვაშს ყველა მნიშვნელოვანი ტენდერი მოაგებინეს, იდეოლოგიური იარაღი — „რუსთავი 2“-ც კი ჩააბარეს, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა და მთელი ქონება წაართვეს, თვითონ კი ლტოლვილია. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. ქვეყანაში ბევრი წვრილი თუ მსხვილი ბიზნესმენი საკუთარ ტყავზე გრძნობს ხელისუფლების წნეხს; ზოგს ძალით ართმევენ ბიზნესს, ზოგსაც „ნებით“ აჩუქებინებენ. ერთ-ერთ აქტივისტს ერთი თვით დაულუქეს მაღაზია და გალიებში მოთავსებული ეგზოტიკური ცხოველები და ფრინველები შიმშილით დაიხოცნენ. ნეტავ, იმათ რაღა დააშავეს?

ქვეყანაში შექმნილი ვითარება ახალ ომბუდსმენს გიორგი ტუღუშს ნამდვილად არ მისცემს თანამდებობით მშვიდად ტკბობის საშუალებას. თავის დროზე სოზარ სუბარიც ვერ წარმოიდგენდა, რომ ხელისუფლებასთან ასეთი უკიდურესი ფორმით დაპირისპირება მოუწევდა, თუმცა გარემოებებმა და, ალბათ, ბუშტიანი ინდაურის საკუთარი ოფისის ეზოში დანახვამ გამოაფხიზლა. ომბუდსმენი, რომელიც ხელისუფლების ავტორიტარიზმის „გაპრავებას“ ეცდება, სახალხო დამცველად არ გამოდგება.

**რას იზამს გიორგი ტუღუში, მალე გამოჩნდება. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ „შეცდომა“ არ დაუშვა და მაკონტროლებლად თავისი კაცი დააყენა. ამ კაცს ხალხისთვის თვალებში ჩახედვაც მოუწევს. შეძლებს თუ არა იგი, მზერა გაუსწოროს ათასობით უფლებაშელახულ, შეურაცხყოფილ, დამცირებულ, ნაწამებ ადამიანს, ამის გარკვევას არც ისე დიდი დრო დასჭირდება — ახლა, როცა ამ წერილს კითხულობთ, რომელიღაც დიდ კაბინეტში მორიგი ეგზეკუცია იგეგმება, სადღაც, რომელიღაც ჯურღმულში კი ვიღაცას სასტიკად უსწორდებიან...**

**კახა იორამაშვილი**

# საქართველოში მიცვალებულების

**მერიის საკანონმდებლო ინიციატივას სასაფლაოების დაბეგვრასთან დაკავშირებით მოსახლეობა არაერთგვაროვნად შეხვდა. ხალხში მუსირებს აზრი, რომ თბილისის მერია ამ აქტით ე. წ. პრესტიჟული ადგილების გამოთავისუფლებას იწყებს. ვინაიდან მოსახლეობა მაღალი მოსაკრებლის გადახდას ველარ შეძლებს, სასაფლაოს ადმინისტრაციას ცხედრების გადასვენება მოუწევს, ერთხელ გაყიდული ადგილები მეორედ გაიყიდება, თბილისის მერია კი ბიუჯეტს შეავსებს.**

ამ მოსაზრებას საქართველოს ლეიბორისტული პარტიაც ეთანხმება. „თბილისის მერიას პრესტიჟულ რაიონებში მდებარე სასაფლაოების ტერიტორიების გამოყენება სურს, რის გამოც სასაფლაოებზე მაღალ მოსაკრებელს აწესებს და ხალხს აიძულებს, მიცვალებულები ნაკლებად პრესტიჟულ სასაფლაოებზე გადაასვენოს“, — აცხადებენ ლეიბორისტები.

სასაფლაოების რეფორმა თავდაპირველად ვერის სასაფლაოს შეეხება. ჭირისუფლები მერიაში ხელშეკრულების გასაფორმებლად უკვე დაიბარეს. მიცვალებულების პატრონები მერიის ამ გადაწყვეტილებას არაქრისტიანულს უწოდებენ.

სასაფლაოების პრესტიჟულობაზე საუბარი რომ ამორალურია, ამაზე ყველა თანხმდება, მიუხედავად ამისა, თბილისში მაინც ხშირად გაიგონებთ, რომ საკმაო ფული გადაიხადეს და მიცვალებული პრესტიჟულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ჯანელიძეების ოჯახს 8 თვის პატარა გარდაეცვალა. მიუხედავად საავადმყოფოში გაწეული დიდი ხარჯებისა, ოჯახმა გადაწყვიტა, როგორც ეს ჩვენთან ხშირად ხდება, შვილისთვის ყველაფერი საუკეთესო გაეკეთებინა. შუამავლის განცხადებით, კუკიის სასაფლაოზე (რომელიც დახურულია) ადგილი ძვირი ღირდა, მაგრამ „ნაცნობობით“ 500 დოლარად აყიდვინებდა და ოჯახიც არ დაფიქრებულა, ისე იყიდა შვილის საფლავი „პრესტიჟულ“ ადგილას.

**ალბათ, ნათელია, რომ ამ ადგილის რეალური ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე გადაიხადეს, თუმცა მისი ფასი ამ შემთხვევაში ადგილის პრესტიჟულობამ განაპირობა. არც ისაა ვინმესთვის უცნობი, რომ კუკიის სასაფლაოს დირექტორი არკადი ჭოველიძე ამ ბიზნესით საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს და არც მისი სახლი გამოიყურება ურიგოდ.**

რაც შეეხება მერიის ახალ ინიციატივას, მიცვალებულების პატრონებს კვადრატულ მეტრზე 20 ლარის გადახდა მოუწევთ. როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, ამ გადასახადის დაწესების მიზანი ის არის, რომ მოსახლეობამ ვერ გადაიხადოს, რის შემდეგაც მიცვალებულებს გადაასვენებენ, ხოლო დარჩენილ ტერიტორიებს გაყიდიან. დაწესდება დასუფთავების მოსაკრებელიც. ამ პაკეტს მოსახლეობას შპს „ჰერმესი“ შესთავაზებს. ლეიბორისტები აცხადებენ, რომ „ჰერმესის“ დირექტორი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან და მერიამ ხელი აიღოს ამ ინიციატივაზე.

თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი განმარტავს, რომ „ჰერმესის“ მომსახურება ნებაყოფლობითია და იმაზე იაფია, ვიდრე ეს უჯდება მოსახლეობას კერძო მომსახურების პირობებში. ახვლედიანმა ასევე უარყო პრესტიჟული ადგილების გამოთავისუფლების მცდელობის ფაქტი და განაცხადა, რომ მსგავს სოციალურ საკითხებს ოპოზიციური პარტიები ხშირად იყენებენ რეიტინგის ასაწევად.

**„არანაირი მოსაკრე-** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თბილისური მარაზმი — გიგი უგულავას და მამუკა ახვლედიანის ბრძანებით

**აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლება მოქალაქეებს საქართველოს კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული. ამის მიუხედავად, განსხვავებული აზრის გამო დევნა საქართველოში ყოველთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. სიტუაცია არ შეცვლილა არც მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა დემოკრატიის მშენებლობას, „როგორც ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ამბობენ, დაჩქარებული ტემპებით შეუდგა. რეფორმები დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის საკმარისი არ არის, უმთავრესია, შეიცვალოს მიდგომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისადმი.**
**2009 წლის 12 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მოსამართლე ირაკლი ადეიშვილის თავმჯდომარეობით მორიგი გადაწყვეტილება მიიღო. დავის საგანი იყო შრომითი ურთიერთობა ქალბატონ მარინა ხატიაშვილსა (რომელიც მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა) და მოპასუხე მხარედ წარმოდგენილ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს შორის.**



## არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, სასამართლოში შრომითი უფლებების დარღვევაზე დავას აზრი არ აქვს

**მარინა ხატიაშვილი** 2006 წლის თებერვლიდან იყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრი. 2008 წლის 21 იანვრიდან კი მუშაობდა მერიის არქიტექტურის სამსახურში ძველი თბილისის რაიონისა და ძეგლების განყოფილებაში. 2008 წლის 31 დეკემბერს მარინა ხატიაშვილსა და არქიტექტურის სამსახურს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მარინა ხატიაშვილი დასაქმდა სანებართვო დეპარტამენტის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე. შრომითი ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2009 წლის 1 ივლისს, თუმცა მიმდინარე წლის 23 თებერვალს თბილისის არქიტექტურის სამსახურის №275 ბრძანებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულება გაუქმდა. არქიტექტურის სამსახურის უფროსის ეს ინიციატივა განაპირობა მარინა ხატიაშვილის მიერ თბილისში აბანოთუბნის მიმდებარე მირზა-შაფის ქუჩის უკანონოდ დანგრევასა და წარმოდგენილ რეკონსტრუქციის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულმა კრიტიკულმა მოსაზრებამ.

**მარინა ხატიაშვილმა** „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, არქიტექტურის სამსახურის უფროს **მიხეილ ავალიანთან** შელაპარაკება მოუხდა:

— დასამტკიცებლად წარმოგვიდგინეს მირზა-შაფის ქუჩის პროექტი. ამ საკითხთან დაკავშირებით შევკამათდი არქიტექტურის სამსახურის უფროს მიხეილ ავალიანთან. წარმოდგენილი პროექტი, რომელზეც მუშაობდა არქიტექტორ გოგა ბერიძის ჯგუფი, სრულიად მიუღებელი იყო — პროფესიული აზრით, ამას საერთოდ ვერ ვუწოდებთ პროექტს. ფაქტობრივად, ეს იყო კომპიუტერული გრაფიკა, სრულიად ირეალური. ამასთან, ქუჩის დემონტაჟი პროექტის შეთანხმებამდე განხორციელდა. აქ მცხოვრები იაშალაშვილების ოჯახი ქუჩაში გამოყარეს. ეს ოჯახი ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ უსახლკაროდ იყო. ახლა თუ დააკმაყოფილეს ბინით, ჩემთვის უცნობია. ეს იყო ისტორიული თბილისისთვის ძალზე სპეციფიკური ადგილი, როგორც ურბანული, ეთნიკური თვალსაზრისით და განსაკუთრებულ ფრთხილ მიდგომას საჭიროებდა. ამ ყველაფრის გამო გამოვხატე პროტესტი. ქუჩის ნგრევა დეკემბერში დაიწყო, სიტუაცია კი თებერვალში გამწვავდა. ამ პერიოდში უკვე ძალიან დაიძაბა პოლიტიკური ვითარებაც და არ მინდოდა ამ საკითხის პოლიტიზება. ვფიქრობდი, რომ მოვახერხებდი შიდა ძალებით პრობლემის მოგვარებას. იმას მაინც მივაღწევდით, რომ ნგრევა შეჩერებულიყო და რეალურად მისაღებ პროექტზე დაწყებულიყო მუშაობა.

მერე ჩაერთო ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი და რამდენიმე აქცია მოეწყო. ამის შემდეგ დროებით შეჩერდა ქუჩის ნგრევა და მძიმე ტექნიკა გაიყვანეს.

**— იქნებ, უფრო კონკრეტულად გვიამბოთ მიხეილ ავალიანთან შელაპარაკების შესახებ...**

— არ ვგულისხმობ, რომ შელაპარაკებაში რაიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი. ასეთი რამ არც ერთი მხრიდან არ ყოფილა. მწვავე სატელეფონო საუბარი გვქონდა. შაბათ დღეს ადგილზე ვნახე, თუ რა სიტუაცია იყო მირზა-შაფის ქუჩაზე. ამის შემდეგ დავურეკე ავალიანს და ვუთხარი, რომ დაკავშირებოდა გიგი უგულავას, მამუკა ახვლედიანს და შეწყვეტილიყო ეს უკანონობა. ორშაბათს სამსახურში გამოვცხადდი და ავალიანმა სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერა მომთხოვა.

**— მანამდე თუ გქონიათ მსგავსი შემთხვევა და თუ გამოგითქვამთ განსხვავებული მოსაზრება?**

— ყოფილა ასეთი შემთხვევები, მაგრამ სიტუაცია ასე არ გამწვავებულა. მაგალითად, დავითაშვილის ქუჩის პროექტის განხილვისას საბჭოს ოქმში უარი ჩავწერე. შემდეგ დამიბარა ავალიანმა და მთხოვა, დადებითი შეფასება მიმეცა, მაგრამ ჩემი მოსაზრება არ შემიცვლია. მირზა-შაფის ქუჩის შემთხვევაში კანონი უკვე დარღვეული იყო ქალაქის მერის მიერ. შესაბამისად, ჩემი აზრით, ავალიანიც ჩიხში მოექცა.

**— რა სახის კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი?**

— თბილისის მერის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე დაიწყო ქუჩის დემონტაჟი და თაბორის მთის ფერდობის დანგრევა. ამის უფლება არ ჰქონდათ. ქუჩაზე იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (სახლი №16) და გარკვეული პროცედურების გავლას საჭიროებდა (ძეგლის სტატუსის მოხსნა, დემონტაჟისა და სხვადასხვა სახის ნებართვა). დარღვეულია ლანდშაფტურ ზონებში მოქმედი კანონიც, ევროკონვენციის და სხვ.

**— საკუთარი განცხადების საფუძველზე წამოხვედით სამსახურიდან?**

— არა. განცხადება არ დამიწერია. ვუთხარი ავალიანს, რომ თავად დაეწერა ჩემი განთავისუფლების შესახებ ბრძანება. ეს მაშინვე არ მოხდა. ალბათ, ეგონა, გარკვეული პერიოდის შემდეგ დავთანხმდებოდი, საკუთარი განცხადების საფუძველზე დამეტოვებინა სამსახური. ახლოვდებოდა საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც ისევ მირზა-შაფის ქუჩის საკითხი უნდა გასულიყო. ავალიანისთვის სასურველი იყო, ამ სხდომას აღარ დავსწრებოდი და იძულებული გახდა, დაეწერა ჩემი განთავისუფლების ბრძანება.

ამის შემდეგ მარინა ხატიაშვილმა სასამართლოს მიმართა, მას მხარი დაუჭირა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამაც. როგორც პროფკავშირების მთავარმა იურისტმა **რაისა ლიპარტელიანმა** „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, ქალბატონი მარინა ერთადერთი არ არის, ვინც სამსახურებრივი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა.

— დამსაქმებლის მხრიდან შრომითი უფლებების დარღვევით თითქმის ყოველდღიურად მოგვმართავენ. ამის მიზეზი ისიც არის, რომ დღეს არსებული შრომითი კანონმდებლობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს, დაირღვეს დასაქმებულთა უფლებები. ამ კანონით თითქმის შეუძლებელია დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვა. ბევრი ადვოკატი და არასამთავრობო ორგანიზაცია უარს ამბობს ასეთ საქმეებზე მუშაობაზე, რადგან მიიჩნევს, რომ არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, აზრი არ აქვს სასამართლოში შრომითი უფლებების დარღვევაზე დავას. დარღვევები კი მრავალფეროვანია. ეს არის სახელფასო დავალიანებები, შვებულების მიუღებლობა, უსაფუძვლო, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე განთავისუფლება. სასამართლოს ხშირად მივმართავთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები უმეტესად დაზარალებული მხარის წარუმატებლობით მთავრდება, ისევ და ისევ შრომის კოდექსიდან გამომდინარე.

მარინა ხატიაშვილი მუშაობდა არქიტექტურის სამსახურში. მან გამოთქვა პროფესიული მოსაზრება ერთ-ერთ პროექტთან დაკავშირებით და სწორედ განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო დაითხოვეს სამსახურიდან. კოდექსის ენით რომ ვთქვა, ხელშეკრულების მოშლა მოხდა 38-ე მუხლით, რომელიც დამსაქმებელს უფლებას აძლევს, გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ფაქტობრივად, ამ ქალბატონის მიმართ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი განსხვავებული აზრის გამოხატვის გამო. ეს სასამართლომაც აღიარა. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში, სამართლებრივი შეფასების ნაწილში წერია; მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას, ამ მუხლის (38-ე) გამოყენება მაინც კანონიერი იყო, ვინაიდან შრომის კოდექსი არ ადგენს მისი გამოყენების შეზღუდვას რაიმე საბაბით.

ეს პარადოქსია. უკვე შევიტანეთ სააპელაციო სარჩელი და ვაპირებთ, საქმეს ბოლომდე მივყვეთ. არ არის გამორიცხული, საქმე სტრასბურგის სასამართლომდე მივიდეს.

**ნანა ლაღაძიშვილი**

## «ყოფნა-არყოფნაც» გაურკვეველია

**◀ბელი ეს არ არის. მერიის უპირველესი მოვალეობაა, სრულყოფილი და ხარისხიანი სერვისი შევთავაზოთ მოსახლეობას. თუკი სასაფლაოების მეპატრონეებს უწევდათ დამლაგებლების კერძოდ დაქირავება და ეს უჯდებოდათ 50-100 ლარამდე, ახლა შპს „ჰერმესი“ მათ სთავაზობს გამარტივებულ და იაფ მომსახურებას — პაკეტი ეღირება 5-დან 19 ლარამდე და ეს იქნება ნებაყოფლობითი“,** — აცხადებს ახვლედიანი.

ახვლედიანი იმასაც ამბობს, რომ თბილისში არასდროს დამდგარა სასაფლაოების პრესტიჟულობისა და არაპრესტიჟულობის საკითხი. იგი მერიის ახალ ინიციატივას იმ გარემოებით ხსნის, რომ ვერის, ვაკის და საბურთალოს სასაფლაოები მძიმე მდგომარეობაშია.

**საინტერესოა, უპირველესად, თბილისის პრესტიჟულ უბნებში განთავსებულ სასაფლაოებს რატომ ეხება ცვლილება?**

**ახვლედიანი მათაც ანუგეშებს, ვინც კერძოდ ემსახურებოდა სასაფლაოს ტერიტორიას. შპს „ჰერმესი“ მათ დაასაქმებს და უმუშევრობის პრობლემაც არ ექნებათ.**

არადა, სასაფლაოების დამლაგებლების დასაქმების პრობლემაზე მეტად რომ მიცვალებულების პირვანდელი დაკრძალვის ადგილებზე „ყოფნა-არყოფნა“ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ, ადვილი მისახვედრია. ამ ხელისუფლებისგან რწყილის გატყავებაც არ უნდა გაგვიკვირდეს — ისინი ხომ ყველა საქმიდან სარგებელს გამოელიან, მაგრამ სასაფლაოები და მიცვალებულები რომ ამ კატეგორიას არ უნდა მიაკუთვნონ, ავიწყდებათ ამ ბიზნესით ხელმომთბარ ადამიანებს.

**მაგდა კლდიაშვილი**



## მერია პრესტიჟული სასაფლაოების დაბეგვრას და ხელმეორედ გაყიდვას გეგმავს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოში ნახევარ მილიონამდე უმუშევარია



# თაღლითური სქემა, რომლითაც დასაქმების მსურველებს ფულს სძალავენ

**საქართველოში უმუშევართა რიცხვი კატასტროფულად მატულობს. სტატისტიკური მონაცემებით, 2007 წელს მათმა რაოდენობამ 261-ს მიაღწია, 2008 წელს კი 55 ათასით გაიზარდა და 316 ათასი უმუშევარი დაფიქსირდა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოში ეს მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილის ინფორმაციით, საქართველოში უმუშევართა რაოდენობა უკვე 400 ათასს აღწევს, როგორც ამბობენ, უმუშევრობის ზრდა, ძირითადად, ქალაქების ხარჯზე მოხდა. აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას უმუშევრობის დაძლევისა და პრევენციის გეგმა, ჯერჯერობით უცნობია.**

**როდესაც დავუკავშირდი ,,ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელს, მითხრა, გამოცხადებულ ორ ვაკანსიაზე განცხადებამ 500-ს გადააჭარბა და რას ელოდებით ჩვენგან, რა უნდა ვქნათო. საოცრება ის იყო, რომ ერთი კვირის მერე კომპანიამ კვლავ გამოაქვეყნა განცხადება იმავე თანამდებობაზე. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ესეც დანარჩენებივით ფარსი იყო. საინტერესოა, ვის რაში სჭირდება ასეთი განცხადებების გაკეთება და რა იმალება მათ უკან...**

ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როცა უმუშევრობის ახალ-ახალი ტალღა ყოველდღიურად ჩნდება ქვეყანაში, სამსახურის მაძიებელთა რიგები კატასტროფულად იზრდება. შესაბამისად, ბევრია ისეთიც, რომელმაც ხელი უკვე ჩაიქნია და ახალი სამსახურის საძიებლად კარდაკარ სიარულის უსაფუძვლობაში დარწმუნებული, ბედსაც შეურიგდა.

ამ ადამიანებს ზურგს დღეს ვერავინ უმაგრებს, საამისოდ ქვეყანაში არც შრომის ბირჟა არსებობს და არც დასაქმების სააგენტო. ერთიც და მეორეც, ხელისუფლების წყალობით, დიდი ხნის წინათ გაუქმდა.

საყოველთაო უმუშევრობის პირობებში საქართველოში მრავლად გაჩნდა დასაქმების კომპანიები, რომლებიც მოსახლეობას გარანტირებულ დასაქმებას და მაღალ ანაზღაურებას ჰპირდებიან. არადა, მათ უმეტესობას ხალხი შეცდომაში შეჰყავს.

დედაქალაქის ელიტურ უბნებში საკმაოდ კომფორტული და პრესტიჟული დასაქმების ობიექტებია გახსნილი. სამუშაოს მაძიებლებს კეთილმოწყობილ ოფისებში იწვევენ და მოხერხებულადაც აბრუებენ. უმუშევრები კი ოდნავ იმედისმომცემ წინადადებას მაგრად ეჭიდებიან, თუმცა ბოლოს მოტყუებულები რჩებიან. რეგისტრაციის გავლის, ტესტირებისა და ფიქსირებული თანხის გადახდის შემდეგ, სამუშაოს მაძიებლები კომპანიებიდან ზარს უშედეგოდ ელიან. რეგისტრაციის გასავლელად გადასახდელი თანხა კი 20-დან 30 ლარამდე მერყეობს.

პროფესიით თარჯიმან-რეფერენტი, ამჟამად უმუშევარი **ნინო მამისაშვილი** გვიამბობს, როგორი იყო მისი ერთი დღე დასაქმების კომპანიაში. იქ მყოფ სამსახურის მაძიებლებს, როგორც ნინო ამბობს, კომპანიაში დასაქმებული ადამიანები თვალსა და ხელს შუა ატყუებდნენ:

**„გამოცხადებული იყო ვაკანსია jobs.ge-ზე, სადაც მითითებული იყო ელექტრონული ფოსტის მისამართი. ფინანსურ ჯგუფს ოფისმენეჯერი ესაჭიროებოდა. გავგზავნე CV აღნიშნულ მისამართზე და შეტყობინებას დაველოდე. ჩემდა გასაოცრად, დაუყოვნებლივ მივიღე პასუხი, რომ განხილვის შედეგად ჩემი CV დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.**

**ამის შემდეგ დამიბარეს გასაუბრებაზე ჭავჭავაძის 39-ში, ვინმე სანდროსთან. ოფისში სამსახურის მაძიებელი უამრავი გაჭირვებული ადამიანი დამხვდა. თავის რიგს ყველა მოუთმენლად ელოდა. როდესაც კომპანიის თანამშრომელ გოგონასთან გასაუბრებაზე შევედი, მითხრა, რომ 30 ლარის გადახდის შემთხვევაში, გავივლიდი ტრენინგებს, რის შემდეგაც ჩემთვის სასურველი სპეციალობით მომაწყობდნენ სამსახურში. კონკრეტულად სად, ამაზე პასუხი არავის ჰქონდა. გულდაწყვეტილი წამოვედი, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, კლიენტის დაკარგვას ადვილად არ ეგუებოდნენ. მეორე დღესაც დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ,გასაუბრებაზე მიღებული მაღალი შედეგის გამო ტრენინგებზე მიწვევდნენ. გული დამწყდა, რომ სანდროსნაირმა თაღლითებმა უამრავი იმედმოცემული უმუშევარი გააბეს მახეში, რომლებიც მზად იყვნენ, ფული ესესხათ და „დამსაქმებლისთვის“ გადაეხადათ“, — ამბობს** ნინო მამისაშვილი.

ინტერნეტით სამსახურის მაძიებელს დღეს მრავლად წავაწყდებით. დედაქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საიტ jobs.ge-ს დახმარებით ცდილობს, დასაქმდეს. ამ საიტზე საკმაოდ მრავლადაა განცხადება ვაკანსიების თაობაზე, მაგრამ ამ განცხადებით დასაქმებულებს ვერსად წააწყდებით.

პროფესიით ფილოლოგი **მანანა ცერცვაძე** სამუშაოს ძებნაში საიტზე განთავსებულ თითქმის ყველა განცხადებას გამოეხმაურა. **„ორი კონტრაქტით ვმუშაობდი კერძო უცხოურ კომპანიასთან,** — აცხადებს მანანა, — **კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ დღემდე სამსახურის ძებნაში ვარ. ინტერნეტში გამოქვეყნებულ განცხადებებს ყოველდღე ვკითხულობდი. ერთი შეხედვით, იმდენი განცხადებაა გამოქვეყნებული, სამსახურის შოვნა არ უნდა გამჭირვებოდა. ყოველდღიურად ათობით CV- ს ვაგზავნიდი, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ საკმაოდ ცნობილ კომპანია ,,ქართუ ჯგუფს“ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია და მითითებული იყო საკონტაქტო ტელეფონიც. გავაგზავნე მონაცემები და ზარს დაველოდე. ცოტა ხნის შემდეგ თავადვე შევეხმიანე. ვიფიქრე, სერიოზული კომპანიაა და ეს მაინც არ იქნება ფარსი-მეთქი. როდესაც დავუკავშირდი ,,ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელს, მითხრა, გამოცხადებულ ორ ვაკანსიაზე განცხადებამ 500-ს გადააჭარბა და რას ელოდებით ჩვენგან, რა უნდა ვქნათო. საოცრება ის იყო, რომ ერთი კვირის მერე კომპანიამ კვლავ გამოაქვეყნა განცხადება იმავე თანამდებობაზე. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ესეც დანარჩენებივით ფარსი იყო. საინტერესოა, ვის რაში სჭირდება ასეთი განცხადებების გაკეთება და რა იმალება ამის უკან. ინტერნეტის დახმარებით მაღაზიაში მხოლოდ კონსულტანტის თანამდებობას შეიძლება გამოჰკრას ხელი სამსახურის მაძიებელმა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ისინი მონურ შრომას ითხოვენ. დილიდან საღამომდე მუშაობ და დღიური ანაზღაურება უკეთეს შემთხვევაში 10 ლარს არ აღემატება“.**

უმუშევართა სატკივარი გულთან მხოლოდ გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელობას მიაქვს. წესით, ვაკანსიების შეგროვება არც მათ კომპეტენციაში შედის, თუმცა ეს უწყება დღეს ყველაზე აქტიურად ებრძვის უმუშევრობას საქართველოში. ხშირად იმასაც ახერხებს, რომ ამა თუ იმ კომპანიასთან კადრების სარეზერვო სია სწორედ მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით შედგეს და სამსახურიდან განთავისუფლებული პირებით დაკომპლექტდეს.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე კი, უმუშევრობის საფრთხე განსაკუთრებით მწვავეა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. კომპანიებს ხელფასების გაცემა უჭირთ, მით უფრო — დასაქმება. ექსპერტების განცხადებით, მომავალ წელს ქვეყანაში სამუშაო ადგილების დაკარგვის საშიშროება მოიმატებს, ახლო მომავალში უფრო მეტად შენელდება ეკონომიკური ზრდის ტემპებიც.

**გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია** განმარტავს, რომ ხელისუფლება ატყუებს ხალხს, როდესაც ცდილობს ათასობით ადამიანის დასაქმებას და ამ მისიის ბიზნესისთვის გადაბარებას. მისი თქმით, გამორიცხულია უმუშევართა თუნდაც 20 პროცენტის დასაქმება ბიზნესის მიერ, თუ არ იქნა ის ,,იაფი კრედიტის“ ფარგლებში ან სხვა ღონისძიებებით გამაგრებული.

## „უკვე ათობით ათასი ჩვენი თანამემამულე ზის სახლში და შეჰყურებს ოჯახის მეორე წევრს, უკეთეს შემთხვევაში, თუ ის მუშაობს. ბევრია ისეთიც, რომელსაც ოჯახში მისნაირი უმუშევარი ჰყავს ან, მის ხელფასზეა დამოკიდებული ოჯახის რამდენიმე წევრი. ასეთ ხალხს ხელისუფლება უნდა დაეხმაროს, მაგრამ ამ მიმართულებით რეალურად არაფერი კეთდება.

**რაც შეეხება ვაკანსიებს, ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვართ დაკავებული ვაკანსიების შეგროვებით და ამ ინფორმაციების გავრცელებით. როდესაც რომელიმე საწარმოსა და ორგანიზაციაში დგება კადრების შემცირების საკითხი, ვახერხებთ, ჩვენი ჩარევით 100 მუშა პერსონალიდან 40-50 მაინც შევინარჩუნოთ. ვაიძულებთ დამსაქმებელს, უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლებისგან სარეზერვო სია შეადგინოს. როგორც კი გაჩნდება ვაკანსია ორგანიზაციაში, პირველ რიგში, კომპანიამ ეს ხალხი უნდა დაასაქმოს. მეტროპოლიტენში იყო ასეთი შემთხვევა, 150-მდე თანამშრომელი გაუშვეს. ყველა მათგანი სარეზერვო სიაში ჰყავდათ პროფკავშირებს და დამსაქმებელთან, დირექტორთან ხელკშეკრულება დაიდო, რომ ვაკანსიების შემთხვევაში, სწორედ ისინი იქნებოდნენ პრიორიტეტულები. ასეც გაკეთდა 15-20 შემთხვევაში.**

**ვაკანსიებზე ინფორმაცია ხშირად ინტერნეტის საშუალებითაც ცხადდება, მაგრამ, ძირითადად, კვალიფიციურ მუშა-ხელს უფრო შეეხება. ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ეს იყოს ოფისის თანამშრომელი, რომელსაც კონკურსის წესით მიიღებენ“,** — განმარტავს ალექსანდრია და დასძენს, რომ უმუშევრობის დიდი ტალღაა ქვეყანაში და მომავალშიც შენელებას არ ველით. მისივე თქმით, დღეს საქართველოში დასაქმება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ამიტომაც ქვეყანაში აუცილებლად უნდა შეიქმნას შრომის ბირჟა და დასაქმების სააგენტო, ურომლისოდაც ადამიანის დასაქმება შეუძლებელია.

**„შრომის ინსპექციას კორუფციაში დასდეს ბრალი და გააუქმეს. როცა ადამიანს ხელი სტკივა, კი არ აჭრიან, მკურნალობენ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში უნდა არსებობდეს სპეციალური დეპარტამენტი, რომელსაც ადამიანების დასაქმება ევალება. ძველი დეპარტამენტი გაუქმდა, ახლის შექმნაზე არავინ ფიქრობს. დაუსაქმებელ ხალხზე დღეს არც სახელმწიფო ზრუნავს და არც კერძო სექტორი. საიტებზე განთავსებული განცხადებებით მაღალკვალიფიციურ კადრებს ითხოვენ, რომელთა რაოდენობა 400-ს არ ასცდება, ამ დროს 400 ათასი დაუსაქმებელი ადამიანი გვყავს ქვეყანაში და ეს მაჩვენებელი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება“,** — ამბობს გოჩა ალექსანდრია.

კორპორაცია „IML ჯგუფის“ მომსახურების პაკეტებს შორის დასაქმებას აქამდე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, თუმცა ბოლო დროს ამ მიმართულებით მუშაობა კომპანიისთვის წარუმატებელი გახდა. „IML ჯგუფის“ დასაქმების მენეჯერი **მანანა იოსელიანი** განმარტავს, რომ კომპანიის მიერ დასაქმება ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა.

**,,ვაკანსიით ამ დღეებში სულ რაღაც 2-3-მა კომპანიამ მოგვმართა, მაგრამ ვერავინ დავასაქმეთ. წარმოიდგინეთ, კომპანია ადამიანებს სთავაზობს 24-საათიან სამუშაო გრაფიკს და უხდის 10-15 ლარს, ასეთ მონურ შრომაზე დღეს ვერავის გაუშვებ, რადგან უმუშევრად ყოფნა საკუთარი შრომის ფასის არცოდნას არ ნიშნავს.**

**ვებგვერდებზე მოცემული ვაკანსიებით ადამიანმა სამსახური რომ იშოვოს, მრავალმხრივ განათლებული უნდა იყოს, თუმცა დღეს ასეთიც მრავლადაა უმუშევართა რიგებში. ფაქტია, რომ საშუალო დონის განათლების მქონე ადამიანები სამსახურს ვერსად იშოვიან, თუ გავლენიანი ნაცნობი არ ჰყავთ.**

**ამ ეტაპზე ვაკანსიას ვერავის ვთავაზობთ. განცხადება რომ გავუშვათ, ხალხის ნაკადი მოგვაწყდება. ბევრი უმუშევარია ქვეყანაში, მათი დასაქმება, შეიძლება ითქვას, ვერ ხორციელდება. განსაკუთრებით, ეს უბრალო მოქალაქეებისთვისაა წარმოუდგენლად რთული. ისინი კი, რომლებსაც ერთი გავლენიანი ნაცნობი მაინც ჰყავთ, სამსახურს უჩვენოდაც შოულობენ“,** — აცხადებს იოსელიანი.

**ირმა ჩიტაია**

# გია ხუხაშვილი: საკუთრების დაცვის კუთხით საქართველო ასეულშიც ვერ ხვდება

**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის წინსვლისა და წარმატების საჩვენებელი მორიგი აქცია თელავში გამართა და ჩვეული რიხით განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სარეიტინგო ქულების მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების კუთხით 200 ქვეყნიდან მე-11 ადგილზეა. ბატონმა მიხეილმა, რომელსაც ხშირად უყვარს იმის გამეორება, რომ მის გაპრეზიდენტებამდე საქართველოში იყო უკუნი და ბნელი, აღნიშნა, რომ ბიზნესის წარმოებისთვის შექმნილი პირობებით ჩვენმა ქვეყანამ ტაილანდს, საუდის არაბეთს, გერმანიას, ბელგიას, იაპონიას და ესტონეთს გაუსწრო. ყოფილი საბჭოთა სივრციდან მსგავსი შედეგი არავის უჩვენებია.**






„ეს პიარი არ არის, ეს მსოფლიო ბანკის მონაცემებია", — თვალებგაბრწყინებული ქვეყნის პირველი პირი სიხარულს ვერ მალავდა, თუმცა ხელისუფლების სიხარულს არ იზიარებს ეკონომიკის ექსპერტი, ბატონი გია ხუხაშვილი. ის თვლის, რომ, თუ ბიზნესის რეგისტრაციის ვადით პირველ ათეულში ვართ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან კერძო საკუთრების დაცვის კუთხით მსოფლიო ბანკის რეიტინგებით ასეულშიც ვერ ვხვდებით. ინვესტორები კი რეგისტრაციის ვადების ნაცვლად თავისუფალ საინვესტიციო გარემოს და საკუთრების დაცვის გარანტიებს ანიჭებენ მნიშვნელობას.

**გია ხუხაშვილი:** — საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მონაცემებს, მცირე შენიშვნების გარდა, შეიძლება დაეთანხმო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ ბიზნესის წარმოების ტექნიკურ პარამეტრებზეა საუბარი. ეს არის რეგისტრაციის ვადები, ლიცენზიის აღების სიმარტივე, საგადასახადოსთან ურთიერთობის პროცედურების გამარტივება და ა.შ. ფაქტობრივად, ამ რეიტინგის მიხედვით, საქართველოს საინვესტიციო ოთახის კარები ღიაა, მაგრამ პრობლემა ისაა, ღირს კი ამ ოთახში შესვლა, თუკი ინვესტორმა იცის, რომ იქ ქილერი ელოდება? ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისთვის პრობლემა პროცედურებში კი არა, აბსოლუტურად უვარგის, მაღალი პოლიტიკური რისკების შემცველ საინვესტიციო გარემოშია, სადაც თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა არ ხდება. არის ადმინისტრაციული პრობლემები და არ არსებობს საკუთრების დაცვის გარანტიები. ინვესტორებისთვის რეგისტრაციის ვადებზე მეტად სხვა პარამეტრებია უფრო მნიშვნელოვანი. მაგალითად, კონკურენციის პირობები, ბაზრის დაცულობა, საკუთრებისა და ინვესტიციების დაცვის რეალური და არა ვირტუალური გარანტიები და ა.შ. ამ მხრივ რომ გადახედოთ სხვა რეიტინგებს, პირველ ასეულშიც კი არ შევდივართ და პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან სახიფათო ქვეყნების რიგში ვიმყოფებით, ანუ იმ პარამეტრებით, რის მიხედვითაც ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას, ჩადოს თუ არა ფული ამა თუ იმ არეალში, ჩვენ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. მე თუ ერთი კვირის ნაცვლად ორ დღეში გავივლი რეგისტრაციას, ეს ბიზნესის წარმოებას ვერანაირად შეუწყობს ხელს, რადგან ერთ კვირაში შეიძლება მომადგნენ და ისე დამინგრიონ ყველაფერი, როგორც არა ერთხელ გვინახავს ქართულ სინამდვილეში. ამის შედეგი კი არის ის, რომ საქართველოს საინვესტიციო რუკაზე, ძირითადად, პოლიტიკურად მოტივირებული მეზობელი ქვეყნის სახელმწიფო კომპანიები, გაურკვეველი არაბული კომპანიები და ის ოფშორული კომპანიები არიან, რომელთა უკანაც, დიდი ალბათობაა, ისევ ქართველი ჩინოვნიკები იდგნენ. თუ საქართველო, მართლაც, ასეთი „მაგარი" ქვეყანაა, გვითხრას ხელისუფლებამ, რომელი ცნობილი კომპანია შემოვიდა ჩვენს ბაზარზე, სასტუმროების მენეჯმენტ-კომპანიების გარდა".

**— მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სარეიტინგო ქულების მიღების ერთ-ერთი პარამეტრი სწორედ თავისუფალი ბიზნესგარემო იყო. ბატონო გია, პრეზიდენტმა ამჯერადაც მოატყუა საკუთარი ხალხი?**

— რომელ თავისუფალ გარემოზეა საუბარი, როდესაც საწარმოები ყოველდღიურად იხურება? ადამიანს ბიზნესი, შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით დაუნგრიონ, გაუყიდონ და თუ მყიდველი არ გამოჩნდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მიმართონ, ანუ ბიზნესს კანონთან და გადასახადთან კი არ აქვს საქმე, არამედ პირდაპირ რეკეტთან და პოლიტიკური სახის შეტევასთან. არც ადმინისტრაციული კოდექსშია დაცვის მექანიზმი, არც ისეთი სასამართლოა, სადაც ადამიანი საკუთარი ბიზნესის დაცვას შეძლებს. რომელ კერძო ინვესტორს მოეწონება ასეთი გარემო და რომელი ბიზნესმენი დააბანდებს ფულს ისეთ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრება დაცული არაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მრავალი ფუნდამენტური და პრინციპული პარამეტრით ასეულშიც ვერ ვხვდებით. როცა ქვეყანაში ბიზნესის წარმატება ცხადდება და საქართველოს რომელიმე კუთხეში რაღაც საწარმოს ხსნიან, სამწუხაროდ, ამ ინფორმაციას იმ პროპაგანდისტული არხებიდან ვიგებთ, რომელთაც ხელისუფლება აკონტროლებს. დამერწმუნეთ, დღევანდელი მდგომარეობით, ერთ გახსნილ საწარმოზე ხუთიდან ათამდე დახურული საწარმო მოდის. 100 სამუშაო ადგილის შექმნის პერიოდში 1000 იკარგება, ანუ ჩვენ მატებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ — კლებასთან. ამას კი არც ერთი სახელისუფლებო არხი არ აჩვენებს და ვირტუალური კეთილდღეობის სურათი იქმნება. გავიხსენოთ, თუნდაც, ქიბარ ხალვაშის საქმე, რომლის ბიზნესსაც არა მარტო ყადაღა დაადეს, არამედ მისი საწყობები მეტად უცნაურ ვითარებაში დაიწვა კიდეც.

**— სანამ პრეზიდენტი ბიზნესის წარმატებაზე ისაუბრებდა, მანამ პრემიერ-მინისტრმა თითოეულ მინისტრს დავალება მისცა, თავიანთ სფეროში ინვესტიციების მოზიდვაზე ეზრუნათ. ხელისუფლების არც ამ ინიციატივას ეთანხმებით?**

— რაც პრემიერმა გააკეთა, ეს სრული აბსურდი და სისულელე იყო. უფრო მეტიც, ინვესტიციების მოზიდვა მინისტრის საქმე არაა. მინისტრი არ უნდა ელაპარაკებოდეს ინვესტორს, რადგან ეს ქმედება ბიზნესის განვითარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ უშლის და გარკვეულ პოლიტიკურ რისკებს შეიცავს. არაჯანსაღი ვითარებაა, როცა მინისტრის კაბინეტში წყდება ბიზნესის საკითხები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენთან თავისუფალი ბაზარი არ არსებობს. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ბიზნესმენი მინისტრს არ იცნობს, რადგან საქმე აქვს კანონთან და არა ჩინოვნიკთან.

**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. მიხეილ სააკაშვილის მორიგმა აქციამ, რომელმაც მამაპაპური ურმისა და გერმანული „კაბრიოლეტის" ფონზე რიხინ-რიხინით ჩაიარა, გამახსენა, რამდენიმე ხნის წინათ ზესტაფონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის საკლასო ოთახში სახელდახელოდ როგორ მოაწყვეს სამკერვალო და როგორ გახსნა პრეზიდენტმა არარსებული საწარმო; შაშკინმა კი — რუსთავის მე-3 მკაცრი რეჟიმის ციხეში ვითომდა სტომატოლოგიური კაბინეტი. პატიმრების მიერ თეთრად შეღებილი კარების მიღმა, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა „სტომატოლოგიური კაბინეტი", ნაგვის მეტი არაფერი იყო, თუმცა არ გვგონია, რომ ხელისუფლებამ დიდხანს შეძლოს ვირტუალური და მოჩვენებითი კეთილდღეობით საკუთარი ხალხის მოტყუება.**

# აფხაზეთის დაბრუნების გზა სამეგრელოზე გადის

**„საქართველო და მსოფლიო" იუწყებოდა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ოთარ ფაცაციას 80 წელი შეუსრულდა. მზადდება და სულ მალე მკითხველი მიიღებს მის წიგნს, რომლის სამუშაო სახელწოდებაა „დიალოგი საკუთარ თავთან". გთავაზობთ ორიოდ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.**



... გამგებელი ვარ და შემოვიდა მთხოვნელი.

— გამარჯობა.

— **გაგიმარჯოს.**

— აი, თქვენ აქ ზიხართ, ერთი, მეორე... მე სინათლე არ მაქვს, ჩემი ძმა კი უწყვეტი დენით სარგებლობს.

მგონია მომეყურა.

— **ვინა?** — მივაჩერდები თვალებში.

უცოდველი გამომეტყველებით მიმზერს:

— ჩემი ძმა, ჩემს გვერდით ცხოვრობს.

მე ვეუბნები:

— **ის ღვიძლი ძმაა შენი?**

— ნახევარძმაა.

— **ნახევარძმა. მერე?**

— მერე მე თუ არ მექნება, ნურც — იმას!

ალუმინის, სპილენძის ბუმი რომ დაიწყო, ჯერაც არ დამთავრებულა. საბერიოს ერთ-ერთი აგრეგატიდან ამოიღეს სპილენძი და თურქეთში გაიტანეს გასაყიდად. ასეთი პიროვნება აღმოჩნდა ის მომჩივანი ძმა.

ინგირის სადგურამდე ელმავლების საკონტაქტო ხაზზე ავიდნენ. ეს გადასარბენი ჯერაც ფუნქციონირებდა, მოკიდეს ხელი და იქვე დაიხრუკნენ, არ იცოდნენ, ჩართული რომ იყო. მაშინ ავტომატით შეიარაღებული ოცდაათიოდე კაცი მივარდა ქვესადგურში, რატომ გქონდათ ჩართულიო და დაუზოგავად დაცხრილეს.

სადაა მორალი ან სამართალი ყოველივე ამის შემდეგ?

მიღებაზე იყო ქალი ჩემთან, გოგოსთან ერთად შემოვიდა.

დაბრძანდით. რაზე შეწუხებულხართ-მეთქი, ვკითხე.

— ბატონო, ოთარ, — იცრემლება ის მანდილოსანი, — ეს ჩემი ქალიშვილია, მეშვიდე კლასამდე აქ სწავლობდა, მაგრამ არეულობის დროს ჩხოროწყუში გავხიზნე, ხუთი თვე არ უვლია სკოლაში და ჩატოვეს კლასში. რატომ უნდა დაეკარგოს წელი! გთხოვთ, დამეხმაროთ და მერვე კლასში გადაიყვანონ.

— თუკი პროგრამა ათვისებული აქვს, ამ საკითხს ახლავე გადაგიწყვეტ.

— სად გვქონდა წიგნები იმ დასაკარგავში.

— მივცემთ ვადას და ექსტერნად ჩააბაროს გამოცდები. წინ კიდევ ბევრი დროა.

— წელი რატომ უნდა დაეკარგოს?

გულმა ველარ მომითმინა და ავპილპილდი ცოტა:

— ქალბატონო, თქვენ ატესტატი გინდათ, თუ ის, რომ შვილმა ცოდნა მიიღოს?

„შეაყარე კედელს ცერცვი".

წელი რატომ უნდა დაეკარგოსო.

ლამის გადავაყირავე მაგიდა. იმანაც ხალხი შემიყარა. უზრდელი და ფუნქციონერი მიძახა დასაბმელად ქცეულმა.

* * *

**ჩვენ სერიოზულად ვმუშაობდით აფხაზეთის პრობლემაზე, კერძოდ, გალის დაბრუნებაზე, მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, აფხაზეთის დაბრუნების გასაღები მოსკოვში დევს და არა — ამერიკაში.**

**ეს გზა სამეგრელოს გავლითაა. სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის უამრავი ნათესაური ძაფია, რომლის ასე ხელაღებით გაწყვეტა შეუძლებელია. ხშირად პირადი კონტაქტი ბევრის გადამწყვეტია.**

მე მოვსწრებივარ ზუგდიდის სინამდვილეში ჩინებულ პიროვნებებს: **გვანჯი ჩიქვანს, კაკა ჟვანიას, მამია გვათუას.** აი, ვინ ივარგებდა დღესაც ჭეშმარიტ მედიატორად. ამათ ნებისმიერ დროში, ნებისმიერ სიტუაციაში მიესვლებოდათ აფხაზეთში, სოხუმში, სადაც განებავთ. ისინი აწესრიგებდნენ და აბალანსებდნენ თავიანთი დროის საჭირბოროტო საკითხებს.

ვარდიკო ნადიბაიძემ სცადა ამ გზით სიარული, მე ვიტყოდი, არცთუ ცუდად, მაგრამ ბრალი დასდეს, რუსეთისკენ იხედებოდაო. ჩვენი ჯარი იმ პერიოდში სერიოზულად შეიარაღდა. გვქონდა პირადი კონტაქტები რუსეთის თავდაცვის მინისტრ გრაჩოვთან და რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ჩერნომირდინთან.

მე და ბატონი ვარდიკო ერთად ჩავედით მოსკოვში. ჯერ ჩერნომირდინთან, შემდეგ — გრაჩოვთან. დამუშავდა დეტალური გეგმა, თუ როგორ შევიდეს გალში დევნილი მოსახლეობა, რათა ამ რაიონში ჩვენი იურისდიქცია გავრცელდეს.

**ეს იქნებოდა პირველი ეტაპი. კონდრატიევი იყო მაშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილე. მასთან ერთად სენაკში ჩამოვფრინდით მე და ვარდიკო. დილას გავემგზავრეთ სოხუმში.**

**რამდენი ათასი კაცი გინდათ, გადაიყვანოთო, გვკითხა.**

**ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, რომ 50 ათას კაცს გადავიყვანდით.**

**სურვილი კარგია, მაგრამ ვიცით, 50 ათასი კაცის გადაყვანა ამ ეტაპზე გაჭირდებაო, მაგრამ 15 ათას კაცზე ნაკლებს თუ შემოიყვანთ, არ ღირს ამ თემაზე ლაპარაკიო.**

**ვუპასუხეთ, რომ 20 ათასი კაცი უეჭველად იქნებოდა.**

**ამაზე ვმუშაობდით მთელი ოცი დღე.**

**შევიმუშავეთ განთავსების გრაფიკი.**

კოეფიციენტად ასი ოჯახი ავიღეთ: ოქუმში უნდა შესულიყო სამასი კაცი, ამდენივე — ბარღებში, ჭუბურხინჯში, თაგილონსა თუ ოტობაიაში.

**უსაფრთხოებას თავის თავზე რუსეთის სამხედრო ძალები იღებდნენ, ესეც განისაზღვრა — სად იყო საჭირო ოცეული, სად — ასეული და ასე შემდეგ.**

ასე უნდა გაკეთებულიყო ოხურეიმდე. მაშინ საზღვარმა ოხურეიმდე გადაიწია.

ამ გეგმით გალის რაიონი ჩვენს იურისდიქციაში შემოდიოდა.

**ეს ყველაფერი აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობასთან შეთანხმებული გვქონდა. ცნობილი იყო ყველასთვის, რომელ დღეს სად მიგვეყვანა ხალხი ავტობუსებით, მაგრამ 20 ათასი კაცი კი არა, 200 ძლივს შევაგროვეთ.**

კაციშვილი არ მოგვეკარა პიროვნული თუ განგებ დათესილი შიშის გამო.

**მერე მეკითხება ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი: კარგი, შევალთ ჩვენ გალში, მაგრამ მე ვინ ვიქნები იქ, ბატონო ოთარ?**

ვიფიქრე, გათავებულია ჩვენი საქმე. ახლა იმაზე ვიზრუნოთ, ხალხი როგორ შევიყვანოთ თუ თქვენ ვინ იქნებით-მეთქი?!

**იარაღით ჩვენ აფხაზეთს ველარ დავიბრუნებთ, გამორიცხულია ეს...**

**იარაღი როცა გვქონდა ხელში, მაშინ დაგვექცა ის კურთხეული მხარე...**

**ოთარ ფაცაცია**

**მრავალი წლის მანძილზე ხალხისთვის გაწეული დაუღალავი შრომისთვის ბატონი ოთარ ფაცაცია დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ორიოდ დღის წინათ პირადად გადასცა მას ეს ჯილდო.**

**„საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია გულმხურვალედ ულოცავს ბატონ ოთარს მისი ღვაწლის ესოდენ აღიარებასა და დაფასებას.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რას გვამცნობს სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ

**ანტიქრისტეს გამეფებას, სამყაროს აღსასრულსა და ქრისტეს მეორედ მოსვლას მთელი კაცობრიობა ძრწოლვით ელის. არა ერთხელ იწინასწარმეტყველეს კონკრეტული თარიღიც, მაგრამ, როგორც მაცხოვარი ბრძანებს, „იმ დღისა და იმ საათის შესახებ არავინ იცის“. რას გვამცნობს სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ?.. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება მამა ზურაბი, წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი.**



**— სახარებაში მაცხოვარი ბრძანებს: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ცანი და ქვეყანა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ“. რას გულისხმობს იესო?**

— ბოლო ჟამს, სამყაროს აღსასრულსა და მეორედ მოსვლას, რაც გარდაუვალია, ვერსად გავექცევით, მოსახდენი მოხდება.

**— როდის მოხდება ყოველივე, რასაც მაცხოვარი ბრძანებს?**

— სახარებაში ვკითხულობთ: „ხოლო იმ დღისა და იმ საათის შესახებ არავინ იცის; ციურმა ანგელოზებმაც კი არ იციან, არამედ მხოლოდ მამამ. და როგორც იყო ნოეს დღეებში, ისე იქნება კაცის ძის მოსლვაც. ვინაიდან როგორც წარღვნის წინა დღეებში ჭამდნენ და სვამდნენ, ქორწინდებოდნენ და განქორწინდებოდნენ, იმ დღემდე, ვიდრე ნოე შევიდა კიდობანში. და არას დაგიდევდნენ, ვიდრე არ მოვიდა წარღვნა და წალეკა ყველანი. ასე იქნება კაცის ძის მოსლვაც. მაშინ ორნი იქნებიან ველად: ერთს წაიყვანენ, და ერთს დასტოვებენ. ორნი დაფქვავენ ფქვილს: ერთს წარიტაცებენ და ერთს დასტოვებენ“, — ამბობს იესო. ასე რომ, სამყაროს აღსასრულისა და მეორედ მოსვლის თარიღი არც ქრისტემ იცის და არც ანგელოზებმა, იცის მხოლოდ მამამ.

**— რას ნიშნავს მაცხოვრის სიტყვები: „ერთს წაიყვანენ და ერთს დასტოვებენ“?**

— ქრისტიანული სწავლების თანახმად, საუბარია კაცთა მოდგმის საყოველთაო განკითხვაზე, რომლის დროსაც უახლოესი ადამიანებიც კი, იგულისხმებიან ნათესავები, მეგობრები, თანამოსაქმენი, შესაძლოა, ყოფიერების სხვადასხვა სფეროში მოხვდნენ.

**— რა სფეროებზეა საუბარი?**

— ერთნი ცათა სასუფეველში მოხვდებიან, მეორენი — საუკუნო წარსაწყმედელში. „მაშ, იფხიზლეთ, რამეთუ არ იცით, რომელ საათზე მოვა თქვენი უფალი. ამიტომ მზად იყავით, რამეთუ როცა არ ელით, სწორედ იმ საათს მოვა ძე კაცისა“.

**— 2000 წლის დადგომას ბევრი შიშით შეხვდა, ქრისტეს მოსვლას ელოდნენ...**

— სახარებაში ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ვკითხულობთ: „ვინაიდან, როგორც ელვა გამოაბრწყინვებს მზის აღმოსავლეთიდან და ანათებს ვიდრე დასავლეთამდე, ისე იქნება კაცის ძის მოსლვაც“.

**— როდის მოხდება ეს? გასაგებია, რომ კონკრეტული, თარიღი მამა ღმერთის გარდა, არავინ იცის, მაგრამ რა ნიშნები მოასწავებს ქრისტეს მეორედ მოსვლას?**

— ისევ სახარების ტექსტით გიპასუხებთ: „და მსწრაფლ, იმ დღეთა ჭირის შემდეგ, დაბნელდება მზე, და მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს, და ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან ციდან, და შეიძვრებიან ციური ძალნი. და მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ცაზე, და მაშინ მოთქმას მოჰყვება დედამიწის ყოველი ტომი, და იხილავენ ძეს კაცისას მომავალს ზეცის ღრუბლებზე მრავალი ძალით და დიდებით. და მოავლინებს თავის ანგელოზებს მგრგვინავი საყვირით, და შეჰკრებენ მის რჩეულთ ოთხთავ ქართაგან, ზეცათა კიდეთაგან კიდეებამდე“. როგორც ხედავთ, თავისი მეორედ მოსვლის შესახებ მაცხოვარი გვაუწყებს, რომ კაცთა მოდგმა ვინმეს მონაყოლით კი არ შეიტყობს ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, მხოლოდ ცალკეული პირისთვის კი არ გაცხადდება იგი, არამედ ყველა დაინახავს.

**— ყოველივე ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია...**

— ქრისტიანული სწავლების თანახმად, მაცხოვარი თავისი ღვთაებრივი ძალით არღვევს მის მიერვე შექმნილი ფიზიკური სამყაროს კავშირებს და ყველასათვის ერთდროულად განცხადდება, ანუ მთელი ქვეყნიერება ერთბაშად შეიტყობს მის მეორედ მოსვლას. ეს მოვლენა იქნება საყოველთაოდ აღქმადი როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სამყაროს მკვიდრთათვის.

**— ქრისტე ფიზიკურად მოევლინება ქვეყანას?**

— მაცხოვრის მეორედ მოსვლა არ იქნება ფიზიკური მოვლენა, როგორც ამას ზოგიერთი მწვალებლური სექტის მიმდევრები ქადაგებენ, რადგანაც ფიზიკური კანონების ჩარჩოებში ყოვლად შეუძლებელია, სხვადასხვა ნახევარსფეროს მცხოვრებთ ერთი და იგივე ციური მოვლენა ერთდროულად დაინახონ. ასე რომ, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იქნება არა ციური, ანუ ფიზიკური, არამედ ზეციური მოვლენა, რომლის დროსაც იესო ქრისტე განცხადდება ვითარცა საყოველთაო ნათელი — „ელვაი აღმოსავალით ვიდრე დასავლამდე“, რაც მეტაფორულად ნიშნავს, რომ ეს მოვლენა მოიცავს ყოვლიერების ყველა სფეროსა და სკნელს.

**— მაცხოვრის მეორედ მოსვლას უკავშირდება მყისიერი ცვლილება სამყაროში — ფიზიკური, ანუ ხრწნადი ყოფიერების შეცვლა უხრწნადი ყოფიერებით. ამის შესახებ რას გვეტყვით?**



— მაცხოვრის მეორედ მოსვლას უკავშირდება უმნიშვნელოვანეს არსობრივ და მყისიერ ცვლილებებს სამყაროში. ამის შესახებ ვკითხულობთ როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წმინდა წერილებში. ესაია წინასწარმეტყველი გვამცნობს ფიზიკური, ანუ ხრწნადი ყოფიერების უხრწნადით შეცვლის შესახებ სამარადჟამოდ: „და შევქმნი ახალ ცას და ახალ ქვეყანას, და აღარ გაიხსენებენ პირველით (წინანდელით), გულშიაც კი არ გაივლებენ მათზე“.

**— რა იგულისხმება „ახალი ცისა და ქვეყნის“ შექმნაში?**

— მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამს ფიზიკური სამყაროს ელემენტთა და კანონზომიერებათა სრული რღვევის და „ახალი ცისა და ქვეყნის“ შექმნის თაობაზე საუბრობს პეტრე მთავარმოციქული, ხოლო ხრწნადობისა და მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების მყისიერი განქარება, კაცთა მოდგმის საყოველთაო სხეულებრივი განახლება და სიკვდილის საბოლოო ძლევა ერთობ თვალსაჩინოდ აქვს აღწერილი „პირს ღვთისას“, პავლე მთავარმოციქულს. იგივეს იმეორებს იოანე მახარებელიც და გვამცნობს, რომ ღმერთის მიერ განახლებულ სამყაროში აღარ იარსებებს დაცემული ყოფისათვის დამახასიათებელი ბიწიერება.

**— რა ელის ადამიანს და ჩვენს პლანეტას?**

— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის თანამდევი მყისიერი მოვლენები იქნება ფიზიკური სამყაროს სრული რღვევა და ყოვლიერების სფეროების გაერთიანება, ანუ ფიზიკური და მეტაფიზიკური სამყაროების გადასვლა ერთ განზომილებაში.

**— როგორ მოხდება მკვდართა აღდგინება?**

— სწორედ ფიზიკური და მეტაფიზიკური სამყაროების ერთ განზომილებაში გადასვლა გამოიწვევს მკვდართა და ცოცხალთა ერთგვარ სხეულში საერთო აღდგინებას, რასაც საყოველთაო განკითხვა მოჰყვება.

**— რა იქნება საყოველთაო განკითხვის შემდეგ?**

— განკითხვას მოჰყვება მართალთა დამკვიდრება უფლის მიერ განახლებულ სრულყოფილ სამყაროში და ცოდვილთა შთანთქმა საუკუნო წარსაწყმედელში.

**— წმინდა წერილსა და ქრისტიანულ ლოცვებში თანამედროვე ყოფიერების აღსანიშნავად სიტყვა „ქვეყანა“ მხოლობით რიცხვში იხმარება, ხოლო „ცა“ — მრავლობითში: „ცანი“, „ცათა“. რით აიხსნება ეს გარემოება?**

— ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ აწ არსებულ ყოფიერებაში ფიზიკური, ანუ მატერიალური სამყარო — ქვეყანა — ერთდაერთია, ხოლო სულიერი, ანუ მეტაფიზიკური სამყარო — ცანი — მრავალ სკნელს, ყოვლიერების სხვადასხვა სფეროს მოიცავს.

**— როგორი იქნება ყოფიერება ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ?**

— ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდგომი ყოფიერების აღსანიშნავად ღვთივშთაგონებული წმინდა მამები იყენებენ ტერმინებს „ახალი ცა და ახალი ქვეყანა“. როგორც ხედავთ, ამ კონტექსტში ორივე სიტყვა მხოლობით რიცხვში იხმარება. ცა და ქვეყანა ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს და ორივე ახალია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მაცხოვრის მეორედ მოსვლის შემდეგ ფიზიკური, ანუ მატერიალური და მეტაფიზიკური, ანუ სულიერი სამყაროები ტრანსცენდენტურ საწყისზე გაერთიანდება და ახალი, ერთიანი ყოფიერება შეიქმნება.

**— რა ელით მართლებს საყოველთაო განკითხვის შემდეგ?**

— სახარებაში ვკითხულობთ: „შეიყრებიან მის წინაშე ყველა ხალხი, და განარჩევს მათ ერთმანეთისგან, ისევე, როგორც მწყემსი განარჩევს ცხვრებს თხებისგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თხებს — მარცხნივ. მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, ჩემი მამის მიერ კურთხეულნო, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, ქვეყნიერების დასაბამიდან თქვენთვის განმზადებული, რადგანაც მშიოდა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ. შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომხედეთ, საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ“. ამ სიტყვებზე მართალნი პასუხად ეტყვიან: „როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი და გასვით შენ? როდის გიხილეთ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანდა შიშველი და შეგმოსეთ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ანდა საპყრობილეში და გინახულეთ?“ ამ კითხვების პასუხად მეუფე მათ ეტყვის: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რითაც შეეწიოთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიოთ“.

**— გამოდის, რომ მაცხოვარი ადამიანს ძმად მიიჩნევს...**

— უფალი აშკარად ამბობს, რომ ყოველი ადამიანი თავის განუყოფელ, სულხორციელ ნაწილად — ძმად მიაჩნია, რასაც პავლე მთავარმოციქულის სიტყვებიც ადასტურებს: „თქვენ ქრისტეს ხორცნი (სხეული) ხართ და ასოები მის ასოთაგან“. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს ადამიანის ღვთაებრივ წარმომავლობას, ყოველი ქმნილი არსების შემოქმედისგან გამომავლობას და მის ნაწილობას, სწორედ ამიტომაა გათანაბრებული მოყვასის სიყვარული უფლის სიყვარულთან.

**— რა ელით მეორედ მოსული ქრისტეს მარცხნივ მდგომთ?**

— უფალი მარცხნივ მდგომთ ეტყვის: „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც განმზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის, რადგან მშიოდა და არ მომეცით საჭმელი, მწყუროდა და არ მასვით. უცხო ვიყავი და არ შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში დამწყვდეული და არ მინახულეთ“. მათ შეკითხვაზე — „უფალო, როდის?“ მაცხოვარი პასუხობს: „რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ“. უფლის მარცხნივ მდგომნი „წავლენ საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო სიცოცხლეში“.

**— განკითხვის დღეს მხოლოდ თავისი საქმეების მიხედვით მიაგებს უფალი თითოეულს?**

— არა მარტო საქმეების მიხედვით... აი, რას ამბობს მაცხოვარი: „ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, ვინაიდან შენი სიტყვებით განმართლდები და შენივე სიტყვებით დაისჯები“.

**— გასაგებია, მაგრამ მან ხომ იცის, ამქვეყნად რამდენი საცდურია?**

— რა თქმა უნდა, იცის და ამბობს კიდეც სახარებაში: „ვაი ამ ქვეყანას საცდურთაგან, ვინაიდან საცდურნი გარდაუვალია; მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოვა საცდური“. აქ ზოგადადაა ნაგულისხმევი როგორც მაცდუნებელი ადამიანი, ასევე, სოფლის ყველაზე დიდი მაცდური — „წარსაწყმედელის ძე“ — ანტიქრისტე.

ამჯერად ჩვენი საუბარი მინდა, დავასრულო მაცხოვრის სიტყვებით: „რა სარგებელი ექნება კაცს, თუკი შეიძენს მთელს ქვეყანას, სულს კი დაიღუპავს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?“

**ნინო გოძიაშვილი**

## სამძიმარი

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მწუხარებით თანაუგრძნობს რედაქციის თანამშრომელს ნინო გოძიაშვილს მამიდის
**ფლორა გოძიაშვილის**
გარდაცვალების გამო.

ვენედი ბენიძე და ტატო ლასხიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბატონ გურამ მეფარიშვილს გარდაეცვალა დედა
**ალექსანდრა გამყრელიძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ ააშენა სიონის ტაძარი

**ქრისტიანული სარწმუნოებით აღტაცებულმა ქართველმა ხალხმა მეხუთე საუკუნეში აშენებულ ტაძარს იერუსალიმის მთის სახელი — სიონი უწოდა. საღვთო წერილის თანახმად, სწორედ იქ არის დამკვიდრებული უფალი. ადამიანს შემწეობა სიონის მთიდან მოევლინა.**



მოგეხსენებათ, თბილისი ვახტანგ გორგასალმა ააშენებინა. მანვე ინება სამეფო ტახტის თბილისში გადმოტანა და სიონის ტაძრის აგება. თავდაპირველად მცირე ნაგებობა ყოფილა. 575 წელს ახალი ტაძრის აშენება დაუწყიათ ხელმოკლე ქართველებს. მშენებლობა ჩვენთვის უცნობ ქვრივს თავისი ხარჯით დაუმთავრებია ადარნასე მეფის დროს. ამჟამად რა სახისაცაა, X-XI საუკუნეებშია აგებული. ტაძრის კედლები ბოლნისის მოყვითალო ქვის პერანგითაა შემოსილი. მისი გუმბათი ოთხ ბოძზე დგას, სამნავიანია. სიონის სიგრძე 22 მეტრია, სიგანე — 18 მეტრი, სიმაღლე — 32 მეტრი.

რუსუდანის მეფობის დროს, ხვარაზმელთა შემოსევისას, მათმა წინამძღვარმა ჯალალედინმა ბრძანა, კიბე აღემართათ მტკვრის მხრიდან სიონის გუმბათამდე, კონუსი მოეშორებინათ და მისი ტახტი იქ დაედგათ. როცა ბრძანება შეუსრულეს, სისხლისმსმელი იქიდან ტკბებოდა საშინელი სანახაობის ცქერით, როგორ ყრიდნენ მტკვარში მორწმუნე ქართველებს, რომლებმაც არ შეურაცხყვეს სიონიდან გამოტანილი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები და არ გამაჰმადიანდნენ. ჯალალედინმა ტაძარი საჯინიბოდ გადააქცია. მაშინ 100000-მდე ქართველი დაიღუპა.

მოგვიანებით თბილისი და წმინდა ტაძარი ჩინგისხანმა ააოხრა. თემურლენგი (კოჭლი თემური) რვაჯერ შემოესია თბილისს და რვაჯერ გაძარცვა სიონი. სპარსელმა შაჰ-ისმაილმაც მოხსნა ძვირფასეულობა სიონის ღვთისმშობლის ხატს, ხიდზე დაასვენა და ვინც არ უარყო დედა ღვთისა, ჯალალედინივით ყველა მტკვარში ჩააყრევინა, ბოლოს ხატიც მდინარეში გადააგდო. 1556 წელს შაჰ-ისმაილს არც შაჰ-თამაზი ჩამორჩა, ხოლო შაჰ-აბას პირველმა 1616-1617 წლებში ტაძარში ცეცხლი დაანთებინა და ქვის კანკელი გაანადგურა. გამაჰმადიანებულმა კახეთის მეფემ, ალიყული-ხანად წოდებულმა, გაძარცვა სიონი, მეფე ვახტანგ მეექვსე კი ქვეყნიდან გააძევა.

1727 წელს ლეკებმა და თურქებმა ტაძრის მეჩეთად გადაქცევა მოინდომეს, მაგრამ ქართველებმა არ დაანებეს ამ წმინდა ადგილის წაბილწვა. 1795 წელს საჭურისმა აღა-მაჰმადხანმა გაძარცვა სიონი და წასვლამდე შუა ტაძარში ცეცხლი დაანთებინა. ხანძარმა ყველაფერი შთანთქა, კედლების გარდა, მაგრამ ქართველებმა კვლავ აღადგინეს სიონის წმინდა ტაძარი.



## სულისთვის სასარგებლო რჩევები

● რა მწუხარებაც უნდა გეწვიოს, ნურავის დაადანაშაულებ ამაში, საკუთარი თავის გარდა, და თქვი: „ჩემი ცოდვების გამო შემემთხვა“.

● სიყვარულის გამო ნუ შეუსრულებ მოყვასს რაიმე ახირებას ან რასაც ვნების ან მავნე ჩვევის გამო ითხოვს, ნუ გამოიჩენ ქვეშევრდომთა მიმართ უადგილო სინაზესა და მეტისმეტ მოთმინებას, ნუ წააქეზებ მათ.

● მოყვასის მარტო სულზე კი არა, სხეულზეც იზრუნე, შეაგონე, ურჩიე, სასარგებლო წიგნებზე მიუთითე, ანუგეშე, გააძლიერე.

● ადამიანისთვის მთავარი საქმე ლოცვაა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

● თავს ნუ აარიდებ მათ, ვინც ღმერთზე საუბრით სარგებელს ეძიებს შენგან, ვინაიდან სიყვარული ლოცვაზე მეტია.

● წარმოიდგინე ქრისტეს ტანჯვა და მისი სიყვარულისთვის შენი ტანჯვა და შეწუხება დაივიწყე.

● ყოველდღე ილოცე ყველასთვის, მოიპოვე სულის მშვიდობა, რათა არავინ შეურაცხყო და არც თავად გეწყინოს ვინმესგან შეურაცხყოფა. მაშინ ღმერთი მოგცემს სინანულის ცრემლს.

● ცდუნებისას ხშირად გაიხსენე სიკვდილი, განკითხვის დღე და საუკუნო სატანჯველი.

# ნანა კაკულია: ღმერთმა შვილი მომცა, მე კი მას სიცოცხლე მოვუსწრაფე...

**ნანა სისაურმა, ქმართან დაძაბული ურთიერთობის გამო, მეორე ბავშვის გაჩენა აღარ მოისურვა და აბორტი გაიკეთა, მაგრამ დღემდე განიცდის, რომ შვილს საკუთარი ნებით მოუსწრაფა სიცოცხლე... აი, რა გვიამბო ქალბატონმა ნანამ:**

— პირველი შვილი უკვე სამი წლის მყავდა, როცა მეორედ დავფეხმძიმდი, მაგრამ ქმართან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები შემექმნა, შეიძლება, საქმე გაყრამდე მისულიყო, ამიტომ გადავწყვიტე, აბორტი გამეკეთებინა.

**— რატომ დაგეძაბათ ურთიერთობა ქმართან?**

— საყვარელი გაიჩინა, შინ იშვიათადღა მოდიოდა, ფაქტობრივად, იმ ქალთან ცხოვრობდა. ვითმენდი, ოჯახის დანგრევა არ მსურდა, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ძალიან მატკინა გული და გაყრა გადავწყვიტე.

**— თქვენთან ინტიმური ურთიერთობა აღარ ჰქონდა?**

— როცა შინ რჩებოდა ღამლამობით, ქმრის მოვალეობას ჩვეულებრივად ასრულებდა და ფეხმძიმედ დავრჩი. არც ოჯახის დანგრევა სურდა და არც საყვარლის მიტოვება. მე იმდენად შეურაცხყოფილი ვიყავი, რომ აბორტის გაკეთება გადავწყვიტე. უკვე სამი კვირის ორსული ვიყავი, როცა შობა ღამეს ფრიად უცნაური სიზმარი ვნახე.

**— რა დაგესიზმრათ?**

— მატარებელში ვიჯექი და სადღაც მივემგზავრებოდი. უცებ მიწა იძრა, ეშელონი გადაყირავდა, ვაგონიდან გადმოვხტი და გავიქეცი. მოულოდნელად მწვანე მოლზე აღმოვჩნდი, სადაც უამრავი შავი და თეთრი ბატკანი ძოვდა ბალახს. რატომღაც გავიფიქრე: ღმერთო, თუ ერთი თეთრი ბატკანი ჩემთან მოვა, გადავრჩები-მეთქი. მართლაც, ერთ-ერთი კუნტრუშით გამოიქცა ჩემკენ. ვარდისფერი ბაფთა ეკეთა კისერზე. გახარებულმა ბატკანი გულში ჩავიხუტე. მოულოდნელად ეს კადრი გაქრა და უცებ ციდან ორი ბავშვი ჩამოფრინდა. ერთი ჩემი 3 წლის ბიჭი იყო, მეორე კი პატარა გოგონა, რომელიც საოცრად მგავდა, ბავშვობისდროინდელ სურათებზე ზუსტად ასეთი ვიყავი. კახა გულში ჩავიხუტე, ხოლო გოგონა განზე გავწიე და ვთქვი: ღმერთო, ცოტა ხანს მაცალე, მეორე შვილის თავი არ მაქვს, ეს გამაზრდევინე-მეთქი და... გამომეღვიძა...

ორსულობა ბუნებრივად შემიწყდა, აბორტის გაკეთება აღარ დამჭირვებია... დიდება უფალს!

**— მეუღლეს გაეყარეთ?**

— არა, მაგრამ ხშირად ვჩხუბობდით. მეფიცებოდა, აღარ გღალატობ, იმ ქალს თავი დავანებეო. რა თქმა უნდა, ცრუობდა. თბილისი პატარა ქალაქია, არაფერი იმალება, ხმები მომდიოდა, რომ ჩუმჩუმად ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოკლედ, ჩემი მეუღლე ერთდროულად ორ ქალთან ცხოვრობდა, მაგრამ თავს იკატუნებდა, მარწმუნებდა, შენ გარდა არავინ მიყვარსო.

**— იქნებ, ასეც იყო?**

— სამწუხაროდ, ტყუოდა, მაგრამ როცა ფაქტზე წავასწარი, ღალატი ველარ უარყო.

**— როგორ გამოიჭირეთ?**

— ზაფხულის თვეებში კახა ქალაქიდან გავიყვანე. კიკეთში ბინა იქირავა ჩემმა მეუღლემ. შაბათკვირას თვითონაც ჩამოდიოდა და ორშაბათს დილით იქიდან მიდიოდა სამსახურში. ერთ დღესაც მოულოდნელად ჩამოვედი თბილისში. მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო. ქალაქის ნომრებზე ვურეკავდი ჩემს მეუღლეს სახლშიც და სამსახურშიც, მაგრამ ყურმილს არ იღებდა.

**— რატომ დაბრუნდით ქალაქში?**

— კახას სიცხე ჰქონდა და მის ექიმთან უნდა წამეყვანა. მინდოდა, მანქანით ჩამოსულიყო, მაგრამ ვერ დავუკავშირდი. სხვა რა გზა მქონდა, ტაქსი ვიქირავე და მეუღლეს თავზე მოულოდნელად დავადექი სიცხიან ბავშვთან ერთად. ფაქტზეც მაშინ წავასწარი... საყვარელი სახლში ჰყავდა მოყვანილი და ჩვენს საძინებელში ნებივრობდნენ. ამ ფაქტმა ჩვენი ქორწინების ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. იმ საღამოსვე დედაჩემთან წავედი და მეორე დღეს განცხადება შევიტანე განქორწინების თაობაზე. არ ვიცოდი, თუ ისევ ორსულად ვიყავი. როცა ექიმმაც დამიდასტურა ფეხმძიმობა, აბორტის გაკეთება გადავწყვიტე. გული მიკვნესოდა, მაგრამ იმ პერიოდში სხვაგვარად მოქცევა წარმოუდგენლად მიმაჩნდა.

იმ სიზმრის მერე ძალიან განვიცდიდი, აბორტი რომ უნდა გამეკეთებინა. პატარა გოგონას სახე, რომელიც ძალიან მგავდა, დღესაც თვალწინ მიდგას... ვიფიქრე, ნარკოზით ნაკლები ნერვიულობა შემხვდებოდა და განცდებსაც გასაქანს აღარ მივცემდი. ექიმმა ექოსკოპიის კაბინეტში გამაგზავნა ნაყოფის ასაკის დასაზუსტებლად. იქ მითხრეს, რომ ბავშვი უკვე ოთხი თვის იყო. მე კი ზუსტად ვიცოდი, რომ ორ თვეზე მეტის არ იქნებოდა. მაშინ სრულიად უცნობი ქალბატონი მომიბრუნდა და მუდარით სავსე თვალებით მითხრა: თუ ეს ბავშვი მართლა ორი თვისაა, აბორტი არ გაიკეთოთ, ღმერთის საჩუქარიაო...

მისი ხმა ახლაც ჩამესმის ხოლმე... მიუხედავად მძიმე განცდებისა, აბორტი მაინც გავიკეთე. შვილმკვდარი დედასავით ღამეებს ტირილში ვათენებდი. თავი იმით დავისაჯე, რომ ხორციან კერძებს აღარ ვეკარები. ქმართან განქორწინების შემდეგ მეორედ გავთხოვდი, კარგი ოჯახი შევქმენით, მაგრამ საერთო შვილი არ გვყავს. იმ აბორტის მერე აღარ ვფეხმძიმდები. ძალიან ვნანობ, რომ საკუთარი ნებით მოვუსწრაფე სიცოცხლე არსებას, რომელიც ღმერთმა მაჩუქა.

## კითხვა-პასუხი

**როდის გადასცემენ ადამიანს ანათემას?**

— ანათემა ადამიანის წმინდა ეკლესიიდან განკვეთას ნიშნავს. სასულიერო პირები ამ რადიკალურ ნაბიჯზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიან, როცა პიროვნება დემონსტრაციულად განაგდებს საკუთარ თავს ეკლესიიდან და აშკარად ებრძვის მას. ასეთ დროს ანათემა საშუალებაა, რომ ღვთისმგმობი გამოაფხიზლოს და სინანულში ჩააგდოს, რადგანაც სინანულით კვლავ შეიძლება ეკლესიის წიაღში დაბრუნება. ანათემით წმინდა ეკლესია შეგვახსენებს, თუ სადამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი. ანათემასგადაცემული ჯერ კიდევ ხორცში მყოფი თვითმკვლელია. მასზე არც საეკლესიო ლოცვა შეიძლება და არც რაიმე საიდუმლოების აღსრულება, გარდაცვალების მერე წესსაც არ უგებენ.

**რატომ ითვლება ნაყროვანება ცოდვად?**

— ნაყროვანება ცოდვაა, რადგანაც ადამიანი ბევრს ჭამს ვნების გამო — იმაზე გაცილებით მეტ საზრდელს იღებს, რაც ორგანიზმს სჭირდება ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ნაყროვანება ვნებს როგორც ხორციელ, ისე სულიერ ჯანმრთელობას.

**უნდა შეინახოს თუ არა მარხვა ავადმყოფმა?**

— მოძღვარი უნდა ერკვეოდეს ასეთ საკითხებში და იცოდეს, მრევლიდან ვინ ავადმყოფობს. ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდში, ანემიისა და ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს, როცა აუცილებელია განსაკუთრებული კვებითი რეჟიმი, ადამიანს ეძლევა ლოცვა-კურთხევა, მიიღოს საკვები, რომელიც მისი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

**რატომ აქვს მაცხოვარს ფეხები გადაჯვარედინებული კათოლიკურ ჯვარცმაზე?**

— პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ ექნება მაცხოვარს ფეხები, თუმცა, მართლმადიდებლური ტრადიციით, ქრისტემ ოთხი სამსჭვალი დაითმინა ჯვარცმისას. ჩვენი რწმენით, ამგვარი ჯვარცმა (ოთხი სამსჭვალით) უფრო ასახავს ისტორიულ რეალობას. ამასვე ადასტურებს საეკლესიო გადმოცემა. ასე რომ, ტრადიციას პატივი უნდა მივაგოთ.

**როგორ გადავეჩვიოთ სხვათა განკითხვას?**

— თუ ვინმეს განიკითხავთ, წესად შემოიღეთ: იმ დღეს სამჯერ შეასრულეთ მეტანია თაყვანისცემით მისთვის, ვინც განიკითხეთ და წარმოთქვით ლოცვა: „აცხოვნე, უფალო და შეიწყალე (სახელი განკითხულისა) და მისითა ლოცვითა შემიწყალე მე ცოდვილი“. გჯეროდეთ, თუ ასე მოიქცევით, უფალი შეგეწევათ, რათა ეს ცოდვილი ჩვევა განაგდოთ.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**



## როგორ ვძლიოთ მრუშობის ცოდვას

მრუშობის ცოდვას რომ სძლიოთ, გირჩევთ, თავი შეიკავოთ ზედმეტი ჭამა-სმისგან, იძინეთ ცოტა, თანაც, მაგარ საწოლზე; არასოდეს გაიხსენოთ ადრე ჩადენილი ხორციელი ცოდვები; მოერიდეთ საპირისპირო სქესის ადამიანებთან ურთიერთობას; ევედრეთ უფალს, გიხსნათ გულისთქმათაგან; საიქიო სასჯელის შიშით თავი შეიკავეთ არაწმინდა სურვილებისგან; ხშირად გადაიწერეთ პირჯვარი, ვინაიდან მისი გადასახვა გულისთქმათა განდევნის იარაღია; ხშირად იფიქრეთ სიკვდილზე; აღსარება უთხარით და გაენდეთ სულიერ მამას; იშრომეთ ფიზიკურად, იკითხეთ წმიდა სახარება, მოარიდეთ მზერა და სმენა ყოველივეს, რაც მრუშობის ცოდვას იწვევს — გარყვნილ წიგნებს, ფოტოებს, საუბარს.



## ნუ ენდობი საკუთარ თავს, უფალს მიენდე

თუ ადამიანი საკუთარ ნებას უარყოფს და ღვთისას დაემორჩილება, უდიდეს ძალასა და სიბრძნეს დაიუნჯებს. მართალია, უფრო ჭკვიანი და ძლიერი ვერ გახდება, მაგრამ მასში ღმერთი მოქმედებს და თავადვე უკვირს — შეცდომა დავუშვი, კარგად კი გამოვიდაო. ღმერთი გაცილებით უკეთ აწყობს ყოველივეს, ვიდრე ჩვენ. სულელური იმედი საკუთარი ძალების, უსასრულო საუბარი თავთან სინამდვილეს გვაშორებს. თითქოს ყველაფერი კარგად გავთვალეთ, მოვემზადეთ, მაგრამ შრომა წყალში ჩაგვეყარა. ამით ღმერთი გვამდაბლებს და გვასწავლის, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად არ უნდა ვიყოთ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 23 წლის გოგონა ჯერ დაჭრეს, შემდეგ კი მაღაზიაში გამოწვეს

**მართლმსაჯულებამ 23 წლის ლანა ავალიანის ხუთი წლის წინანდელი სასტიკი მკვლელობისთვის დამნაშავეებს მეტისმეტად მსუბუქი სასჯელი გამოუტანა. მთელი სასამართლო პროცესი მხოლოდ ორიოდ სხდომაში ჩაატიეს და მორიგ სხდომაზე უკვე ბედნიერად მოღიმარი პროკურორი გამოჩნდა, რომელმაც სიამაყით განაცხადა, რომ დამნაშავესთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავემ დანაშაული აღიარა და გამოძიებაც ამ საქმიდან იოლად გამოვიდა.**



მკვლელობა, რომელმაც თავის დროზე მრავლისმნახველი გამომძიებლებიც კი შეძრა, 2004 წლის ზაფხულში მოხდა. ვაშლიჯვარში მაშინ სადღეღამისო მაღაზია ფუნქციონირებდა, სადაც გამყიდველად 23 წლის გოგონა მუშაობდა. ზუსტად მკვლელობის დღეს იგი თავის ცვლას ასრულებდა და დილით სახლში უნდა წასულიყო. 30 ივნისის ღამე ლანა ავალიანისთვის საბედისწერო გამოდგა. ორმა მამაკაცმა იგი ჯერ დანით დაჭრა, შემდეგ ხელფეხშეკრული საწოლზე მიაგდო და მაღაზიაში გამოწვა. უბანი იმ ღამით აბრიალებულმა ცეცხლმა გამოაფხიზლა, თუმცა ავალიანს ვერც გამოძახებულმა სახანძრო დახმარებამ უშველა. ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ მეხანძრეებმა საწოლზე დანახშირებული ადამიანის გვამი იხილეს — ისეთი დასახიჩრებული, რომ ვერ იგებდნენ, ქალი იყო თუ მამაკაცი.

დანახშირებული გვამი გამყიდველი გოგონასი იყო.

10 დედმამიშვილში ლანა ყველაზე უფროსი იყო. აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს, სხვების მსგავსად, უჭირდა, განსაკუთრებით, პირველ წლებში. ლანა დედას გვერდში ედგა. ჯერ უმცროსი დაძმების მოვლაში ეხმარებოდა, შემდეგ კი მუშაობაც დაიწყო. მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე გათხოვდა. ნაქირავებში ცხოვრობდა რჩეულთან ერთად. მეზობლები გოგონას თბილ, შრომისმოყვარე პიროვნებად ახასიათებდნენ. სამუშაო, რომელიც ავალიანისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, გაზეთის მეშვეობით იპოვა. მაღაზიის მესაკუთრესთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ 15 დღეს იმუშავებდა და ამდენივეს დაისვენებდა.

მაღაზიის მეპატრონე მომხდარის შემდეგ იხსენებდა, რომ ლანა მუდმივად საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი და კონტაქტშიც ძნელად შედიოდა ვინმესთან. უფროსის შეკითხვაზე, რატომ იყო ასე, იგი მხოლოდ ერთს პასუხობდა, რომ მან მძიმე ცხოვრება გამოიარა.

საქმის მასალების მიხედვით, **2004 წლის 30 ივნისს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, ფაზილ იბრაგიმოვი მივიდა მის მეზობლად დროებით მცხოვრებ მამუკა ბურჯაძის ბინაში, სადაც მას ბურჯაძის მეგობარი — ოლეგ ევანგულიანი დახვდა. მათ ალკოჰოლიანი სასმელი მიიღეს, რის შემდეგაც ბურჯაძე დასაძინებლად დაწვა, ხოლო ევანგულიანი და იბრაგიმოვი ბინიდან გავიდნენ და ლუდის დასალევად ფეხით გაემართნენ გოძიაშვილის ქუჩა 16-ში მდებარე სადღეღამისო მაღაზიისკენ, სადაც გამყიდველი ლანა ავალიანი დახვდათ. მაღაზიაში ევანგულიანმა ორი ბოთლი ლუდი შეიძინა და იბრაგიმოვთან ერთად დალია. იბრაგიმოვმა რამდენჯერმე უხამსად მიმართა ავალიანს, რის გამოც ევანგულიანისგან შენიშვნა მიიღო. მიუხედავად ამისა, იბრაგიმოვი, რომელსაც ავალიანთან ინტიმური ურთიერთობის დამყარება სურდა, ავალიანისკენ გაემართა და მხარზე ხელი შემოხვია. ავალიანმა იგი ხელის კვრით მოიცილა. უარით განაწყენებულმა იბრაგიმოვმა შურისძიების მოტივით ავალიანის მოკვლა განიზრახა. იბრაგიმოვმა თანნაქონი დანით ავალიანს გულმკერდისა და ზურგის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. ავალიანი ადგილზე გარდაიცვალა. იბრაგიმოვი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

თავდაპირველად ლანა ავალიანის მკვლელობის საქმეს ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა იძიებდა. გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობის შემდეგ ლანა ავალიანი მაღაზიაში გამოწვეს. ალმოდებული მაღაზიის დანახვაზე იქაურმა მცხოვრებლებმა სახანძრო გამოიძახეს. მეხანძრეებმა მხოლოდ ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ შენიშნეს ლანა ავალიანის დანახშირებული გვამი.

ლანა ავალიანი ნაძალადევში დედ-მამასთან და ცხრა და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა. სიკვდილამდე იგი საბურთალოზე ნაქირავებ ბინაში არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ გიგლა ჩ.-თან ერთად ცხოვრობდა.

ვაშლიჯვარში მდებარე მაღაზიამდე იგი სხვა მაღაზიებშიც მუშაობდა. ეს უკანასკნელი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

როგორც უბანში იხსენებენ, გვიან ღამით გამვლელებმა ორი პიროვნება შენიშნეს, რომლებიც გამყიდველს ელაპარაკებოდნენ.

**„მაღაზიის კარი ღია იყო. მანქანით გავლისას დავინახეთ, გამყიდველს ორი მამაკაცი ელაპარაკებოდა. ზურგიდან საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს. ჩავთვალეთ, რომ ჩვეულებრივი კლიენტები იყვნენ და გზა განვაგრძეთ“,** — იხსენებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

სამართალდამცველებმა თავდაპირველად მხოლოდ ოლეგ ევანგულიანი დააკავეს. იგი თავის ჩვენებაში ამბობდა, რომ მკვლელობის ღამეს ის და იბრაგიმოვი მაღაზიაში გვიან ღამით შევიდნენ. იმ დროს იქ მხოლოდ ლანა ავალიანი იმყოფებოდა. ევანგულიანის განცხადებით, იბრაგიმოვმა ავალიანს უთხრა, რა ლამაზი მკერდი გაქვსო, რაზეც ავალიანმა მას სილა გააწნა. ამაზე განრისხებულმა იბრაგიმოვმა მას თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა.

**„ცოტა ხანში ორივე იატაკზე აღმოჩნდა. მე მათგან ზურგით ვიდექი, როცა იბრაგიმოვმა თქვა — „ამის დედაც, მოვკალიო“. როცა ადგა, ხელი სისხლით ჰქონდა დასვრილი“,** — აცხადებს ოლეგ ევანგულიანი, რომელსაც ამ ჩვენების მიცემის შემდეგ გამოძიებამ მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა(!)

რაც შეეხება მეორე ბრალდებულს, სამართალდამცველებმა ფაზილ იბრაგიმოვი 2007 წლის მაისში აზერბაიჯანში დააკავეს ოლეგ ევანგულიანის ჩვენების საფუძველზე. ევანგულიანის თქმით, მან დაინახა, როგორ მოკლა იბრაგიმოვმა ავალიანი. ევანგულიანი დანაშაულის დაფარვისთვის გაასამართლეს. ამჟამად ევანგულიანი გათავისუფლებულია. მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

23 წლის გამყიდველის მკვლელობისთვის 29 წლის ფაზილ იბრაგიმოვს სასამართლომ 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურამ იბრაგიმოვთანაც საპროცესო შეთანხმება გააფორმა. მან დანაშაული აღიარა. საპროცესო შეთანხმების თანახმად, აღნიშნული სასჯელიდან იბრაგიმოვი 4 წელსა და 6 თვეს ციხეში მოიხდის, ხოლო 5 წელი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით ჩაეთვლება.

აღსანიშნავია, რომ იბრაგიმოვი თავიდან დანაშაულს არ აღიარებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და საპროცესო შეთანხმებაზეც დათანხმდა.

იბრაგიმოვის დედა თამარა იბრაგიმოვა შვილის უდანაშაულობაში დარწმუნებულია და აცხადებს: **„მკვლელობის ღამეს ჩემი შვილი სახლში იმყოფებოდა. ევანგულიანის დაკავებისას ჩემი შვილი რამდენიმე დღის წასული იყო რუსეთში. ევანგულიანი თავის სამ ჩვენებაში ამბობს, მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ ფაზილა სახლში წავიდაო. შემდეგ საპოცესო გაუფორმეს და თქვა, რომ ის მაღაზიაში იდგა, ხოლო მეორე ოთახში ფაზილმა ლანას ხელი მოხვია, მან მისი ხელი მოიცილა და დანა ჩაარტყა. ხელების ქნევას ვხედავდიო. რა, ჩემი შვილი გიჟი იყო, რომ არაფრის გამო დანა დაერტყა? მაშინ საგიჟეთში უნდა იყოს და არა ციხეში“.** დედის თქმით, მის შვილს დანაშაული ზეწოლის შედეგად აღიარებინეს:

„ჩემი შვილი დამნაშავე არ არის. ჩემს შვილს დანაშაული რომ არ ეღიარებინა, მაშინ, გამომძიებლიდან დაწყებული, ყველა უნდა დააკავონ. ჩემი შვილისთვის კი ციხეში არავინ ჩაჯდება. ამიტომ აღიარა დანაშაული“.

ფაზილ იბრაგიმოვი რუსთავის მე-6 საპყრობილეშია მოთავსებული.

# მამა-შვილის მკვლელობის შემზარავი ისტორია

**გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მამა-შვილი ივანე და ვლადიმერ ბიჭიკაშვილების სასტიკი მკვლელობისთვის რამდენიმე პიროვნება დასაჯეს. მათ თანამებრძოლს ჯიმშერ ბიჭიკაშვილს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით მიუსაჯეს, ხოლო დანარჩენ ბრალდებულებს — კახაბერ ღარიბაშვილს და ზაზა გოგოლაძეს თავისუფლების აღკვეთა — რვა წლით.**



პოლ სეზანი — „მკვლელობა“

რაც შეეხება ამ ისტორიის მთავარ გმირს, ალექსანდრე ბექაურს, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ „ბექაური მონაწილეობდა საქართველოს მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, პირველად არის სამართალში, რომ დანაშაულის ჩადენა, გარკვეულწილად, განაპირობა დაზარალებულთა არამართლზომიერმა ქმედებამ“ და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალების მიხედვით, 1993 წლის 29 ივნისს ეროვნული გვარდიის რიგითმა ჯიმშერ ბიჭიკაშვილმა თავის თანამებრძოლებთან, თავდაცვის სამინისტროს ბატალიონის რიგითებთან: ალექსანდრე ბექაურთან და ვლადიმერ ბიჭიკაშვილთან ერთად (ეს უკანასკნელი ჯიმშერ ბიჭიკაშვილის ბიძაშვილი იყო) აფხაზეთის ომიდან მშვიდობიანად დაბრუნება საკუთარ სახლში აღნიშნა. მეორე დღეს კი თანამესუფრეებთან ერთად კასპში გაემგზავრა.

დათქმულ დროს ჯიმშერ ბიჭიკაშვილი, ალექსანდრე ბექაური, ვლადიმერ ბიჭიკაშვილი და ქართლოს ჩილინდრიშვილი შეიკრიბნენ. ოთხივე ავტომატებით შეიარაღდა.

საქმის მასალების მიხედვით, ვლადიმერ ბიჭიკაშვილმა თანამებრძოლებს მანქანის გატაცება, შემდეგ მისი გაყიდვა და აღებული ფულის თანაბრად განაწილება შესთავაზა. წინადადებას ყველა დათანხმდა. მეტრო „ახმეტელთან“ შემთხვევით გამვლელი მანქანა „ვაზ-2106“ გააჩერეს, რომელსაც თბილისში მცხოვრები ზაურ ხაჩიროვი მართავდა. დამნაშავეებმა მას დიდ დიღომში ცხვრის საყიდლად წაყვანა სთხოვეს, თუმცა იქ მისულებს ცხვარი არ დახვდათ. ამის შემდეგ ყაჩაღების ბრძანებით მძღოლმა მანქანა გააჩერა და გადავიდა. ვლადიმერ ბიჭიკაშვილი მძღოლს პოლიციის თანამშრომლად გაეცნო. მერე ხაჩიროვი გზაზე დატოვეს, თავად კი მანქანით კასპისკენ წავიდნენ.

დამნაშავეებმა გატაცებული მანქანა გორში, ვლადიმერის ბიძასთან — გიორგი ნონიკაშვილთან გადამალეს ისე, რომ მისთვის სიმართლე არ უთქვამთ. მოგვიანებით ბექაურმა, ჩილინდრიშვილმა და ვლადიმერმა თბილისისკენ აიღეს გეზი, ხოლო ჯიმშერი და ივანე სოფელში დარჩნენ.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მანქანის გატაცება ყაჩაღებს უნდა შერჩენოდათ. თუმცა მოულოდნელად კინოთეატრ „საქართველოსთან“ ხაჩიროვი ვლადიმერ ბიჭიკაშვილსა და ქართლოს ჩილინდრიშვილს შეეჩხა. მანქანის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ხაჩიროვი მათ დაემუქრა. ამ მუქარამ, გარკვეულწილად, ბიჭიკაშვილებსა და ბექაურს შორის სიტუაცია დაძაბა.

საქმე ისაა, რომ ხაჩიროვი 800 000 რუსულ მანეთს ითხოვდა, დამნაშავეებმა თანხა გაინაწილეს და ნაწილის დადება ბექაურსაც მოსთხოვეს, თუმცა მან უარი განაცხადა. უფროსი ბიჭიკაშვილი დაემუქრა, თუ ფულს არ დადებდა, მის მისამართს ხაჩიროვს ეტყოდა.

მსგავსი საუბარი ყოფილ თანამებრძოლებს შორის მეტრო „გურამიშვილთან“ შედგა. ერთმანეთს იმ პირობით დაშორდნენ, რომ მოგვიანებით ისევ შეხვდებოდნენ.

მუქარის შესახებ ბექაურმა ნათლიამისს სიტუაციის გამუქებით უამბო, თითქოს მხოლოდ მას სთხოვდნენ მთელი თანხის დადებას. მანჩხავამ ნათლულს ურჩია, თუ ბიჭიკაშვილები თავიანთ განზრახვაზე ხელს არ აიღებდნენ, სამივე მოეკლათ.

შეხვედრა შედგა. ბექაური დათქმულ ადგილას მეგობრებთან ერთად მივიდა. ბიჭიკაშვილები მანქანაში ჩაისვეს.

გარდაბანთან მიახლოებულებმა გზიდან გადაუხვიეს და „ქართული ფილმის“ აგარაკებთან გაჩერდნენ. ივანე ბიჭიკაშვილმა კვლავ გაიმეორა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ხაჩიროვს ბექაურის მისამართს მისცემდა და მერე უკვე მასთან ექნებოდა საქმე.

„აქ გასარჩევი არაფერია, ყველაფერი გასაგებია და ესროლე“! — უთხრა ბექაურს მანჩხავამ. ბექაურმა ჯიმშერს ესროლა, მაგრამ ტყვია ბიჭიკაშვილის ნაცვლად გოგოლაძეს მოხვდა.

მერე ბექაურმა მამა-შვილის მიმართულებით გაისროლა. ივანეს ტყვია მუცელში მოხვდა, ვლადიმერი ზურგში დაიჭრა. თავის გადარჩენის მიზნით ივანე ბიჭიკაშვილმა ჭაობის მცენარეებში მიმალვა სცადა, მაგრამ იქამდე მისვლა არ დასცალდა — ბექაურის მიერ ნასროლი ტყვია ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 18 წელი სასტიკი მკვლელობისთვის

## 22 წლის ბიჭი ფეხმძიმე მეუღლისა და არასრულწლოვანი ძმის თვალწინ მოკლეს

**თბილისის საქალაქო სასამართლოში 24 წლის ლაშა ფირცხელაურს 22 წლის გიგი კაციტაძის მკვლელობისთვის 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი მკვლელობის დღეს შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დღემდე ძებნილია. ფირცხელაური სს კოლეგიის მოსამართლე ლელა შკუბულიანმა დაუსწრებლად გაასამართლა.**

აღძრული იყო საქმე 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით — განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც (ძველი რედაქციით) 10-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ მკვლელობა 2003 წლის 23 ოქტომბერს მოხდა. მეუღლესა და მეგობრებთან ერთად ფილმის საყურებლად კინოთეატრში წასული გიგი კაციტაძე ფილმის დასრულების შემდეგ დანით მოკლეს.

**„გიგი კაციტაძე, მისი მეუღლე თეა ირემაძე, მისი ძმა ლევან კაციტაძე, მეგობრები — ვლადიმერ კანდელაკი და ლაშა ხელაია კინოთეატრ „ამირანში“ ფილმის საყურებლად წავიდნენ. ფილმის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 12-ის ნახევარზე, გიგი კაციტაძე, მისი მეუღლე და ვლადიმერ კანდელაკი კინოთეატრის შენობიდან პირველები გამოვიდნენ. მათ მოჰყვებოდნენ ხელაია და ლევან კაციტაძე. ამ დროს კინოთეატრის წინ მდგომ თეა ირემაძესთან მისი ბავშვობის მეგობარი ლაშა ფირცხელაური მივიდა, რომელმაც თეა გადაკოცნა. მისასალმებლად თეას მეუღლემ — გიგი კაციტაძემაც გაიწია, რომელმაც ფირცხელაურს ლოყა მიუშვირა, ამ დროს ფირცხელაურმა სრულიად უმიზეზოდ კაციტაძეს დანა ორჯერ დაარტყა.**

**ფირცხელაურმა ეს მოქმედება ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა, ანუ მან კაციტაძეს ფეხმძიმე მეუღლისა და არასრულწლოვანი ძმის თვალწინ დანა ორჯერ დაარტყა. მას შეგნებული ჰქონდა, რომ მისი მოქმედებით მათ ტანჯვას მიაყენებდა. შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

**კაციტაძე საავადმყოფოში მიიყვანეს. იგი მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა“,** — აღწერს საბრალდებო დასკვნაში თბილისის პროკურატურის საპროცესო განყოფილების პროკურორი **გიორგი ჩივიაშვილი**.

მისივე განცხადებით, 2003 წლის 31 ოქტომბერს ლაშა ფირცხელაური მიცემულ იქნა სს საქმის პასუხისგებაში. საქმეზე წინასწარი გამოძიება 2007 წლის 27 დეკემბერს დასრულდა.

პროცესზე დაკითხულ მოწმეებს მკვლელობის მიზეზსა და მოტივზე საუბარი უჭირთ.

**„ფირცხელაურს კარგად ვიცნობ. ცოტა უცნაური ბავშვი იყო, ტყუილებს ამბობდა ხოლმე. ჩვენთან სახლში არეკვინებდა ვილაცებს და ტყუილს ამბობდა, რომ, თითქოს, ჩემი შვილი და მისი მეგობრები პოლიციაში იყვნენ დაკავებული. მერე გავარკვიეთ, რომ ამ ზარების ავტორი ლაშა იყო. ბიჭებმა დაიბარეს და უთხრეს, ასე რატომ იქცევიო და ამ თემაზე საუბარი აქ დამთავრდა. ამის გამო არანაირი ჩხუბი არ ყოფილა“,** — ამბობს მოკლული კაციტაძის ახლობელი ნინო ირემაძე.

მომხდარის შესახებ კინოთეატრში მყოფი გიგი კაციტაძის მეგობრებიც დაწვრილებით ჰყვებიან. მათთვის გაუგებარია, რატომ დაარტყეს დანა მისასალმებლად მისულ გიგის.

**„მე, გიგი, მისი მეუღლე, მისი ძმა და ლაშა ხელაია ჩემი მანქანით კინოში წავედით. გამოსვლისას მე და გიგი ვლაპარაკობდით, საუბრისას შევამჩნიე, რომ გიგი არ მისმენდა და თეაზე ჰქონდა ყურადღება გადატანილი. რომ მივიხედე, დავინახე, თეა ვიღაც ბიჭს ელაპარაკებოდა. როგორც კი გიგი მათთან მივიდა, იმ ბიჭმა დანა დაარტყა. გიგი ლაშას ჩაუვარდა ხელში, მერე თვითონ ტაქსისკენ გაიქცა, საავადმყოფოში მივიყვანეთ, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი გადარჩენა“,** — იხსენებს კაციტაძის მეგობარი ლაშა კანდელაკი.

ლაშა ხელაია: **„როგორც კი თეატრიდან გამოვედი, მაშინვე დავაფიქსირე, რომ თეამ ვიღაც ჩემთვის უცნობი ბიჭი გადაკოცნა. გიგიმ ხელის ჩამოსართმევად გაიწია და უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც ძლიერად დამეჯახა. რომ მოვიხედე, დავინახე, იმ ბიჭმა როგორ ამოაძრო დანა გიგის მუცლიდან და გაიქცა“.**



**«რომ მოვიხედე, დავინახე, იმ ბიჭმა როგორ ამოაძრო დანა გიგის მუცლიდან და გაიქცა...»**

პროცესზე ლაშა ფირცხელაურის მეგობარიც დაკითხეს. გიორგი ბიბილაური ამბობს, რომ ლაშა ნახა, თუმცა მას მისთვის განსაკუთრებული არაფერი უთქვამს.

**„ლაშა სულ ერთი წუთით ვნახე. მითხრა – გოგოები უნდა დავპატიჟო კინოში, ბილეთები მინდაო. ჩემი ნათესავი კინოთეატრ „ამირანის“ მეპატრონეა და ბილეთებს უფასოდ მაძლევდა ხოლმე და ლაშას სამი ბილეთი მივეცი. მას ჩემთვის სხვა არაფერი უთქვამს. რაიმე გეგმა რომ ჰქონოდა, ის კინოში გოგოებთან ერთად არ წავიდოდა. იქ რა მოხდა, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია“,** — ამბობს ბიბილაური.

ფირცხელაურის ადვოკატი გია ტაბლიაშვილი საქმეში არსებულ დარღვევებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც საქმეში დევს, შეუძლებელია, შემაჯამებელ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს.

**„საქმეში არის დადგენილება საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ და მითითებულია, რომ ეს ჯგუფი 375-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნა. ეს მუხლი არანაირ კავშირში არ არის საგამოძიებო ჯგუფის შექმნასთან. გამომდინარე აქედან, საქმის მასალების დიდი ნაწილი არაუფლებამოსილი პირების მიერ არის მოპოვებული და სასამართლოს ეს ყოველივე დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო. საქმეში არის, ასევე, ექსპერტიზის კურიოზული დასკვნა. ექსპერტ ალექსანდრე ზაკალიანს წარმოდგენა არ აქვს ადამიანის ანატომიაზე. მას თავის დასკვნაში მუცლის ღრუში სუნთქვის არარსებული ორგანოები აქვს გამოკვლეული. მე მივმართე სასამართლოს შუამდგომლობით, რომ ზემოხსენებული მტკიცებულებები დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნოთ, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა“,** — აცხადებს ადვოკატი ტაბლიაშვილი.

პროცესზე პროკურორმა ჩივიაშვილმა ადვოკატის მიერ აღმოჩენილ ლაფსუსებს ტექნიკური ხარვეზი უწოდა. მან საბოლოოდ ფირცხელაურის მიმართ უვადო თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

ირინა ხრიკაძე, მოკლულის დედა: **„გიგის მკვლელობამდე ერთი თვით ადრე შეუსრულდა 22 წელი. სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა, ჰყავდა მეუღლე, რომელიც ძალიან უყვარდა და გულისფანცქალით ელოდებოდა შვილს. ახლა მყავს 4 წლის ობოლი შვილიშვილი და ხშირად მეკითხება მამაზე. მყავს გაუბედურებული რძალი, რომელმაც მხოლოდ 7 თვე იცხოვრა ქმართან. ჩემს ბიჭს, რომელმაც ნახა, როგორ მოუკლეს ძმა, არ მგონია, გადატანილი ოდესმე წაეშალოს გონებიდან. და, რაც ყველაზე მთავარია, მან ჩემს შვილს წაართვა ყველაზე საუკეთესო — სიცოცხლე. ადამიანი, რომელსაც შეუძლია, კოცნის დროს სრულიად უმიზეზოდ ჩაიდინოს ასეთი სისასტიკე, ძალიან საშიშია საზოგადოებისთვის. მინდა, კანონის უმკაცრესი ზომით, უვადო თავისუფლების აღკვეთით დაისაჯოს“.**

ფირცხელაურს დაუსწრებლად სს კოლეგიის მოსამართლე ლელა შკუბულიანმა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

◀ თავში მოხვდა. ივანე ბიჭიკაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ნანახით შეძრწუნებულმა ივანეს შვილმა, რომელიც იქვე იდგა, ბექაურს უტიფარი სიტყვებით უღრიალა, პასუხად კი ბექაურმა ავტომატი დაუმიზნა და თავში ესროლა.

მამა-შვილის მოკვლის შემდეგ ბექაურმა ჯიმშერ ბიჭიკაშვილის ძებნა დაიწყო. უშედეგო ძებნის შემდეგ იგი მანქანასთან დაბრუნდა, გვამები ჭაობის პირას, ბუჩქებთან მიათრია და ცეცხლი წაუკიდა.

სამართალდამცველებმა ბექაური და მისი თანმხლები პირები დააკავა. სასამართლომ გოგოლაძეს შინაპატიმრობა მიუსაჯა. ბექაურის ნათლია კი (მანჩხავა), რომელსაც, გარკვეულწილად, ბრალი მიუძღვოდა მომხდარში, საერთოდ არ არის ნახსენები სასამართლოს განაჩენში.

სავარაუდოდ, ბექაური შარშან უნდა გათავისუფლებულიყო. პატიმრობის პერიოდში მან არა ერთხელ მიმართა თხოვნით შეწყალების კომისიას, თუმცა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს.

ბექაურმა სასჯელი სრულად მოიხადა.

# ოჯახური კამათი მკვლელობით დასრულდა

**31 აგვისტოს, თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, 32 წლის ოლგა კონიოხოვამ ქმარი — 24 წლის იური ვოლკოვი დანის ერთი დარტყმით მოკლა. კონიოხოვას მომხდარის შემდეგ მიმალვა არ უცდია. პოლიციამ იგი მკვლელობის ჩადენის ადგილზე დააკავა. ბრალდებულმა მაშინვე აღიარა დანაშაული, ქმრის მკვლელობის მოტივად კი ეჭვიანობით გამოწვეული კამათი და ჩხუბი დაასახელა.**



მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით 108-ე მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობისათვის, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივი ლაშა თავაძე ამბობს, რომ კონიოხოვა და ვოლკოვი არაოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ.

**„გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თამშრომლებმა დააკავეს ოლგა კონიოხოვა, რომელიც ეჭვმიტანილია იური ვოლკოვის მკვლელობაში. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, ისინი არაოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. როგორც ირკვევა, ოლგა კონიოხოვას და იური ვოლკოვს შორის სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც კონიოხოვამ ცივი იარაღის გამოყენებით იური ვოლკოვს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რომელიც ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული,“** — განაცხადა თავაძემ.

ოლგა კონიოხოვას პირველი ქორწინებიდან 10 წლის გოგონა ჰყავს. რამდენიმე წელიწადს ის იური ვოლკოვთან ცხოვრობდა. იგი ერთ-ერთ მარკეტში გამყიდველად მუშაობდა.

თავად ეჭვმიტანილი მომხდარს ზედმიწევნით ჰყვება და ამბობს, რომ ქმარი ხშირად ეჭვიანობდა, სცემდა და იმ დღესაც, მას რომ არ დაესწრო, თავად გახდებოდა ქმრის მსხვერპლი.

**„30 აგვისტოს ჩემს თანამშრომლებთან ვიყავი სტუმრად. 31-ში შინ რომ დავბრუნდი, ქმარი ნასვამი დამხვდა, დამიწყო ჩხუბი. საერთოდ, ეჭვიანი იყო და ხშირად ვკამათობდით. სახლში ჩემი 10 წლის ბავშვიც იყო, ჩხუბზე და ყვირილზე გაეღვიძა, ოთახიდან გამოვარდა და იურის ხვეწნა დაუწყო, დედას არ სცემოო. მან ბავშვსაც უყვირა და აგინა, უთხრა, ახლა თუ არ გახვალ, შენც მოგხვდებაო. ბავშვს შეეშინდა და ოთახიდან გაიქცა. მერე მე დამიწყო ცემა — მირტყამდა ხელებსაც, ფეხებსაც. მესროდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოჰყვებოდა. ბოლოს ყელში წამიჭირა და მახრჩობდა. როგორღაც მოვახერხე დასხლტომა და გავიქეცი, სამზარეულოში შევვარდი, მაგრამ მაინც არ შემეშვა. არ ვიცი, ნაცემსა და განერვიულებულს დანა ხელში როგორ აღმომაჩნდა, მაგრამ ვიცი, რომ საკუთარი სიცოცხლის დასაცავად დავარტყი... დავარტყი იმიტომ, რომ არ მოვეკალი...“** — იხსენებს განსასჯელი.

თბილისის მთავარი სამმართველოს საპროცესო განყოფილების პროკურორმა დავით ხიზანაიძემ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა კონიოხოვას დაპატიმრების თაობაზე. 1 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიის მოსამართლე გიორგი ჩემიამ ოლგა კონიოხოვას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა, გამომდინარე ეჭვმიტანილის ჩვენებიდან, სადაც იგი აცხადებს, ქმარი რომ არ მოეკლა, თავად გახდებოდა მსხვერპლი, მას შეიძლება, განზრახ მკვლელობის მუხლი მოეხსნას. მანამდე კი პროკურორი ამის დამამტკიცებელ საბუთს — ექსპერტიზის დასკვნას ელოდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლოზე მოსულ კონიოხოვას სახეზე ფიზიკური ძალადობის კვალი ემჩნეოდა, რაც ადასტურებს, რომ ის, მართლაც, ნაცემი იყო.

გვერდები მოამზადეს **სალომე გოგოხიამ** და **მაკა ქობალიამ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორია სათვალის გამუქების ხარისხი?

**პლასტიკური ლინზების მქონე ხარისხიან სათვალეს აქვს ეტიკეტი, რომელზეც აწერია — UVA და UVB — ეს არის გამოსხივების პროცენტი და ტალღის სიგრძე, რომელსაც ბლოკავს სათვალე.**



ტალღები იზომება ნანომეტრებში, 100-პროცენტიან დაცვას უზრუნველყოფს სათვალე ეტიკეტით 400 ნმ. თუ მაჩვენებელი 400 ნმ-ზე ნაკლებია, სათვალე ულტრაიისფერი გამოსხივების ნაწილს ატარებს.

ზაფხულის სეზონზე ქალაქში საკმარისია სათვალე, რომელიც ატარებს 18-დან 43%-მდე სინათლეს.

თოვლით დაფარულ მთაზე გამოსაყენებელი სათვალე კი, სადაც თოვლი და წყალი ირეკლავს მზის სინათლეს, ხშირად სარკულია და აქვს ანარეკლისგან სერიოზული დაცვის უნარი. საუკეთესოა ე.წ. ქამელეონიც — სიკაშკაშიდან გამომდინარე, სათვალეს აქვს გამუქების ცვალებადობის უნარი. მისი ტარება ბნელ შენობაშიც შეიძლება, რადგანაც იქ ის აბსოლუტურად გამჭვირვალე ხდება. ქამელეონი მზეს აუცილებელ დონემდე ბინდავს — არც მეტად, არც ნაკლებად.

# როგორ შევარჩიოთ მზის სათვალე

**ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ მზის სათვალე მხოლოდ ლამაზი აქსესუარია. საკითხისადმი ასე მიდგომამ შეიძლება მხედველობა დაგვიზიანოს.**

მთავარი ისაა, რომ მზის სათვალეს ხარისხიანი ლინზები უნდა ჰქონდეს, რომლებიც იცავს თვალს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალი გამოსხივების სრულ „დოზას“ მიიღებს. ამან კი შეიძლება ბადურის დამწვრობა გამოიწვიოს.

სათვალის შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ ორ ფაქტორს:

1. ტექნიკურს (მინის ლინზებსა და პლასტიკურ ლინზებს შორის გამუქების ხარისხსა და ლინზის ფერს შორის კეთდება არჩევანი).

2. ჩარჩოს ეფექტურობას (სახეს უნდა მოუხდეს).



დღესდღეობით გავრცელებულია პლასტიკური ლინზები, თუმცა ზოგიერთის შეხედულებით, ის თვალისთვის მავნეა. ეს მოსაზრება მცდარია, რადგანაც კვლევებით დამტკიცდა, რომ პლასტიკური ლინზები ოპტიკური მაჩვენებლების მიხედვით არ განსხვავდება მინისაგან, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლით სჯობია კიდეც მას. ისინი მინაზე მსუბუქია, ამიტომ მათი ტარებისას ცხვირზე ნაჭდევი არ ჩნდება, არ ტყდება დარტყმისას.

მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ დაუდევრად ხმარებისას ლინზის ზედაპირზე ჩნდება ნაკაწრი. მცირე ზომის ნაკაწრი მხედველობას არ ვნებს.

მინის სათვალე კი გარანტირებულად გიცავთ ულტრაიისფერი სხივებისგან და არც იოლად იკაწრება.

# სათვალის ზომა

სათვალეს უნდა ჰქონდეს ფართო რკალები, რათა ყოველი მხრიდან იყოს თვალი დაცული. სათვალე რომ დიდი ზომის არ იყოს, უნდა შეირჩეს თხელჩარჩოიანი. პატარა სათვალე მთლიანად არ ფარავს თვალს, თუნდაც ძლიერამრეკლი იყოს. ამ შემთხვევაში სინათლე თვალს მაინც ხვდება, ამიტომაც მისგან დაცვას აზრი არ აქვს.



# კონტაქტური ლინზები



**დღეს მსოფლიოში დიდადაა გავრცელებული კონტაქტური ლინზები. ახლომხედველთათვის საუკეთესო საშუალებაა, მითუმეტეს, როცა პიროვნებას სათვალის ტარება არ შეუძლია.**

ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ ეფექტურობა, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორი — უბრალოდ, ადამიანს აქვს კომპლექსი, ჰქონდეს სახეზე რაიმე აქსესუარი. აქედან გამომდინარე, კონტაქტურ ლინზებს აქვს სათვალის იდეალური ჩანაცვლების უნარი. სწორად შერჩეული ლინზები აბსოლუტურად უსაფრთხოა. მას აქვს გამოყენების წესი. მათი დატოვება ძილის დროს არ არის რეკომენდებული, ნაადრევია ბავშვთა ასაკში მოხმარებისთვის. ლინზები საჭიროებს გარკვეულ აკურატულ მოვლა-გაწმენდას, რათა თვალი არ დააინფიცირონს. კონტაქტური ლინზები მრავალფეროვანია. ფაქტობრივად, შესაძლებელია სასურველი ფერის ყიდვა, თუ თქვენი თვალის ფერის შეცვლა გსურთ.




# სათვალის ლინზის ფერი

არჩევანი ამ მხრივ ფართოა — **ვარდისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი...**

ლინზის ფერის შერჩევისას გაითვალისწინეთ:

**ნარინჯისფერი** აგრესიულია და ფსიქიკაზე მოქმედებს;

**ყვითელი** ძალიან ლიაა მზიანი დღისთვის;

**ლურჯ** ფერს მაღალი დოზით იშვიათად თუ ეგუება ვინმე, ამიტომ არც თუ სასიამოვნოა.

ყველაზე მართებული და უსაფრთხოა **ნაცრისფერი, მწვანე** და **ყავისფერი** შეფერილობის სათვალე — ნაკლებად ამახინჯებს ფერს, უკეთ შთანთქავს სინათლეს და „ამშვიდებს“ თვალებს.

ლინზების შეფერილობა თანაბარი უნდა იყოს. სხვადასხვა უბანზე სხვადასხვა ხარისხის გამუქება თვალს ღლის.

# როგორ ჭურჭელს ვხმარობთ?

**დღეს საუკეთესო მაღაზიებში სამზარეულოს ჭურჭლის საკმაოდ ფართო არჩევანია. საკვების მოსამზადებლად რომელია უკეთესი? — ეს კითხვა ყოველთვის ჩნდება, რადგანაც ვიცით, რომ საკვების უსაფრთხოება ბევრად არის დამოკიდებული ჭურჭელზე, რომელშიც კერძი მზადდება. არცთუ იშვიათად ჭურჭლიდან მავნე ნივთიერებები საკვებში გადადის.**

## საშიშია თუ არა ჭურჭელი, რომლის ფსკერიც არ იწვის?

არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი ჭურჭლის პოლიმერები ტოქსიკურია, თუმცა დღეს მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უვნებელია ასეთი მასალისგან დამზადებული მხოლოდ დაუზიანებელი ჭურჭელი, მაგრამ თუ ზედაპირის მთლიანობა დაირღვა, ჭურჭელი უვარგისად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დაშლილი პოლიმერიდან ტოქსიკური მონომერები საკვებში გადადის. ასეთ ჭურჭელში საკვების მოსამზადებლად გამოიყენეთ მხოლოდ ხის კოვზი, რათა მისი ზედაპირი არ დაიკაწროს. გამოყენებამდე მასში 2-3-ჯერ აადუღეთ წყალი.

## მოერიდეთ ალუმინის ჭურჭელს

**ალუმინისგან დამზადებული ჭურჭელი არ ითვლება საუკეთესოდ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ მისი გამოყენების წესი.**

ასეთ ჭურჭელში თამამად შეიძლება მოვამზადოთ მაკარონი, კარტოფილი, მჭლე ხორცი. წვნიანი კერძებისთვის ის არ გამოგვადგება, არც — კომპოტისთვის, რადგანაც მჟავე და ტუტე გარემოში ალუმინის ხსნადობა რამდენჯერმე იმატებს! დაუშვებელია ალუმინის ჭურჭელში მზა საკვების შენახვაც. ნუ გაწმენდთ ალუმინის ჭურჭელს ლითონის ჯაგრისით, რადგანაც ჰაერთან კონტაქტისას ალუმინის ზედაპირზე წარმოიქმნება თხელი დამცავი ფენა, რომელიც ლითონის იზოლაციას ახდენს, მეტალის საწმენდი კი ამ ფენას აზიანებს და ინტოქსიკაციის რისკს ზრდის. თუ ასეთ საწმენდს შემთხვევით გამოიყენებთ, ორი დღის განმავლობაში მასში საკვებს ნუ მოამზადებთ, რათა დამცავი ფენა აღდგეს.



## ძველი თაობის გამოცდილებით, თუჯის ჭურჭელი საუკეთესოა

**თუჯის ჭურჭლის უმთავრესი ღირსებაა ის, რომ მისი ძირითადი კომპონენტია რკინა — ადამიანის ორგანიზმისთვის ყველაზე ნაკლებად ტოქსიკური.**



ასეთი ჭურჭელი მოსახერხებელია ისეთი კერძის მოსამზადებლად, რომელსაც ხანგრძლივი ხარშვა ან თანაბრად მოშუშვა სჭირდება. საუკეთესოა ხორცის, ბოსტნეულისა და ფლავის მოსამზადებლად.

თუჯისგან დამზადებული ჭურჭელი გამიზნულია ხანგრძლივი მოხმარებისთვის. ყიდვისას ყურადღება მიაქციეთ, მისი ფსკერი სქელი და გლუვი უნდა იყოს. უსწორმასწორობა მის დეფექტზე მეტყველებს.

ახალშეძენილ თუჯის ქვაბში უნდა ჩაყაროთ მარილი (1 სმ სისქეზე) და ჭურჭელი 2-3 საათით ცეცხლზე გამოწვათ. ამის მერე ეს მარილი გადაყარეთ და ფსკერზე მცენარეული ზეთი მოუსვით.

## მომინანქრებული ჭურჭლის უპირატესობა

**უსაფრთხოების თვალსაზრისით, მომინანქრებული (ემალირებულ) ჭურჭელი მეორე ადგილზეა. მას თუჯისა და ლითონთა შენადნობისაგან ამზადებენ და მინანქრის რამდენიმე ფენით ფარავენ.**

მინანქარი ლითონს დაჟანგვისგან იცავს, აქედან გამომდინარე, მასში მომზადებული საკვებით მოწამვლის საფრთხე აღარ გვემუქრება. მინანქარი შეუვალია არსებული მარილების, მჟავებისა და ტუტე რეაქციის ნივთიერებათა ზემოქმედების მიმართ, ამიტომ მომინანქრებულ ჭურჭელში მხოლოდ მომზადება კი არა, ნებისმიერი პროდუქტისა თუ მზა კერძის შენახვაც შეიძლება.

გასათვალისწინებელია ერთი რამ: დაზიანებული ჭურჭელი უვარგისია, რადგან შესაძლოა, მისი ნახეთქებიდან საკვებში ლითონის ტოქსიკური ელემენტები გადავიდეს. მომინანქრებული ჭურჭლის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ ჭურჭლის კედლების სისქეს (იდეალურია 4-5 მმ). ასეთი ჭურჭელი თანაბრად თბება.

## უჟანგავი ფოლადი უვნებელია!

**ყველაზე უსაფრთხოდ უჟანგავი ფოლადი მიიჩნევა.**

მისი მთავარი ღირსება საკვებში არსებული აგრესიული ფაქტორების მიმართ გამძლეობაა. უჟანგავი ფოლადის ჭურჭელში ნებისმიერი საკვების (როგორც წვნიანის, ისე ფაფის) მომზადება შეიძლება. მასში კერძს არც გემო ეცვლება, არც — ფერი. ამასთან, უჟანგავი ფოლადი ჰიგიენურიცაა, არ მრავლდება ბაქტერიები (ქირურგიულ ინსტრუმენტებსაც ხომ ამ შენადნობისაგან ამზადებენ). უჟანგავი ფოლადის ჭურჭლის გამოყენების დროს საკვებს მარილი მხოლოდ მომზადების მერე ჩაამატეთ, რათა ფსკერზე თეთრი ლაქები არ დარჩეს.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სახალხო მკურნალი, რომელიც მოურჩენელ დაავადებებს კურნავს

**ბატონმა ბიჭიკო გაგნიძემ 24 წლის წინათ შექმნა განსაკუთრებული ფიტონაკრები, რომლითაც დღემდე ბევრ დაავადებას კურნავს. პრეპარატი ბალახეული წარმოშობისაა, რომლის შემადგენლობაშიც შედის დიდგულას ნაყოფი, ლურჯი ღიღილოს ყვავილი, გვირილა და შვიტა, ფურისულას ფოთლები და ფარსმანდუკი.**



პრეპარატს არ აქვს გვერდითი მოვლენები, უკუჩვენებები და გართულებები. ამას ადასტურებს სპეციალური კვლევა, რომელიც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური და სამკურნალო საშუალებების კვლევით ცენტრში ჩატარდა საერთაშორისო GLP-ის პროგრამით. პრეპარატი შეისწავლეს ტოქსიკურობაზე, ალერგიულობაზე, კუმულაციასა და ადგილობრივ გამაღიზიანებლებზე. დადასტურდა, რომ მას არ აქვს ალერგიული და ადგილობრივი გამაღიზიანებელი მოქმედება.

ჩატარებული ექსპერიმენტული მონაცემები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ეს პარასამკურნალო საშუალება უსაფრთხოა და მისი გამოყენება სასარგებლოა სამედიცინო პრაქტიკაში.

ფიტონაკრებით შეიძლება სხვადასხვა დაავადების განკურნება, კერძოდ: კუჭ-ნაწლავის გაუვალობის, კოლიტის, ფისტულის, პროსტატიტის, ბუასილის, რადიკულიტის, ნერვის ანთების, ნევროზის, კვანძოვანი ჩიყვის, წითელი ქარის, ჭინჭრის ციების, ალერგიის, დიაბეტის, გაფანტული სკლეროზის, ოსტეოქონდროზის, მოწამვლის, ბოტულიზმის, ტუბერკულოზის, ღვიძლის ციროზის C-ჰეპატიტის, ქლამიდიას, კლიმაქსის, წყლულოვანი დაავადებების, სიმსივნისა და სახსრების დაავადებების; კარგ შედეგს იძლევა შიდსსა და ეპილეფსიაზე, აძლიერებს იმუნიტეტს.

პრეპარატის მიღების დროს აუცილებელია დიეტის დაცვა, რომლის დროსაც არ შეიძლება პაციენტმა მიიღოს გაზიანი სასმელი, შოკოლადი, მურაბა, კომპოტი და ყველაფერი ის, რაც შეიცავს შაქარს. ამ დროს პროდუქტის დასატკბობად და მისაღებად სასურველია თაფლის გამოყენება; ცხარე და მჟავე საკვების მიღება ამ დროს დაუშვებელია.

საკვები მხოლოდ მცენარეული ზეთით უნდა შეზავდეს.

სპეციალისტთა კომენტარი:

**დავით მეტრეველი, ქირურგი:** — ბატონ ბიჭიკო გაგნიძის ფიტოწამალი ძალიან საინტერესო და შედეგიანი პრეპარატია. მინდა, ძირითადი აქცენტი სისხლის შემადგენლობაზე გავაკეთო, რომელიც ამ პრეპარატის მიღების შემდეგ საგრძნობლად უმჯობესდება.

მკურნალობის ერთი კურსი მოიცავს წამლის 3 პორციას, რომლის მიღების შემდეგ პაციენტთა მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება. პრეპარატი ძალიან კარგად მოქმედებს ენდოკრინული სისტემის დაავადებებზე; ასევე, ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის დროს აღინიშნება სიმსივნის სრული გაქრობა, ჰორმონები კი ნორმის ფარგლებში რჩება.

მალე გავაკეთებთ ამ პრეპარატმიღებულ პაციენტთა მკურნალობის შედეგების სტატისტიკას — რა დიაგნოზი ჰქონდათ და ბოლოს რა შედეგები მივიღეთ. უნდა დავაკვირდეთ მკურნალობის პროცესს პაციენტის საბოლოო განკურნებამდე.

**ავთო ვანაძე, ექიმი:** — ამ პრეპარატის ერთ-ერთი მთავარი დადებითი თვისება ისაა, რომ არ არის ტოქსიკური და კონკრეტულ დაავადებაზე კონკრეტულ ქმედებას ახდენს. ვფიქრობ, ის ძლიერი მოდულატორია. ამ პრეპარატს საუკეთესო შედეგი აქვს ნერვის ანთების, ნევრალგიის, გაფანტული სკლეროზის დროს. ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის აუცილებელია ის იმდენად, რამდენადაც აქვს უნარი, ორგანიზმმა დაიწყოს ბრძოლა, რათა მოხდეს შემდგომ სიმსივნის დაშლა, აქვს ასევე ტკივილგამაყუჩებელი უნარი. მე ეს პრეპარატი საკუთარი ოჯახის წევრზე გამოვცადე და შედეგი მივიღე.

ახლა კი ვნახოთ, რას ამბობენ პაციენტები, რომელთაც ეს პრეპარატი გამოიყენეს.

**ციცინო შოშიაშვილი**: — 2000 წლიდან სახსრების ანთება, ოსტეოქონდროზი, მაღალი წნევა, ნაღვლის ბუშტის დაავადება მაწუხებს. იმდენად ცუდად ვიყავი, რომ სამსახურს თავი დავანებე. ოჯახში შვილების, შვილიშვილების ხმაურზე იმდენად ვღიზიანდებოდი, რომ ყველას სახლიდან ვყრიდი. ჩემი მეზობლისგან შევიტყვე სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის შესახებ. მისი პრეპარატის მიღების შემდეგ ტკივილები მომეხსნა, წნევა დამირეგულირდა, ფეხით სიარული თავისუფლად შემიძლია, ნაღვლის ბუშტის ტკივილები მომეხსნა.

ეს პრეპარატი მართლაც უნიკალურია. მან დადებითად იმოქმედა დედაჩემზეც, რომელსაც ექიმებმა მარჯვენა ფილტვის სიმსივნე დაუდგინეს და ონკოლოგიურში გაგზავნეს. ამაზე მე უარი განვაცხადე და მივაღებინე გაგნიძის წამალი, რის შემდეგაც მას ხველა მოეხსნა, ენერგიული გახდა და ონკოლოგიური დაავადების პროცესი შეუჩერდა.

**ვაჟა აბჟანდაძე** 16 წელი შაქრიანი დიაბეტით იყო დაავადებული. ამის ნიადაგზე განუვითარდა სისხლძარღვების შევიწროება და ფეხის თითების განგრენა დაეწყო. გაგნიძის პრეპარატით ინიექციის შემდეგ ფეხის თითებიდან სიშავე გაქრა, ავადმყოფს ჭამის მადა აღუდგა და სიარულიც შეძლო.

ამ წამლითვე განიკურნა 10 წლის ბიჭუნა, რომელიც ცერებრალური დამბლით იყო დაავადებული. ის უკვე დამოუკიდებლად დადის.

**ციცო ცხადაძე**: — ჩემს მეუღლეს, მრავალი წელია, დიაბეტი აქვს. ამის ფონზე სისხლძარღვთა შევიწროება და ფეხზე განგრენა განუვითარდა; დასუსტდა და ლოგინად ჩავარდა, სიკვდილის ზღვარზე იყო მისული. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან ბევრი ვუმკურნალე, სად აღარ ვიყავი, მაგრამ არაფერმა უშველა.

როდესაც გაგნიძის წამალი გავუკეთე, პირველი ორი ინიექციის შემდეგ ავადმყოფმა მოიხედა; ახლა უკვე შეუძლია ეზოში ჩასვლა, სეირნობა და, ლიფტიც რომ არ იყოს, ფეხითაც ამოვა მე-14 სართულზე.

ეს მართლაც XXI საუკუნის სასწაულია.

**ასმათ ბექაური**: — ჩემს მეუღლეს 2007 წელს გავუკეთეთ ონკოლოგიური ოპერაცია — 2 ნეკნი ამოაცალეს, რადგანაც მათზე ჰქონდა სიმსივნური წარმონაქმნი.

გაგნიძის პრეპარატით მკურნალობის შემდეგ ძალიან კარგად გრძნობს თავს, ვფიქრობ, რომ ჩემი მეუღლე სრულიად განიკურნება.

მადლობას ვუხდი ბატონ ბიჭიკოს.

**ლეილა კვერნაძე, ექიმი-პედიატრი:** — 3 თვეა, ვმკურნალობ ბიჭიკო გაგნიძის წამლებით, ორგანიზმმა პრეპარატი კარგად მიიღო, მომეცა ძალა კიდურებში, წნევა დამირეგულირდა, ჯანმრთელობა საგრძნობლად გამიუმჯობესდა.

**დიმიტრი მჭედლიშვილი**: — ნაწლავების დამბლა და კუჭის ნევროზი მქონდა. მას მერე, რაც გაგნიძის წამლებით ვიმკურნალე, თითქმის 20 წელი გავიდა, მაგრამ არანაირი პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ აღარ შემქმნია. ამ წამლებმა მე ოპერაციას გადამარჩინა, თანაც ისეთს, რომლის შემდეგაც შეიძლება ვერ გადავრჩენილიყავი, დღეს კი ჯანმრთელად ვარ და ეს ამ პრეპარატის დამსახურებაა.

**დოდო დათიაშვილი**: — წლების მანძილზე მქონდა ოსტეოქონდროზი და, მისგან გამომდინარე, სახსრების ანთება. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს გაგნიძის წამალი მირჩიეს... უკვე მომეხსნა ტკივილები სახსრებში და ოსტეოქონდროზის კვალიც გაქრა. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან და სრულიად გამოვჯანმრთელდები.

**ბესიკ ბლუიშვილი**: — ვიყავი ძალიან მძიმე ავადმყოფი, მქონდა კუჭის წყლული, ნაწლავის გამოვარდნები, სისხლდენა, ნევროზი. გაგნიძის წამლის მიღების შემდეგ სრულიად გამოვჯანმრთელდი, დღეს უკვე მკურნალობა აღარ მჭირდება. ეს მართლაც სასწაული ბალახეული წამალია.

**ცისანა ცუცქირიძე:** — ვიყავი ძალიან მძიმე ავადმყოფი, დიაგნოზი — მარცხენა მენჯ-ბარძაყის ნაპრალების შევიწროება. 5 წელი უშედეგოდ ვიმკურნალე. ბოლოს მივიღე ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატი. შედეგი პირველი ორი ინიექციის შემდეგ უკვე ვიგრძენი. სრული კურსის ჩატარების შემდეგ კი თავს სრულიად ჯანმრთელი ვარ.

**ახლა კი თავად ბიჭიკო გაგნიძეს მოვუსმინოთ**:

მე ეს პრეპარატი თავდაპირველად საკუთარ თავზე გამოვცადე. 1985 წელს ვიყავი უმძიმესი ავადმყოფი. მქონდა ნაწლავების უმწვავესი ავადმყოფობა, ისე, რომ ოპერაცია არავითარ შედეგს არ მომცემდა. სწორედ მაშინ მოვიძიე ეს ბალახეული შენაერთი. მე, პირადად, პირველად მას გაუფილტრავი სახით ვიღებდი, მაგრამ შედეგი მაშინაც არაჩვეულებრივი მომცა — სრულიად განვიკურნე და როცა თბილისში ჩემმა ექიმმა დამინახა, გაკვირვება ვერ დამალა. ამის მერე გადავწყვიტე წამლის დამზადება, თანდათან დაიხვეწა მისი მიღების ტექნიკა. ამჟამად პრეპარატს გაფილტრული სახით ვაწარმოებ, ისე, როგორც თანამედროვე ფიტოპრეპარატები მზადდება. შედეგები ძალიან კარგია, ამაზე თავად პაციენტები ჰყვებიან.

მე, როგორც მკურნალს, მიმაჩნია, რომ, თუ ადამიანს კუჭ-ნაწლავის მდგომარეობა არ აქვს კარგად, მაშინ სხვა ორგანოები ცუდად მუშაობს. ასეთ დროს დაბინძურებული სისხლი მიედინება მთელ ორგანიზმში და ის აზიანებს სუსტ ორგანოს, ეს იქნება ღვიძლი, ფილტვი, ელენთა, გული თუ სხვა. ამდენად, აუცილებელია, ადამიანმა ყურადღება, პირველ რიგში, საჭმლის მომნელებელ სისტემას მიაქციოს, რათა შემდგომში სერიოზული პრობლემები აირიდოს. ჩემი პაციენტები ექიმებიც არიან, რომელთაც სერიოზულად იმკურნალეს, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს. ასე რომ, კლასიკური მედიცინა ჩემს წამლებს აღიარებს. მიხარია, როდესაც ჩემ გარშემო ბევრ განკურნებულ ადამიანს ვხედავ, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

**P.S. ოქტომბერში საქართველოს „წამლის სააგენტოში" სრულად შეისწავლიან ბატონ ბიჭიკო გაგნიძის წამალს და ის მალე ოფიციალური და ლიცენზირებული პრეპარატი გახდება. დროდადრო გაზეთი სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს, რადგან საზოგადოების ინტერესი მის მიმართ ძალიან დიდია.**

გვერდები მოამზადა ეთერ კასრელიშვილმა



## მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრებისდაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

**კოორდინატებია:**

**თელავი,**
კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24

**თბილისი,**
აწყურის 31ა.



**ბათუმი**, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს,
10-დან 14 საათამდე).

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამი სოფლის ჩუქურთმა

## ლაკვის ხეობა

**ლაკვისხევი, ანუ იგივე ბზისწყლის ხეობა, ერთი მშვენიერი ნასთია საქართველოს ხალიჩაზე. იგი სულ 15 კილომეტრის სიგრძისაა და ალგეთს ნასოფლარ პატივანთან უერთდება. მართალია, აქაურობა ვენახებითა და ბაღებით დიდად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ტყე, სათიბ-საძოვარი და წყაროები არ აკლია. ჰაერზე ხომ ნულარას იტყვი — მშრალი და კამკამაა. ერთ დროს აქაურობა მჭიდროდ იყო დასახლებული, მაგრამ ლეკთა თარეშმა ისე გააჩანაგა, რომ 200 წლის წინათ გუდამაყრელი მთიელების ჩამოსახლება გახდა აუცილებელი.**





ახალსოფლის „ღვთისმშობელი“





ახალსოფლის „პეტრე-პავლე“

ყველაზე დიდი სოფელი აქ 100-კომლიანი ლაკვაა, რომელსაც დღეს ახალსოფელი ჰქვია. არის მოსაზრება, რომ ძველად აქაურ დასახლებას ბზა ერქვა, მაგრამ, ვახუშტი ბატონიშვილის რუკის მიხედვით, ბზა ამჟამიდელი ზირბითის ძველი სახელი უფრო უნდა იყოს.

სოფელს 3 ეკლესია აქვს. ერთი აღდგენილია, ერთს ახლა აღადგენენ, ერთი კი აღსადგენია.

ის ეკლესია, რომლის აღდგენა ახლა მიმდინარეობს „ქართუ-ბანკის“ თაოსნობით, ღვთისმშობლის სახელობისაა და სოფლის ცენტრიდან დასავლეთით დგას. ეს გახლავთ IX-X საუკუნეებში აგებული და გვიან პერიოდში ოდნავ სახეცვლილი საყდარი. შიდა სივრცე, პილასტრების უქონლობის გამო, დაუნაწევრებელია და აღმოსავლეთით ნალისებრთან მიახლოებული ფორმის აფსიდით სრულდება. ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი მიუყვება.

შიდა და გარე პერანგი ერთნაირია. იგი წახნაგმომრგვალებული ბაზალტის დიდი და საშუალო ზომის კვადრებით არის წარმოდგენილი. ფასადებზე აქა-იქ მხოლოდ გეომეტრიული სამკაულია. დასავლეთ სარკმლის თავზე, ამასთან, გოლგოთის ჯვარია გამოსახული, აღმოსავლეთ სარკმლის სამკაულიანი თავსართის ზევით კი ცნობილი ბიბლიური სიუჟეტი — „დანიელი ლომების ხაროში“. ეკლესიის გარშემო საინტერესო საფლავის ლოდები და ბუნის ქვებია. განსაკუთრებით საყურადღებოა სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთთან მიყუდებული ვეება ლოდი, რომლის ქვედა ნაწილში ემბაზია ამოკვეთილი, ზედა ნაწილში კი — ჯვრის ბუნის დასამაგრებელი ღრმული.

* * *

სოფლის ცენტრში ვბრუნდებით. აქ, წმიდა გიორგის ეკლესიისა და ძველი სასაფლაოს გალავანთან, წყარო მორაკრაკებს, ჩარდახქვეშ კი საფიხვნოა მოწყობილი. გალავნის ჭიშკარს გვიხსნიან და სანამ ტაძრამდე მივიდოდეთ, საინტერესო საფლავის ქვებს გვიჩვენებენ.

ისევე, როგორც აძიკვაში, აქაური საფლავის ლოდებიც აჭრელებულია საბრძოლო თუ სამეურნეო მოტივებით. ე. თაყაიშვილს აქვე, ეზოს ტერიტორიაზე, უნახავს ერთი ძალიან საგულისხმო ლოდიც, რომლის დამდნარ წარწერაში შემდეგი სიტყვები ამოუკითხავს: „ადიდენ მეფეთ-მეფე ბაგრატი“. ღვაწლმოსილი მეცნიერი ამ მეფეთ-მეფეში ბაგრატ მეოთხეს ხედავდა, მაგრამ, ტაძრის სტილისტიკიდან გამომდინარე, თუ მისი აგების თარიღს — X საუკუნეს — გავითვალისწინებთ, მაშინ წარწერაში ნახსენები ბაგრატი III უნდა იგულისხმებოდეს.

გარდა ამისა, აქვე დგას ორი მცირე სვეტი. ერთი მშვენიერი ჩუქურთმებითაა შემკული, ხოლო მეორე — მასზე უფრო ფართო — კოპებიანია. პირველი მათგანი ქვაჯვრის ბაზისი უნდა ყოფილიყო, მეორე — რომელიღაც თაღედის საბჯენი სვეტი.

თავად ეკლესია ჩინებულად გათლილი დიდრონი თანაბარი ბაზალტის მუქი კვადრებითაა ნაგები. იგი სიგრძეში 13 მეტრია, სიგანეში კი, დაახლოებით, 7 მეტრი. ლავგარდანს მთელ სიგრძეზე გასდევს ორგვარი ჩუქურთმა — გადაბმულ წრეებში ჩამჯდარი ჯვრები და გეომეტრიული წნულები. სარკმლის თავსართები უხვადაა შემკობილი ბარელიეფებით: აღმოსავლეთ სარკმლის ნახევარწრიულ თავსართზე ყვავილებია გამოხატული, მათ ზევით კი ბიბლიური სიუჟეტია მოთავსებული — „დანიელი ლომების ხაროში“. აქვე, ოდნავ ქვევით, მტრედების გამოსახულებაა. დასავლეთ სარკმლის ერთ მხარეს ლომია გამოხატული, მეორე მხარეს — ხარი. ამავე სარკმლის თავში, ჯვრის ორ მხარეს, ღვთისმშობლისა და რომელიღაც წმინდანის ფიგურებია. ბარელიეფებია სამხრეთის ორ სარკმელზეც. ერთ მათგანზე მამაკაცსა და ქალს ეკლესიის მაკეტი უკავიათ. ეს, ალბათ, უცნობი ქტიტორების ოჯახია. სამხრეთის მეორე სარკმელთან ფრინველთა გამოსახულებებია და ა.შ.

როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ეკლესიას სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მინაშენები ჰქონია, რომლებიც ერთმანეთთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ეზოში არსებული კოპებიანი სვეტი სწორედ სამხრეთის სტოვის გახსნილი თაღედის შემაკავებელი საყრდენი ბოძი იქნებოდა.

ტაძარში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ზღურბლის უზარმაზარი ფილა, რომლის ადგილი აქ არ უნდა იყოს. იგი, ალბათ, რომელიმე გაუქმებული მინაშენის ფასადს ამშვენებდა. მასზე 12 ვარსკვლავია გამოსახული და ცოდვაა, რომ ფეხით იცრიცება. აღმოსავლეთით საკურთხეველს ახალი ხის კანკელი გამოყოფს, დასავლეთით ამავე ხანებში მოწყობილი პატრონიკეა. საინტერესოდ გამოიყურება პატრონიკის მოაჯირზე გადმოფენილ ქსოვილებზე შესრულებული ფრესკები.

* * *

წმიდა გიორგის ეკლესიიდან სამხრეთით, 2-3 კილომეტრში, შედარებით ახალი სასაფლაოს ტერიტორიაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ძეგლი — პეტრე-პავლეს სახელობის ნაეკლესიარია, რომელსაც აბსოლუტურად შემოძარცვული აქვს პერანგი. არადა, თუ ინტერიერის მშვენიერებით ვიმსჯელებთ, ფასადები კიდევ უფრო შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო. იგი ნაგები ყოფილა ფაქიზად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით, რომლებითაც დღეს მხოლოდ ინტერიერი გამოირჩევა. X-XI საუკუნეების ეს ტაძარი მოსახატად რომ არ ყოფილა გათვალისწინებული, ამას არა მარტო ქვათა იდეალური წყობა ამტკიცებს, არამედ პილასტრების კაპიტელებისა და კრონშტეინების მდიდრული მორთულობაც. გეომეტრიულ მოტივებთან და შეწყვილებულ მსხვილ ღილვებთან ერთად, ჩვენ აქ ვხვდებით საკმაოდ კარგად გამოქანდაკებულ ლომს და ე.წ. „ნაბუქოს სიზმრის“ მოტივს, მაგრამ ისევე, როგორც ამ ეპოქის საქართველოს სხვა ტაძრებზე (გამონაკლისი მხოლოდ გორის რაიონის „ნათლისმცემელია“), გაველურებულ ადამიანს თავი აქაც ჩამომტვრეული აქვს. ეს ფაქტი ძალზე დამაფიქრებელია — ნეტავ, რას ერჩოდნენ გორელიეფურ გამოსახულებას მთელ საქართველოში? ჩვენ ერთხელ უკვე გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ შემდგომმა თაობებმა ვერ გაიგეს გორელიეფიდან მრგვალ ქანდაკებაში გარდამავალი გაველურებული ადამიანის შინაარსი, მისი აზრობრივი დატვირთვა და იგი იკონოგრაფიის მაშინდელი კანონიკური წესების დარღვევად მიიჩნიეს. არადა, ეს არც ადამიანია, არც ლომი და არც სხვა სულდგმული. ეს არის, ღვთის გმობის გამო, უდაბნოში გაჭრილი ნაბუქოდონოსორის სასჯელი — მხეცად გარდაქცევის სიმბოლო.

ახალსოფლის (იგივე ლაკვის) ეს ტაძარი რამენაირად უნდა გადავარჩინოთ და აღდგენა თუ ვერ მოხერხდა, ჩარდახქვეშ მაინც უნდა მოვაქციოთ.

ლაკვისხევის დაყოლებაზე მომდევნო სოფელი ზირბითია. ვახუშტი ბატონიშვილს ამ დასახელების (ზრბითი) სოფელი და მონასტერი სულ სხვაგან, საღირაშენის ხევში ეგულება — იქ, სადაც ამჟამად ახალი ზირბითია. ლაკვისხევში ბატონიშვილს ზირბითის ნაცვლად ზა და ფუხრეთი აქვს აღნიშნული.

ლაკვისხევის ზირბითში ყველაზე საგულისხმო ძეგლი სოფლის განაპირას დგას. ეკლესიის მთავარი შესასვლელის ბალავარზე, ჯვართან ერთად, გამოსახული ცხენოსანი წმ. გიორგი იმას გვეუბნება, რომ იგი მთავარმოწამის სახელზეა აგებული.

საშუალო ზომის საყდარს (9,7X5,2), სამხრეთის მინაშენი სრულიად მორღვეული აქვს. შენობა ნაგებია ბაზალტის მომრგვალებული მცირე კვადრებით, თუმცა კონსტრუქციულ ადგილებსა და წყობის ქვედა რიგებში უფრო სუფთად გათლილი ლოდებიც გვხვდება. ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთით დაგდებული კბილანებიანი ლავგარდანის ფრაგმენტი, აფსიდისა და სამხრეთ შესასვლელის შიდა თაღის ნალისებრი ფორმა, ქვათა თლისა და რელიეფის შესრულების მანერა იმას გვეუბნება, რომ ჩვენ წინაშეა VIII-IX საუკუნეთა მიჯნის ეკლესია.

უკამაროდ დარჩენილ ტაძარში ყურადღებას იპყრობს ორცილინდრიანი და წნულებიანი იმპოსტები. საკურთხეველში, კუთვნილ ადგილზე, აღმართულია ტრაპეზის ერთიანი მაღალი ქვა, რომელიც რელიეფური ღილებით არის მოჩარჩოებული. მის ცენტრში ორიგინალური განედლებული ჯვარია. დარბაზის შუაგულში კიდევ ორი საინტერესო ქვაა — დიდი და მცირე. პირველი მათგანი, რომელზეც ღვთისმშობლის გამოსახულებაა, სხა სალოცავის ტრაპეზის ლოდია, მეორე ფასადის ფილაა და მასზე გამოხატულია ღვთისმშობელი ყრმით. უდავოა, რომ ორივე ქვა სამხრეთ მინაშენს და მასში განთავსებულ ღვთისმშობლის ეკვდერს ეკუთვნოდა. ამ მინაშენის რელიეფური დეტალები ტაძრის გარშემოც მრავლადაა, რომლებიც არანაკლებ საინტერესო საფლავის ლოდებშია შერეული.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



ახალსოფლის „წმიდა გიორგი“





# საქართველო-ინგლისის ურთიერთობა 1918-1919 წლებში

ანტანტის წინაშე გერმანიის იმპერიის კაპიტულაციას **კომპიენის ტყეში** (1918 წლის ნოემბერი) წინ უძღოდა თურქეთის მიერ საომარი მოქმედებების შეწყვეტა მუდროსის ყურეში (1918 წლის ოქტომბერში).
კომპიენისა და მუდროსის საზავო ხელშეკრულებების ძალით გერმანიასა და თურქეთს უნდა დაეტოვებინათ ამიერკავკასია.



ამ პროცესზე კონტროლი ინგლისს უნდა განეხორციელებინა. **ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბერს ხელმოწერილი ინგლის-საფრანგეთის კონვენცია „რუსეთის საკითხში“ მოკავშირეთა პოლიტიკის კოორდინაციას ისახავდა მიზნად. კონვენცია საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად აცხადებდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, 1918 წლის 13 ნოემბერს, ხსენებული კონვენცია ხელმეორედ იქნა დამტკიცებული. ინგლისმა გერმანიისა და თურქეთის ჯარების ევაკუაციის პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ჯარების განლაგება დაიწყო.** ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მთავური პოლკოვნიკი ჯორდანი და ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ფორესტიეუოკერი მრავალრიცხოვან დიპლომატებსა და სამხედროებთან ერთად. 1918 წლის 29 ნოემბერს ინგლისის სამხედრო ფლოტის გემები სოხუმში შევიდნენ, 29 ნოემბერს — ფოთში, 1 დეკემბერს — ბათუმში.

**საქართველოს ინგლისის მოქმედების ზონად (ფაქტობრივად, საოკუპაციო ზონად) გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.** იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ბათუმითა და, საერთოდ, მთელი აჭარით (ბათუმითა და ბათუმის ოლქით) ინგლისელები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არანაირი საშუალება არ გააჩნდა, წინ აღდგომოდა ომში გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოებს (ანტანტას). 1918 წლის 24 დეკემბრის ნოტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა თანხმობა განაცხადა ინგლისის ჯარების საქართველოში განლაგებაზე.** ოფიციალური თანხმობის მიღებამდე, 1918 წლის 22 დეკემბერს, ბათუმში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 20-ათასიანი ჯარით.

**25 დეკემბერს ინგლისელთა პირველი ბატალიონი თბილისშიც გამოჩნდა. ინგლისელებმა აჭარაში (ბათუმსა და ბათუმის ოლქში) საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს. აქ მათ შექმნეს საგენერალგუბერნატორო, რომლის სათავეშიც ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი ჩააყენეს. ფაქტობრივად, აჭარაში თურქი ოკუპანტები ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს. აჭარასა და ბათუმში ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამიტომ 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ივლისამდე აჭარაში ფაქტობრივად მთლიანად შეწყდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია.**

ინგლისის ჯარების ყოფნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ფორმალურად რჩებოდა დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნად, **ინგლისელი პოლიტიკოსები და სამხედროები უხეშად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში, ასევე — საქართველოს ურთიერთობაში მეზობელ ქვეყნებთან.**

1918 წლის დეკემბერში მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომში, სომხეთის არმიის სერიოზული მარცხის შემდეგ, საქართველოს მთავრობას შეეძლო, შემოეერთებინა ძირძველი ქართული ტერიტორია — ლორეს რაიონი. სომხეთის მთავრობას წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ ჰქონდა, ხოლო სომხეთის არმიას აღარ ძალუძდა ქართველი ჯარის შეტევა შეეჩერებინა. საქართველო-სომხეთის ომის დასასრული დაემთხვა ინგლისის ჯარების შემოსვლას საქართველოში. **ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები შეეცადნენ, დაეცვათ ანგლოფილური სომხეთის ინტერესები. ამაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მიერ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარების მიზნით სპეციალურად დანიშნულმა გენერალმა რაიკფორდმა და ამიერკავკასიაში საფრანგეთის მისიის მეთაურმა პოლკოვნიკმა შარდინიმ. მათ აიძულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი სომხეთის წინააღმდეგ და დათანხმებულიყო მოლაპარაკებაზე. 1918 წლის 30 დეკემბერს ყარაქილისში საქართველოსა და სომხეთის მთავრობების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს, რომ 31 დეკემბრის 24 საათისათვის შეეწყვიტათ საომარი მოქმედებანი.**

1919 წლის იანვარში ინგლისის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გამართულ საქართველო-სომხეთის მოლაპარაკებაზე შეთანხმდნენ საქართველოსა და სომხეთს შორის ნეიტრალური ზონის საზღვრების შესახებ, ასევე, ბორჩალოს მაზრაში ქართული და სომხური გარნიზონების, ხოლო ახალქალაქის მაზრაში ქართული გარნიზონების რაოდენობისა და სამხედრო ტყვეების გაცვლის თაობაზე. შეთანხმების მიხედვით, ბორჩალოს ნეიტრალური ზონის მმართველობა უნდა გადასცემოდა მოკავშირე სახელმწიფოების (ანტანტის) კონტროლის ქვეშ მყოფ „კოლეგიურ კომისარისტს“, რომლის თითო წევრს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები ნიშნავდნენ. უთანხმოების შემთხვევაში საკითხი მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლობას უნდა გადაეწყვიტა. ინგლისის ანტიქართული პოლიტიკა მხოლოდ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებაში არ გამოიხატა. მართალია, ახალქალაქში ქართული ადმინისტრაცია იქნა შენარჩუნებული, მაგრამ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ახალქალაქის მაზრის ქართულ ადმინისტრაციაზე ზედამხედველობას ახორციელებდა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელი, რომელთანაც იმყოფებოდნენ ადგილობრივი სომეხი და მუსლიმანური მოსახლეობის რწმუნებულები. ამით, ფაქტობრივად, ახალქალაქის მაზრაც სადავო ტერიტორიად გამოცხადდა.

## საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარებაში ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით განპირობებულმა უარყოფითმა შედეგებმა შემდეგში დიდი პრობლემები შეუქმნა ქართველ დიპლომატებს პარიზის საზავო კონფერენციაზე, ერთა ლიგაში და საქართველო-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში.

1918 წლის დეკემბერში ძალზე დაიძაბა ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დენიკინის მოხალისეთა არმიას შორის. ამ პერიოდისათვის სოჭის ოლქი ქართულ ჯარსა და სახალხო გვარდიას ეკავა. დენიკინის მოხალისეთა არმია ემზადებოდა სოჭის ოლქის ოკუპაციისათვის.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დენიკინის მოხალისეთა არმიის სარდლობის ურთიერთობაში ინგლისელები ჩაერივნენ. 1918 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური პოლკოვნიკი ჯორდანი შეთანხმდნენ, რომ სოჭის ოლქის ტერიტორია საერთოდ დაეტოვებინა ქართულ ჯარს.**

საქართველომ პირობა შეასრულა, დენიკინმა კი — ქართული ჯარის მიერ დატოვებული ტერიტორიები დაიკავა. ამავე დროს ტუაფსეს რაიონში თავმოყრა იწყეს მოხალისეთა არმიის საჯარისო ნაწილებმა. 1919 წლის 6 თებერვალს მოხალისეთა არმიამ სოჭი დაიკავა და შემდეგ მთელი ოლქის ოკუპაცია მოახდინა. მის ხელში აღმოჩნდა გაგრაც. ქართული ჯარი და სახალხო გვარდია მდინარე ბზიფის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ.

**ქართველი დიპლომატები სამი თვის მანძილზე ცდილობდნენ, ზეგავლენა მოეხდინათ ინგლისელებზე, რათა მათ მიეღოთ ზომები და აეძულებინათ მოხალისეთა არმია, დაეტოვებინა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია. ინგლისელთა პოლიტიკა უკვე აშკარად ანტიქართული ხდებოდა. ამიერკავკასიაში ინგლისის მისიის მეთაური და ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი აშკარად ცრუ დაპირებებს აძლევდნენ ქართულ მხარეს.**

მათ სიცრუეში დარწმუნებულმა საქართველოს მთავრობამ 1919 წლის 12 აპრილს მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, რაც მკაცრად დაგმო ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდლობამ. **ინგლისელებმა ოფიციალურად გააფრთხილეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომ მის ჯარებს არ განეხორციელებინათ შეტევა გაგრის მიმართულებით. ინგლისელები ულტიმატუმის ფორმით ითხოვდნენ საქართველოსაგან 1919 წლის თებერვლისათვის არსებული მდგომარეობის დაცვას, ე.ი. იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა მოხალისეთა არმიის მიერ სოჭისა და გაგრის ოკუპაციის შემდეგ.**

1919 წლის 21 მაისს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის. მოლაპარაკებაზე ქართული მხარე (ევგენი გეგეჭკორი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი) ინგლისის მთავრობისა და მოხალისეთა არმიის სარდლობის ერთობლივ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართული დიპლომატიის ბრძოლა მათი პოლიტიკის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა (აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა ინგლისის ანტიქართული პოლიტიკა).

1919 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აცნობეს ინგლისის ხელისუფლების გადაწყვეტილება: **სადემარკაციო ხაზი საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის მდ. ბზიფზე გავიდოდა, ქართულ ჯარს კი მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირი უნდა დაეკავებინა; თავი შეეკავებინა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან და დახმარებოდა მას ნავთობითა და სხვა რესურსებით მომარაგებაში. ასე შეუწყო ხელი ინგლისის მთავრობამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.**

**ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის აშკარა გამოვლინებებს ქართველი დიპლომატები მომავალშიც ბევრჯერ წააწყდნენ.**




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რუსეთი კუბაში მთელი შეიარაღებით ბრუნდება



**გასულ კვირას გენერალური შტაბის უფროსის — ნიკოლაი მაკაროვის კუბაში ვიზიტმა მოსკოვსა და ჰავანას შორის სამხედრო-ტექნიკური კავშირები სერიოზულად უნდა გაამყაროს. კუბის ლიდერ რაულ კასტროს თავდაცვის უწყების მეთაურთან მოლაპარაკებების შემდეგ რუსმა გენერალმა ორი პრინციპული შეთანხმების თაობაზე განაცხადა: რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში კვლავ ისწავლიან კუბელი სამხედრო მოსამსახურეები, რუსული თავდაცვის სპეციალისტები კი ჰავანას საბრძოლო არსენალის მოდერნიზებაში დაეხმარებიან.**

„საბჭოთა კავშირმა კუბას დიდი რაოდენობით ტექნიკა და იარაღი მიაწოდა. მრავალი ნიმუში მწყობრიდან გამოვიდა — რემონტსა და აღდგენას საჭიროებს. უკვე ჩამოვყალიბდით, რის მიწოდებაა საჭირო“, — განაცხადა მაკაროვმა.

საუბარია მასშტაბურ ამოცანებზე. კუბის ჯარში 550 ათასი სამხედრო მოსამსახურე და ოფიცერია. შეიარაღების ხარისხის მიხედვით, მას შეუძლია, ლათინური ამერიკის წამყვან ქვეყნებს შეეჯიბროს, მაგრამ მის შეიარაღებაში თანამედროვე არსენალის წილი საბჭოთა წარმოების ტექნიკას საგრძნობლად ჩამოუვარდება. მაგალითად, 150 გამანადგურებლიდან ორ მესამედს МиГ-21 და МиГ-23 შეადგენს. მართალია, კუბამ რუსეთში შეიძინა რამდენიმე „ოცდაცხრა“, მაგრამ სამხედრო ავიაპარკში ამინდს ისინი ვერ ქმნის. ანალოგიური სიტუაციაა ტანკებთან, ჯავშანტრანსპორტიორებთან, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებსა და კავშირგაბმულობის საშუალებებთან დაკავშირებითაც.

ჰავანაში იმედოვნებენ, რომ ახალი მოლაპარაკებები მათი ჯარის საბრძოლო აღჭურვასთან დაკავშირებულ სიტუაციას შეცვლის. ადგილობრივი გენერლები მოლაპარაკებების დეტალებს არ ახმაურებენ, მაგრამ არის ცნობა იმის შესახებ, რომ შესაძლოა, კუბაში იარაღის წარმოების, საბრძოლო მასალების, საავიაციო და ჯავშანსატანკო ტექნიკის რემონტისა და მოდერნიზაციის ერთობლივი საწარმოები გაიხსნას. რაღაც ამგვარს რუსეთი უკვე აკეთებს ინდოეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

გარიგების კონკრეტულ პირობებს სპეციალისტები განსაზღვრავენ, მაგრამ წინასწარვე ცხადია, რომ წინა საუკუნის შუა წლების მსგავსად უსასყიდლო მიწოდებაზე საუბარი არ იქნება. სხვა საკითხია, რომ ეს პირობები ჰავაისთვის შესაძლოა, საკმაოდ მსუბუქი იყოს. რუსეთი კუბასთან პარტნიორობითაა დაინტერესებული და ამის სანაცვლოდ შესაძლოა, გარკვეულ ფინანსურ დათმობებზეც წავიდეს.

ექსპერტების აზრით, საპასუხო ნაბიჯად კასტროს შეუძლია, რუსეთის შორეული ავიაციის მფრინავებს თავის სამხედრო აეროდრომებზე დაჯდომის უფლება მისცეს, რუს მეზღვაურებს კი — სურსათისა და მატერიალური რესურსების შესავსებად საკუთარი პორტები შესთავაზოს.

რუსული გემები უკვე სტუმრობენ კუბას. შარშან, დეკემბერში, ასეთი ვიზიტით იქ ჩრდილოეთ ფლოტის დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდი „ადმირალი ჩაბანენკო“ და მომსახურების ორი გემი, გასულ თვეში კი მაშველი „ალტაი“ იყვნენ. ნიკოლაი მაკაროვმა ყველა მიახვედრა, რომ კარიბის აუზი შესაძლოა, ანდრეევსკის დროშის მუდმივი დემონსტრირების ადგილად იქცეს.

ექსპერტები მაკაროვის კუბაში ვიზიტს კუბაში სრულფასოვანი სამხედრო დაბრუნების პრელუდიად აფასებენ და მომავალში იქ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და ინფრასტრუქტურის აღდგენას ელიან. აღნიშნული ზომები აღმოსავლეთზე ნატოს შეტევაზე რუსეთის პასუხად ფასდება. შეგახსენებთ, რომ გასული წლიდან რუსეთმა და კუბამ ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მიზნით მაღალი დონის ურთიერთვიზიტები დაიწყეს. წელს, ივლისის ბოლოს, რუსეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე იგორ სეჩინი კუბაში ვიზიტით იმყოფებოდა და ქვეყნის ლიდერ რაულ კასტროსთან მოლაპარაკებები გამართა.

# ტაგანროგში სასამართლომ იეღოვას მოწმეების მოღვაწეობა აკრძალა



**როსტოვის საოლქო სასამართლომ პროკურატურის განცხადების საფუძველზე იეღოვას მოწმეების ადგილობრივი ორგანიზაცია „ტაგანროგი“ ექსტრემისტულად ცნო და მისი მოღვაწეობა აკრძალა.**

თითქმის 11 წლის მანძილზე რელიგიური ორგანიზაცია სამედიცინო დახმარების ზოგიერთ სახეობაზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდაზე უარის თქმის პროპაგანდას ეწეოდა. გარდა ამისა, გამოვლინდა ექსტრემისტულ ორგანიზაციაში არასრულწლოვანთა ჩათრევის, რელიგიური უთანხმოების საფუძველზე ოჯახური და ნათესაური ურთიერთობების მოშლის ფაქტები. ორგანიზაციის მოღვაწეობას თან ახლდა გერმანიასა და აშშ-ში დაბეჭდილი პერიოდული ბეჭდვითი ლიტერატურის გავრცელება.

# ვარშავას მეორეხარისხოვანი მოკავშირის სტატუსის ეშინია

**პოლონეთი შიშობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მეორეხარისხოვანი მოკავშირე იქნება და მისი ინტერესები, რუსეთის სასიკეთოდ, მეორე პლანზე გადაინაცვლებს. The Wall Street Journal-ის პუბლიკაციის მიხედვით, ეს შიში პოლონეთს რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის პროგრამის ვარშავიდან ცენტრალურ ევროპაში გადატანის შესახებ ვაშინგტონის რამდენიმე დღის წინანდელმა გადაწყვეტილებამაც გაუმყარა.**

პოლონეთის ხელისუფლებამ ფრთხილად და ოპტიმისტურად შეაფასა აშშ სტრატეგიაში მომხდარი ცვლილებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფოკუსის გადანაცვლებამ ბევრს გაუჩინა სადარდებელი.

„არ მომწონს ეს პოლიტიკა. საქმე ის არაა, რომ ჩვენ აღნიშნული „ფარი“ გვჭირდება, საქმე ისაა, თუ როგორ გვექცევიან“, — განაცხადა პოსტკომუნისტური პოლონეთის პირველმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ. 1989 წელს საბჭოთა გავლენის ორბიტიდან თავდაღწეული და 10 წლის შემდეგ ნატოში გაწევრებული პოლონეთი იმედოვნებდა, რომ მის ტერიტორიაზე 10 რაკეტსაწინააღმდეგო და ამერიკელი ჯარისკაცები განლაგდებოდნენ. მიუხედავად ამისა, პოლონეთის ხელისუფლება თვლის, რომ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში მის ქვეყანას „მეორეხარისხოვანი“ სტატუსი აქვს და ცდილობს, უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები მოიპოვოს. არადა, ვარშავამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ აშშ ნამდვილი მოკავშირეა — ერაყში ათასი სამხედრო გაგზავნა და ვაშინგტონისა და ლონდონის მხარეს დადგა მაშინ, როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპა ორად გაიყო.

„ამერიკული გადაწყვეტილება ამერიკის ინტერესების შესაბამისად იქნა მიღებული, ეს კი ახლა რუსეთთან კარგ ურთიერთობას ნიშნავს. ობამას ადმინისტრაცია მზადაა, ამისათვის ცენტრალურევროპული ქვეყნების ინტერესები გაწიროს“, — ამბობს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ-ამერიკანისტი ზბიგნევ ლევიცკი.

Interfax.ru-ს ცნობით, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ევროპაში გადაჯგუფების თაობაზე აშშ პრეზიდენტის — ბარაკ ობამას გადაწყვეტილებამ ოფიციალურ პოლონეთს დიდად დასწყვიტა გული; იმდენად, რომ ვაშინგტონში პოლონეთის საელჩომ ვარშავიდან საყვედურიც კი მიიღო ეგრეთ წოდებული ამერიკული ფარის პოლონეთში განთავსებისათვის ამაო ძალისხმევის სანაცვლოდ.

# ობამას ცერეუს ყოფილმა დირექტორებმა წამებათა გამოძიების შეწყვეტა სთხოვეს



**ცსს-ს შვიდმა ყოფილმა დირექტორმა ბარაკ ობამას ტერორისტების დაკითხვისას წამების ფაქტების გამოძიების შეწყვეტისაკენ მოუწოდა.**

აშშ-ის პრეზიდენტისათვის გაგზავნილ ამ თხოვნას ხელი მოაწერეს მაიკლ ჰეიდენმა, პორტერ გოსმა და ჯორჯ ტენეტმაც, რომლებიც ცერეუს ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობისას ხელმძღვანელობდნენ; ჯონ დეიჩმა და ჯეიმს ვულსიმ, რომლებიც სადაზვერვო უწყებას ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას ედგნენ სათავეში; ჯორჯ ბუშ უფროსისდროინდელი ცსს-ს დირექტორმა უილიამ უებსტერმა და რიჩარდ ნიქსონისდროინდელი ცერეუს დირექტორმა ჯეიმს შლეზინგერმა.

შეგახსენებთ, რომ აშშ გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლდერმა აგვისტოში განაცხადა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა მიმართ ცსს-ს გამომძიებლების სასტიკი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება ჩატარდება. ამის მიზეზი კი იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული მოხსენება გახდა, რომელშიც ცსს-ს გამომძიებელთა „მუშაობის მეთოდები“ იყო აღწერილი.

# პენტაგონი ავღანეთში შესაძლო დამარცხებაზე ალაპარაკდა



**Washington Post-ის ფურცლებზე მოხვედრილი სპეციალური მოხსენების მიხედვით, თუ ავღანეთში განლაგებული ამერიკული ჯარი ერთი წლის განმავლობაში დამატებითი ძალებით არ შეივსება, მას დამარცხების საფრთხე ელის.**

ანგარიში, რომელიც ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში, გენერალ სტენლი მაკკრისტალის მიერაა მომზადებული. ამავე გენერალმა სულ ცოტა ხნის წინათ ავღანეთში საომარი მოქმედებების წარმოების სტრატეგიის გადახედვის წინადადება წამოაყენა.

„თუ ვერ შევძლებთ, ხელში ჩავიგდოთ ინიციატივა და გავტეხოთ წინააღმდეგობა (უახლოესი 12 თვის მანძილზე), ვიდრე ავღანეთის უშიშროების ძალები გამოცდილებას იძენენ, შესაძლოა, აღმოვჩნდეთ სიტუაციაში, როდესაც მეამბოხეთა დამარცხება უკვე შეუძლებელი იქნება“, — ამბობს გენერალი მოხსენებაში.

მისი აზრით, მთავარი პრობლემა რესურსების ნაკლებობაა და თუ აშშ ამ პრობლემას არ გადაჭრის, კონფლიქტი გაიწელება. ეს კი როგორც სამხედრო, ასევე, ფინანსურ-პოლიტიკური თვალსაზრისით სერიოზულ დანაკარგებს განაპირობებს. Washington Post-ის ინფორმაციით, რედაქციის ხელთ არსებული ანგარიში აშშ თავდაცვის მინისტრის — რობერტ გეიტსისთვის იყო მომზადებული. თავად გენერალი მაკკრისტალი ავღანეთში ამერიკული სტრატეგიის ცვლილებების მომხრეა და თვლის, რომ აშშ-მ მშვიდობიანი და ლოიალური ავღანელები თალიბებისაგან უნდა დაიცვას. აგვისტოში ნატოსა და პენტაგონში ამოტივტივდა სულ სხვა ანგარიში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ავღანელები საერთაშორისო ძალებისადმი ნდობას კარგავენ, ვინაიდან ავღანეთში მათმა ყოფნამ და თალიბანის წინააღმდეგ ბრძოლამ უბრალო ავღანელებს ყოფა ვერ გაუუმჯობესა. ეს მოხსენება ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის გაზრდისაკენ პირდაპირ მოწოდებას არ შეიცავდა, თუმცა შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი ადმირალ მაიკლ მულენიც რამდენიმე დღის წინათ სენატში ამბობდა, რომ თალიბებთან ბრძოლისათვის დამატებითი ძალებია აუცილებელი. საბოლოო გადაწყვეტილება აშშ პრეზიდენტის — ბარაკ ობამას პოზიციაზე იქნება დამოკიდებული. მულენის გამოსვლის შემდეგ მან განაცხადა, რომ ჯერჯერობით აღნიშნული საკითხი არ განიხილება. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის მაისში ავღანეთში 30 ათასი სამხედრო მოსამსახურე გაიგზავნა, რამაც, ფაქტობრივად გააორმაგა იქ ამერიკული კონტინგენტი. წლის ბოლომდე ავღანეთში დისლოცირებული ამერიკელი სამხედროების რიცხვი 68 ათასს მიაღწევს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# პუტინმა სოჭში ლეოპარდების გამრავლების ცენტრი გახსნა

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა თურქმენეთიდან თვითმფრინავით კრასნაია პოლიანაში ჩამოყვანილი ორი ლეოპარდი გალიიდან ვოლიერში გაუშვა. ეს სიმბოლური ქმედება ლეოპარდების გამოყვანა-რეაბილიტაციის პირველი სპეციალური ცენტრის მშენებლობის დასრულებას აღნიშნავდა. ცენტრში გამოზრდილ ლეოპარდებს ბუნებაში გაუშვებდნენ.**

როგორც პრემიერ-მინისტრს ველური ბუნების ფონდის პრეზიდენტმა იგორ ჩესტინმა უამბო, აღნიშნული ცენტრი ოლიმპიური ცენტრის მშენებლობის რაიონში ეკოლოგიის შენარჩუნების პროგრამის ფარგლებში იქმნება და 10-15 წლის მანძილზე ლეოპარდების ჩრდილოეთ ბირთვის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. გასული საუკუნის დასაწყისიდან კავკასიაში ლეოპარდები მთლიანად გაწყდნენ, არადა, მანამდე ისინი მთელ მთიან ტერიტორიაზე ბინადრობდნენ. ახლა ლეოპარდები წითელ წიგნში არიან შეტანილები და ნაწილობრივ შემორჩნენ ირანის, სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ტერიტორიებზე.

პუტინის მიერ ვოლიერებში გაშვებული ლეოპარდები თურქმენეთში დაიჭირეს, შემდგომში მათ ცენტრში კვლავ ჩაიყვანენ თურქმენეთიდანაც და ირანიდანაც. ლეოპარდთა რეაბილიტაციის კავკასიური ცენტრის ტერიტორია თითქმის 10 ჰექტარს მოიცავს.

# ობამა ისრაელს ომისკენ უბიძგებს



**აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა ისრაელს ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვისაკენ უბიძგებს. როგორც ჩანს, ეს მომავალ გაზაფხულამდე მოხდება, არ არსებობს გარანტია, რომ ის ეფექტიანი იქნება, მაგრამ, თუნდაც ასე იყოს, ამ წარმატების საფასური ბარელის 300 დოლარამდე გაძვირება და კიდევ ერთი ომი იქნება.**

ობამამ ირანის მიერ ბირთვული პროგრამის განხილვაზე დემონსტრაციულ უარს აბსოლუტური იგნორირებით უპასუხა, გადაწყვიტა, 24 სექტემბრის გაეროს უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაზე საერთოდ არ შეეხოს ირანის საკითხს, აშშ თავდაცვის მინისტრმა რობერტს გეიტსმა კი საქვეყნოდ დააფიქსირა ირანული ბირთვული ობიექტების დაბომბვის საწინააღმდეგო საკუთარი პოზიცია. თავის მხრივ, რუსეთმა განაცხადა, რომ ირანის საწინააღმდეგო ახალ სანქციებს მხარს არ დაუჭერს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ისრაელელები ფიქრობენ, რომ ობამას ადმინისტრაცია და მით უმეტეს საერთაშორისო საზოგადოება თითსაც არ გაანძრევს ირანის შესაჩერებლად. ამიტომ ისრაელი ცდილობს, შექმნას ისეთი სიტუაცია, რომ ვაშინგტონი ისრაელურ თავდასხმას მკაცრი სანქციებით ან სულაც საკუთარი დარტყმებით აღუდგეს წინ.

ისრაელის მხარე ძალის გამოყენების გეგმებს ღია სწავლებებით ამხელს, აშშ ადმინისტრაცია კი არ რეაგირებს. შესაძლოა, ვაშინგტონს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ისრაელს დარტყმას გადააფიქრებინებს. ანდა პირიქით, ამართლებს ამ დარტყმას, მაგრამ არ სურს, შექმნას შთაბეჭდილება, რომ ხელს უწყობს მას. ამასთან, შესაბამისი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, უკვე ცნობილია, რომ მომავალ წელს ირანს ორ თვეზე ნაკლები დასჭირდება ბირთვული იარაღის დასამზადებლად საკმარისი გამდიდრებული ურანის წარმოებისათვის. ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობა აშშ-ისა და მთელი ახლოაღმოსავლეთის უმაღლეს ინტერესებს ეწინააღმდეგება. მაგრამ აშშ-ს არანაირი ინტერესი არ აქვს, რომ ირანის განიარაღების იარაღად ისრაელი იქცეს. რეიდი წარმატებულიც რომ აღმოჩნდეს, რამდენიმე წლის შემდეგ მისი გამეორება იქნება აუცილებელი; გარდა ამისა, ირანს საპასუხო დარტყმის მიყენება შეუძლია და არა მხოლოდ ისრაელისათვის, არამედ ერაყში მყოფი ამერიკელებისათვისაც. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ზესახელმწიფო ომისა და მშვიდობის საკითხებს უახლოეს მოკავშირესაც კი არ უნდა აბარებდეს. ბარაკ ობამამ კი ირანის საკითხის სადავეები, ფაქტობრივად, დაუთმო ბენიამინ ნეთანიაჰუს.

# მერკელის «ჩუმი რევოლუცია»

**ეჭვი არავის ეპარება, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 27 სექტემბრისათვის დაგეგმილი საყოველთაო არჩევნების შემდეგ კანცლერის პოსტზე კვლავ ანგელა მერკელი დარჩება. გაცილებით საინტერესოა, ვინ იქნება საგარეო საქმეთა მინისტრი — ისევ ახლანდელი სოციალ-დემოკრატი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი თუ თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი ვესტერველე? საბოლოო ჯამში, არც ამას აქვს დიდი მნიშვნელობა — მერკელი თავადაც დიდი წარმატებით ახორციელებს საკუთარ საგარეო პოლიტიკას.**



გერმანიაში ჩუმი რევოლუცია მოხდა. მერკელის წინამორბედმა გერჰარდ შროდერმა გერმანიის კუთხეში მიმწყვდევა მოახერხა. ამ კუთხეში კი მის ერთადერთ მოკავშირედ რუსეთი რჩებოდა. შროდერმა აშშ ერაყში ავანტიურების საწინააღმდეგო პოზიციით გაამძვინვარა, ჟაკ შირაკს ევროპის „ძველ“ და „ახალ“ ნაწილად გაყოფაში დაეხმარა, აღმოსავლეთ ევროპა კი საერთოდ შოკში ჩააგდო, როდესაც ხელი მოაწერა ბალტიის ზღვის ფსკერზე გამავალი მილსადენით რუსული გაზის პირდაპირ გერმანიამდე მისვლის პროექტს და ამით ვლადიმერ პუტინთან საკუთარ მეგობრულ დამოკიდებულებას გაუსვა ხაზი. ერთი სიტყვით, შროდერი სრული კატასტროფა იყო.

მერკელმა გერმანია ამ ჩიხიდან გამოიყვანა და, მართალია, ბარაკ ობამასთან ისე ვერ მეგობრობს, როგორც ჯორჯ ბუშ უმცროსთან, მაგრამ მჭიდრო ურთიერთობების დამყარება მაინც მოახერხა. მიუხედავად ტემპერამენტის მხრივ თვალსაჩინო სხვაობისა, ანგელამ ნიკოლა სარკოზისთან ერთად საერთო ევროპული იდეა გაიზიარა. ეს იდეა კი იმის გაგებას გულისხმობს, რომ ევროპას არ ულირს თვითგამორკვევა და ამერიკასთან დაპირისპირება.

ჟოზე მანუელ ბეროზუც მერკელის კაცია, რაც შეეხება რუსეთს, კანცლერი ყოველთვის გულწრფელად გამოხატავდა აღშფოთებას ადამიანთა უფლებების მხრივ იქ შექმნილი მდგომარეობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მერკელმა არ გააუქმა თავისი წინამორბედის მიერ დადებული ხელშეკრულება „ჩრდილოეთ ნაკადის“ თაობაზე, მშვიდად და თავდაჯერებით დაუჭირა მხარი ნაბუკოს პროექტს, რომლის წყალობითაც ნახშირწყალბადი ევროკავშირამდე რუსეთის გვერდის ავლით მივა.

ეს ყოველივე მერკელმა ისე გააკეთა, რომ გერმანიაში არც ერთხელ არ აუტეხავს სკანდალი. რასაკვირველია, ბარაკ ობამას გამარჯვებამაც, ტონი ბლერის წასვლამაც მის წისქვილზე დაასხა წყალი. მერკელი ცდილობდა, დინებას მიჰყოლოდა და მის შემოტრიალებას არ ცდილობდა.

ჟურნალისტები ხშირად ადანაშაულებენ მას უპრინციპობასა და კიდევ იმაში, რომ არასდროს არავინ იცის, ვის დარის მხარესაა. მაგრამ საერთო ჯამში მერკელი ამ რთულ პერიოდში გერმანიისათვის ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა, მისი წარმატების საწინდარი კი მისივე პროამერიკული და პროევროპული ინსტინქტებია.

## ჯიმი კარტერი:

# „ობამაზე თავდასხმებს რასისტული ხასიათი აქვს“



**ჯიმი კარტერმა მკაცრად გააკრიტიკა კონგრესმენი ჯო უილსონი, რომელმაც ჯანდაცვის რეფორმის შესახებ ობამას სიტყვით გამოსვლისას აშშ პრეზიდენტს მატყუარა უწოდა.**

ყოფილი პრეზიდენტი უილსონს რასიზმში ადანაშაულებს და იმ რისკების შესახებ აფრთხილებს, რომლებიც დისკრიმინაციასა და მცდარ რწმენას — „აფროამერიკელი არ უნდა იყოს პრეზიდენტი“ — შეიძლება მოჰყვეს. ატლანტაში გამოსვლისას ჯიმი კარტერმა, ასევე, განაცხადა: „ეს თავდასხმები დემოკრატიული დისკუსიის ნაწილი კი არა, უფრო რადიკალური და სახიფათო რამის ნაყოფია“. თეთრი სახლი კი აღნიშნულ ინტერპრეტაციას არ დაეთანხმა; მისი პრესმდივნის განცხადებით, „პრეზიდენტს არ სჯერა, რომ მის მიმართ გამოთქმული კრიტიკა კანის ფერს უკავშირდება“.

# მსოფლიო ბანკი ნახშირის ელექტროსადგურებზე მილიარდებს ხარჯავს

**მსოფლიო ბანკმა კარგახანს ამტკიცა, რომ ბუნებრივი წიაღისეულის საწვავად გამოყენება კლიმატის კატასტროფულ ცვლილებებს გამოიწვევს, ახლა კი თავად დაიწყო განვითარებად ქვეყნებში მილიარდების ხარჯვა ნახშირის ელექტროსადგურების ასაშენებლად.**

ბანკმა, რომლის უმთავრესი მიზანი სიღარიბესთან გამკლავებაა და რომელიც, თავის მხრივ, განვითარებული ქვეყნებიდან ფინანსდება, გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, „კლიმატის ცვლილებებზე სხვაგვარად მოახდინონ რეაგირება“. იგივე ბანკი, ერთი მხრივ, ირწმუნება, რომ მსოფლიო, დროა, გათავისუფლდეს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებისაგან და, მეორე მხრივ კი, თავად აფინანსებს ნახშირზე მომუშავე გიგანტურ საწარმოებს, რომელთაგან თითოეული უახლოეს 40-50 წელიწადში მილიონობით ტონა ნახშირმჟავა გაზს წარმოქმნის. როგორც ბანკის ბალანსირებული განვითარების მთავარი ეკონომისტი მარიანა ფეი აღნიშნავს, ნახშირი მილიარდობით ადამიანის ელექტროენერგიით მომარაგების ყველაზე იაფი და საიმედო საშუალებაა. „არის უამრავი ღარიბი ქვეყანა, რომელთაც აქვს ნახშირის რესურსი და მათთვის ეს ერთადერთი საშუალებაა. — განაცხადა მან, — პოლიტიკა (ბანკის) იმაში მდგომარეობს, რომ გაგრძელდეს ნახშირის დაფინანსება იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა ალტერნატივა არ არის და ვესწრაფოთ, რაც შეიძლება მეტი ეფექტი მივიღოთ ნახშირის ელექტროსადგურებიდან.

# პრინც ჩარლზს საფრთხე ემუქრება?

**პრინც ჩარლზის ფონდით ხელისუფლება დაინტერესდა. ცხადია, ბრიტანელ მონარქს ხელბორკილს არავინ დაადებს, მაგრამ, თუ საქველმოქმედო საქმიანობის მაკონტროლებელი სახელისუფლო კომისია „Charity Commission“ მას რაიმე ბრალს წაუყენებს, პრინცის იმიჯი სერიოზულად დაზარალდება.**



საქმე ისაა, რომ დედოფალ ელისაბედის ვაჟი ურბანისტიკითაა გატაცებული. მის მიერ დაარსებულ უამრავ საქველმოქმედო ორგანიზაციას შორის ერთ-ერთის — „Foundation for the Built Environment“ — მიზანი არქიტექტურის პრობლემებში მოსახლეობის გაცნობიერებაა. მაგრამ ბოლო დროს ფონდს ლობისტურ საქმიანობაში ადანაშაულებენ, ეს კი არაკომერციული ორგანიზაციების წესდების დარღვევაა.

უკვე რამდენიმე თვეა, ლონდონში იმ სტატიებს განიხილავენ, რომლებშიც აღნიშნულია, რომ პრინცი ჩარლზი და მისი ფონდი გავლენას ახდენენ დედაქალაქის რამდენიმე ობიექტის რეკონსტრუქციაზე. კერძოდ, საუბარია ჩელსის ყაზარმებზე. ეს მილიარდიანი ინიციატივაა, რომლის რეალიზაციაც, როგორც ჩანს, ჯარის ყოფილი შენობების მეპატრონე კატარის სამეფო ოჯახმა არქიტექტორ ჩარლზ როჯერსს მიანდო. პრინც ჩარლზს კი, როგორც ტრადიციების შენარჩუნების მომხრესა და გარემოს დაცვის დიდ ქომაგს, როჯერსის მოდერნისტული სტილი არ მოეწონა და შემკვეთზე ზეწოლის შედეგად პროექტის რეალიზაციის უფლება მოდერნისტი როჯერსის ნაცვლად ათობით სხვა არქიტექტორს დაევალა. მათგან ნახევარზე მეტს კი თავად პრინცი მფარველობს. არადა, საუბარი მხოლოდ სტილსა და მოდერნიზმს კი არა, ძალიან დიდ ფულს ეხება.

ეს პრინცის არქიტექტურულ საქმეებში ჩარევის პირველი და ერთადერთი შემთხვევა არაა. კენსინგტონსკის სასახლის გადაკეთების პროექტიც ამის ნათელი მაგალითი იყო. მაშინ ჩარლზი უკანონო ქმედებაში მსოფლიოში ცნობილმა არქიტექტორებმა, მათ შორის, როჯერსმა, რენცო პიანომ, ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და მონარქიის გაუქმების მოთხოვნით გამომსვლელმა მოძრაობა Republic-მაც ამხილეს. ყველას მშვენივრად ესმის, რომ ბრიტანეთში მონარქიას მოქალაქეების 70%-ს უჭერს მხარს და მას ურბანული კამათი ვერაფერს დააკლებს, მაგრამ თავად მონარქიის გულშემატკივრებიც პრინცს ურჩევენ, თავი არქიტექტურის სფეროდან შორს დაიჭიროს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლო გახსნილია?

**ბრიტანულმა სამაუწყებლო კომპანია BBC-მ ატლანტის ოკეანეში მიმდინარე ყველაზე საოცარი მოვლენებისათვის ყველაზე რაციონალური ახსნის გამოძებნა მოახერხა.**




დამთავრდა რადარების ეკრანებიდან მოულოდნელად გამქრალი გემებისა და თვითმფრინავების უკვალოდ გაქრობის მრავალწლიანი ისტორია. ატლანტის ოკეანის ნაწილს, რომელიც ფლორიდის სანაპიროებს, პუერტო-რიკოსა და ბერმუდის არქიპელაგს შორისაა მოქცეული, ნაწილობრივ უკვე ჩამოეხსნა საიდუმლოების ფარდა. BBC-ის რადიოგადაცემათა სერიის ავტორებმა ბერმუდულ საიდუმლოს საკმაოდ რაციონალური და დამაჯერებელი ახსნა მოუძებნეს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ რაიონში 1940-იან წლებში „გამქრალი“ ორი თვითმფრინავის ბედი ნამდვილად გარკვეულია. კატასტროფის მიზეზი ორივე შემთხვევაში ტექნიკური გაუმართაობა გახდა. 1948 წლის 30 იანვარს კომპანია British South American Airways-ის თვითმფრინავი Avro Tudor IV უკვალოდ გაქრა.

მაშინ ექსპერტებმა განაცხადეს, რომ საიდუმლო ამოუხსნელი დარჩებოდა, ახლა კი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მისი დაღუპვის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა და სტიქიის მძვინვარება გახდა. ფრენისათვის შეუსაბამო ამინდის გამო თვითმფრინავი დაბალ სიმაღლეზე მოძრაობდა, ამან კი საწვავის გადამეტებული ხარჯვა განაპირობა და კატასტროფის მიზეზიც სწორედ ეს გახდა. მეორე შემთხვევაში უსაფრთხოების სისტემა აღმოჩნდა უბედურების მიზეზი. როგორც წლების შემდეგ გაირკვა, ჰიდრავლიკური სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად ბორტზე აფეთქება მოხდა.

რაც შეეხება თავად ბერმუდის სამკუთხედს, შესაძლოა, იმ პერიოდის ექსპერტებს ერჩივნათ, ტექნიკური პრობლემების აღიარების ნაცვლად ყველაფერი ამოუცნობი ძალებისთვის გადაებრალებინათ.

# რა გააბედნიერებთ ქალებს?

**რამდენიმე თვეში ქალების მთავარ სადარდებელს ბოლო მოეღება და მუცლის, თეძოებისა თუ ბარძაყების ქონი ოპერაციის შემდეგ მკერდში გადაინაცვლებს.**



ახალ სამყოფელში კი ის სულაც აღარ იქნება ისეთი საზიზღარი და თავმომაბეზრებელი პატრონისათვის, როგორიც ადრე იყო. ოპერაცია დაახლოებით 9 ათასი ევრო ეღირება. ქირურგები თვლიან, რომ მკერდის არეში ხელოვნური ინპლანტანტების გვერდის ავლა უამრავ პრობლემას გააქრობს დღის წესრიგიდან; მაგალითად, მუცლის ქონის „პროტეზი“ არც უდროოდ დეფორმირდება და არც იმდენად უხეში აღმოჩნდება ოდესმე, რომ განმეორებითი ოპერაციის საჭიროება წარმოშვას. 4-5 წლის განმავლობაში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა ოპერაციებმა დაამტკიცა, რომ სულ მალე ეს პროცედურა მკერდის გაზრდის ტრადიციულ მეთოდზე პოპულარული გახდება და შესაძლოა, საერთოდაც ჩაენაცვლოს მას.

# რატომ აღარ უნდა გავმრავლდეთ?



**როგორც ახალი გამოკვლევების შედეგად ლონდონელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, ყოველი ახალშობილი გლობალური დათბობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადამიანის დაბადება ნიშნავს, რომ მანქანის მართვისა თუ ელექტროობის გამოყენების შედეგად მავნე გამონაბოლქვები გარანტირებულია.**

ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაცია Optimum Population Trust-ის აზრით, გლობალური დათბობის საწინააღმდეგო საშუალებებს შორის კონტრაცეფცია გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ქარისა და მზის ელექტროსადგურების მშენებლობა. ორგანიზაციის თავმჯდომარის როჯერ მარტინის თქმით, აბსოლუტურად ალოგიკური ტაბუს გამო ოჯახის დაგეგმვა კლიმატური ცვლილებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელ ზომებს შორის ვერ მოხვდა. ორეგონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, ისევე, როგორც მათმა ლონდონელმა კოლეგებმა, გამოთვალეს, რამდენ მავნე აირს წარმოქმნის ადამიანი სიცოცხლის მანძილზე. ყოველი ამერიკელი ჩვილი პერსპექტივაში 1644 ტონა ნახშირმჟავა გაზია. ჩინელ ბავშვზე იგივე მაჩვენებელი ხუთჯერ ნაკლებია, ბანგლადეშელ ბავშვზე კი — 91-ჯერ ნაკლები. ამ სხვაობას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ამერიკელები შედარებით დიდხანს ცოცხლობენ, ცხოვრობენ მაღალჭერიან სახლებში, სახლიდან სამსახურამდე მანქანით საკმაოდ შორ მანძილს გადიან, ელექტროენერგიას კი ნახშირზე მომუშავე სადგურებიდან იღებენ. სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, სპეციალური ნათურებისა და ფანჯრების გამოყენება, ორი ბავშვის (და მათი შთამომავლობის) დაბადების შედეგად მომატებულ გამონაბოლქვებს მხოლოდ ერთი მეორმოცედი ნაწილით შეამცირებს. ამიტომ მარტინი სახელმწიფოს მოუწოდებს, ყველანაირად შეუწყოს ხელი არასასურველი ორსულობების თავიდან აცილებას და ხანდახან აბორტის თანამონაწილეც გახდეს.



# 107 წლის მეკ ვუკი ისევ თხოვდება?

**2006 წელს მალაიზიის ჩრდილოეთში მცხოვრები მეკ ვუკ კუნდორი (იგივე ტოკ ბუკი) მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ცნობა იმის შესახებ, რომ 104 წლის ქალი ცოლად გაჰყვა 33 წლის მამაკაცს, რომელიც ქმრად კი არა, შვილიშვილად ან შვილთაშვილად უფრო შეეფერებოდა, მალაიზიური წყაროებიდან ჯერ აზიურმა ტაბლოიდებმა, შემდეგ კი მთელი მსოფლიოს პრესამ გადაბეჭდა.**



მუჰამედ მუსა ამბობდა, რომ ხანდაზმულ ქალში ღრმა რელიგიურობამ მოხიბლა. ანგარება გამოირიცხა, რადგან ქალბატონი ვუკ კუნდორი იმდენად ღარიბი იყო, რომ თავის სარჩენად ისედაც ერთი ციცქნა სახლის ოთახს აქირავებდა. მუსა კი სწორედ ამ ოთახს ქირაობდა. ვუკ კუნდორი, თავის მხრივ, ამბობდა, რომ ამ ქორწინებამ ბედნიერება მოუტანა და ქმარს ისლამის შესწავლაში სიამოვნებით დაეხმარებოდა. ამ ყველაფრის შემდეგ ენა აღარავის მობრუნებია, რომ აღნიშნული ქორწინებისთვის ამორალური ეწოდებინა, თუნდაც, იმის გამო, რომ ეს ქალბატონი კუნდორის 21-ე თუ 22-ე ქორწინება იყო.

რამდენიმე დღის წინათ კი მალაიზიური გაზეთის ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, გაერკვიათ, როგორ ცხოვრობს ეს ბედნიერი წყვილი, მაგრამ სოფლის პატარა სახლში მხოლოდ ვუკ კუნდორი დაუხვდათ და სიამოვნებითაც ესაუბრა დაუპატიჟებელ სტუმრებს. როგორც გაირკვა, მუჰამედ მუსა ნარკოდამოკიდებულებისაგან განსაკურნებლად საკუთარი ნებით გაემგზავრა სარეაბილიტაციო ცენტრში. ვუკ კუნდორი შიშობს, რომ განკურნების შემდეგ მის მეუღლეს სხვა ცოლი მოუნდება და განქორწინებას მოსთხოვს. მას კი ძალიან ეშინია მარტო დარჩენის. შვილების იმედი არ აქვს, რადგან მათ, კარგახანია, მიაღწიეს ხანდაზმულ ასაკს და თავადაც შვილებზე არიან დამოკიდებულნი. ამ ამბის გმირმა კატეგორიული უარი განაცხადა შვილებისა და შვილიშვილების საერთო რაოდენობის, ასევე, წინა 20 თუ 21 ქმრის შემდგომი ბედის გამხელის თხოვნაზე. ახლა კუნდორს ერთადერთი ოცნება აქვს — ვინმემ სარეაბილიტაციო ცენტრში წაიყვანოს, რათა მეუღლე ნახოს და დარწმუნდეს, რომ მას ისევ უყვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოუძებნის შემცვლელს. „ჩვენი პრემიერ-მინისტრივით (ჰაჯიბ ტუნ რაზაკი) ლამაზ კაცს არ ვეძებ, მთავარია, უკანასკნელ დღეებში გვერდით ვინმე მყავდეს“, — იხუმრა კუნდორმა.

ინტერვიუ მალაიზიურ გაზეთში კი დაუმახინჯებლად დაიბეჭდა, მაგრამ ინგლისურენოვანმა პრესამ გაფუჭებული ტელეფონივით გადაამღერა ყველაფერი და რამდენიმე დღეში მთელი მსოფლიოს პრესა წერდა, რომ 107 წლის ქალბატონი ნარკომან ქმართან ურთიერთობების საბოლოო გარკვევას და 23-ედ გათხოვებას აპირებდა. მალე მას Facebook-ში დარეგისტრირება და მომავალი საბედოს იქ ძებნაც ურჩიეს. სხვათაშორის, ამ სოციალურ ქსელში დაბადების წლის მითითება შესაძლებელია 1900 წლიდან, ვუკ კუნდორი კი 1902 წელს დაიბადა.

თავად კუნდორმა რომ გაიგო, რას წერდნენ მასზე, ისე განრისხდა, რომ იმავე მალაიზიურ გაზეთს განუცხადა, ყველას სასამართლოში ვუჩივლებ, ვინც ამგვარ ცილს მწამებსო. რა თქმა უნდა, ღარიბ ქალს ინგლისურენოვანი გაზეთებისათვის სასამართლო პროცესების გამართვის სახსრები არასდროს ექნება, თავად ამ გაზეთებისათვის კი ეს ისტორია უკვე დამთავრდა და მას მხოლოდ იმ შემთხვევაშიღა მიუბრუნდებიან, თუ კუნდორი მართლაც გათხოვდება კიდევ ერთხელ.

სხვათაშორის, პრესამ ვუკ კუნდორის ასაკი თავად მისგანვე შეიტყო, ზოგიერთი ნათესავის მტკიცებით, ქალი „მხოლოდ“ 84 წლისაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ის საღ გონებაზეა და ამ ასაკისთვისაც შეუსაბამო ჯანმრთელობა აქვს. ხელისუფლება უახლოეს პერიოდში დაადგენს ვუკ კუნდორის ნამდვილ ასაკს და თუ აღმოჩნდა, რომ ის 84 წლისაა, ახლა უკვე 37 წლის მუჰამედთან მისი ქორწინება რეკორდულად აღარ ჩაითვლება. სხვაობა მხოლოდ 47 წელი იქნება, ანა ნიკოლ სმიტი კი თავის მეუღლე ჰოვარდ მარშალზე 63 წლით უმცროსი გახლდათ. თავად მუსას კი სიურპრიზი ელის: აბა სხვა ვინ დაიკვეხნის, რომ მისი ცოლი საუკუნის მეოთხედით უფრო ახალგაზრდა აღმოჩნდა, ვიდრე თავად ამბობდა?

# რატომ დაიბლოკა ჩინეთში ინტერნეტი?

**ჩინეთში სახელმწიფომ ყველა სასწავლო დაწესებულებაში სავალდებულოდ მიავლინა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა Green Dam, რომელსაც თითქოს ინტერნეტტრაფიკის ფილტრაცია, ადამიანურ ენაზე კი პორნოგრაფიის ბლოკირება უნდა მოეხდინა, მაგრამ სკოლებში აღმოაჩინეს, რომ ის მხოლოდ პორნოგრაფიას კი არა, თავად სკოლის სასწავლო პროგრამებსაც ბლოკავდა.**



გარდა ამისა, ცნობილია, რომ ჩინეთის მთავრობამ პორნოგრაფიის იმავე რისხვას ხელისუფლებისათვის არასასურველი საიტების დაბლოკვის ფუნქციაც შესძინა. მოკლედ, ჩინეთის სკოლები Green Dam-ის წინააღმდეგ აჯანყდა — მუშაობის საშუალებას არ გვაძლევსო, არადა, მთავრობა კატეგორიულად მოითხოვს, რომ სკოლებსა და ინტერნეტკაფეებში მხოლოდ ამ პროგრამით აღჭურვილი კომპიუტერები ჩაირთოს. ეს გენიალური იდეა ჩინეთის წარმოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მინისტრს ლი იჩჟუნს ეკუთვნის. უფრო მეტიც, იმავე პროგრამის ჩატვირთვას ჩინელები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აბსოლუტურად ყველა კომპიუტერში აპირებდნენ.

# რამდენი შთამომავალი ჰყავს ჰიტლერს?

**ჰიტლერის შთამომავლების მაძიებელ ბელგიელებს გაუმართლათ და დნმ-ის ანალიზის შედეგად ავსტრიაში ნაცისტი დიქტატორის 39 შთამომავალი აღმოაჩინეს. მათ უმეტესობას აზრადაც არასდროს მოსვლია, რომ ესოდენ სახელგანთქმული წინაპრის სისხლი ერია.**

ჟურნალისტმა ჟან-პოლ მალდერსმა და ისტორიკოსმა მარკ ვერმირენმა ბევრი იწვალეს, რომ ფიურერის ერთ-ერთი ნათესავის დნმ-ის ნიმუში მოეპოვებინათ. ისინი დიქტატორის ძმის აშშ-ში მცხოვრებ სამ შთამომავალს ჩაუსაფრდნენ. სტიუარტ-ჰიუსტონის გვარის ლუისი, ბრაიანი და ალექსანდრე ჰიტლერის მამის შვილთაშვილები არიან. მათ დადეს პირობა, რომლის მიხედვითაც არასდროს იყოლიებდნენ შვილებს, რათა ფიურერის ჯიში არ გაგრძელებულიყო. ძმები კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან და პრესასთან კონტაქტს ერიდებიან. დნმ-ზე მონადირეები 60 წლის ალექსანდრე სტიუარტ-ჰიუნსტონს რამდენიმე



დღის მანძილზე გამუდმებით უთვალთვალებდნენ და ბოლოს, როგორც იქნა, ხელში ჩაიგდეს ხელსახოცი, რომლითაც მანქანაში წახემსების შემდეგ ალექსანდრემ ტუჩები მოიწმინდა. ეს კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ადოლფ ჰიტლერის მამის პირდაპირი შთამომავლის დნმ-ის ნიმუშის მისაღებად.

ამის შემდეგ მალდერსი და ვერმირენი ავსტრიაში ძებნას განაგრძობდნენ. მათი ყურადღება, პირველ რიგში, იმ ადამიანებს დაეთმოთ, რომლებიც ჰიტლერის მსგავსი გვარისანი იყვნენ. შედეგმაც არ დააყოვნა და ფიურერის 39 ნათესავი უკვე ნაპოვნია. მათ უმეტესობას წარმოდგენაც კი არ აქვთ, რომ ძარღვებში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტირანის სისხლი უჩქეფთ, თავის დროზე მათმა წინაპრებმა გვარი გადაიკეთეს და ახლა გიუტლერების, გიოტლერების ან გიდლერების გვარით ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, ასი წელი გავიდა თუ ათასი, მამაკაცების „Y“ ქრომოსომები არ შეცვლილა. რაც შეეხება გვარს „გიდლერს“, ის ნაცისტების მომავალი ლიდერის დაბადებამდეც არსებობდა. სწორედ ამ გვარის იყო ალოისის დიქტატორის მამის მამინაცვალი. მოგვიანებით დედის გვარი შიკლგრუბერი ალოისმა სწორედ მამინაცვლის გვარით შეიცვალა. რეგისტრაციის დროს კი გვარი დაამახინჯეს და გიდლერის ნაცვლად გიტლერი დაწერეს. ფართოდ გავრცელებული აზრის მიუხედავად, გვარი შიკლგრუბერი ადოლფ ჰიტლერს არასდროს უტარებია.

# რას ერჩის პრემიერი პედერასტებს?

**ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო იაროსლავლში ფორუმზე „თანამედროვე სახელმწიფო და გლობალური უსაფრთხოება“ სიტყვით გამოვიდა და მსოფლიო საფრთხეები ჩამოთვალა.**



ამ ჩამონათვალში იყო ეპიდემიები, ტექნოგენური კატასტროფები, ექსტრემიზმი, ორგანიზებული დამნაშავეობა, შემდეგ კი წარმოთქვა სიტყვა „pederastia“, რაც რუსულად ომონიმურ სიტყვად „педерастия“-დ ითარგმნა.

მსოფლიო უსაფრთხოების საშიშროებათა შორის ჰომოსექსუალიზმის ხსენებამ ბევრი აღაშფოთა, ზოგიერთმა ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის საქმის აღძვრაც კი მოინდომა. არადა, მოგვიანებით გაირკვა, რომ სიტყვა „პედერასტია“ ესპანურ ენაზე „პედოფილიასაც“ აღნიშნავს და სწორედ ამას გულისხმობდა პრემიერი საპატეროც. არადა, ესპანელ მაღალჩინოსანს, რომლის მმართველობის დროსაც მის ქვეყანაში ერთსქესიანი ქორწინება დაუშვეს, ჰომოსექსუალთა უფლებების შელახვისათვის ლამის სასამართლოში მოუხდა თავის მართლება. სხვათაშორის, ამავე გამოსვლის ტექსტში თარჯიმანმა მეორე შეცდომაც დაუშვა და „ქალებით საერთაშორისო ვაჭრობა“ „მონებით ვაჭრობად“ თარგმნა.

# რით ერთობიან უსირცხვილო ბრიტანელები?

**ბრიტანელმა მეცნიერებმა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი შეადგინეს, რომელთა გამოც ბრიტანელები თავს უხერხულად გრძნობენ. სოციოლოგიური გამოკითხვისას ბრიტანელებს უნდა მოეთხროთ, რას აკეთებენ ყველაზე ხშირად საკუთარ თავთან მარტო დარჩენილნი.**

აუცილებელი იყო იმ ქმედებების აღიარება, რომელთა გამოც თავს დამნაშავედ გრძნობენ. გამოკითხვაში სამი ათასი ადამიანი მონაწილეობდა და სწორედ მათი პასუხების შედეგად გაირკვა, რომ მარტო ყოფნის დროს ბრიტანელების უსაყვარლესი გასართობი (57%) რეალითიშოუების ყურებაა.



გამოკითხულთა 44% ბედნიერია, თუ სახლში მთელი დღის განმავლობაში ღამის საცვლების ამარა დადის, 41% მაცივრის გამოცარიელებით ერთობა, 38% ფერისმჭამელებთან ბრძოლით იხალისებს ცხოვრებას, 34% ცხვირს იჩიჩქნის, 33% უგემოვნო პოპმუსიკას უსმენს, 30% ხმამაღლა აბოყინებს, 29% საკუთარ თავს ელაპარაკება, 27% კი სხვისი თეფშიდან იპარავს საჭმელს. მეათე ადგილზე 21%-ით საბავშვო ტელეგადაცემების ყურება აღმოჩნდა. მკვლევართა თქმით, გამოკითხულთა დიდ ნაწილს სიამოვნებას ანიჭებს ცნობილ ადამიანებზე ჭორების წაკითხვა, ნახევარფაბრიკატებით კვება, ფრჩხილებიდან ლაქის გადაცლა და კექსის თავზე მოსხმული მინანქრის ალოკვა.

სპეციალისტები ამბობენ, რომ, რამდენიც უნდა მალონ ადამიანებმა ამგვარი სისუსტეები, ეს პატარ-პატარა სიხარული მათ მძიმე სამუშაო დღის შემდეგ განმუხტვის საშუალებას აძლევს და ძალიანაც სასარგებლოა.

# კუბელებს ინტერნეტი ჩაურთეს?

**კუბის ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეებს ინტერნეტით თავისუფალი სარგებლობის უფლება ეძლევათ. პრაქტიკაში ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნება იქნება, რადგან ინტერნეტთან დაშვება საფოსტო სამსახურის შუამავლობით მოხდება.**



ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მას შემდეგ, რაც შარშან კუბელებს პერსონალური კომპიუტერების, DVD-ფლეერებისა და მობილური ტელეფონების შეძენის უფლება მისცეს.

ახლა კუბაში საფოსტო განყოფილებებს კომპიუტერებით აღჭურავენ და მოქალაქეებს საათში 1,67 დოლარის გადახდა მოუწევთ ინტერნეტით სარგებლობისათვის. ინტერნეტკაფეს გახსნა იოლი საქმე არ იქნება. კავშირგაბმულობის მინისტრმა რამირო ვალდესმა პირობა დადო, რომ ნებისმიერ პროვინციაში საგულდაგულოდ შერჩეულ კადრებს ამუშავებენ.

მსოფლიო ქსელში ჩართვა სახლიდანაც შეიძლება, ოღონდ საამისოდ კუბისთვის უზარმაზარი თანხის — 150 დოლარის გადახდაა საჭირო (კუბაში საშუალო ხელფასი 20 დოლარს არ აღემატება).

აქამდე ზოგიერთ კუბელს შეეძლო, ესარგებლა ეგრეთ წოდებული ინტერნეტით, რომელშიც მხოლოდ ხელისუფლების მიერ ნებადართული რამდენიმე საიტი იხსნებოდა. ნამდვილ ინტერნეტთან დაშვება მხოლოდ მეცნიერებს, ჩინოვნიკებსა და ზოგიერთ დაწესებულებას ჰქონდათ.

# რამდენი ასწლოვანი მოქალაქეა იაპონიაში?

**უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში 100 და მეტი წლის იაპონელთა რაოდენობა გაორმაგდა და 40 ათასს გადააჭარბა. იაპონიის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ცნობით, ხანდაზმული მოქალაქეების დღესასწაულისათვის 21 სექტემბერს ქვეყანაში 100 წელს გადაცილებული 40 399 მოქალაქე იქნება. მათი 86% ქალია.**



იაპონიაში ყოველი მოქალაქე 100 წლის იუბილეზე პრემიერ-მინისტრისაგან საჩუქრად იღებს პირად მისალოც ბარათს და ვერცხლის თასს. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში იაპონელთა შორის ას წელს გადაცილებულთა რაოდენობა მკვეთრად იზრდება. 10 წლის წინათ ქვეყანაში ასეთი დაახლოებით 10 ათასი მცხოვრები იყო, 2007 წელს — 30 000, წელს კი 40 000-ს გადააჭარბა. გაეროს ექსპერტები ირწმუნებიან, რომ 2050 წლისათვის მათი რაოდენობა მილიონს გადააჭარბებს. იაპონია სწრაფად და განუხრელად ბერდება, ეს კი, ძირითადად, სამედიცინო დახმარების განვითარებამ და ცხოვრების მაღალმა დონემ განაპირობა. იაპონიაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მამაკაცებისათვის 79 წელია, ქალებისათვის კი — 86 წელი. ქვეყნის უხუცესი ქალბატონი ახლა 114 წლისაა, უხუცესი მამაკაცი კი — 112-ის.

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა რაოდენობის მხრივ ლიდერად მსოფლიოში მაინც აშშ რჩება — 2008 წლის 1 ნოემბერს იქ ასი წლის იუბილე 96 548 ადამიანმა აღნიშნა.

# საჰარას ტყედ აქცევენ?

**ეს გლობალურ დათბობასთან ბრძოლის ახალი მეთოდია, რომელიც მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა მოიფიქრა — კლიმატოლოგებს საჰარის ტყედ ქცევა სურთ.**

წყალი ყველა ნარგავის ძირამდე სპეციალურად გაყვანილი მილებით უნდა მიდიოდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი აორთქლება. ევკალიპტი ამ საქმისთვის მშვენიერი მიგნებაა, ის ნებისმიერ სიცხეში გაძლებს, თუ ფესვებამდე წყალი აღწევს. ტყე ადგილობრივ კლიმატს იმდენად შეცვლის, რომ ზოგიერთ რაიონში ტემპერატურა 8 გრადუსითაც კი დაიწევს. გახშირდება წვიმები და, რაც მთავარია, ტყე ყოველწლიურად 8 მილიარდ ტონა ნახშირმჟავა გაზს შთანთქავს. ეს ციფრი კი თანამედროვე მსოფლიოს ყოველწლიურ გამონაბოლქვის რაოდენობას უტოლდება.

საჰარის ტყე მსოფლიოს ყოველწლიურად 2 ტრილიონი დოლარი დაუჯდება.



# მე შაირი არ მინდოდა...

## Fire and forget! — გაისროლე და დაივიწყე! (არტილერისტის დევიზი)




რუსლანას მკერდის ფერი აქვს
მიშას სასახლის რიკულებს,
პრო-ც სანატრელი გაგვიხდა
საწყალ პრო-ამერიკულებს.

ობამას სიტყვამ დაგვზაფრა
პატარები და დიდები,
დავდივართ ამერიკისგან
გაყიდულ-დანაკიდები!

ამერიკისკენ იწევდა
სუყველა „გმირი“ ქებული...
დავრჩით მეძავის პრო-სავით
პახაბნად ამოგდებული!

სირცხვილისაგან გაწითლდა
გრიგოლ ვაშაძის ულვაში,
როცა პოლონეთ-ჩეხეთთან
ჩვენც მიგვაყოლეს ხურდაში.

დამთავრდა! უკვე შიშისგან
წყალში ხტებიან ვაცები,
გაბანძდა იუშჩენკოს და
კაჩინსკის ტანცი-მანცები.

არც აღარავის სჭირდება
რევოლუციის ასები,
კლებულობს დემოკრატიის
იმპორტ-ექსპორტის ფასები.

ნატომ უარი გვაჯახა,
გვატკინა გულისფიცარი,
ცრუ და მუხთალი ყოფილა
აშშ-ს „ჩორნი რიცარი“.

ჩვენ რომ ქარტია გვეგონა,
სიტყვა აღმოჩნდა ლიტონი,
თავს იმართლებდა მიშასთან
თურმე ჰილარი კლინტონი.

წაგვიხდა ყველა ნასროლი,
რასაც დავადეთ ნიშანი,
ერთმანეთს ველარ უგებენ
ობამანი და მიშანი.

ახლა ვუყუროთ, მიშა რომ
გულზე მჯიღს დაიბრაგუნებს...
მაპზე უკეთესს ველოდით,
მაპში ერთი კი გვარგუნეს!

ჭკუაზე შეიშლებიან
ამ ამბებისგან ნაცები,
სომხებს უთქვიათ — სე-შე-ამ
დაიკიდაო ვრაცები!

ეს-ენ-გე-დანაც გავედით,
პრო-ზეც მივიღეთ უარი,
გამაგებინეთ, ამქვეყნად
ჩვენი პატრონი თუ არი?

ან ავღანეთში რა გვინდა?
ჩვენ სხვის კუბოში რად ვწვებით?
რატომ შევწიროთ სხვათა ომს
ჩვენი ვაჟკაცი კაცები?

ვინ შეაფასებს ამჯერად
ამ ჩვენს ნაბიჯებს ბრიყვულებს?

ვინც პრო-ზე გვითხრა უარი,
პრო-ულად გამორიყულებს!

ვაი და ვუი ჩვენს თავსა!
ამდენ კანფეტებ-ფოჩებით
პრო-ზეც უარი მივიღეთ,
ჩვენ თვითონ გავხდით პრო-ები!

ახლა რომ შიშმა შეგიპყროთ
და სიმწრის გასხამთ ოფლიო,
ამას არ გეუბნებოდათ
„საქართველო და მსოფლიო“?

**გეგა ბაიტიანი**


## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

● უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
● ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
● სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის დნმ-დიაგნოსტიკით;
● სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
● ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
● ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
● ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
● სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
● კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
● ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
● ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77**

## უნივერსალური წყალი „ისიდა“

### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



შპს „ისიდა“ გთავაზობთ ხარისხობრივად ახალი ტიპის, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სუფრის წყალს — „ისიდას“, რომელიც აბსოლუტურად აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს, სერტიფიცირებულია და შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ მინერალებს, იოდს, ფტორს, კალციუმს, კალიუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, თუთიას და მანგანუმს. საერთო მინერალიზაცია (350 მკ/ლ) უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქის და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ფუნქციონირებას, ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას. გამიზნულია ოჯახური მოხმარებისათვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში. ტარის გარეშე 1 ლიტრი 35 თეთრი ღირს.

**მსურველებმა დარეკეთ: 899-16-30-21; 890-26-15-15 (ოფისი).**


**http://www.geworld.net**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავრი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net



მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge